

ჯემალ მახრიშვილი

**თავფარავნელი  
დედაბრის  
აღქმის**

თბილისი  
2007

რედაქტორი **ხათუნა მეტრეველი**  
ტექნიკური რედაქტორი **იამზე ბასილია**  
კორექტორი **ციური რიგიშვილი**

შენ, ჩემო წიგნო-მეომარო, ღარიბი პატრონი გყავარ:  
ბევრის მსგავსად ვერ ჩაგაცვი რკინის ბექთარი ანუ  
მკვრივი ყდა...

ის კი არა, იმდენი სახსარიც არ მექვავა, ამ სიფრიფა-  
ნა ყდისთვის ცელოფანი მაინც გადამეკვრევიინებინა..


ფერად გამოცემაზე ოცნებაც ხომ ზედმეტი იყო!.

მოკლედ, შენ ვერავის მოხიბლავ ზიზილ-პიპილები...  
და გარეგნული ბრწყინვალეობით...

ამიტომ ორად ორი გზალა დაგრჩენია – ან სიმართლი-  
თა და პირუთვნელობით დაიპყრო ჭეშმარიტი მკითხვე-  
ლის გული, არადა მილიონობით სხვა წიგნის მსგავსად  
შენც ლიტერატურის უსასრულო, ქვალორღიან გზაზე  
სადმე უსახელოდ დალიო სული.

მე ამის მეტი თქმა და მოცემა აღარაფერი შემიძლია.

მაშ, წადი და იომე!



## ცოტა რამ ავტორზე

„...1964 წელია. უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე ერთ მაგიდასთან ვისხედით მე და ფარნაოზ ერთელიშვილი. შემოვიდა აბიტურიენტი — ჯარისკაცი, მშვენიერი შესახედავი, კარგი ვაჟკაცი. იმ დროს ჯარისკაცებს ცოტა არ იყო, ამრეზით ვუყურებდით, ვფიქრობდით — საიდანღაც ჩამოსულს, რა ეკოდინებაო. იშვიათობა იყო, ვინმეს რაიმე სცოდნოდა.

ახალგაზრდამ აიღო ბილეთი და დახედა თუ არა საკითხებს, მაშინვე მოისურვა გამოსვლა. კი ვუთხარით — რა გეჩქარება, ჯერ კარგად მოიფიქრეო, მაგრამ დაიჟინა — მოსაფიქრებელი არაფერი მაქვს, საკითხები ვიცი და ახლავე გამოვალო.

ამან უფრო გაგვაკვირვა. მე, გამომცდელს რომ ამელო ის ბილეთი, ისე ვერ მოვევებოდი, როგორც ის ბიჭი ჰყვებოდა. იმდენად აფელადი, რომ ვატყობ, სადაც არის, ცრემლები უნდა გადმომცვივდეს, მაგრამ იქ ტირილს ხომ არ დავიწყებდი?! ფარნაოზს ვუთხარი — მე პაპიროსს მოვწევ და გამოცდა თქვენ გააგრძელეთ-მეთქი.

გავედი ღერეფანში და ვეწევი პაპიროსს, მაგრამ ცალი თვალი აქეთ მაქვს — ბიჭი შეუფერხებლად პასუხობს და პასუხობს... რომ არა და არ მიგბრუნდი, ფარნაოზმა ხელი დამიქნია — მოდიო და რომ შევედი, მითხრა: ახლა მეორე არწივი დაიბანს თვალს და შენ მოუსმინეო — და თვითონ გავიდა სიგარეტის მოსაწევად: თურმე იმასაც ეტირებოდა.

ის აბიტურიენტი ახალგაზრდა ჯემალ მესხრიშვილი იყო — მერე ჟურნალ „ცისკარში“ ბეჭდავდა არცთუ ისე ურიგო მოთხრობებს“...

აღეჟი ჭინჭარაული  
(ჟურნალი „გზა“, 2001 წ. №20)

\* \* \*

„Джемал Мехришвили – выпускник ТГУ. В отличие от предыдущих авторов, он историк. Его биография богата встречами с интересными людьми, событиями. Он прошел службу в армии, побывал на целине, жил в большом городе и знает запах свежей травы. вероятно поэтому так ярка и так объемна палитра его красок.

Мехришвили с одинаковой легкостью находит характерные штрихи, нюансы к портрету человека любой профессии, национальности. Понравилось в нем и то, что автор умеет заставить читателя поразмыслить над написанным, подумать, постигнуть все, что сказано и что осталось за строчками“.

თინა ღონეაშვილი  
(„მოლოდიოე გრუზიი“,  
1974 წ., 19 ოქტომბერი)

4

\* \* \*

„ცალკე უნდა გამოვეყო ახალგაზრდა ავტორის ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი. ავტორი ისე ხელშესახებად, რელიეფურად, საქმის ცოდნითა და ტემპერამენტით გვიხატავს გმირის სულიერ სამყაროს, ძნელია მის მიმართ პატივისცემითა და მოკრძალებით არ განიმსჭვალო“.

რევაზ ჯაფარიძე  
(„ლიტერატურული საქართველო“,  
1975 წ., 18 ივნისი)

\* \* \*

„საყურადღებოა ჯემალ მეხრიშვილის ნარკვევი „მენი მიწა“. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ფაქტიურად ეს არის მოთხრობა... აბა, არსენ კობაიძის შრომითი გმრობის ამბავი ვის არ სმენია?! რამდენი რამაა დაწერილი ამ სამაგალითო მშრომელ კაცზე!

მაგრამ ჯ. მეხრიშვილმა არსენ კობაიძე გვიჩვენა ყოფაში, გვიჩვენა მხიარულების დროს, გვიჩვენა თანასოფლელებთან პურის ჭამისას, ძმაკაცებში ხუმრობა-თავშექცევის დროს... არავითარი სქემა, არავითარი ტრაფარეტი. უსმენთ ადამიანს, ხედავთ ადამიანს, გჯერათ მისი, გწამთ.

ჯ. მეხრიშვილის ეს ნარკვევი ფორმით ორიგინალურია, დაწერილია ძარღვიანი ქართულით...“

ჯეუმბერ თითმურია

(„ლიტერატურული საქართველო“, 1976 წ., 27 თებერვალი)

\* \* \*

„... ნიჭიერ და საიმედო ახალგაზრდა შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის ჯემალ მეხრიშვილი. მას აქვს მხატვრის ნამდვილად გამჭრიახი თვალი, აქვს უნარი დანახულის ოსტატურად გადმოცემისა: მოთხრობაში, რომელსაც „ძროხები“ ეწოდება და რომელმაც მკითხველის ღრმა ინტერესი გამოიწვია — ახალგაზრდა მწერალმა აღწერა ერთი დღე ბოდბისხევის ბაზარზე — და იმავე დროს მან დახატა მთელი დღევანდელი სოფელი თავისი საზრუნავით, საფიქრალით...“

ჯემალ მეხრიშვილი წერს დღევანდელი საქართველოს სოფელსა და ქალაქზე. მწერალი საფუძვლიანად იცნობს ხალხის ცხოვრებას, საუცხოოდ ფლობს ქართული ენის მთელ უმდიდრეს საგანძურს...“

გიორგი ნატროშვილი

(ჯ. მეხრიშვილის „მოთხრობების“ კრებული  
წინასიტყვაობიდან. „მერანი“, 1977 წ.)

\* \* \*

„ინტერესით იკითხება ახალგაზრდა მწერლის ჯემალ მეხრიშვილის „შირაქელი თავკაცი“. რა განაპირობებს ამას? ცოცხალი, ბუნებრივი ენა, სადა,

დახვეწილი სტილი, შეკუმშული კომპოზიცია, ცოცხალი, დამაჯერებელი დიალოგები, მოხდენილი თქმები და სხარტულები, რაც მოხერხებულად არის ჩართული თხრობაში...

ჩანს, ჯეშალ მეხრიშვილი კარგად იცნობს სოფლის ცხოვრებას, საერთოდ, მის ადამიანებს. მას შეუძლია მხატვრული შტრიხებით წარმოაჩინოს ხასიათის არსებითი თვისებები, ცხოვრებაში და ადამიანში შენიშნოს მთავარი, არსებითი..."

გივი ვარდოსანიძე

(ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1979 წ., №2)

\* \* \*

„... ახალგაზრდა მწერლის ჯეშალ მეხრიშვილის მოთხრობების სანაქებო ღირსებაა სათქმელის აქტუალობა, მებრძოლი პათოსი. ის წერს იმაზე, რაც აღელვებს მას, როგორც მწერალსა და მოქალაქეს, რომელიც პასუხისმგებელია დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე...“

შალვა ამინაშვილი

(ალმანახი „კრიტიკა“, 1979 წ., №3)

\* \* \*

„ყურადღებას იქცევს ჯეშალ მეხრიშვილის მოთხრობები მარტივი სიუჟეტით, უშუალო თხრობით; მწერალი გვიყვება უბრალო და საინტერესო ამბებს უბრალო და საინტერესო ადამიანებზე...“

ყველა მოთხრობა ცალკე და ყველა ერთად სავსეა თითქოს უშუალო ყოფიდან აღებული სურათებით, ეგრეთ წოდებული პატარა ადამიანის სულიერი სილამაზის გამოხატულებით, მათდამი დიდი ადამიანური თანაგრძნობით...“

გურამ გვერდწითელი

(„მნათობი“, 1982 წ., №5)

## თავფარავნელი დედაბრის ალქიმი

თავფარავნელი ჭაბუკი  
ასპანას ქალსა ჰყვარობდა,  
ზღვა ჰქონდა წინად სავალი,  
გასვლას შიგ არა ზარობდა.  
ქალი ანთებდა სანთელსა,  
სანთელი კელაპტარობდა,  
ერთი ავსული ბებერი  
ვაჟისთვის ავსა ლამობდა,  
სარკმელზე ანთებულ სანთელს  
აქრობდა, აბეზარობდა!

ხალხური

7

“Свой журнал, что свой дом: что хочу, то и делаю в нем”.

ბ. ბელინსკი

დათარეშობენ, კახეთი  
მისცეს ქარსა და ნიავსა;  
საცა ჰსურთ, ყურძენსა სჭამენ,  
საცა – ჭანჭურს და ქლიავსა.

ვაჟა-ფშაველა

„რაც კი თავში მომდის, ყველაფერს დაუფიქრებლად ვყრი ფურცელზე“.

ბესო ხვედელიძე, „სოფელი პატივა“



„მე რო მისმინო, შვილო, ხვალ დილამდე ვიყბედებ, არკი მამბეზრდება. გონი, სხვა რამე მკითხეთ, მე კი ვრატრატებ ცარიელი კასრივითა. პატარაობიდან სუ ეგეთი ვიყავი – ერთსა მკითხავდნენ და სხვასა ვყვებოდი“.

**კოტე ჯანდიერი, „გლობალიზაცია“**

„სიტყვების უზომოდ მოზღვაება მხოლოდ ქარაფშუტებსა და დილეთანტებს სჩვევიათ“.

**თომას მანი, „მძიმე საათი“**

„რა მძიმე ბრძოლაა გადასატანი შინაგანი მოთხოვნილების პირველი რიტმიდან თემამდე, სიუჟეტამდე, ფორმამდე; აქედან აზრამდე, სახემდე, სიტყვამდე თუ ბგერამდე“;

**თომას მანი, „მძიმე საათი“**

„მწერლობა არ ეკუთვნის ისეთი საქმეების რიცხვს, რომელსაც ყველა მონდომებული და ენერგიული კაცი გააკეთებს. ის არ არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოდური საქმე. ასეთ საქმედ მწერლობა ზედაპირული აზროვნების, პოპულარობას დახარბებულ და თავისთავზე ყალბი წარმოდგენის მქონე ადამიანებს ესახებათ. ხანდახან რომანების წერას ჰკიდებს ხელს ის, ვინც განცხადებასა და მოკითხვის ბარათსაც კი ვერ დანერს ხეირიანად. დამწყებმა მწერლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ენას, მანერას, ბუნებრიობას და განსაკუთრებით იმას, თუ როგორ არ შეიძლება წერა“.

**ნოდარ ჩხეიძე**

„უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას“.

ილია ქავჭავაძე

„მე ვხედავ ამას ცხოვლად,  
სხვები კი ვერა ჰხედავენ,  
არ ვიცი, ბრმები არიან,  
თუ ნახვას ვერა ჰხედავენ“.

ვაჟა-ფშაველა

„რად არ ელოდით, ვინმე ბოლოს პასუხს მოგ-  
თხოვდათ?“

ჰომეროსი, „ოდისეა“

„ჩვენ არასოდეს შეგფურიგდებით ვერსალის ზა-  
ვის სულში ჩაფურთხებას!!!“

ადოლფ ჰიტლერი

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მო-  
ნაწილე ბავარიის მე-16 ქვეითი პოლკის რი-  
გითი ჯარისკაცი, პირველი ხარისხის რკინის  
ჯვრის კავალერი, გერმანიის მომაჯალი და  
უკანასკნელი (1933-1945) რაიხსკანცლერი.

1919 წელი

2006 წელს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში ერთი მეტად მნიშვნელოვანი რამ მოხდა: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლო-  
ბამ“ საგანგებოდ დასტამბა წიგნი ასეთი სათაურით „2005 წლის  
15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“.

ოთხფეროვანი წიგნის ყდის ბოლო, მეოთხე გვერდზე ვკითხუ-  
ლობთ.

„კრებულში შესულია 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან შერჩეული 15 საუკეთესო მოთხრობა“<sup>1</sup>

ცხადია, მწერალი თუ მშობლიური ლიტერატურის ტრადიციული მოტრფიალე, მაგრამ ხელმოკლე მკითხველიც, ვისაც არ გააჩნია საიმისო ნივთიერი სახსარი, რომ მთელი წლის განმავლობაში ნომერჩაუგდებლად ყიდულობდეს ყველა დასახელების ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთს, ახლა, შეიძლება ხელაკანკალებით, მაგრამ მაინც შინაგანი სიმამაცე-თავგანწირვით შეელოდა თუგინდ აქა-იქ მოკრეფილი ლუდის ცარიელ-ცარიელი ბოთლებით პურის საყიდლად შეკონინებულ შვიდ ლარს, რათა რაც შეიძლება შინ მალე მიეტანა ასე საგულდაგულოდ ერთად შეკონილი „15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“, მოკალათებულიყო თავის ჩვეულ კუთხეში და სულმოუთქმელად შესდგომოდა კითხვას. მაგრამ შენაძენით აღფრთოვანებული მკითხველი გადაშლის თუ არა წიგნს, გაკვირვება-გაურკვეველობა უმალ ცივი შხაპივით ევლება: თავფურცელის უკანასტარზე დაბეჭდილ გოჯნახევრიან ანოტაციაში გამომცემლობა გულგრილად იუნყება.

„15 საუკეთესო“ მეოთხედ გამოდის და ისევე როგორც წინა კრებულებს, არც ამას აქვს პრეტენზია, რომ ეს შერჩევა ობიექტურია“.

გამომცემლობის ამგვარი უკადრისი, თუმცა შორს გამიზნული გულახდილობა თავისთავად ბადებს ბუნებრივ კითხვებს – კი მაგრამ, რალამ შეუშალათ ხელი, რომ ეს შერჩევა ობიექტური ყოფილიყო? და თუ არა ცივილიზებული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი, ყველაზე სანდო, ნაცადი და ერთადერთი სამართლიანი კრიტერიუმი, ობიექტურობა, მაშ, აბა, რალა უნდა ყოფილიყო ამ ლიტერატურული ნაწარმოებების შერჩევის საზომ-საწონი: ლატარია, მოხეტიალე ბოშებთან მკითხაობა, ძმბაიჭობა, წრეობანა, ფარული კენჭისყრა, ჯიბრიანობა, ნათლი-მამაობა, ძლიერთა ჰეგემონია თუ რომელიმე გავლენიანი პირის ფიურერუკასებრი ახირება-თვითნებობა?!

<sup>1</sup> ეს ხაზგასმა თვითონ გამომცემლობას ეკუთვნის, მისი წინამდებარე და ყველა მომდევნო ხაზგასმა კი მხოლოდ ავტორისეულია.

რა გამოდის? თუკი საქართველოს ერთ-ერთ ისეთ ყველაზე დიდსა და სახელგავარდნილ გამომცემლობასაც კი, როგორც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, არ გააჩნია და თურმე არც შეიძლება გააჩნდეს საიმისო შნო და დონე, რომ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებში საფუძვლიანად ერკვეოდნენ და საჭიროების შემთხვევაში ობიექტური შეფასება მოახდინონ, მაშინ რაღა უნდა მოეკითხოთ დანარჩენ გამომცემლობებსაც?! ამიტომ აქ თავისთავად იგულისხმება: საქართველოს ყველა გამომცემლობის მიერ გამოცემული ამოდენა თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურული პროდუქცია არაობიექტურად შეფასებულ-შერჩეული და ამდენად, იდეურ-მხატვრულობის თვალსაზრისით, სრულიად ეჭვმისატანი ყოფილა!

რაკი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ თვითონვე ხედავდა და თან საჯაროდაც აღიარებს, რომ მის მიერ სხვადასხვა წლის საუკეთესო მოთხრობებად შემოთავაზებულ ნაწარმოებებს არა აქვთ შერჩევის ობიექტურობის პრეტენზია, გული კი თურმე მშობლიური ლიტერატურის უანგარო სამსახურისთვის უძგერდათ, მაგრამ თავიანთ გამომცემლობაში არ ჰყავდათ მაღალი დონის სათანადო კვალიფიციური კადრები, საქართველოში რამ დაღია ნიჭითცხებული, მიუკერძოებელ-მოუსყიდველი მწერლები და კრიტიკოსები – მაშინ ამდგარიყვენ და, როგორც მსგავს შემთხვევაში ხდება ხოლმე, მათგან შეედგინათ კომპეტენტური ჟიური, რათა თავიდან აეშორებინათ ამგვარი სამარცხვინო ბოდის მოხდა.

და რაკი არც თვითონ გამომცემლობას ჰყოლია სათანადო კვალიფიციური კადრები და ვერც კომპეტენტური ჟიურის შედგენისთვის მოუბამთ თავი, თავისთავად გასაკვირი ხდება, ვილა ატანდათ ძალას, რა საჭირო იყო ამგვარი საეჭვო სულწასულობა – მაშინ რის იმედითა და საბუთით, რაღა სინდის-ნამუსით არწმუნებენ თავიანთ მკითხველებს, რომ ნიგნში შესული ეს 15 მოთხრობა 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან ყველაზე საუკეთესოა?

სად არის ან ლოგიკა, ან სამართალი?

ძველ ლათინებს ერთი ასეთი მწარე, თუმც ცხოვრებისეული ანდაზა ჰქონდათ – თუ არ მოატყუე, ვერ გაყდიო! მოტყუებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სრულიად ბუნებრივია, „ბა-

კურ სულაკაურის გამომცემლობაც“ სისხლხორცეულად იქნებოდა დაინტერესებული, თავის მიერ საგანგებოდ დასტამბული ეს წიგნი მკითხველებს დაუნანებლად ეყიდათ და გულთბილად მიეღოთ! ჰოდა, იქნებ მკითხველი საზოგადოებაც სახარებასავით ინამებდა მათ ამგვარ შერჩევას და გასაკვირია, გამომცემლობას წინდანიწვე რალა აყვირებს, თავისდა საზიანოდ მკითხველს შეგნებულად რა მიზეზითა და მიზნით აგდებს გულისხმაში – ჩვენს შერჩევას არა აქვს ობიექტურობის პრეტენზიაო!!! ერთი ამიხსნას ვინმემ, მუშტრის დასაფრთხობად ასე წინდანიწვე რომელი ჭკუათამყოფელი გამყიდველი გაიძახის სახალხოდ: ჩემი დო მყავეაო?!

მაშ, რა ხდება – აქ სადმე ძალის კუდი ხომ არ მარხია?

ნათქვამია, ქურდს ქუდი ეწვისო! როგორც ჩანს, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასაც“ სწორედ ასე ემართება: ეს მისეული შერჩევა იმდენად ტენდენციურ-დიქტატორუკულია, ისეთი სპეკულაციურ-დისკრიმინაციული და ამდენად, უსამართლო, რომ თავისი გადადგმული ნაბიჯის თვითონვე შეშინებია და თავისი ჭკუით თადარიგიც წინდანიწვე დაუჭერია – აბა, როგორ, სართი დასწრებისაა! – თუ ვინმე ალაშფოთა ჩვენი შერჩევის აშკარა ტენდენციურობამ, მოსაგერიებელი არგუმენტი მზად გვექნება: აგერ, ბატონო, ანოტაციაშივე ვალიარებდით და ვაფრთხილებდით მკითხველებს, რომ ჩვენს შერჩევას არა აქვს ობიექტურობის პრეტენზია და ახლა რალა პირით გვერჩითო! როგორია? მაგრამ როგორც გაზაფხულის ლორთქო ბალახი ვერ დაიჭერს დაძგერებულ შუბს, ისე ამგვარი უკბილო „არგუმენტები“ ვერ უძლებენ ვერანაირ კრიტიკას!

ერთი კარგად ჩაუკვირდით წელან მოყვანილი ციტატის მეორე ნაწილს.

„...არც ამას აქვს პრეტენზია, რომ ეს შერჩევა ობიექტურია“.

ხედავთ, ეს შერჩევა არამცთუ აშკარა არაობიექტური ყოფილა – ობიექტურობას ვილა დაეძებს! – არამედ გამომცემლობას აუცილებელი ობიექტურობის პრეტენზიაც კი არ ჰქონია!!!

კარგად მესმის, რომ ნებისმიერი და მით უმეტეს, მხატვრულ ლიტერატურაში წუნდაუდებელ ობიექტურობას დიდი

ცოდნა-გამოცდილება, შესაშური მხატვრული ალლო-გემოვნება, პასუხისმგებლობის შეგნება, მოქალაქეობრივ-პროფესიული სინდისი და კეთილშობილება სჭირდება და შეიძლება ეს ყველა აუცილებელი თვისება-მოთხოვნილება, ერთად შეკონილი, არ აღმოაჩნდეს ყველა გამომცემლობას, რედაქციას, სარედაქციო კოლეგიას, ყიურის თუ ცალკეულ პიროვნებას. მაგრამ ობიექტურობის პრეტენზიის ქონას მაინც რაღა ისეთი ტარჭრელი კოვზები უნდა, რომ გამომცემლობა ამისგანაც კი ხელს იბანს?! ახლა თავად განსაჯეთ: ეს შერჩევა როგორღა იქნებოდა ობიექტური ანდა ობიექტურობას მიახლოებული, როცა გამომცემლობას ამის პრეტენზიაც კი არ ჰქონია!!!

უფრო მეტიც: გამომცემლობა თავის მკითხველებს იმის ღირსადაც კი არ აგდებს, ცივილიზებული წესითა და რიგით აუნყოს, ვინ მოახდინა ეს მეტად საპასუხისმგებლო შერჩევა – სარედაქციო კოლეგიამ, საგამომცემლო ჯგუფმა, შემდგენლებმა, საგანგებო ყიურიმ თუ რომელიმე ნომენკლატურულმა ჩინოვნიკმა!.. ყოვლად ჩვეულებრივი, აუცილებელი და უზიფათო საგამომცემლო სუბორდინაციაც კი რატომღაც გასაიდუმლოებულია: არ ჩანს, ვინ არის წიგნის რედაქტორი, ტექნიკური მდივანი, მხატვარი, დიზაინერი, კორექტორი!.. თუმცა რედაქტორსა და კორექტორს ვინღა ჩივის – იმაზეც მადლობელს უნდა ვიყოთ, თვით გამომცემლობის ვინაობა მაინც რომ გაგვანდეს და ეს ორასორმოცდათერთმეტგვერდიანი წიგნი თავის დროზე ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დაბეჭდილ ბოლშევიკურ პროკლამაციასავით ფარულად არ გაავრცელეს!!!

რა არის ყოველივე ეს? მკვახე დილეთანტიზმი, სტიქიური ან შეგნებული ცინიზმი, მკითხველის აბუჩად აგდება, მერკანტილური ცულლუტობა თუ ყიზილბაშური მედიდურობა-თავდაჯერება – რაც უნდათ, იმას იზამენ, როგორც თვითონ მოიპრიანებენ, ისე წარმართავენ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და სადაც საჭიროდ ჩათვლიან, მკითხველ საზოგადოებას იქ კაკლის მაგიერ ბამბას აუჩხრიალებენ, ხოლო დუხჭირი ყოფაცხოვრებისაგან ისედაც ილაჯგანყვეტილი ქართველ მწერალთა კორპუსი კი – რიგით მკითხველებზე რომ აღარაფერი ვთქვათ! – მორჩილად გაინაბება და მოუცლელილობით, გადაღლილობით, ხათრით, მწვავე პოლემიკაში ჩაბმის შიშით თუ ხსენებული გა-

მომცემლობისგან რაიმე მონური მოწყალების მაცდური მოლოდინით მონუსხული, სიტყვის შებრუნებას ვერვინ გაბედავს და მათ შეფასებას ძირს დაუშვებლად ინამებენ!!!

როცა გონებაში გავიტარე, 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში როგორი მოთხრობები გამოქვეყნდა, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ კი იქიდან რომელი ნაწარმოებები მიუჩნევია წლის საუკეთესო მოთხრობებად, მაშინვე ნათელი მოეფინა სავალალო რეალობას: გამომცემლობას შეურჩევია არა მართლა წლის საუკეთესო მოთხრობები, არამედ ვილაციის სასურველი ავტორები! არსებითად, ეს არის არა ობიექტურობას მიმსგავსებული შერჩევა, არამედ ქართველი მწერლების ლიტერატურულ დუელში გამონვევა! უფრო მეტიც! შეიძლება დამცინონ კიდეც, მაგრამ ჩემსას მაინც ვიტყვი. ეს შერჩევა იმდენად აბსურდულად გამოიყურება, რომ თავიდან ასეთნაირმა აზრმაც კი გამიელვა: ქართველი მწერლებისა და კრიტიკოსების გემოვნება-სიფხიზლის შესამონმებლად და თავისი გასაკვირი ორიგინალობით ლიტერატურის ისტორიაში მოსახვედრად გამომცემლობას აქამდე გაუგონარი რამე ექსტრავაგანტურ-კუროიზული, საუკუნის ექსპერიმენტ-ხუმრობა ხომ არ ჩაუფიქრებია-მეთქი – წლის საუკეთესო მოთხრობებად განზრახ ყველაზე სუსტ ნაწარმოებებს შევარჩევ და, აბა, ერთი რომელიმე კალმოსანს თუ ეყოფა ალლო-მისხვედრილობა და გაბედულება, ხმა აიმაღლოსო!

მოკლედ, ეს შერჩევა იმდენად უსამართლოა, რომ აქ გამომცემლობა თავისთავად ემსგავსება თავფარავნელ ბებერს: როგორც ის ავსული დედაბერი ვაჟის მომლოდინე ქალის სარკმელზე ანთებულ სანთელს აბეზრულად აქრობდა, რათა მობობოქრე მორევში როგორმე დაეღუპა და ბოლოს აკი დაღუპა კიდეც სატროფოსკენ გულდაგულ მიმცურავი, გეზდაკარგული ჭაბუკი, ისე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაც“ ამ თავისი ტენდენციური წიგნით უტიფრად ცდილობს, კელაპტარივით ჩაგვიქროს ჭეშმარიტება, გზა-კვალი აურიოს მკითხველთა ჯანსაღ გემოვნებასა და ლიტერატურულ ღირებულებებს, რათა თავისი სუბიექტური შეხედულებისა და ხელმწიფური ნება-სურვილების დიქტატურა გააბატონოს ქართული ლიტერატურის მიმდინარე პროცესებში, მწერლებისა და მკითხველთა ფართო საზოგადოების აზრისა და გემოვნების ჩამოყალიბებაში. ამიტომ

აქ იგი თავფარავნელი დედაბრის პარალელურად ნება-უნებურად ემსგავსება ლიტერატურულ ალქიმიკოსსაც: როგორც შუა საუკუნეებში დასავლეთევროპელი ალქიმიკოსები რაღაც ნარმოსახვითი ნივთიერების – ე. წ. „ფილოსოფიური ქვის“ მეშვეობით ამოდ ლამობდნენ არაკეთილშობილური ლითონების კეთილშობილურ ლითონებად გადაქცევას, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაც“ ამ წიგნში გაცხადებული ტენდენციური შერჩევით ასეთივე დაჟინება-ამაობით ცდილობს ენის უცოდინარი და მხატვრულად აზროვნების უნარს მოკლებული უმეტესი ავტორებისაგან ნამდვილი მწერლების შექმნას! ამიტომ მოცუებული, აბუჩად აგებული მკითხველის სამართლიან აღშფოთებას აქ სრულიად ბუნებრივი თანაგრძნობა-სიბრალულიც ემატება, ვინაიდან „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ ჯერ კიდევ არ ჰქონია გათვითცნობიერებული ერთი უმარტივესი პროფესიული აქსიომა: თუ ავტორი თავად არ უქნია ღმერთს, ისე სხვა ვინმე ვერანაირი ხრიკებითა და ფანდებით ვერ აქცევს მას ჭეშმარიტ მწერლად!!!

დღევანდელ ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ერთმა განსაცვიფრებელმა მოვლენამ დაიბუდა. ქართველი მწერალი ვილას და რალას არ აკრიტიკებს: საქართველოს პარლამენტს, უნიგნურ ჩინოვნიკებს, ძალოვან სტრუქტურებს, კორუპციას, სახელმწიფო იდეოლოგიის უქონლობას, საყოველთაო სილატაკეს, მექრთამეობას, საქართველოს პრეზიდენტს, თბილისის მერს, გამგებლებს, გუბერნატორებს, უღირს მინისტრებს... ამერიკის, რუსეთისა თუ ბელარუსის პრეზიდენტებს, ნარკობარონებს, სოროსს, ვლადიმერ ჟირინოვსკის, ედუარდ კოკოითს და ღმერთმა უწყის, კიდევ ვილას არა, მაგრამ არამც და არამც თავისი კოლეგის უღიმღამო, გრაფომანულ ნაწარმოებებს, ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების აღმამოფოთებელ ნაკლოვანებებს!

უფრო მეტიც: რამდენჯერ წაგვიკითხავს და მოგვისმენია ცნობილი ქართველი კალმოსნების სასონარკვეთილი გოდება – უნიჭო, ხალტურულმა ნაწარმოებებმა წალეკა ყველაფერი! მერე?

ნაპოლეონის ერთ-ერთ მარშალს, სიმამაცით სახელგანთქმულ გრენადერს, ჟან ლანის (1769-1809) მიენერება ასეთი ფრაზა: „გრენადერი, რომელიც ოცდაათ წლამდე არ მოუკლავთ, გრე-



ნადერი კი არა, ნაგავია!" არადა, ამ დროს თვითონ თურმე უკვე ოცდაათობმეტისა ყოფილა!

ცხადია, მსგავს მკვახე გამოთქმას ვერ შეეკადრებ ჩემს თანამოსაგრეებს, მაგრამ მაინც რა უნდა ენოდოს ქართველ მწერალს, რომელიც თვალნათლივ ხედავს, ზოგადად და ვალმოსახდელად ზოგჯერ სახალხოდაც კი მოსთქვამს, თუ რა ცოდვის ლული ტრიალებს ქართულ მწერლობაში და ისე ლევს თავის მოღვაწეობას, რომ ერთხელაც არ წამოუდუღდება გული უღვთოდ შელახული ლიტერატურული ღირებულებების დასაცავად, ერთი ბასრი კრიტიკული სტატიის დაწერაც კი ვერ გაუბედავს და მხოლოდ რაღაც თავშესაწყენი, იავნანური სახოტბო რეცენზია თუ შეხანხლა ნაცნობ-მეგობრის საამებლად და ძილმოსაგვრელად.

ჩვენი ზოგიერთი მწერლის ამგვარ კრიჭაშეკრულობას ერთი ასეთი სამწუხარო და სამარცხვინო მიზეზიც უდევს: ვაითუ მისმა ბასრმა კრიტიკამ რომელიმე ახალბედა ავტორს შემოქმედებითი შთაგონება გაუფხვიეროს და მოულოდნელად მასში მთვლემარე გენიოსი გააღვიძოს!

ჰოდა, მერე მას, ამ დიდ მწერალს ანდა ვითომ დიდ მწერალს რაღა ეშველება – მის შემოქმედებას ხომ ჩრდილი მიადგება და გაუფერმკრთალდება! ამიტომ...

მშიშარა, გონებაშეზღუდული პროვინციელი ვაჟბატონის შმორისსუნიანი ფსიქოლოგია და წარმოდგენა! ამ ჩემმა კრიტიკულმა შენიშვნებმა ნეტავი ყველა გაკრიტიკებულ ავტორს რამეზე თვალი აუხილოს და მხატვრული პროზის თვალშეუწვდენელი სიმალღეები დააპყრობინოს და ვის მამაძაღლს შეშურდეს ან ინანოს!..

„15 საუკეთესო“ 2006 წლის მაისის ბოლოს აღმოვაჩინე. შერჩევის აშკარა, მკითხველისა და ლიტერატურული ღირებულებების შეურაცხმყოფელმა ტენდენციურობამ უმალ შთამაგონა საპროტესტო სტატიის დაწერის იდეა, მაგრამ ამას მაშინვე ვერ შევუდექი ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ყურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ რედაქციის მესვეურებისგან ლიტერატურულ პაექრობაში ჩათრეული, გამაღებით ვმუშაობდი კრიტიკულ ნიგნზე „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?“ და ორ ფრონტზე ერთდროულად ბრძოლის წარმოება ჩემს მოკრძალებულ შესაძლებლობებს აღემატებოდა. მეორეც,

ეს „15 საუკეთესო“ ისე გამომწვევ-დისკრიმინაციულად იყო შედგენილი, რომ ჩემი გულუბრყვილობით მაშინ ღრმად მწამდა: ამას ისე არ დატოვებდნენ და ჩემზე გაცილებით დიდი და ნონიანი მწერლები უეჭველად აიმაღლებდნენ ხმას, თანაც ჩემზე უფრო ბასრად და საფუძვლიანად! მაგრამ მოგვიანებითლა მივხვდი ჩემს შეცდომას: ამგვარი შეხედულება-წარმოდგენა და სხვისი მოიმედებობა მცდარი, საძრახისი და დამლუპველია! შენ თუ მშობლიური ლიტერატურის მართლა ერთგული და პატიოსანი ჯარისკაცი ხარ – მე კი სწორედ ასეთი მგონია თავი – სხვას რას უყურებ და ელოდები, სხვის ზურგს რატომ ეფარები: შენ შენი სათქმელი პირუთვნელად თქვი!

ახლა რომ მოხდეს სასწაული და ხსენებულ წიგნს უკლებლივ ყველა ქართველი კალმოსანი გამოეხმაუროს, ჩვენი კრიტიკული წერილები ერთმანეთს ხელს კი არ შეუშლიან, არამედ, პირიქით: ერთიმეორეს შეავსებენ და ჩვენი ლიტერატურული კრიტიკაც უფრო გამოცოცხლდება...

საქმეში ჩაუხედავი ბევრი მკითხველი შეიძლება გაკვირდეს: ამ საყოველთაო სილატაკის ჟამს, როგორც პროზაიკოსი, რატომ ვიქცევი ასე „მფლანგველურად“ – არ ჯობდა, ამ კრიტიკული წიგნების გამოსაცემი თანხა ჩემი „ღვიძლი“ საქმისთვის მომეხმარებინა – მოთხოვნების კრებულები დამესტამბა, ეს კრიტიკული წერილები კი ნაწილ-ნაწილ ლიტერატურულ პრესაში გამომექვეყნებინა?!

ჰმ!. რა თქმა უნდა, ჩემთვის ასწილ აჯობებდა ასე, მაგრამ... ერთ დამახასიათებელ მაგალითს გავიხსენებ. 2000 წელს ერთ-ერთი ჟურნალის მიერ გამოცხადებული ლიტერატურული კონკურსის ირგვლივ გაჩაღებულმა პროპაგანდისტულმა ღრინ-ცელმა მეც ჩამითრია. ინტერესს ის უფრო მიმძაფრებდა, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, მე პირადად ვერ გავებდე მასში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან ვერაფრით გავერკვიე იმ უცნაური კონკურსის მოთხოვნილებებსა და მიზან-დანისწულებაში. ამას თუ იმ გარემოებასაც დავამატებთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოსულ ალტკინებულ ლიტერატორთა მიერ ამ კონკურსის ინტერპრეტაცია ხშირად ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული, ზოგჯერ კი ამკარა ურთიერთნი-

ნალმდეგობრივიც იყო, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა კონკურსის შედეგების მოლოდინი.

კონკურსი გაიმართა და ერთ-ერთ ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნებული პირველი პრემიით აღნიშნულ ნოველაში საკვანძო პასაჟები ისეთ ყალბსა და სქემატურ ჩარჩოში იყო ნაძალადევად ჩაჭყუნული, აქაოდა, ნოველა რამენაირად მივუსადაგო კონკურსის მოთხოვნილებებსო, ქართული სტუმარმასპინძლობა და ლხინის მრავალსაუკუნოვანი ადათ-წესები ისე უღვთოდ იყო თავდაყირა გადატრიალებული, რომ ველარ მოვითმინე და ერთი პატარა კრიტიკული წერილი დავწერე. შედეგი?

მკითხველებისთვისაც ადვილად მისახვედრი მიზეზის გამო ამ წერილის მიტანა ბარემ ერთი ათიოდე ჟურნალ-გაზეთის რედაქციაში მომიხდა. მიუხედავად იმისა, ყველა იწონებდა და მიამედებდა, დაგიბეჭდავთო, ბოლოს მაინც არაფერ დაბეჭდა. თუმცა დაბეჭდვას ვილა ჩივის! ერთ-ერთ მათგანს – ოლონდ დღესაც არ ვიცი და არც მაინტერესებს, რომელ რედაქციას – კონკურსის მესვეურებისა და ნოველის ავტორისთვის ჩემთან შეუთანხმებლად ფარულად წაეკითხვინებინა ეს კრიტიკული წერილი: აი, რისგან გიხსენით, რა გელით და თავს მიხედეთო!

აი, ზოგიერთ რედაქციაში როგორ ესმით ავტორის უფლებებისა და ღირსების პატივისცემა, სარედაქციო საიდუმლოებების შენახვა, ჯანსაღი კრიტიკული აზრის დანერგვა, ლიტერატურული იდეალებისა და ღირებულებების დამკვიდრებისთვის უკომპრომისო ბრძოლა!.. მაგრამ მე იმან უფრო დამწყვიტა გული, რომ კონკურსის მესვეურებს არ აღმოაჩნდათ იმდენი კეთილშობილება, ფხა და გაბედულება, აელოთ ის ჩემი კრიტიკული წერილი და თვითონვე დაებეჭდათ თავიანთ გაზეთში! ჰო, ჰო, თავიანთსავე გაზეთში! ამით ქვეყანა არ დაიქცეოდა! პირიქით: სისხლმედვედებულ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას იქნებ ნახევარი მილიმეტრით მაინც წაენია წინ! მაგრამ ასე მე, ერთ რიგით ლიტერატორს მეფიქრება! უცხომ კი კარგად რომ დაინახოს, ზოგიერთი მდარე ლიტერატურული დიდმოხელე საზოგადოების თვალში რანაირი ხერხებითა და ხრიკებით ცდილობს თავისი მყიფე ავტორიტეტის შეკონინება-შენარჩუნებას, მაშინ შეიძლება მწერლობაზე საერთოდ გული აიყაროს!

18

ჰოდა, ახლა თავად მკითხველმა განსაჯოს: ის რაღაც კუდ-მოკვეცილი, ექვსგვერდიანი კრიტიკული წერილიც რომ არავინ გამომიქვეყნა და თავიანთი სიამოვნებისთვის მხოლოდ მაპამპულეს, ჟურნალ-გაზეთში გაგრძელება-გაგრძელებებით ვინ დამიბეჭდავდა ან ამ წიგნს, ანდა იმ პირველს, სამასსამოც-დაშვიდგვერდიან „გინდოდა, გოგოთურსაცა?..“ ეგ კი არა, ის წიგნი ერთ-ერთი ლიტერატურული ჟურნალის რედაქტორს რომ წარვუდგინე და მონივნებით ვთხოვე: აქედან იქნებ რომელიმე თავი, ანდა მოკლე ანოტაცია მაინც მისცეთ-მეთქი, მან წიგნი გადააბრუნ-გადმოაბრუნა და: ჩვენ არც კრიტიკულ წერილებს ვბეჭდავთ, არც ანოტაციებს ვაძლევთ და უკან ისე გადმომანოდა, თითქო ხელში სტამბის სუნგამოყოლილი ცინცხალი წიგნი კი არა, ფალიის სასხლეტმოცვეთილი ხელყუმბარა სჭეროდა!

მოკლედ, თვით მკაცრმა სინამდვილემ მიკარნახა, როგორც ერთი რიგითი პროზაიკოსი, ამხელად კრიტიკის ფრონტზე უფრო საჭირო ვიყავი. ამიტომ მეც აღარაფერს შევეუდრკი და ხელმოკლე კალმოსანმა ისეთი რამ ჩავიდინე, რასაც ჩემი მოთხრობების გამოსაცემად ნამდვილად ვერ ვიზამდი: ისედაც ღარიბულ ოჯახში თუკი მეტ-ნაკლებად ღირებული რამ გვებადა, გავიტანე და როგორც მსგავსი შემთხვევისას ხდება ხოლმე, სულ ჩალის ფასად გავყიდე, თან მეუღლის უმნიშვნელო საქორნილო სამკაულები და ქვის ქვეშ ამოდებული ჩვენი მოკრძალებული სამარხის ფულიც ზედ მივაყოლე, რათა ეს ორი კრიტიკული წიგნი როგორმე დასტამბულიყო!

19

ოღონდ მკითხველებს ვთხოვ, ეს ადამიანური აღსარება კვებნა-ბაქიაობაში არ ჩამომართვან, ან არვინ იფიქროს, ვწუწუნებდე, ვნანობდე, ანდა ვინმეს რამეს ვაყვედრიდე. არა! ეს ჩავიდინე ყოველგვარი შინაგანი ტანჯვა-ყოყმანის გარეშე, შემოქმედისთვის დამახასიათებელი თავგადადებითა და შთაგონება-აღმაფრენით... შემინდეთ ამგვარი პარალელები და დაახლოებით, ალბათ ისე, შევედეთთან ხანგრძლივი ომით განწამებულმა პეტრე დიდმა გაჭირვებისას საეკლესიო ზარები რომ ჩამოხსნა ზარბაზნების ჩამოსასხმელად...

დღეს ბევრი მწერლისა და მკითხველის მოსაწყენ გოდებას ბოლო არ უჩანს: მდარე, გრაფომანულმა პროდუქციამ წაღეკა

ქართული ლიტერატურა, ამდენი უნიჭო, ფეხის ხმას აყოლილი ავტორები არასოდეს ჰყოლია საქართველოსო! ეს მართალია, მაგრამ იმას აღარავინ კითხულობს – ამაში უპირველესად ვინ არის დამნაშავე? ვინ და რა მიზეზით აძლევს მწვანე გზას მდარე მასალას? აბა, ერთ ვინმეს თუ დასცდენია კრიტიკული ობოლი სიტყვა შემთხვევით აღზევებული რედაქტორებისადმი, რომლებმაც ძირს უსულგულოდ დასცეს ლიტერატურული თამასა და ახლა ვინც თვითონ ეპრიანებათ, ზედ განუკითხავად ალაჯებინებენ!

უკვე დროა ხმამალა ითქვას: ზოგიერთი ახალგაომცხვარი რედაქტორი მწერლობაში მავნებლურად ნერგავს წრეობანას! ეს კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნის ქართული მწერლობის ბუნებრივ განვითარებას, ნაწარმოების მხატვრულობას, ვინაიდან ამგვარ პირობებში გამოჩენილი ნორჩი დებიუტანტი ეძებს არა თავის ხმას, არამედ წრეს, დაბეჭდვა რომ მოახერხოს, გაიიოლოს, ანდა სულაც სამუდამოდ იყოს გარანტირებული!!!

20 აქედან გამომდინარე, ჩემი კრიტიკის სამიზნეზე ჩემგან და- მოუკიდებელი მიზეზების გამო რედაქტორები უფრო მოხვდებიან, ხოლო ავტორებს შევეხები იმდენად, რამდენადაც ვერსად ნაუვალ თვით ლიტერატურულ ფაქტს – ყოველ მოთხრობას თავისი საკუთარი ავტორი ჰყავს და მსურს თუ არა მსურს, ისინიც უნდა მოვიხსენიო. თუმცა თან ერთგვარ უხერხულობადაც კი მიმანჩია, ავტორი, მით უმეტეს, ახალბედა, გააკრიტიკო იმისთვის, თუ რატომ არ იცის ის, რაც არ ესმის!!! მაგრამ რედაქტორი? ის ხომ – როგორც უტყუარი შემფასებელი! – გაცილებით მალა უნდა იდგეს და რივიანად ერკვეოდეს ლიტერატურულ ავკარგიანობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბა, რის იმედითა და რა სინდისით წამოისხა რედაქტორის საპატიო ტოგა და დიდი ამბით დაიკავა ლიტერატურული რჯულმდებლის ოქროს საკარცხული?!

2005 წლის ყველაზე საუკეთესოდ მიჩნეული ქართული მოთხრობების ავტორები „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ თავის წიგნში აღფავიტურად დაულაგებია. ჩემს კრიტიკულ მიმოხილვაში წარმოდგენილი ყველა ლიტერატურული ორგანოს სახე და მთავარი რედაქტორის დონე უფრო სრულყოფილად

რომ წარმოჩნდეს, ავტორების დალაგების ალფავიტიურობას რედაქციების უბრალო თანამიმდევრობით შეეცვლი, რამეთუ ჟურნალები „არილი“ (მთ. რედაქტორი შადიმან შამანაძე), „ლიტერნატივა“ (მთ. რედაქტორი შოთა იათაშვილი), „ლიტერატურული პალიტრა“ (მთ. რედაქტორი თამარ მამაცაშვილი), გაზეთი „ნიგნები“ (მთ. რედაქტორი მალხაზ ხარბედია) წარმოდგენილია სამ-სამი მოთხრობით, გაზეთი „პარნასი“ (მთ. რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე) – ორი, ხოლო ჟურნალი „ახალი საუკუნე“ (მთ. რედაქტორი რეზო თაბუკაშვილი) – ერთი მოთხრობით.

ახლა კი, სანამ უშუალოდ ნაწარმოებების კრიტიკულ მიმოხილვას შევუდგებოდე, გარემოება და ჩემი პირადი მდგომარეობა ამგვარი განცხადება-განმარტების აუცილებლობას მავალდებულებს.

პატივცემულო მკითხველებო, ეს კრიტიკული წიგნი არამც და არამც არ ჩათვალთ როგორც ცივილიზებული ქვეყნის სწორი, ჯანსაღი გზით მიმავალი მწერლური ცხოვრების ბუნებრივი ფაქტი, ჩვეულებრივი ლიტერატურული მოვლენა. ან არავის ეგონოს, როგორც ერთი რიგითი პროზაიკოსი, სრულიად მოულოდნელად პროზას ჩამოვეთხოვე და ახლა კრიტიკის ჟანრში გადავბარგდი, ანდა, საერთოდ, პროზაიკოსობის მხარდამხარ კრიტიკოსობის დანყება-გაგრძელებაც მქონდეს გადანყვეტილი. არა და არა!

21

მოკლედ, ეს კრიტიკული მიმოხილვა არის არა ჩვეულებრივი ლიტერატურული ფაქტი, არამედ ნანგრევებქვეშ მოტანებული ერთი რიგითი პროზაიკოსის განწირული, საპროტესტო ყვირილი.

**რა ნანგრევებზე გველაპარაკებო?! – იკითხავს გაკვირვებული მკითხველი.**

მას აქეთ, რაც განგების ნებით, ბედისწერამ, რაიმე დასანანმა ბრმა შემთხვევამ თუ ყმანვილურმა გატაცებამ ჩემი ბედ-ილბალი მწერლობას დაუკავშირა, ბევრი თანამოკალმის მსგავსად მეც ლიტერატურულ იდეალებზე უფრო ძვირფასი სხვა რამ იდეალი და საფიქრალი არა მქონია რა ცხოვრებაში. თავის ხელობაზე თავდავინყებით შეყვარებული იუვილერის მსგავსად, ჩემი გონება-გემოვნების პანია პინცეტიტ მეც მთელი ცხოვრების მან-

ძილზე დაკვირვებით ვეძებდი და ვაგროვებდი ცოდნა-გამოცდილების სანეტარო ნამცეცებს – რა არის მხატვრული ნაწარმოები, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება!

ამგვარი ტანჯვა-ძიებით მოგროვილი ნამცეცებისგან საკუთარ ცნობიერებაში რუდუნებით ავიგე ლიტერატურული გემოვნების წარმოსახვითი ბროლის კოშკი.

ამ კოშკში თავშეფარებული, უპრეტენზიოდ ვასრულებდი ქართული მწერლობის უმნიშვნელო, ჩემი ძალ-ღონის შესაფერ დღიურ სამუშაოს და შინაგანად გულწრფელად მჯეროდა – ლიტერატურის რაღაც ინჩინინჩი მეც გამეგება-მეთქი. არ დავმალა: ჩემი მწერლური გემოვნება-შეხედულების ამ კოშკს დროთა ვითარებაში ჩრდილიც მოსდგომია, მნიკვლიც შემოშხეფებია და მისი თაღ-კედლები ლიტერატურულ მოვლენათა მინისძვრასაც დაუბზარავს. ამის მიუხედავად, მე არც ჩემს გემოვნებაში დავეჭვებულვარ, არც საკუთარი გზიდან გადამიხვევია და დაზიანებული კოშკიც ისევ ჩემებურად „შემირემონტებია“.

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს!!!

22 ის ნაწარმოებები, რომელთაც მოგვიანებით „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ერთად შეკონავდა და 2005 წლის ყველაზე საუკეთესო ქართულ მოთხრობებად გამოაცხადებდა, მანამდე სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში მქონდა წაკითხული და უმრავლესობა ისეთი სუსტია, რომ გაკვირვებას ვიყავი: ამგვარ მდარე ტექსტებს როგორ ბეჭდავენ – სხვა რომ არა იყოს რა, ნუთუ რედაქტორებს თავიანთი ავტორიტეტი მაინც არ ანაღვლებთ-მეთქი. მაგრამ ჯერ თურმე სადა ხარ! ცამონმენდილზე გამოსული ეს წიგნი ყველაზე მსხვილყალიბრიანი ზარბაზნის ჭურვივით მოხვდა ჩემი ლიტერატურული გემოვნება-შეხედულების კოშკს: სულ ნანგრევებად მიქცია და მეც ქვეშ მომიყოლა!!!

აფეთქება-ნგრევის კვამლი და ბუქი თანდათან გაიფანტა და ნათელი მოეფინა შემდეგ გარემოებას: მე რომ მეგონა, ლიტერატურის რაღაც გამეგება-მეთქი, თურმე საბედისწერო ილუზია და საძრახისი თავმოთნეობა ყოფილა! ანდა პირიქით: ჩემი ლიტერატურული გემოვნება საღი და ობიექტურია, ხოლო „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ უტიფრულ ძალმომრეობას

იჩენს ქართული მწერლობისადმი, მკითხველი საზოგადოებისა და ლიტერატურული იდეალებისადმი.

მოკლედ, სასტიკი სინამდვილე ამგვარი დილემის წინაშე მაყენებს: თუ მართლა ლიტერატურული პროფანი ვარ და ამას საქვეყნოდაც ვაღიარებ, მაშინ ჩემს მწერლურ ყოფა-მდგომარეობას რაღა აზრი ექნება?! ამიტომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ქვიშაზე ნაგები მახინჯი კოშკის ნანგრევებიდან გამობობლებასაც აღარ უნდა შევეცადო და ამ ნანგრევებში დავლიო სული! ხოლო თუ საკუთარ გემოვნებასა და სამართლიანობაში დარწმუნებული ვარ, შეუპოვრად ვიბრძოლო.

**მე ბრძოლის გზა ავირჩიე!**

კი მაგრამ, რა იქნება ამ ბრძოლის შედეგი ან სარგებლიანობა? – იკითხავენ.

ჩემი აზრით, ბევრი არაფერი. თუ მე გამოვდექი მართალი, მაშინ ბარაქალა ქართულ მწერლობას, რომ ერთი ლიტერატორი მაინც მოიძებნა, რომელმაც სიტყვა შეუბრუნა გამომცემლობას.

ცხადია, ამით ლიტერატურული კრიტიკა სამართაონოდ არ მოემზადება, მაგრამ იქნებ გატოკდეს და თვალები მაინც მოიფშვნიტოს. ხოლო თუ ოპონენტებისგან დამტკიცდება ჩემი მსჯელობის მცდარობა და მითითებული შეცდომების უსაფუძვლობა, ამავე დროს ნათელი გახდება, რომ 2005 წლის ქართულ ლიტერატურულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებიდან სწორედ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შემოჩეჩებული ეს მოთხრობებია ყველაზე საუკეთესო და არა სხვები, მაშინ ახლავე დავდებ ჰანიბალის ფიცს: ოპონენტებისთვის სასურველ ლიტერატურულ ორგანოში ბოდიშს მოვუხდი გაკრიტიკებულ ავტორებსაც, რედაქტორებსაც, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასაც“, მკითხველებსაც. მერე ჩემს კალმისტარს საჯაროდ ჩაქუჩით წვერს დავუნაყავ, სანაგვეში ჩავაგდე და სამუდამოდ ჩამოვეთხოვები მწერლობას.

**მამ, დავინწყოთ!**



ნიგნი „2005 წლის 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“ ინყება უურნალ „არილში“ (მთ. რედაქტორი შადიმან შამანაძე) გამოქვეყნებული ნიკუშა ანთაძის მოთხრობით „რამდენიმე ერთი გაკვეთილი“.

ამ ნაწარმოების – რომელსაც ვერც კი უწოდებთ მოთხრობას! – ბოლომდე წაკითხვამ ასეთი სურათი წარმომადგენინა: კარს მომდგარი რომელიმე საოჯახო დღეობის წინ ჯეილი ოჯახისთავი სანადიროდ რომ გავარდეს, კლდე-ლრეში უშიშრად იბლოტილოს და, მაგალითად, არჩვი მოინადიროს. მერე ეს ნანადირევი თავმომწონედ შეაგდოს სამზარეულოს მაგიდაზე და თვითდამშვიდებას მიეცეს – მორჩა, ამით დამთავრდა ყველაფერი!

ცხადია, დასაფასებელია ჯომარდი მონადირის გარჯა და ნადირის ახალი ხორცი, მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ნახევარია! ახლა საჭიროა ამ ნანადირევის გატყავება და აქნა-დახარისხება, მერე კი რიგიანი მზარეულის მიერ მისგან გემრიელი კერძების დამზადება, თორემ მოწვეულ სტუმრებს უმ ხორცს ხომ არ მიართმევენ?!

სამწუხაროდ, ნიკუშა ანთაძე და, ცხადია, „არილის“ რედაქტორი და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაც“ თავიანთ მკითხველებს აბსოლუტურად „უმი ხორციით“ გვიპირებენ გამასპინძლებას!!!

ავტორმა ამ თავის ტექსტში სასკოლო ცხოვრების სინამდვილეს ახალბედა ფირალის სიყოჩაღით კი გამოგლიჯა სხვადასხვა ცოცხალი მომენტები და გულდაგულ შეყარა საწერ მაგიდაზე, მაგრამ მერე ველარ შეძლო ანდა თავისი გამოუცდელით ფიქრდაც არ მოსვლია ამ მომენტების დახვენა, გამხატვრულება და მკვიდრ ლიტერატურულ ყალიბში მოქცევა! ამიტომაც მთელი ეს ტექსტი, რომელიც მოთხრობის დაწერის წარუმატებელ ცდას წარმოადგენს, თავიდან ბოლომდე სასკოლო ზოგადი სინამდვილის პატარ-პატარა, სწორხაზოვანი ასლების ბეჯითი გადაღებაა

(Копирование), რაც ყოვლად დაუშვებელია მხატვრულ ლიტერატურაში და რაც ძალიან დიდი ხნის დაგმობილია.

ეს იმდენად თვალში საცემია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება თავდამცირებად და მკითხველის შეურაცხყოფად მიმაჩნია.

მოკლედ, ავტორი მთელი შინაგანი ღვთიური იდუმალეობა-მშვენიერებით თუ მართლა გრძნობს პროზაიკოსის მონოდებას და თან მტკიცედ გადაუწყვეტია, თავისი ცხოვრება და სიცოცხლე ლიტერატურას დაუკავშიროს, მაშინ აქედანვე უნდა შეისისხლხორცოს მარტივი, მაგრამ მწერლისთვის ერთ-ერთი ყველაზე უმთავრესი ჭეშმარიტება: პროზის საქმე და მიზანია ცხოვრების ფიზიონომიის მხატვრული ასახვა და არა სინამდვილის მშრალი ასლების პედანტური შტამპვა.

\* \* \*

ნაწარმოების მეორე დამლუპველი ნაკლი შემდეგში მდგომარეობს: ავტორმა თავის სათქმელს ვერ მოუნახა მოსახდენი, ოდნავ მაინც მისადაგებული, მოსათმენი ფორმა და თითქოს თავისდა სამტროდ, ყველაზე წამგებიანი სახე მიაჯლანა. დაე, მწერლებმა და ლიტერატურაში კარგად გათვითცნობიერებულმა მკითხველებმა თავად განსაჯონ: თორმეტფურცლიანი ე.წ. მოთხრობა შეიცავს ხუთ თავს, ას ერთ (!!!) ქვეთავს და ამ ზოგიერთ ქვეთავს სამი წინწკლით გამოყოფილ ოთხ პასაჟს! თანაც უმრავლესი პასაჟი გოჯიანი ან გოჯნახვერიანია, ხოლო ზოგიერთი მათგანი მხოლოდ მარტივ წინადადებას, ანდა სულაც ერთადერთ სიტყვას შეიცავს!!!

ახლა ხომ წარმოგიდგენიათ, ნაწარმოებს რა საბედისწეროდ დანაკუნებული სახე ექნება? არ ვიცი, აქ, ალბათ, პროზის გენიოსიც ვერ შეძლებდა ამდენი წიკომაკო წამცეცისაგან მხატვრულად მთლიანი ნაწარმოების გამოხარატებას!

ერთმანეთში სრულიად უაზროდ აბურდულ და ამდენად, ერთმანეთთან მხატვრულად გადაუბმელ, მსხვილი სასათაურო შრიფტით აწყობილ ქვეთავებში, მათი უმრავლესობა მერე და მერე გულგამანვრილებელი თვითმიზნურობით რომ მეორდება და მეორდება – „ერთი გაკვეთილი“, „საკლასო ოთახი

42", „საკლასო ოთახი 55“, „საჭირო ოთახი მე-3 სართულზე“, „საკლასო ოთახი 37“, „საკლასო ოთახი 49“, „დირექტორის კაბინეტი“, „დირექტორის კაბინეტთან“, „დერეფანი მე-4 სართულზე“, „დერეფანი მე-3 სართულზე“, „პირველი სართული“, „ერთი გაცდენილი გაკვეთილი“, „დერეფანი მე-2 სართულზე“, „საკლასო ოთახი 51“, „კიბეები მე-3-დან მე-2-ზე“, „ბუფეტი“, „რომელიღაც ქუჩა“, „რომელიღაც მაღაზია“, „გადასასვლელი რომელიღაც ქუჩაზე“, „ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფო“, „ერთი გაკვეთილი ახალ სკოლაში“, „ახალი სკოლა“, „სასკოლო ოთახი 41“, „სასკოლო ოთახი 30“, „სასკოლო ოთახი 36“, ახალი სკოლის შესასვლელი“, „დერეფანი მე-4 სართულზე“, „კიბეები მე-2-დან მე-3-ზე“, „კიბეები მე-3-დან მე-4-ზე“, „კიბეებისა და მე-4 სართულის გასაყარი“, „ერთი გაკვეთილი ძველ სკოლაში“, „მარშრუტკა № 17“, „საკლასო ოთახი 60“, „ჩემი ერთი გაკვეთილი“, „საკლასო ოთახი 41 (ახალი სკოლა)“, „ძველი სკოლის შესასვლელი“, „საკლასო ოთახი 41 (ახალი სკოლა)“ – ავტორი სირბილით მიუძღვის თავბრუ-დახვეულ მკითხველს, გამალებით იღებს და იღებს მშრალ ასლებს და ჰგონია, მართლა მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის! იმას კი ვეღარ ხვდება, რომ უკვე მარტოკა მიაბტვრევს გრაფომანულ შამბნარს – მკითხველი უკან აღარ მისჩანჩალებს, ვინაიდან ამ უკანასკნელს თვალი აეხილა და სადღაც შუაგზაზე იმედგაცრუებული გახვედა: თურმე საქმე ჰქონია არა რამედ ღირებულ მწერალთან, არამედ უგემოვნო რადაქტორის მიერ ნებაზე მიშვებულ, ფერმკრთალი ასლების შტამპვაში გამეცადინებულ, თავდაჯერებულ გრაფომანთან!

26

აქ ავტორი თავისდა უნებურად ემსგავსება თვითნასწავლ, ახირებულ ავტოინჟინერს, რომელსაც მტკიცედ გადაუწყვეტია რა, შექმნას აქამდე უნახავი, მხოლოდ მის წარმოსახვაში არსებული მსუბუქი ავტომობილი, გამალებით ამზადებს და ამზადებს ავტონაწილებს! ოღონდ იმას კი აღარ უფიქრდება: ასე ჰაიჰარად გამოჩარხულ-გამოჩოკნილი ნაწილები მერე ერთმანეთს მიუდგება და შესაძლებელი იქნება თუ არა მათგან ავტომობილის აწყობა?! ანდა, ერთი საჩვენებელი ავტომობილისთვის საჭიროა

კი ამდენი ნაწილების დახვავება?! მაგრამ ავტომრენველობასა და სხვა მრავალ დარგში ზედმეტი ნაწილების დამზადება თუ ნაკლი კი არა, პირიქით, აუცილებელიცაა, რათა სათადარიგო ნაწილების სრული კომპლექტიც არსებობდეს, მხატვრული ლიტერატურა და მეტადრე მცირე ზომის ნაწარმოები ორგანულად ვერ იტანს ვერანაირ „სათადარიგო ნაწილებს“ ანუ მხატვრულ რუდიმენტებსა და სხვა ათასგვარ უსარგებლო აქსესუარებს! როგორც ყოველი ნორმალური ცოცხალი ორგანიზმი იბადება რაიმე „სათადარიგო ნაწილების“ გარეშე, ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებიც ასეთივე უნდა იყოს – სრულიად თავისუფალი ზედმეტი და უსარგებლო „სათადარიგო ნაწილებისაგან!“ მაგრამ არ მინდა ზედმეტად მომთხოვნი ვიყო ახალბედა ავტორისადმი: ამგვარი უნაკლო ქმნილებები მხოლოდ გამორჩეულ დიდოსტატებს მოეთხოვებათ, ხოლო ჩვეულებრივი კალმოსნის ნაწარმოები კი არ არის ხოლმე დაზღვეული რაღაც უმნიშვნელო „სათადარიგო ნაწილებისაგან“.

სამწუხაროდ, ჩვენს ავტორს არ აღმოაჩნდა ის აუცილებელი მხატვრული ნებო, ანუ ალლო-ნიჭიერება, რათა უსარგებლო ხელგაშლილობით დახვავებულ ამ ას ერთი(!) ქვეთავიდან ბევრ მათგანს შელეოდა, დანარჩენები დაეხვენა, დაელაგებინა, მერე ერთმანეთისთვის მკვიდრად „დაენებებინა“ და შეკრული მოთხრობა წამოეყენებინა ფეხზე!

მოკლედ, ეს არის არა რამედ ღირებული, დასრულებული მოთხრობა, არამედ მოთხრობისა თუ პიესის შესაქმნელად მოზიდული და უწესრიგოდ დახვავებული მადანი, რომელსაც სათანადო დამუშავება სჭირდებოდა, რათა მოსათმენი მხატვრული სახე მიეღო. გულდასაწყვეტია, რომ რედაქტორი ამას ვერ მიხვდა და პირდაპირ ამ სახით დაუბეჭდა ეს აშკარად წარუმატებელი ლიტერატურული ცდა, რითაც ძალიან ცუდი სამსახური გაუწია ახალბედა ავტორს – პროფესიულ ყურადღებას უღუწებს და მწერლობაში ყველაზე იოლი, ხალტურული გზით სიარულს აჩვენებს. ამიტომ ავტორმა აქედანვე უნდა იღონოს რამე ამ ნაკლის დასაძლევად, თორემ ბევრის მსგავსად თუ ერთი მიეჩვია, მერე და მერე თვითონაც გაუძნელდება მასთან განშორება.

ენა? როგორია ავტორისეული ენა? სამწუხაროდ, ავტორისეული თხრობა-აზროვნებაც ისეთივე მჭლე, მჩატე, ჟარგონული და უპასუხისმგებლოა, როგორც მისი ნაწარმოების პერსონაჟების – საშუალო სკოლის მოსწავლეების.

ნიკუშა ანთაძე აი, ერთგან რას გვეუბნება ავტორისეული(!) თხრობისას:

„ამ მშვენიერ სასტავს ბეკა და კობახიძე შეუერთდნენ“.

Состав ხომ რუსული სიტყვაა, შემადგენლობა და ავტორისეულ თხრობაში რანაირად შეიძლება მისი ხმარება, თანაც უბრჭყალებოდ?! ნუ დავივინყებთ იმ შავბნელ წარსულს, როცა პირნავარდნილი რუსიფიკატორები ქართულს ძალის ენად ნათლავდნენ, მშობლიურ ენაზე წერა-მეტყველებას გვიკრძალავდნენ და რუსულ ენას ძალდაძალ გვინერგავდნენ.

ახლა მითხარით: ნიკუშა ანთაძე რით განსხვავდება იმ რუსიფიკატორებისაგან?

ყველას და განსაკუთრებით კი მწერლობაზე მეოცნებე ახალბედებს კარგად უნდა ესმოდეთ და ახსოვდეთ: აღზევებული ერის ენა კოლონიური დაპყრობა-დამონების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და სახიფათო იარაღია. ამიტომ მასთან ქარაფშუტული ლაციც-ლაზლანდარობა ყოველად დაუშვებელია! დღეს საქართველოში შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს, რათა ერის ფსიქიკა და ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო სამუდამოდ გაინმინდოს ორასწლოვანი კოლონიური ყოველგვარი ნარჩენებისაგან. ნიკუშა ანთაძე? იგი ისევ იმ ჩვენი მჩაგვრელი კოლონიზატორების ენას მისტირის და ახლიდან იწყებს მშობლიურ ენაში მის გადმონერგვას! სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი არაბული ანდაზა: ყველა ბაზრიდან მოდიოდა, მუსტაფა ბაზარში მიდიოდაო!

მოკლედ, ავტორი არაფერს დაგიდევთ და უდარდელად განაგრძობს რუსულ-ქართულით ლაზლანდარობას.

„იქვე 17 ნომერი მარშრუტკა იდგა– როგორც ყოველთვის „ნი ვიჟუს“ ურტყამენ– რალაც ნიტო პონტშია...“

მკითხველი რომ არ გადაეღალო, მოკლედ მოეჭრი: ეს ნიკუშა ანთაძე ნიტო დებიუტანტი ჩანს, შადიმან შამანაძე ნიტო რედაქტორი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ ნიტო გამომცემლობა, თორემ ამგვარად დასარეველიანებულ მდარე ტექსტს ასე ვერ უნდა ეთარეშა!

ახალბედა მწერალს არც მშობლიური „პერანგი“ ან „კვართი“ მოსწონს. ანდა, რა მოსაწონია – რუსის ენა უფრო მაღლიანი არ არის!

„არც საროჩკა აქვს შერული“.

მშობლიურ ენაზე გულაყრილი ავტორი მაინც იძულებულია ქართულად წეროს, მაგრამ ვაი ამგვარ ქართულს: სინტაქსი არაქართულია, სიტყვები – ენამოჩლექილი.

იგი წერს: დათანხმებია, მიყიდა, ყავს, მიყიდეო, შეყავთ, დაპირდა, ქვია, ბოლო-ბოლო, ყვება, ცემს, სიმპატიები, დათანხმდება, ძლივსძლივობით...

უნდა იყოს: დასთანხმებია, მიჰყიდა, ჰყავს, მიჰყიდეო, შეჰყავთ, დაჰპირდა, ჰქვია, ბოლოს და ბოლოს, ჰყვება, სცემს, სიმპათიები, დასთანხმდება, ძლივძლივობით...

29

„ქალბატონი მარინა ამაოდ ცდილობს ბავშვების დაწინარებას და ფიზიკის შესახებ საუბრობს“.

არადა, მარინა მასწავლებელი ზოგადად „ფიზიკის შესახებ“ კი არ საუბრობს, არამედ ამ საგანში გაკვეთილის ახსნას ლამობს.

„თანატოლებმა და დამრიგებლებმა დაახვედრეს საშინელი ამბავი იმის შესახებ, რომ დირექტორს სასწრაფოდ სურდა მათი ნახვა“.

„როგორც ჩანდა, გაეგონა იმ ინციდენტის შესახებ, რაც წინა სკოლაში მოხდა“.

ფიზიკის შესახებ, ამბავი იმის შესახებ, ინციდენტის შესახებ – აი, დღეს რანაირი წინადადებები ითვლება სანიმუშო სტილად!

სინტაქსს დააკვირდით.

„იღებს პასუხს თეთრკანიანისაგან“. „მხარზე ხელს ურტყამს ტვიქსას ბექა“. „თანხმდება ტვიქსა ღიმილით“. „ძლივს ითქვამს სულს ლაშა“.

\* \* \*

ნანარმოების ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, საშუალო სკოლის მონაფეს, ტვიქსას ღვთაებრივი მშვენიერება ენვევა – მოულოდნელად ამავე სკოლის მოსწავლე, ლიზუნა შეუყვარდება!

აი, ამას როგორ გვახარებს ავტორი.

„მისი ფიქრები უფრო ლიზუნას კაბის ქვეშ დაფრინავდნენ“.

არ დავმალავ – ამის ნაკითხვამ გული ჩამწყვიტა, ვინაიდან შემებრალა როგორც თვით ეს ტვიქსა, ისე სპეციაკი სიყვარული. აქ ავტორი მოზარდის ბუნებისა და პირველი სიყვარულის ფსიქოლოგია-ანატომიის სრულ უცოდინარობას თუ ზერელედ მიდგომას ამჟღავნებს და ყველაფერი ვულგარულ სწორხაზოვნებასა და მიუტევებელ სულწასულობაზე დაჰყავს.

პირველი სიყვარულის ჩასახვისას გაბრუებული ყმანვილის ცნობიერებაში რალაც მაგიურ სახეს, ძალასა და მიზიდულობას იძენს ხოლმე თვით გოგონას საცხოვრებელი გარემოს სრულიად ჩვეულებრივი, ყოფითი წვრილმანებიც კი: სარკმელი, აივანი, ფასადი, სახურავი, ეზო, ბაღი, თალარი, ყვავილნარი, ჭიშკარი... მათი ძაღლის დაყფება... თავისი რჩეულის სახელი, ხმა, სიარული, მოძრაობა, მზერა, დადუმება, სიცილ-კისკისი... სუნთქვა, შემოხედვა, ალენვა, დაბნეულობა, გარინდება, ენის ბორძიკი... თმა, თვალ-წარბ-წამწამი, ტუჩები, ყელ-კისერი, მკერდი...

ჰოდა, ხომ არ აჯობებდა, ამ ტვიქსას ლიზუნას თმით, თვალ-წარბითა და მკერდით მაინც დაეწყო და თანდათან ჩაჰყოლოდა ქვევით, თორემ ავტორი სიყვარულის მკრთალი ჩასახვისთანავე პირდაპირ გოგონას კაბის ქვეშ რომ აძვრენს, საწყალმა ყმანვილმა მერე რალა უნდა აკეთოს – მწერალი ამით თავის გმირს ყველაზე მღელვარე, საოცნებო განცდებს ატოვებინებს და გულგრილი, ერთფეროვანი და მოსაწყენი ყოფიერებისთვის წირავს.

30

როგორც ამ „15 საუკეთესოს“ დანარჩენ ავტორებს, ისე არც ნიკუშა ანთაძეს ვიცნობ პირადად და წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მიიღებს ამ კრიტიკას. ამიტომ მეგობრულად შევასხენებ: პირუთვნელი კრიტიკა ჯანსაღი ლიტერატურული ცხოვრების აუცილებელი და ბუნებრივი ნაწილია – ხშირად მას გენიოსებისთვისაც კი შეუბედავს, თუმცა როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გენიოსი მწერლები და ის-ის იყო იწყებდნენ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ჟურნალის „Современник“ მესვეური ნიკოლოზ ნეკრასოვი 1854 წელს პეტერბურგიდან აი, რას სწერდა იასნაია პოლიანაში მცხოვრებ 26 წლის ლევ ტოლსტოის.

“Зап. Марк<sup>1</sup> очень хороши по мысли и очень слабы по выполнению; этому виной избранная вами форма; язык вашего маркера не имеет ничего характерного - то есть рутинный язык, тысячу раз употреблявшийся в наших повестях, когда автор выводит лицо из простого звания; избрав эту форму вы без всякой нужды только стеснили себя: рассказ вышел груб и лучшие вещи в нем пропали. “

მომავალ გენიოს მწერალს ნ. ნეკრასოვმა 1857 წელს მეორე მოთხრობის ნაკლოვანებებზეც პირუთვნელად მოახსენა.

“Милый, душевно любимый мною Лев Николаевич, повесть<sup>2</sup> вашу набрали, я ее прочел и по долгу совести прямо скажу Вам, что она нехороша, и что печатать ее недолжно. Главная вина вашей неудачи, в неудачном выборе сюжета, который, не говоря о том, что весьма избит, труден почти до невозможности и неблагоприятен. В то время, как грязная сторона вашего героя так и лезет в глаза, каким образом осязательно до убедительности выказать гениальную сторону?, а коль скоро этого нет, то и повести нет. Все, что на втором плане, очень, впрочем, хорошо, то-есть Делесов, важный старик и пр., но все главное

<sup>1</sup> იგულისხმება ლ. ტოლსტოის მოთხრობა “Записки маркера”.

<sup>2</sup> იგულისხმება ლ. ტოლსტოის მოთხრობა “Альберт”.



вышло как-то дико и не нужно. Как Вы там себе ни смотрите на вашего героя, а читателя поминутно кажется, что вашему герою с его любовью и хорошо устроенным внутренним миром - нужен доктор, а искусству с ним делать нечего. Вот впечатление, которое произведет повесть на публику, ограниченные незонеры пойдут далее, они будут говорить, что Вы пьяницу, лентяя и негодяя тянете в идеал человека и найдут себе много сочувственников... да, это такая вещь, которая дает много оружия на автора умным, и еще более глупым. “

ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, ამ მწვავე კრიტიკამ ახალგაზრდა ლევ ტოლსტოი გააღიზიანა, გული ატკინა, ჩაადარდიანა, კალამ-ქალაღდი შეაზარა, არაყი მოანყურა, ნეკრასოვი დაუძინებელ მტრად მოაჩვენა თუ სიმხნევე შთაბერა, გონება გაუნათა, ახალ სიმალღეებზე ააფრინა და მომავალი გენიალური რომანის - „ომი და მშვიდობა“ ბუნდოვანი კონტურები დაანახვა!!!

ვინ იცის!...

უზრუნალ „არილშივია“ გამოქვეყნებული ბესო ხვედელიძის მოთხრობაც „სოფელი პატივა“. ნანარმოების უპირველესი დამლუპველი ნაკლი ის არის, რომ მას არ გააჩნია იდეა.

ერთ ნაცნობ ახალბედა პროზაიკოსს, რომელმაც რაღაც მანქანებით ყოვლად უსუსური მოთხრობა გამოაქვეყნა, პირფერობაში გამოჯეკილი მეგობრები კი აბრიყვებდნენ – ყოჩაღ, ეს რა მაგარი რამე დაგინერიაო, პირუთენელად ვუთხარი სიმართლე: მოთხრობა უვარგისია, ვინაიდან იდეა არ გააჩნია-მეთქი.

დებიუტანტს გულიანად გაეცინა და სიტყვასიტყვით ასეთი რამ მითხრა:

– რა მარქსივით მელაპარაკები! იდეა რა – კომუნიზმს ვაშენებ?!

ბევრს და, სამწუხაროდ, ზოგ ახალბედა შემოქმედსაც იდეა (რასაც ხშირად შეცდომით იდეოლოგიაში ურევენ!) მარქსიზმის მოგონილი და ამდენად, მხოლოდ მისი კუთვნილება ჰგონია! არადა, კაცობრიობის გაჩენის წამიდან დღემდე რამე ღირებული არაფერი შექმნილა იდეის გარეშე. ნუთუ ვინმეს და, მით უმეტეს, რომელიმე დამწყებ შემოქმედს ჰგონია, რომ, მაგალითად, ელგუჯა ამაშუკელს არც ხალასი ნიჭი გააჩნდა, არც თავისი მომავალი ქმნილების ნათელი იდეა და ისე, სრულიად ალაღბედზე, სასხვათაშორისოდ დაიწყო ცხენიანი მხედრის ძერწვა, ხოლო მერე როგორც მისთვის, ისე ქართველი საზოგადოებისთვის სულ ერთი იქნებოდა, მეტეხთან დადგმული ეს ქანდაკება ვის განასახიერებდა: ფარნავაზს, ვახტანგ გორგასალს, დავით აღმაშენებელს, შოთა რუსთაველს, დავით სოსლანს, ლაშა გიორგის, ცოტნე დადიანს, გიორგი ბრწყინვალეს, გიორგი სააკაძეს, დავით გურამიშვილს, ერეკლე მეორეს, არსენა ოძელაშვილს, პეტრე ბაგრატიონს, ილიას კაკო ყაჩაღს თუ საკავშირო დოღში გამარჯვებულ ვილაც ჟოკეის?

დაეუშვათ და ფაბრიკამ ალაღბედზე, იდეის გარეშე დაამზადა ასიათასობით წყვილი ჩექმა. მაგრამ აი, უბედურება: მანდი-

ლოსნები არ ჩაიცვამენ, ვინაიდან ვერ პასუხობს მათ ესთეტიკურ გემოვნებას; არც ანსამბლის მოცეკვავეს გამოადგება – ტლანქია და ფეხებს დაამტვრევს; ციმბირის ორმოცგრადუსიან ყინვაში მომუშავეც არ წაეკარება – მასში ფეხები მოეყინება; ვერც მეთევზე იხმარებს – მოკლეა და წყალი ჩაუდგება; ქიმიკომბინატის მუშებზე ლაპარაკიც ზედმეტია – ჩექმა არ არის ტუტეგამძლე, ამას კი უეჭველად სავალალო შედეგი მოჰყვება!

მოკლედ, უიდეოდ გამოშვებული პროდუქცია ჩანვება და სანარმო ზარალის მეტს ვერაფერს ნახავს. მსგავსი რამ რომ არ მოხდეს, სანამ ჩექმების სერიულ წარმოებას შევუდგებოდეთ, ჯერ უნდა გავგაჩნდეს ნათელი იდეა – ვისთვის და რა პირობებისთვის განკუთვნილი ჩექმების წარმოება გვაქვს განზრახული, რომ ზომა, ფერი, ფორმა და შესაკერი მასალაც შესაბამისი შევურჩიოთ!

ასეა ყველა სფეროში და მათ შორის მხატვრულ ლიტერატურაშიც!

შეხედე, რა ცაა! –  
ეს არის, რაცაა.

საკვირველია: მიუხედავად იმისა, ქართული ენის გაჩენის დღიდან გალაკტიონამდე ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ოქროს მონეტებივით იყო მიმობნეული და ახლა ვინ ან როგორ მოთვლის, რამდენ მილიონ ქართველს სულ ენის წვერზე უტრიალებდა ეს ყოვლად ჩვეულებრივი სიტყვები: რაცაა, არის, ცა, ეს, რა, შეხედე – არავის მოსვლია აზრად, ვერავინ მოიფიქრა, ან ვერავინ იგრძნო იმის შინაგანი მოთხოვნილება, რომ ეს სიტყვები გადაელაგ-გადმოელაგებინა, ბროლის მძივებივით აეკინძა და მიეღო გენიალური

შეხედე, რა ცაა! –  
ეს არის, რაცაა.

გაკვირვება-განცვიფრებას ის უფრო აძლიერებს, რომ ვინ იცის, რამდენ ქართველს აღმოხდენია მსგავსი ფრაზები: შეხედე, ბიჭო (გოგო, ქალო, შვილო, ჩემო რძალო...), რა ცაა!... ერთი უყურე, როგორი ლურჯი ცაა, კაცო!.. ანდა, რისამე აწონის,

გაზომვის, გაჭრის, გახერხვის, რაიმე საქმის დაგვირგვინებისას თუ ვისიმე დატუქსვის ან გამხნეებისას იმავე ადამიანებს რამდენჯერ წამოუძახიათ: ეყოფა, ეყოფა, ეს არის, რაცაა!.. მორჩი, ავია თუ კარგი, ეგ არის, რაცაა!.. აღარ გინდა მაგდენი ტირილი (ვაჭრობა, ჯანჯალი, ყოყმანი, ლოდინი, მუქარა, შიში...) ეს არის, რაცაა!..

აქ ადამიანი ერთდროულად განიცდის გენიალური პოეტური აღმოჩენისნინა მშვენიერებასა და სინანულს: რიგითი მოკვდავების მიერ შენიშნული და ნათქვამი მზამზარეული მხატვრული სახეები უკვე მზად არის და ვისიმე „სულ უმნიშვნელო“, საბოლოო შეხებასლა ელის, მაგრამ გალაკტიონამდე ვერვის მოაფიქრდა, არავის დასჭირდა ამ თავიანთივე განცდებისა და ფრაზების მხატვრული კომბინაციით მისულიყვენ შედევრულ აღმოჩენამდე.

შეხედე, რა ცაა! –  
ეს არის, რაცაა.

მერედა, ეს რატომ ვერავინ შეძლო გალაკტიონამდე? თუმცა ეს კიდევ არაფერი – უფრო მეტიც! თვით გალაკტიონს თავისი პირველი ლექსები 1908 წელს გამოუქვეყნებია ჟურნალში „ჩვენი კვალი“ და გაზეთში „ამირანი“. ხოლო ზემოხსენებულ ლექსს, „რა ცაა“ თარიღად 1946 წელი უზის! რა გამოდის? გალაკტიონს პოეტურ ასპარეზზე გამოსვლიდან „რა ცაა“ დაუნერია მხოლოდ 38 წლის შემდეგ!!!

35

აქ გულწრფელად მებრალება პოეტის ყველა ის თავგადაკლული თაყვანისმცემელი, რომლებიც 1946 წლამდე დაიხოცნენ და აღარ დასცალდათ ამ გენიალური ორი პნკართაც დამტკბარიყვენ.

ბევრს ბუნებრივად დაებადება გულუბრყვილო კითხვა: მაშ, გალაკტიონს რამ „შეუშალა ხელი“, რომ ეს ორი პნკარიც „თავის დროზე“, ანუ ადრევე დაენერა – XX საუკუნის 10-იანი წლების მიწურულს და 20-იანი წლების პირველ ნახევარში, მაშინ, როცა მომაჯადოებელ შედევრებს ქმნიდა? თანაც აქ ლაპარაკი რომ გვქონდეს, მაგალითად, ისეთნაირ დიდ ლექსზე, როგორიცაა ორმოცსტრიქონიანი „ლურჯა ცხენები“ ანდა ასათსტრიქონი-

ანი „მესაფლავე“, კიდევ 30, მაგრამ ორი პნკარის გაჩხაპნას რა უნდოდა – გალაკტიონი მას ექსპრომტად ვინმეს სულაც „ყაზბეგის“ პაპიროსის კოლოფზე წაუწერდა! ან ამხელა ფართი რად უნდოდა – იგი ტროლეიბუსის ბილეთზეც დაეტოვდა! მაგრამ გალაკტიონმა ეს ლექსი „ვერ“ დაწერა და არც შეეძლო დაეწერა გარკვეულ დრომდე, ანუ 1946 წლამდე იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს მის „ნება-სურვილზე“ არ იყო დამოკიდებული! ეს გენიალური ორი პნკარედი რომ მოვლენოდა ქართულ პოეზიას, ამისთვის ჯერ საჭირო იყო მისი მომავალი ავტორის – აქ გალაკტიონის – შთავგონება-ცნობიერებაში დაბადებულიყო აქამდე არარსებული ლექსის იდეა!!! მაგრამ ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნის იდეა როდია ყველაფერი – ეს მხოლოდ დასაწყისია, ლეთიური მინიშნება! მთავარი და ჯოჯოხეთურად ძნელი მერე ამ იდეის მხატვრული ხორცშესხმაა!!!

არ ვიცი, შეიძლება რომელიმე გალაკტიონოლოგმა ან ვინმე ბედნიერმა პიროვნებამ იცოდეს კიდევ, პოეტს როდის ჩაეთესლა ამ ლექსის იდეა: მის ქალაღზე გადატანამდე ხუთი წუთის 36 თუ ხუთი საათის წინ, სამი თვით ან შვიდი წლით ადრე თუ თავისი შემოქმედების გარიჟრაჟზე! ერთი რამ კი ცხადია: ეს იდეა შემოქმედს მანამდე აფიქრებდა და აწვალებდა, სანამ 1946 წლის რომელიღაც დღესა თუ ღამეს მისმა პოეტურმა შესაძლებლობამ კომპიუტერული სიზუსტითა და სისხარტით არ ამოაგდო ეს გენიალური

შეხედე, რა ცაა! –  
ეს არის, რაცაა.

რიგითი მკითხველის მხატვრული გემოვნების დონის გამოკვლევის მიზნით ამ ლექსზე მსჯელობისას საკუთარი მწერლური ღირსების საზიანოდ, ვინ იცის, რამდენჯერ მომიხდენია მათი პროვოცირება: ბოლოს და ბოლოს, რა ლექსიც ეგ არის – რითია-მეთქი გენიალური?!

ჩემი „უვიცობა“ მსმენელებს ყოველთვის აკვირვებდა ან აღაშფოთებდა ხოლმე. თუმცა თან უხაროდათ კიდევ, რაკი ჭკუის სწავლების მიზეზი ეძლეოდათ. მათ მიერ ამ ლექსზე ჩემთვის წაკითხული მოკლე ლექციები, მართალია, ერთმანეთისგან

საგრძობლად განსხვავდებოდნენ არგუმენტებით, მაგრამ უმრავლესობა ერთ რამეში თითქმის ერთსულოვანი იყო ხოლმე: ამ ლექსის გენიალურობა იმაში მდგომარეობს, რომ სათქმელი მოკლედ და ლამაზად არის ნათქვამი!

ჰმ! მოკლედ და ლამაზად! კი მაგრამ, დღევანდელ ქართულ პოეზიაში რამ დაგვილია „ლამაზი“ ლექსები, ნამდნამ შუშხუნებივით რომ პრიალებენ, მკითხველს კი ვერანაირ ესთექიურ შვება-სიამოვნებას ვერ ანიჭებენ! ხოლო თუ მხატვრული ნაწარმოების – ამ შემთხვევაში ლექსის – ღირსების საზომად მის ლაკონურობას მივიჩნევთ, მაშინ გამოდის, რომ იგივე გალაკტიონის შედევერი „ქებათა ქება ნიკორნმინდას“ გადასაგდები ყოფილა: რა რჯიდა პოეტს თვითონაც განამებულიყო და მკითხველიც „გაენამებინა“ ორმოცსტრიქონიანი (!!!) ლექსით?! ამიტომ ასწილ არ აჯობებდა თავისი სათქმელი, ანუ ამ ლექსის იდეაც ორ პნკარში ჩაეცია და მორჩენილიყო – ლექსი უფრო გენიალური არ გამოუვიდოდა?!

რა ხდება – ნუთუ გამოუვალ ჩიხში ვექცევით?

ცხადია, ბევრ ჩვენთაგანს ექნება ნანახი გალიაში მოხტუნავე კანარის ჩიტი. საინტერესოა, ეს გალია დიდია თუ პატარა? რას ჰქვია – დიდია თუ პატარა?! არც დიდია და არც პატარა – იგი იმოდენაა, რაც ოთახის პირობებში ამ ეგზოტიკურ ფრთოსანს ეყოფა! ახლა ცირკის ასუნებულ სათავსოებში გადავინაცვლოთ და რკინის გალიაში გამომწყვდეულ ლომსაც დავხედოთ. ლომის ეს გალია დიდია თუ პატარა? პასუხი აქაც იდენტური გამოდის – არც დიდია და არც პატარა: იგი მისადაგებულია ცხოველთა მეფის აღნაგობისათვის საჭირო სივრცესა და მოძრაობას, გალიურ პირობებში მის ყოფა-ცხოვრებას.

ახლა წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: გოგონამ თავის მამიკოს იადონისთვის გალიის ყიდვა რომ სთხოვოს, მან კი სატვირთო მანქანით ლომის გალია მოუტანოს! ანდა, პირიქით: ცირკის დირექტორმა ლომების გალიების შესაძენად წინასწარ გადარიცხოს საჭირო თანხა, მომწოდებლებმა კი ცერის სისქე რკინის გისოსებით შეკრული ლომის გალიების ნაცვლად საჩვენებელ თითებზე ჩამოკონიალებული საიადონე გალიები მოუტანონ! კი მაგრამ, ლომი როგორ შევაძვრინოთ იადონის გალიაში?! ანდა, იადონს

რად უნდა ლომის გალია: ჯერ ერთი, ამგვარი გალიიდან ხელად გაგვიფრინდება, ხოლო გისოსები წვრილთვალა ბადითაც რომ ავზლუდოთ, შინ როგორ შევიტანოთ ან სად მოვათავსოთ?!

ასეა მხატვრულ შემოქმედებაშიც: ყველა სფეროსა და ჟანრში დაბადებულ ნებისმიერ იდეასაც თავისი მოსახლენი „გალია“ სჭირდება!

ბოლოს და ბოლოს, მწერლურ ენაზე რა გვიქვიან ამ „გალიას?“ რა და მხატვრული ფორმა!!!

ნებისმიერი მხატვრული ქმნილება თუ ჩვეულებრივი სამრეწველო ან კუსტარული ნაწარმი სხვა არაფერია, თუ არა იდეისა და მხატვრული ფორმის განხორციელება, მათი ურთიერთკავშირი. ამიტომ ყოველი ნაწარმოების აკარგვიანობა მისი იდეისა და მხატვრული ფორმის ურთიერთშეხამების ხარისხით განისაზღვრება.

აბა, ერთი ნუთით წარმოვიდგინოთ, რა შეგვრჩებოდა ხელში, ცის ჯადოსნური მშვენიერების გადმოცემა გალაკტიონს იმ ლირიკულ-გენიალური ორი პნკარის ნაცვლად „ნიკორწმინდას“ მსგავსად 40 სტრიქონში რომ გაეჭიანურებინა? ანდა, პირიქით: მთელი ეს შედევრული პატრიოტულ-ლირიკული აღმაფრენა, რაც „ნიკორწმინდაშია“ გაცხადებული, ცის მშვენიერებასავით როგორ, რანაირად უნდა ჩაეგია ორ პნკარში? აქ გალაკტიონის გენია იმითაც ვლინდება, რომ ის მხატვრული გარემოსა და იდუმალების ანგარიშმიუცემელ ბატონ-პატრონად კი არ გრძნობს თავს და ბევრის მსგავსად კოკას ნაჩქარევად ყურს იქ კი არ აბამს, სადაც თვითონ მოესურვება, არამედ მონა-შემოქმედის მონამებრივი მორჩილებითა და უტყუარი ალლოთი უცდის იმ სანატრელ დიად ნამს, სანამ თავის პოეტურ ცნობიერებაში ღვთაებრივი წილნაყარობით ჩამოთესლებულ იდეას ზედგამოჭრილ მხატვრულ ფორმას არ უპოვის!!!

თუ მოხდა სასწაული და ეს წიგნი მწერლობაზე, საერთოდ, შემოქმედებაზე მეოცნებე ნორჩების ხელშიც მოხვდა, მსურს პირუთვნელად გავაფრთხილო ისინი: არამც და არამც ერთმანეთში არ აურიონ ან არ აერიოთ ჭეშმარიტ შემოქმედად დაბადებული ადამიანის გონებაში აღმოცენებული იდეა თავისი

მხატვრული ფორმიტურთ და ნიჭუქონელი, წრეობანას მოიმედე ალალებედა პიროვნების ოცნება, ილუზია, სურვილი, პრეტენზია, ხელოსნური გაბედულება, გრაფომანის შეუპოვრობა. თუ კარგად დავუკვირდებით თანამედროვე ქართულ პროზას, ადვილად აღმოვაჩინთ, რომ პროზაიკოსთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ ხელოვნურ-ბუნდოვანი იდეისა და ფორმის იმედით მოურიდებლად სპეკულირებს ეროვნულ-პატრიოტული ან დღიური სატკივრის თემებითა და საკითხებით. ანდა, თავისი ნაწარმოების აგებას უშიშრად იწყებს სხვის ნაბაძვით, სრულიად ალალებედზე, ყოველგვარი იდეის უქონლად და გულუბრყვილოდ ჰგონია, ან თავს იტყუებს და იმედოვნებს, მკითხველიც მოტყუვდება: ნებისმიერი მხატვრული ფორმა თავისთავად, თვითონვე მოიყოლებს საჭირო იდეასაც და ჰოდა, ეს იქნება ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებიც!

ეს სრულიად მცდარი და დამლუპველი წარმოდგენაა! იდეის გარეშე მხატვრული ნაწარმოების შექმნის პროცესი ემსგავსება ცარიელი აკვნის რწევას! აკვანი რა სინარწართაც და რამდენ ხანსაც უნდა ვარწოთ და თან ზედ სირინოზული იავნანაც ვიგალობოთ, რა აზრი ექნება, თუკი შიგ იდეა-ჩვილი არ გვიწევს?!. თუმცა, უნდა ვალიართ, რომ ნებისმიერი, თუგინდ ალალებედზე გამორჩორკნილი მხატვრული ფორმა მაინც შეიცავს რაღაც იდეას. მაგრამ საკითხავია: ასე ნაბიჭვარივით დაბადებული იდეა და სტიქიური მხატვრული ფორმა როგორ შეეხამებიან ერთმანეთს? ამ ყაიდაზე, თანაც მდარე კალმოსნის ხელში „უკანონოდ“ დაბადებული სტიქიური იდეა ემსგავსება ხოლმე საშვილოსნოს გარე ორსულობას და იდეა ალთას გარბის, მხატვრული ფორმა – ბალთას! ამიტომ ასეთ ვითარებაში ალალებედა ავტორიც ემსგავსება ოლიმპიურ სტადიონზე ძაღდაძაღ შევარდნილ ახირებულ თვითნასწავლ სპორტსმენს, რომელსაც ჯიუტად სჯერა, რომ მოულოდნელად ყველას განაცვიფრებს მსოფლიო რეკორდის დამყარებით და გახელებული მიქრის სარბენ ბილიკზე! ოლონდ ჯერ არი იცის, საით უნდა გადახტეს, ანდა ეს მისი ნახტომი რანაირი იქნება – სიგრძეზე, სიმაღლეზე თუ სამმაგი ხტომა!!!



როგორ ფიქრობთ, მსგავს შემთხვევაში რეკორდულ მაჩვენებელზე კი არა, რამედ ღირებულ შედეგზე მაინც შეიძლება ლაპარაკი?!

მკითხველებს ბოდიშს მოვუხდი: ბესო ხვედელიძის მოთხრობით კი დავინყე, მაგრამ აი, სად გადაგვიტყუა ნანარმოების იდეასა და მხატვრულ ფორმაზე მსჯელობამ.

ეს ნანარმოები, ჩემი აზრით არამცთუ 2005 წლის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობაა, არამედ წარუმატებელი ლიტერატურული ცდა თუ უპასუხისმგებლო ლაზღანდარობა, რომლის გამომზეურებით მკითხველი საზოგადოების თვალში ჯერ უურნალმა „არილი“ მოიჭრა თავი, მერე კი – „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“.

ამგვარი მკაცრი განაჩენი იძულებულს მხდის მოთხრობა თავიდან ბოლომდე ხელუხლებლად გადმოვბეჭდო! აი, ისიც!

## სოფელი პატივა

ეს წერილი შიომ მომიტანა, ჩვენმა თანაკურსელმა, ბაბუნაშვილმა. მისთვის ვილაც ურუშუნჯ ფოსტალიონს გადაუცია, რომელიც იმ დიდი მიწისძვრისას თავისი სოფლიდან ერთადერთი გადარჩენილა. ეგ მიწისძვრა კარგად უნდა გახსოვდეთ — კავკასიონის ერთი მონაკვეთი ყირაზე რომ დააყენა და ნახევარზე მეტი იქაური სოფლები მიწაში ჩაიხრანა, თან ისე, რომ ამბის ჩამომტანი თითო-ოროლა თუ დატოვა. შიომ მითხრა — წერილი არ წამიკითხავს, მაგისთვის არ მეცხებლა, მით უმეტეს, რომ შენთვისაა განკუთვნილი, ზედ შენი სახელი და გვარი აწერია, ჩვენი საცოდავი კოკას მოწერილი უნდა იყოს, მეტი იმ სოფელში აქედან ასული მე არავინ მინახავს, თან იქამდე ჩემთან გაჩერდა და მე გაეც-ილეო. იმ დროს ამ წერილის კითხვის თავი ნაღდად არ მქონდა — ყოველდღე მიწისძვრით დაზარალებულები ჩამოჰყავდათ და გადატყენილი იყო სააგადმოფო ბოლომდე: სულ გმინვა და კენესა მედგა ყურში. როგორც ჯანდაცვის განყოფილების ჩინოან მოხელეს, დილიდან შუადღემდე აქ ტრიალი მიწვედა და მოსვენების დრო წამით არ მრჩებოდა. საღდაც ორი კვირის თავზე, ყველაფერი რომ მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, მოვიცალე — ერთ ჩვეულებრივ საღამოსაც, სახლში ადრიანად მოსულმა გაჭუჭყიანებული კონვერტი გავხსენი, სეარძელში მოკვალათდი, ფურცლების დასტა ამოვიღე და კითხვას შევუდექი.

41

. . .

ძმაო სოსო, ამ წერილს სოფელ პატივიდან გწერ, საღდაც ამ ერთი თვის წინ, იმ დაწყველილი საერთაშორისო ჰუმანიტარული პროგრამით გამანაწილა თქვენმა ჯანდაცვის განყოფილებამ. მიინდა წინდაწინ გაგაფრთხილო, შეიძლება მეტად აბურდული და გაუგებარი გეჩვენოს ნაწერი, მაგრამ გთხოვ, მაპატიე. ვეცდები, მოკლედ ჩამოვყალიბდე, რაც ალბათ ძალიან გამიჭირდება, რადგან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს, რაც ჩემს თავსა და გარშემო ხდება, ზუსტ დიაგნოზს დაუსვამ და რამეთი მაინც შემეშველები, თორემ აღარ ვიცი, რა წყალში გადავევარდე. აქამდე ვერე მიყრილად არაფერი მიწერია. რაც კი თავში მომდის, ყველაფერს დაუფიქრებლად ვყრი ფურცელზე. მოკლედ, შენგან ველი შველას, ჩემო ძმაო... ისე, არ დაგიძალავ და ამ ბოლო დროს, რატომღაც, სულ შენ მახსენდებოდი. შეიძლება არ დამიჯერო და, სიზმარშიც კი გნახე — თეთრ ხალათში იდექი, მიყურებდი და თვალს არ ახამხამებდი. ისეთი სახე გქონდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მეთქვა შენთვის... თან ეს სიზ-

მარი სამჯერ ვნახე და სამივეჯერ ზუსტად ერთნაირად! სულშეგუბებულს მელვობობდა. მერე მთელი დღეები ვფიქრობდი — ნიშანია-მეთქი. შეიძლება ვგრეცაა— რამდენი ხანია, არ მინახიხარ ისე— ჰოდა, ჩვენი ძველი ახლობლობის ამბავი ერთი და, მეორეც — შენაირი პროფესიონალი არც კი მეგულებდა ნაც-ნობ კოლეგებში. ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, მინდა ვითხრა — გასაოცარად გილას მოვხვდი. ბუნებაზე და მისთანებზე აბა რა ვთქვა, რა აღარ გვინახავს; აი, აქაურმა ხალხმა და მათი ყოფაცხოვრების წესმა შოკში ჩამაგდო. — ეგაა ყველაფრის თავი და თავი და ამ წერილის დაწერის უპირველესი მიზეზი— მსგავსს, ჩვენკენ, დედაქალაქში, ვერავის შეხვედები და ვერც გაიგებ— და განა მარტო ჩვენკენ? სად არ ვარ ნათრევი, ხომ კარგად იცი, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა ჟანრია— მოკლედ, რაღაც ავანგარდული კინოს მსგავსში ჩავეჩხირე და ნუგეშად შენლა მყავხარ დარჩენილი. იმედია, რამეს მიჩალიჩებ და გადამარჩენ, თორემ კონტრაქტის ვადა სექტემბერში იწურება, იქამდე კი მთელი ხუთი თვეა დარჩენილი. მთელი ხუთი თვე! რა მეშველება, სოსო, არც კი ვიცი— სულ რაღაც ერთი კვირაა ჩემი აქ ჩამოსულიდან გასული და უკვე გაძლებაზე ვარ, ნემსებზე ვზივარ, თმები ყალბზე მიდგას, ასე მგონია, ჭკუიდან გადავალ... სხვანაირად ვერც იქნება. ასეთი რამ, ჩემო სოსო, არათუ მინახავს, ვერც კი წარმოვიდგენდი, ბუნებაში თუკი არსებობდა. მოკლედ, მეტად უცნაურ ისტორიაში გავხვდები, ჩემო ძმაო, ისე ამხელა წერილს რა მომაწერინებდა, არც დამიწერია არასდროს. მობილური ტელეფონების მიმართ ხომ კარგად გახსოვს ჩემი დამოკიდებულება — არ მქონია არასდროს და აწი ხომ საერთოდ აღარ მექნება. რომ მქონოდა, კი შემეძლო, ყველაფერი ტელეფონითაც მეთქვა, მაგრამ იმდენია მოსაყოლი, იმდენი, არც კი ვიცი რომელი მობილური აიტანს ამხელა ხარჯს, ამიტომ ასე სჯობს. ისე, კი არის აქედან დარეკვის საშუალება, მაგრამ შენი ამბავი ხომ ვიცი — უცხო ნომერს რა ავალბინებს და თან კიდევ აქაურების არაფერი მინდა, მით უმეტეს მობილური ტელეფონი. ვარჩევ, ყველაფერი დაწვრილებით მოგწერო და პასუხს დაველოდო, აქედან მაინც ფეხს ვერ გამოვადგავ, ისეთი სიტუაციაა. ვეკიდები, არაფერი გამოძრჩეს, სინტაქსს და მისთანებს მაინცდამაინც ნუ მი-აქცევ ყურადღებას. გახსოვს ალბათ, კალმით ხელში არასდროს ვბრწყინავდი. წერილს ფოსტალიონს ვატან, რომელიც ყველა უცნაურობასთან ერთად ყრუ-მწერვედა და, არც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა შენამდე ამხელა უსტარნი. იმედი მაქვს. რომ — კი. ჰოდა, თუ — კი, მაშინ გაგახარებს ღმერთი, იქნებ მოიფიქრო ნათესაობის თანხა, რა პასუხი გავუცე იმ კითხვებს, რომლებიც აქაურობის გარდაცვალების წინაშე არ მსახერხებენ.

სოფლის სახელიდან დაიწყებ. ვიდრე ჩავიდოდი, უფრო კი ავიდოდი, სოფლის სახელწოდებით დაინტერესდი და მისი წარმომავლობის გარკვევას შევეუკადრე. მაგრამ ბევრი არაფერი გამომივიდა, რადგანაც სამიდან მხოლოდ ერთი ენციკლოპედიაში გადავწყედი მეტად მწირ და, ცოტა არ იყოს, უცნაურ ცნობას აოფელ პატიყას შესახებ: გეოგრაფიული მდებარეობა, მლაშე ტბა, რომლის პირასაც გაშლილია სოფელი, მოსახლეობის აღწერა, ისიც 1979 წლის მონაცემებით, მოქმედი ტრანსმაგისტრალური ბიო-კოსმოსური ანძა (ამ ანძაზეც ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოვიძიე, რაღაც გასაიდუმბლოებული ამბავია) და კიდევ ერთი უცნაური რამ: იმ ენციკლოპედიაში სოფელი პატიყა, გეოგრაფიულად, მსოფლიოს ცენტრად თუ ჭიპადაა მოხსენიებული, ანუ თურქე სოფელი პატიყა დედამიწის ზუსტად შეაგულ წერტილს წარმოადგენს არ ვიცი. იმ ენციკლოპედიის შემდგენლებმა ვფიქრობ რა მონაცემებით იხელმძღვანელეს, მაგრამ ვერა რომ ეწერა, ფაქტია იწებ მაგის ბრალიცა ყველაფერი, რაც აქ ჰდება არ ვიცი, ჩემი სოსო — რაც არ ვიცი, მართლაც არ ვიცი მოკლედ. ხელი ჩავიჭინე და გადავწყვიტე, ასვლისთანავე გამერკვია, მინიშნებ, სოფლის სახელწოდების წარმომავლობა მაინც ერას კი გეტყვოდ: სოფელი პატიყა სამი ათასი მეტრის ზეგანზე გაშლილი და გარდა გაიბრებული ძველსწველი გზისა, რომელსაც გზის აღარაფერი სცხა და ერთადერთი საცაღდეშო ბილიკისა, იქამდე არაფერი აღბ.

მძღოლმა „ფილისიო“ ქვედა სოფელში დამტოვა, მუღ-ბუნქტში სადაც ასევე ამ პროგრამით, ჩვენი შოი დამხვდა განაწილებული შოი ბომ განსოვს, ბა-ბუინაშვილი? უნდა გენახა რა ვაქნარდა რომ დამინახა — გაგიყვდა ვადარია კარვად მიმიღო, სოფლაც დიდებული გამიმალა სხვათა შორის მწვენიერადაა მოწყობილი ერთი — საკმაოდ მშველარავებულა თორემ აუ არა უშავს ადრინ-დღეოვით გამანუგველული, ანაბთ და უზარმაზარია ანუ იხვე ნამდვილი „ბა-ბუინა“. ძველებურად ჩაუფინეთ, გაფინეთ ანაბთ, რანეებო — რას არ გა-დავწვდიოთ თავისთან გამათევიან დამე, მაღამო იყო და პატიყასკენ დაქვრას იმ დამე-ბნულში აზრი არ ჰქონდა — ხადმე ჩაფინებოდი ჰოდა მეც სოფლზევე დავიწყე პატიყას შესახებ ცნობების შეგროვება, მით უმეტეს რომ შოის გარდა სოფლზე ორნიც იყვნენ, ადგილობრივებმა.

- იშვიათ ადგილას აღინარ, იმა! — მითხრა იქვე ერთ-ერთმა და თვალის თვალში გამიყარა, — გაფრთხილდი მეტს ვერას გეტყვი
- ჩვენებურს იქ არ აუღვამს ფები, რაც ის უმთავრესა დაირქვას არც იქი-დან ჩამოსული გინახავს ვინმე — ხმა დადის არა უჭირდებით ველებო — ერთი

კოსტა-ფოსტალიონი დაძვრება თვეში ერთხელ, მაგრამ რას გეტყვის — ბავშვობიდან ყრუ-მუნჯადაა — მითხრა მეორემ და ღვინო ჩამოასხა.

ცოტა არ იყოს, დავიზაფრე, ჩემო სოსო. უფრო წვრილადაც ვცადე გამომეკითხა სოფელ პატივას შესახებ, მაგრამ შევატყვე, მანცდამანც არ ეხალისებოდათ ამ თემაზე საუბარი. მერე მითხრა შიომ, ამათ ძალიან ნუ დაუგდებ ყურს, ეგრე იციან აქ ყველაფრის გაზვიადებაო. მანც ვერ მოვისვენე. საბოლოოდ, იმ მწირ და ბუნდოვან ცნობებს, რაც ხელთ მქონდა, დაემატა ის, რომ, სოფელ პატივაში ტელეგრაფი და ელექტროგაყვანილობა არ არსებობს, რადგან თავის დროზე არ აუყვანიათ; წყლის პრობლემას სოფლის წყარო წყვეტს; ძირითადად მისდევენ მეძროხეობას; ამ ათიოდე წლის წინ, ძველი ეკლესიის ნანგრევების ადგილას, ტრანსმაგისტრალური ბიო-კოსმოსური ანძის დარჭობას სოფელში დიდი ენებათაღელვა გამოუწვევია: რადიაციული დასხივების საშიშროების წინაშე დამდგარი სოფლის მოსახლეობა სახელმწიფოს იმით დაუშომშინებია, რომ ყველასათვის უფასო და განუსაზღვრელკრედიტიანი მობილური ტელეფონები დაურიგებია და ამით ჩაუწუმებია. ერთს ვერ მივხვდი — მობილურებს რითი ტენიდნენ იმ უდენობაში, მაგრამ შიომ ამიხსნა: იმ ანძას ისეთი სიმძლავრის გამოსხივება აქვს, მობილური აპარატები საერთოდ არ ჯდებაო. არ გინდა, დაიჯერო? ეგ კი არა, როგორც ამბობენ, სახლებში ნათურები იმავე გამოსხივების გამო მუდამ ანთებულია, ანუ უშუქობა, როგორც ასეთი, მეტად უცხო რამაა სოფლისთვისო. ნამდვილ სიგიჟეს ჰგავდა ეს ყველაფერი, ჩემო სოსო, მეტი რა დავარქვა, მაგრამ ჩავედი და ჩემდა პირის დასალებად წმინდა წყლის სიმართლე კი აღმოჩნდა. სახელის წარმომავლობას რაც შეეხება, როგორც იმ ორი ადგილობრივიდან ერთ-ერთმა გამიძილა — პაპინებისგან ვიცი, ადრე დიდის პატივით იცოდნენ სტუმრის დახვედრა პატივაში და სახელიც იქიდან მოდისო.

— ეგ ადრე იყო — ძალიან ადრე — შეუსწორა მეორემ და თავისთვის ჩაიფხუქუნა.

მოკლედ, ძმაო სოსო, რაღაც უხეიროს კი მიგრძნობდა გული, მაგრამ იმას ნამდვილად არ ველოდი, რაც იქ დამხვდა. ყველაფერს დაწვრილებით გიყვები, ხომ ხვდები. ასეთები ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ხდება, და ისიც შეიძლება სულ არ მოხდეს, მაგრამ რაღა მე უნდა დამმართნოდა, რა შეეცოდე ეგეთი, ეგ არ მესმის.

ის ღამე როგორც იქნა გადავაგორეთ მე და შიომ. ის ორნი, ადგილობრივები, ადრევე გაგვეცალნენ. მალე კი დათვრნენ და ვიფიქრე, რამეს კიდევ დავაყაჭინებ სოფელ პატივაზე-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როგორც კი ამ თემას

მივადგებოდი, თითქოსდა ირცხვენდნენ, უღვაშებში ელიმებოდათ და კრინტს არ ძრავდნენ, მე და შიო კიდევ, ლამის გათენებამდე ვისხედით და რა აღარ გავიხსენეთ — ინსტიტუტის ამბები, აქეთურ-იქეთური. შენც გადმოგწვდით. სოფელ პატივასზე შიომაც ბევრი არაფერი იცოდა. ერთი კი თქვა: მე რაც გამიგონია, ერთი მიგდებული, მივიწყებული და უპატრონო სოფელია, კონტაქტი თითქმის აღარ აქვთ ბართან და არაფერს იცის იქ რა ხდება დასუსტებითო; ერთადერთი, თვეში ერთხელ სამხედრო ვერტმფრენი ჩადის ანძის შესამოწმებლად და იმავე დღეს უკან ბრუნდება — ესეც იმდენად გასაიდუმლოებული ამბავია, არაფერს იცის ის ანძა საერთოდ რა ჯანდაბადა იქ დარჭობილი და რას ემსახურებაო. აღარ ჩავეძიე, თუმცა კი, დილაუთენია, ჩემს უზარმაზარ ზურგჩანთაში, სადაც ფსკერისკენ ჩაჩურთული გაზის პისტოლეტი, ყოველი შემთხვევისთვის, მინც შეედაპირზე მოვაქციე წინასწარ გეტყვი, ჩემო სოსო, პისტოლეტი სოფელ პატივასში ჯერჯერობით არაფერში დამჭირდება, რადგანაც საამისო საბაზი არაფერს და არაფერს მოუცია, მაგრამ რა ვიცი, ყველაფერი ხდება და ისეთ მდგომარეობაში ვარ, მთლად თავის მოსაკლავად არ გამოვიყენო, იმას ვშიშობ.

ბევრი რომ აღარ გაგაგრძელო, შიომ დილაადრიან სოფლის ბოლომდე გამაცილა. პატივასკენ მიმავალი ძველი გზით ასვლას აზრი არ ქონდა, ვინაიდან ლოდების უზარმაზარი ნატეხებით იყო გადახერგილი. მის პარალელურად მიმავალი მეორე გზა კი სოფლის ბოლოსკენ ვიწროვდებოდა, ბილიკებოდა, განზე უხვევდა და კაი ძნელი აღმართი იწყებოდა. სწორედ მას დაეადექი ჩემი ზურგჩანთიანად.

ყველაზე მეტად ერთი საჩუქრით გამახარა შიომ და ფაქტობრივად, წელში გაწყვეტასაც გადამარჩინა — გორგოლაჭებიანი და თოკიანი ხის დაფა იყო, რომელზედაც ჩემი ზურგჩანთა დამიმაგრა (ზურგით ამხელა ჩანთას იმ აღმართზე რა აიტანდა, არც კი ვიცი. მთელი ხუთკილომეტრიანი, მიხლართული, კლდოვანი ბილიკი ფეხით იყო ასავლელი) და გზა დამილოცა. მერე გემრიელადაც ჩაეხუტეთ ერთმანეთს, მშვიდობა ვუსურვეთ და ეგრეც დაეშორდით. მე თოკის ბოლო მარჯვენა მუჭზე დავისვით და ასე თრევა-თრევით აუწყევი აღმართს.

გზაში საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რაც უფრო ზემოთ მივიწვედი, ბუნება მით მეტად იცვლიდა იერს. თავიდან არაფერი შემეჩხერებულა — არც ხე, არც ბუჩქი, უბრალოდ ფერებმა იწყო ცვლა. ჯერ დაღლილობას მივაწერე — სიმწვანე სილურჯეში გადადიოდა, წითელს კი თითქოს ცვეხლი ეკიდა, ისე კვასკვასებდა, მაგრამ მერე და მერე მივხვდი, რომ დაღლა კი არა,

სიმაღლე, წნევა და კლიმატი ყველაფერს თავის შეფერილობას აძლევდა. ნახევარი გზა არ მქონდა ავილილი, ქვედა სოფელი, სადაც ჩვენი შიო დაეტოვე, საერთოდაც ნისლმა გადაფარა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ღრუბლებს ზემოთ ვიდექი, ცაში. აღარ დავწვრილმანდები, სად შევისვენე და როგორ წავიხეხე. სადაც სადამოსკენ, ხუთი იქნებოდა შესრულებული, როგორც იქნა, ვუწიე ზეგანს და ამოსასუნთქად, სულ მთლად გალუმპული, ლოდის ნატებსზე ჩამოვვექი. დაღლილობისგან თვალეში იასამნისფერი რგოლები დამიდოდა. პირი მიშრებოდა. სმენადახშულს ყურებში რაღაც უცნაური ბუბუნი მედგა. მერელა მიეხვდი, ეს ბუბუნი კი არა, ზუზუნი იყო, უფრო სწორად კი — ბზუილი. წარმოიდგინე ერთდროულად უამრავი ბუზის ბზუილისმაგვარი ხმა. ქანცგაწყვეტილი ხშირ-ხშირად ვსუნთქავდი და ფიქრის თავი აღარ მქონდა. ცოტა რომ მოესულიერდი, ჩანთა ფეხებთან მოვიგორე, იქიდან ჩემი სამხედრო ღურბინდი ამოვიღე, მოვიმარჯვე და სოფელს გაეხედე.

46

ერთი შეხედვით არა უჭირდა: სახლები ერთმანეთისგან შორიშორ იდგა. ხეები საერთოდ არ ჩანდა — უფრო ბუჩქი და ეკალ-ბარდი ჭარბობდა, ეს ბზუილი კი მიანც მესმოდა. მერე ხალხიც დავინახე — დიდ მდელღოზე, ნაირფერი ძროხების ჯოგთან შეგროვილები და ისიც მხოლოდ მამაკაცები. იყვნენ გახეებული, თითქოს რაღაცას ელოდნენ, ან ყურს უგდებდნენ, თან ხელში რაღაც ერთნაირი ფორმის საგნები ჭვირათ, მაგრამ ვერ გავარჩიე, რა (მერე გავიგე, რომ ეს საგნები მოკლე ნიჩბები, ან, ასე ვთქვათ, ხელის „ლაფატკები“ იყო). სოფლის მეორე მხარეს უზარმაზარი ანძა იყო აღმართული, ჩემო სოსო, ფორმით ეიფელის კოშკს წააგავდა, თუმცა კი შორიდან კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. აი, იქაურმა ცამ და ტბამ კი მართლა მომწუსსა, უფრო კი — მათმა მჭახე შეფერილობამ. მსგავსი სილურჯის ცას, ჩემო სოსო, ვერც კი წარმოვიდგენდი, ოდესმე თუ ენახავდი და არც ასეთი სიმწვანის ტბის არსებობას დავიჯერებდი. კაი ხანს მიდამოს თვალთვლებაში ვიყავი — ვტკბებოდი და ვისვენებდი, ამხელა აღმართის ამოვლა მართლაც არ იყო ადვილი. მერე, უცებ შევნიშნე, რომ შემამჩნიეს (მოტიტვლებულ გორაკზე ვიჯექი და ალბათ ყველა მხრიდან ვჩანდი), რადგან სოფელში სხვანაირი მისვლა-მოსვლა, რაღაც გაუთავებელი წკრიალის ხმა და ფაციფუცი ატყდა. ტყის პირას შეგროვილებიც აფორიაქდნენ. ყველა ჩემკენ იჩრდილაედა შუბლს. მიეხვდი, უხერხულობა შემქონდა სოფლის ცხოვრებაში, ამიტომ ბევრი არც მიფიქრია — გორგოლაჭებიან დაფაზე გამობმულ თოკს ხელი მოვაფლე და ნული ნაბიჯით დავეშვი სოფლისკენ.

გზად სულ ჩირგვები და ლოდების მოზრდილი ნატყეები მხედებოდა და პირველ დიდ უცნაურობას სწორედ აქ ვეზიარე, ჩემო სოსო. პირდაპირ გეტყვი, ეს იყო მეტად უსიამო სუნი, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებოდი სოფელს, იმ ზემოთნასსენებ ბზუილთან ერთად, მით უფრო მძაფრდებოდა. საზოგადოებრივ საპირფარეოში ალბათ ყოფილხარ, ჩემო სოსო და იქაური სიმყარაღვცუნდა გასხოვდეს. პირდაპირ გეტყვი, მიახლოებით მსგავსი სურნელი იდგა ირგვლივ, ყველგან. ჰაერიც და მიწაც ამ სუნით ყარდა. დაუმატე ამ ყველაფერს ის ბზუილი. ცხვირზე თითები მოეჭირე, მაგრამ რას ვუშველიდი — თითქოს კანითაც კი ვგრძნობდი ამ საზიზღარ და აუტანელ სუნს, ხოლო ბზუილი ხომ მესმოდა და მესმოდა. ვერაფრით მიეხვდი, რა ხდებოდა, თუმცა დაღმართი კი მაინც იოლად ჩავიარე და გავივაკე.

აქ კიდევ უფრო საშინელი, ამაზრზენი ყროლი და ხმაური იდგა; ანდა რომელი ყროლი — რაღა დავმალო და პირდაპირ გეტყვი — განავლისა და ოფლის სუნით იყო, ჩემო სოსო, იქაურობა აქოთებული. ერთი პირობა ვიფიქრე, ვიფიქრე-მეთქი, მაგრამ არა — სიგიჟე აქ არაფერ შუაში იყო: ყველგან, ირგვლივ, მსგავსი სუნი ტრიალებდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდი სოფელს, მით უფრო მძაფრდებოდა. და მაინც, ჩემო სოსო, ხომ იცი, რა უბედურ-ამაზრზენი არსებაა ადამიანი — გაჭირვება ანახე და რას არ შეეჩვევა და შეეგუება. პოდა, მინდა გითხრა, მეც მეტად იოლად დამემართა ზუსტად იგივე წარმოიდგინე, ლამის გულისრევაძმდე ვიყავი მისული, რომ ჩემდა გასაოცრად, იმის მაგივრად წამოეზიდებინა, ცუდად გავმხდარიყავი ან რამე ეგეთი დამმართნოდა — პირიქით: ძალიან უცნაურად, უცებვე გადამიარა ყველაფერმა, ანუ ამ საზიზღარი ჰაერის ამდენი ხნის სუნთქვამ თავისი ქნა და მეც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე ამ სისაძაგლესთან შეგუება, თუმცა, ვაი ამ შეგუებას.

სოფლის შესასვლელთან მისულს, ჩემო სოსო, სადაც ის სუნი და ბზუილი რაღაც აუტანელი სიმძაფრით იდგა, ლამის მთელი სოფელი შემომეგება. კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, ყველანი იქ იყვნენ, ასე ას სამოცდაათამდე ადამიანი, და ყველას ხელში მოზილური ტელეფონი ჭჭირა — ეგრე იყო, არ ვამატებ არაფერს. მაშინვე შევაძმინე, მეტად უნდო მზერით მიყურებდნენ (ეგ არ გამომეპარება, ხომ იცი, რა ჩათლახიც ვარ), თითქოს რაღაც ავი და ვერაგიც დაუდიოდათ თვალებში, ანდა რა გასაკვირი იყო, — როგორც მერე გავარკვიე, მართლაც ლამის პირველი უცხო ქვეითი ადამიანი ვიყავი, ვისაც იქ ბოლო ხუთწლეულში, ანძის დარჭობის შემდეგ დაედგა ფეხი. რა ჯანდაბა უნდა მექნა — ნაძალადევი დიმილით მიუუახლოვდი, ჩემო სოსო, მივესალმე, კაცებს ხელი ჩამ-



ოვართვი და, რაც შეიძლებოდა, თავაზიანად წარუდგინე თავი. მინდა გითხრა, ყველანი ერთი-მეორეზე უარესად ყარდნენ, ყარდნენ ერთი, და ძროხებს რომ ბუზები ესევიან ხოლმე, ზუსტად ასევე, მრავლად ეხვიენენ მათაც ბუზები, თან საშინელზე საშინელი სუნი ასდიოდათ, მაგრამ რა გაეწყობოდა – თავს მოვერიე, დავძლიე ზიზღი და არაფერი შევიძინიე. პირიქით, სახეზე უდარდელი ღიმილიც კი გადავიჭიმე. მიანც მეტნი იყვნენ და ეგეთ ადგილებში, როგორც გადმოცემით ვიცი, ძალა ყოველთვის ხნავს აღმართს (დაღმართზე ხომ სულ აღარაა საუბარი). ხმა არ გაუღიათ, ისე შემომარტყეს ფართო წრე და კაი ხანს იმ ამაზრზენი ბზულის თანხლებით მათვალიერეს. დაძაბულობა რომ განმეშუხტა, ვცადე ორ სიტყვაში (უფრო კი ალბათ ორმოცში) ამეხსნა სოფელ პატივაში ჩემი ეგ ზომ მოულოდნელი ვიზიტის მიზეზი. არ დამზარებია, უცებვე განმეორებით წარუდგინე თავი – გავეცანი უფრო წვრილად, მოვეყვი: ვინ ვიყავი, საიდან, რატომ, რა მეკისრა და დღეის იქით რა მევალებოდა. თავიდან, კარგად ვერ (კარგად კი არა, საერთოდ ვერ) გაიგეს ვერაფერი, ჩემო სოსო. მუნჯად იდგნენ და არ ტოკდებოდნენ. კიდევ უფრო რომ დავწვრილმანდი, მთლად სიტყვებად რომ ვიქეცი და დეტალებში გავეუმოროე ყველაფერი, მოულოდნელად, მობილურები მოიმარჯვეს, ერთმანეთთან რეკვა (მიუხედავად იმისა, რომ გვერდიგვერდ იდგნენ) და ტელეფონებში ჩურჩული ატყეს. პირველად აქ გავოგნდი. პირი ღიად დამრჩა, მაგრამ ამით რას შეეცვლიდი. განცვიფრებამ რომ გადამიარა, მივხვდი, რომ წვალებით (თუმცა კი ძალიან მძიმედ) წვდებოდნენ ერთმანეთს ტელეფონებით, მერე კი, უცებ, ანძის მხრიდან რაღაც უცნაური, მოგუდული ხმა გაისმა (გონჯივით) და უნდა გენახა, ჩემო სოსო, როგორ გაიხარეს: ერთხმად აჟრიაბულდა დიდი და პატარა. ერთი ტაში არ შემოუცხიათ, თორემ, აი, როგორც ჩვენთან, ადრე, სტადიონზე იცოდნენ „დინამოს“ დაგუგუნება, ისე მძლავრად კი დააქუხეს:

– ექიმ! ექიმ! ექიმ! ექიმ! – ეს იყო და მობილურ აპარატებზე ყველამ თავისი ზარი ჩართო და ამ გამაყრუებელი წკრიალის ფონზე დოინჯუ შემოყრილები აროკდნენ. ბუქნავდნენ და ხტოდნენ, ჩემო სოსო. თვალს არ ვუჯერებდი. შედარებით მძიმე წონისანი უფრო მსუბუქებს ხელში იყვანდნენ და მთელი ძალით ისროდნენ ჰაერში, თან გუნდად რაღაც უცნაური ჟღერადობის სიტყვებს ისროდნენ. მე ამ დროს ნაძალადევად გაბადრული ვიდექი და ადგილზე ვცქმუტავდი. საერთოდ აღარ მახსოვდა ის აუტანელი, საზიზღარი სუნი თუ გამაყრუებელი ბზუილი, ირგვლივ რომ იდგა და ყველას და ყველაფერს აუტანელი სიმძაფრით ასდიოდა. მერე საერთოდ გამაოგნეს, ჩემო სოსო, არ დაიჯერებ

და ჩემი ჩანთიანად ხელში ამიტაცეს, ადგილზე სამჯერ დამბზრიალეს და ისევ იმ ტელეფონების ზარების წკრიალის თანხლებით წამიღეს. თავი კინოში მეგონა, სპილოზე თუ მკედარხარ, ჩემო სოსო?.. მიახლოებით ევთი შეგრძნებაა, ხალხს ხელში ატატებულები რომ მიჰყავხარ – ყველაფერს ზემოდან დაჰყურებ და ძალიან დიდი გგონია სხვებთან შედარებით თავი. ლამის მთელი სოფელი შემომბატარეს ამ „ექიმ-ექიმ“-ის ყვირილ-ძახილით. ორლობე და შუკა არ გამოუტოვებიათ. ჯერ წყარო მანახეს – მაღალი, კვერცხის ფორმის ლოდი, რომელსაც შუაგულში ნახვრეტი აქვს და იქიდან ცივზე ცივი წყალი მოჩქევს. მერე მლაშე ტბასთან მიმიყვანეს. ერთი პირობა შევშინდი, შიგ არ ჩამაგდონ-მეთქი, მაგრამ მსგავსი აზრადაც არ მოსვლიათ. უბრალოდ, ბავშვები შეცკვიდნენ ტანსაცმლიანად ტბაში და წყალი გამაყრუებელი ჟრიაშის თანხლებით ააშეფეს. ტბა ახლოდანაც ისეთივე ხასხასა მწვანე ფერის იყო, როგორც შორიდან ჩანდა. მის პირას სხვადასხვა ზომის კუები დახობავდნენ, თავად ტბის ზედაპირი კი ალაგ-ალაგ გამჭვირვალე მედუზებისებრი ფენებით იყო დაფარული. მერე ანძისკენ აიღეს გეზი. ამხელა კონსტრუქცია, ჩემო სოსო, არსად მინახავს. როგორც მიჭხვდი, სულ ნაწილ-ნაწილ, ალბათ ვერტმფრენებითაა ამოზიდული და ადგილზე დამონტაჟებული, ისე ამხელა უბედურებას რა ამოათრევდა ამ სიმაღლეზე ანძასთან ამათი მობილურების წკრიალი კიდევ უფრო გამკვეთრდა. ყველა ზარი რალაცნაირად, ძალიან მჭახვდ ჟღერდა. სწორედ აქ დამეუფლა პირველად მეტად უცნაური გრძობა, – თითქოს დამავიწყდა, რომ ექიმი ვიყავი, ჩემი სახელი და გვარიც ამომეშალა მესხიერებიდან, მთელი წარსულიც უცებ გაქრა; ყველა ადამიანი, ვისაც კი ვიცნობდი, ერთბაშად ამიორთქლდა ტვინიდან და გონებაში რალაც უზარმაზარმა სიცარიელემ და მხოლოდ აწმყოს მკაფიო, პირუტყველმა შეგრძნებამ დაისადგურა. უცებ მიქცევ-მოქცევის ხმა გავიგონე და აშკარად დავინახე, ალბათ შინაგანი მზერით, თუ როგორ მიმოიქცევოდა ჩემში ჩემივე სისხლი. ეს უცნაური განცდა სულ რალაც ათიოდ წამს თუ გაგრძელდა, ანუ ზუსტად იქამდე, ვიდრე ანძას ჩემთან ერთად დაარტყამდნენ წრეს. ანძას რომ გამოვეცალეთ, ყველაფერი მომენტალურად აღმიდგა მესხიერებაში, თუმცა კი სულ მთლად გალუშპული ვიყავი, ანუ გაოფლილი და მიცხვდი, რომ ეს ჩვეულებრივი ოფლი აღარ იყო – მისი გადამქიდე მეც უკვე ლაზათიანად ვყარდი. ეტყობა, იმ უცნაური შეგრძნებისას სხეულიდან არა უბრალო ოფლმა, არამედ სულ სხვა ნივთიერებებმა გამოიყონა. ქიმიც ხომ გახსოვს, ჩემო სოსო, მთელი მენდლევევის ტაბულა ხომ შიგა გვაქვს ადამიანებს; ძალღებიც ხომ მხოლოდ მას უყუფენ, ვისაც ეშინიაო, ანუ შიშისას რალაც სუნს გამოჰყოფს ადამიანი და

ძალღებს სწორედ ეს სუნი ესმითო. ძალიან დიდი შიშის სუნი იყო ალბათ ესეც, ან რაღაც ამდაგვარი; ძალღმა კი არა, მეც კი ვიგრძენი — სხვა რა დავარქვა, არ ვიცი. ბოლო-ბოლო, ეს უცნაური ექსკურსიაც მშვიდობიანად დასრულდა, ჩემო სოსო, ასე ხელში ატატებული მიმიტანეს საკმაოდ დიდი ეზოს ჭიშკართან და მხურვალე ოვაციების თანხლებით შემიტან-დამამბინავეს ერთსართულიან და მრავალთახიან სახლში; კაი მოზრდილი ოთახიც გამომიყვეს, ცარიელი და ცალფანჯრიანი (ფანჯარა იმ ანძას გაჰყურებდა), უცებვე გამიწყეს და ფეხიც ამიგუზგუზეს, თან ჭიანჭველებივით ირეოდნენ ოთახიდან ოთახში და ფეხთან შემის მაგიერად ძროხის გამხმარ ფუნას ასხავედნენ. სავანშმო სუფრა სასადილო ოთახში მდგარ დაბალ ტაბლასზე გაშალა სახლის პატრონმა და სხვებს მეტად აღარ შეეუწუხებიათ (ამ სახლის პატრონს, როგორც მივხვდი, სოფელში სხვანაირ პატივს სცემენ, მისი სიტყვა ყველგან ჭრის და ხშირად ბევრისთვის კანონიცაა). თავის დაკვრით გამომემშვიდობა ყველა. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი, სოფლელი, უბირი და კეთილი ადამიანები ჩანდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი და შემაწუხებელი ისევ ის სურნელი და ბზუილი იყო, შინ და გარეთ, ყველგან ერთნაირი სიმძაფრით რომ იღვა.

50

ყველანი რომ დაიშალნენ, ოჯახის უფროსმა ხელკავი გამომდო, ცალი წარბის აწვეით გამიღიმა და მისი მრავალთახიანი სახლის თვალღიერებას შევეუდექით. ოთახიდან ოთახში მეტად უცნაურად, ხმისამოუღებლად გადაეყავი და რა გაეწყობოდა, ყველაფერს ჩემით უნდა მივმხვდარიყავი, უბრად მეთვალღიერებინა სახლის ინტერიერი და თავი კეთილგანწყობით მექნია.

პირველ სამ ოთახში არაეინ დაგვხვდა, მხოლოდ ავეჯი იღვა, ისიც მეტად უხვად, ძველისძველი — მიახლოებით ჩვენი ბავშვობისდროინდელი. ყოველ მათგანს — კარადას, სერვანდს, ტუმბოს თუ საეარძელს, სახლის პატრონი ხელისგულს ადებდა და სევდიანად მიღიმოდა. მეც თავს სინანულნარევი ღიმილით ვუქნევდი.

მეოთხე ოთახში მკვეთრად განსხეავებული სიტუაცია დაგვიხვდა: ჯერ ერთი, რომ ავეჯის მხრივ იყო ხალვათობა და მეორეც, ოთახის შუაგულში მდგარ ბორბლებიან საეარძელში საოცრად ბებერი, უზომოდ სახედანაოჭებული ქალი იჯდა (როგორც მივხვდი, სახლის პატრონის დედა). დედაბერს ცალ ხელში მობილური, მეორეში კი ბუზის საკლავი ეჭირა და დანისლული მხერით კედლის რომელიღაც წერტილს იყო მიშტერებული. თან რაღაცას გაუჩერებლად, თუშცა კი გაურკვევლად ბუტბუტებდა.

აქ პირველად ამოიღო სახლის პატრონმა ხმა და ხელი დედაბრისკენ გაიშვირა:

— ცქემი დედა!

— ძალიან სასიამოვნოა, თქვენი გაცნობა, ქალბატონო— მე თქვენი სოფლის ახალი ექიმი ვახლავართ— შევეცადე, რაც შეიძლებოდა თავაზიანად, ღიმილით წარმედგინა თავი, მაგრამ მას არათუ ყურადღება მოუქცევია, ჩემკენ არც კი გამოუხედავს; ბუზისსაკლავომომარჯვებული ისევ კედელს შეჰყურებდა და კვლავაც გაუთავებლად ბუტბუტებდა.

იქვე, ყვითელ ღამის ქოთანზე, პატარა, ასე ხუთიოდე წლის გოგო მოკალათებულიყო, გულში მკედარი ბუზებით სანახევროდ საესე სამლიტრიანი ქილა ჰქონდა ჩახუტებული და დედაბერს აჰყურებდა.

— ცქემი სპვილი! — გაიშვირა ამჯერად პატარა გოგონასკენ ხელი სახლის პატრონმა.

მე გოგონას ზრდილობის ნიშნად თავზე ხელი გადაუხსე.

— რა გქვია, პატარავ? — დავეკითხე ღიმილით, მაგრამ ბებიაძისის არ იყოს, არც გოგონას გაუცია ჩემთვის ხმა. ორივენი მეტად უცნაურად იყვნენ გაყურსულები.

უეცრად, დედაბერმა ბუტბუტი შეწყვიტა, საოცარი სისწრაფით წაგორდა მოპირდაპირე კედლისკენ და ბუზის საკლავი კედელს მთელი ძალით სთხლიშა. ეს იყო და პატარა გოგონაც წამოიძარა ფეხზე, ოღონდ ისე, რომ უკანალიდან ღამის ქოთანს არ მოსცილებია, კედლისკენ წაბაჯბაჯდა, ძირიდან მუჭით მოხვეტა დედაბრის მოკლული ბუზები, ქილაში ჩაყარა და კვლავაც ღამის ქოთანზე დაჯდა. დედაბერიც ისევ ძველებურად გაიყურსა და გაურკვეველი ბუტბუტი განაგრძო. დაბნეულმა სახლის პატრონს გადავხედე უზომოდ აღტაცებული სახე ჰქონდა. გუნებაში კი გავიფიქრე, ჩემო სოსო — ესენი ვერ უნდა იყონ ყოჩაღდმეთქი, მაგრამ ხმამაღლა აბა რას ვიტყოდი.

იქიდან გვერდითა, საკმაოდ ბნელ ოთახში გადავინაცვლეთ. სიბნელეს თვალი რომ შევაგუე, მერეღა გავარჩიე — ფართო საწოლზე ფეხმძიმე ქალი ესვენა (სახლის პატრონის ცოლი) და ერთნაირ რიტმში, გაუთავებლად და საშინელი ხმით გმინავდა:

— ოუჰ— აუჰ— აუჰ— ოუჰ— ოუჰ— აუჰ— აუჰ— ოუჰ—

— ცქემი ცოლი! — გაიშვირა ხელი სახლის პატრონმა მისკენ და მე უკვე ხმის ამოდება ვეღარ გავებდე, ვინაიდან ქალს თვალები დახუჭული ჰქონდა, გმინვას განაგრძობდა და ჩვენი ოთახში შესულა არც კი გაუგია.

სხვა ოთახებში ადამიანებს აღარ გადავყრივართ, თუმცა კი ყოველ მათგანში დასალოებით ნახევარი წუთით მაინც ვყოფნდებოდით. ბინის პატრონი ხელს უკვე უბრად და ისევ სვედიანი ღიმილით იშვერდა აქეთ-იქით და მეც ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებოდი. ყველა ოთახი ასევე ძველისძველი, გადაქერცლილი ავეჯით იყო გადავსებული და ყველგან, ჩემო სოსო, ისევ და ისევ ის უსიამო სუნი იდგა.

მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი ბოლომდე, ახლა კი ვიცი და რაა დასა-მალი, პირდაპირ გეტყვი: სოფელ პატივაში განსაკუთრებულ რანგში, კულტის ღონეზეა აყვანილი პატივი, იგივე განაწალი, როგორც ასეთი. ანუ აქ სახლებს გარედან და შიგნიდანაც ლამის კვირაში ერთხელ მაინც, შინაური ცხოველ-ფრინველისა (ძირითადად ძროხის) და საკუთარი განავლით ლესავენ. ამგვარად შე-ლესილი კედლები საერთოდ არ ატარებს სიცივეს და ინახავს სითბოს. ძროხისვე გამხმარი ფუნა პირველი გამათბობელი საშუალება სოფელ პატივაში, ვინაიდან აქ, ამ სიმაღლეზე, ხეს როგორც ასეთს, ჩემო სოსო, წამლადაც ვერ ნახავ და ისიც ფაქტია, რომ ზამთარ-ზაფხულ კაი გემრიელადაც ცივა. ბუჩქნარი და ეკალ-ბარდი – გაგიხარია იმდენია, მაგრამ რად გინდა, წამებში იწვის და სითბოსმაგვარს არაფერს ტოვებს. სწორედ ამის გამოა, გამხმარი ფუნა რომ გამოიყენება სოფელ პატივაში შეშის მაგივრად. ყველა ოჯახს ჰყავს რამდენიმე ძროხა და, შესაბამისად, ეზოშიც ნაკელის უზარმაზარი გორები უდგათ. სოფლის კაცები მთელი დღის განმავლობაში იმით არიან დაკავებული, რომ ძროხის ჯოგს მიჰყვებიან საძოვარზე ხელის ნიჩბებითა და ვედროებით და გაფაცვიცებით ელოდებიან, თუ როდის მოისაქმებს მათი ძროხა. ფუნის ხელიდან გაშვება თუ დაკარგვა სოფელ პატივაში უდიდეს სირცხვილად ითვლება. ახალგამომცხვარ და ორთქლადენილ ფუნას კაცები ვედროში უჩენენ ადგილს და სალამოსკენ ყველანი სავე ვედროებით, იმავე ძროხების ჯოგის თანხლებით ბრუნდებიან სოფელში. ქალები მთელი დღე საკარმიდამო საქმეებით არიან დაკავებული. ისე, ამ სუნს თუ არ ჩავთვლით, ჩემო სოსო, ბინები სრულ წესრიგშია მოყვანილი – ამაში უპირველეს ყოვლისა ჩემი მასპინძლის მრავალთხაიანმა ბინამ დამარწმუნა. დაუმატე ამ ყველაფერს ისიც, რომ იმ წყეული ანძის გადამკიდე აქ ყველანი საშინლად ოფლიანობენ (შედევად აუტანლად ყარან). ახლა ეს ყველაფერი ერთად წარმოიდგინე და იქნებ ეს სუნიც იგრძნო წამით. ჰო, ჩემო სოსო, კინაღამ დამეიწყდა, – გამომდინარე ამ საზიზლარი სურნელიდან, ბუზითაა სოფელი პატივა სავე. ამდენი ბუზი მე არსად მინახავს. ყველგან ბუზი: ჰაერში, მიწაზე, სხეულებზე, ყველგან – ვე კიდევ არ უნდა იყოს გასაკვირი, გამომდინარე აქაური,

როგორც ასეთი, პატივის კულტისა და საშინელი ოფლიანობიდან. და კიდევ ერთი, ძალიან დიდი უცნაურობა, ძმაო სოსო: აქ რაღაც უცნაურ დიალექტზე მეტყველებენ. როგორც ვასკენი, ორიდან ერთი, ან ორივე ერთად: ან უკონტაქტობას უმოქმედია აქაურთა მეტყველებაზე, რაც ნაკლებად საგარაუდოა (რაა ბოლო-ბოლო ხუთი წელი), ანდა ვეჭვობ, რომ ისევ ეს დამძალი ანძა ყველაფერში დამნაშავე. წარმოდგინებრემ ეს სრულიად ახალი, მობილურის მესიჯების ენაა — ახალი გრამატიკული ფორმებით და სერია-მწკრივებით. ასე მეტყველებს აქ დიდინ-პატარინად ყველა და, ყურის გაჩევეა უნდა, თორემ იმის აღქმა და მიხვედრა, თუ რას გელაპარაკება ნებისმიერი აქაური, ძნელი სულაც არაა. მობილური კავშირის სამყაროს არანორმალურად უმოქმედია აქაურებზე — ერთმანეთთან იშვიათად თუ დაილაპარაკებენ: ძირითადად, მესიჯებს უგზავნიან ერთმანეთს და არიან ჩუმად და წყნარად. გასაგიჟებელი ამბავია, ჩემო სოსო. მართლა არ ვიცი, სად უბედურებაში მოვხვდი. ამასე მეტი რაღა უნდა იყოს ჯოჯოხეთი, აღარ ვიცი, თუმცა ჯერ სადა ხარ.

შიდა ექსკურსიის შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოვუსხედით დაბალ ტაბლას და ვახშობას შევეუდექით — თავიდან რა თქმა უნდა, ისევ და ისევ უბრად. სუფრა საკმაოდ ღარიბული იყო (რაღაც ბალახ-ბულახის ფხალისმაგვარი კერძი, აგრეთვე დაკებილი და შემწვარი ხორცი, ოღონდ არ ვიცი რისა), მაგრამ კაი მოშიებული ვიყავი და აღარაფერს დავძებდი. გეპირიელადაც შევექვითი ყველაფერს. მერე ოჯახის უფროსმა ღვინო ჩამოასხა, ჭიქა ასწია, მზერა გამისწორა და პირველი სადღეგრძელო ასე თქვა:

— სქენი ცჰამოსელის სქესახებ! — და უცებვე შესვა.

გავშირი, ჩემო სოსო. ვერაფერს მივხვდი. ნაძალადევი ღიმილით მაინც წავილულულე რაღაც გაუგებრად და მეც გადავჯღურწე. ღვინოს უცნაური გემო ჰქონდა, თან მომტავო იყო, თუმცა ეს არ გამეკვირვებია. ამ სიმაღლეზე საერთოდ რამე თუ მწიფობს, ისიც კი ვერ წარმომიდგენია. ეგ კი არა, იმასაც ვერ ვხვდები, ღვინოს რისგან ამხადებენ. ვახსოვთის მე აქ არ მომიკრასეს თვალის და—

მეორე სადღეგრძელო პირველივით უცნაური იყო. ისევ ჩამოასხა სახლიკაცმა, ასწია ჭიქა, მომიჭახუნა და ბრძანა:

— სქენი პრაფესიის სქესახებ—

როგორც იქნა, დავიდა ჩემამდე, ანუ მივხვდი, რისი თქმაც სურდა ამ დალოცვილს. გულში კაი გვარიანადაც გამეცინა, მაგრამ აბა, როგორ შევიმჩნევდი — კაცი პროფესიას მიდღეგრძელებდა. მერე რა, რომ მოკლედ, ლაკონურად და უცნაურად— როგორც იცოდა — ისე.

– სოფელი პატივას სპესახებ! – მასპინძლის წარმოთქმულ მესამე სადღე-  
გრძელოს, გაზედე და უკვე ჩემი სიტყვაც შევაშველუ:

– მაშ გაგიმარჯოთ, კუთილო ადამიანებო... დავლოცავ აქაურობას, თქვენს  
დახვედრას, თქვენს მასპინძლობას, ამ ოჯახს–

– სოფელი პატივას სპესახებ! – შემანწყვეტინა სახლიკაცმა მკაცრად.

– თქვენს ადათ-წესებს, ყველაფერს– განვაგრძე აუღელვებლად, – რით-  
აც სულდგმულობს ნებისმიერი აქაური– იმედია, სულ მალე მეგობრებადაც  
ვიქცევით და რალა უნდა იყოს ამაზე–

– სოფელი პატივას სპესახებ!! – დაიგრგვინა მესამევეერ მასპინძელმა საკ-  
მაოდ მკაცრად და მეც, ცოტა არ იყოს, შემეშინდა. შეწინააღმდეგება აღარ  
მიცდია, მაშინვე დავდღუმი და უთქმელად გადავკლურწე მთელი ჭიქა. ასეც  
განვაგრძეთ – ხმას აღარ ვიღებდი, სადღეგრძელოს თქმისას მასპინძელს მხ-  
ოლოდ ჭიქას ვუჭახუნებდი და თავს ვუქნევდი. თუმცა ეგ რა არის – კიდევ  
უფრო დიდი უცნაურობები სადღაც შუალამიდან დაიწყო, ჩემო სოსო. მოკლედ  
რომ მოვკვუ, კაი თხუთმეტ-თხუთმეტი ჭიქა გეკონდა უკვე ნაყლაპი, გემრიელად  
მთვრალებიც ვიყავით, თვალეები გვებლიტებოდა, სახლის პატრონს ტვინი ჰქონ-  
და წალბული თავის „სპესახებ“–ნარევი სადღეგრძელოებით, როდეცაც დიდი  
ოთახიდან უკანალზე ღამის ქოთანდაკრული და გულში მკედარი ბუზებით საესე  
ქილაჩახუტებული პატარა გოგონა გამობანცალდა და ტაბლის. გარშემო წრის  
დარტყმა მოკლე ნაბიჯითა და ყვირილით იწყო:

– მამიკ, გავათავე– გავათავე, მამიკ!

მე შემამციენა, სახლის პატრონს კი ამის გაგონებაზე თვალეები გაუფარ-  
თოვდა, თუმცა ხმა არ ამოუღია – გახვეებული მიაშტერდა ერთ წერტილს.  
უეცრად, ამას სხვა ოთახიდან სახლის პატრონის ცოლის მონოტონური გმინვა  
დაერთო:

– ან! ბან! გან! დონ! ენ! ვინ! ზენ! თან! ინ!

გაოცებული შეეყურებდი უკანალზე ღამის ქოთანაკრულ პატარა გოგონას,  
რომელიც ჩვენს ტაბლას წრეს ურტყამდა და არ ჩერდებოდა:

– მამიკ, გავათავე– გავათავე, მამიკ!

მამა კვლავ გახვეებული და თვალეგაფართოებული იჯდა, საწოლი ოთახი-  
დან კი ისევ ცოლის ხმამალალი გმინვა ისმოდა:

– ნარ! ონ! პარ! ჟან! რაქ! სან!

უეცრად, დიდი ოთახიდან სასადილო ოთახში საოცარი სისწრაფით შემოგორდა ბორბლებიან სარწევლაში მჯდომი დედაბერი, ლამის ტაბლა აგვიყირავა და ბუზის საკლავშემართულმა მანაც საშინელ ხმაზე ლაღადი იწყო:

– დაჯდა ცერად ანდერღვისას... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... მე რად გავცირო მოკვარე- ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... მით ვისცავდებით, მოგვეცეს- ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

– ექიმ! მე მართალი ვიყო, ექიმ! ექიმ! სიკვდილმა ცვეტში არ არის, ექიმ! ექიმ! ვინც ესპინის, ის – დურაკი, ექიმ!

ჩემო სოსო, მოგეჩვენება, რომ გავგიჟდი ან ვბოლავ, არადა, სიტყვასაც თუ ვაჭარბებდე, არაკაცი ვიყო. მეც რა ვიცოდი, იმ მომენტში რა ხდებოდა ჩემ თავს, ანდა საერთოდ რა ვოჯოხეთი ტრიალებდა ირგვლივ. სისხლი საფეთქლებთან მომაწვა. გული რაღაც საშინელი სისწრაფით მიცემდა. ოფლად ვიღვრებოდი და თან საშინლად მციოდა. აურზაური კი არ ცხრებოდა. ვგრძენი, რომ გული მიმდიოდა და უეცრად, ზუსტად ამ დროს, გარედან ისეთი საშინელი და გამაყრუებელი ზმუილი გაისმა, რომ სახლის კედლებმა რყევა იწყეს. თითქოს სოფლის ყველა ძროხა ერთდროულად ზმუოდა, ჩემო სოსო, სახლში კი იგივე აურზაური გრძელდებოდა.

– ინ! კალ! ლას! მან! ნარ! ონ! პარ! ჰან!

– მამიკ, გავათავე! გავათავე მამიკ!

– წაგიკითხავს, სიკვარულსა... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... ვით იტკვიან, ვით აქებენ... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... სიკვარული აგვამაგლებს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... შენ არ სჯერხარ, უსაცვლელნი... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

ზმუილი კარგად არც მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა (მიახლოებით ერთ წუთს აღმათ). მეკონა თავი გამისკდებოდა, მაგრამ არ ვიცი, რამ გადამარჩინა. ერთი, რაც მოვახერხე, ყურებზე ხელისგულები მთელი ძალით მივიჭირე და თვალები დაეხუჭე. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასე, ჩემო სოსო. ერთი კია, თვალი რომ გავახილე და ყურებიდან ხელები ჩამოვუშვი, ზმუილი აღარ ისმოდა; მასთან ერთად ეს ოჯახური ღრიანცელიც დასრულდებოდა: სახლის პატრონი-ანად ყველანი დუმდნენ. აღარც ცოლი გმინავდა გვერდითა ოთახში. მე ზედაც არ მიყურებდნენ, თითქოს სულ არ ვარსებობდი. ამკარა იყო, სულ სხვა რამეს აყურადებდნენ, დროც თითქოს აუტანლად ზანტად მიიზღაწნებოდა, მეტად დუნედ მიიმღვლეოდა. სწორედ ამ დროს დააკაკუნეს კარზე სამჯერ.



თავიდან ადგილიდან არავინ იძროდა. ყველანი კარისკენ იყურებოდნენ. მერე კაკუნი ისევ განმეორდა, ამჯერად უფრო ხმაძაღლა და გულმაც კვლავ საშინელი სისწრაფით დამიწყო ძვერა. შესამეჯერ რომ დააკაკუნეს, სახლის პატრონი მხოლოდ მაშინღა წამოიძარა და კარისკენ ფეხაკრეფით გაემართა. მომეჩვენა, რომ დიდხანს მიდიოდა. ნელა და მძიმედ. ვიდრე ურდულს გადაწევდა, არ ვიცი, რა ძალამ წამომაყენა და კარისკენ მთელი ტანით მიმატრიალა. ჯერ კარი არ იყო გამოღებული, სახედანაოჭებულმა დედაბერმა, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს, ბუზის საკლავი ჩამოუშვა და ბორბლებიან სარწვევლაში მჯდომი დიდ ოთახში შეგორდა, უკანალზე ღამის ქოთანაკრული პატარა გოგონაც ქილით ხელში უკან მიჰყვა, მასპინძელმა კი ურდული გადასწია, თავად ისევ ტაბლას დაუბრუნდა და თავის ადგილზე დაეშვა. გული ისევ მთელი ძალით და სხედასხვა ხმაზე მიცემდა. უცებ მივხვდი, ამხელა დაძაბულობას მართლა ვეღარ ვაუფლებდი, ჩემო სოსო, ამიტომ იატაკზე დავეშვი, ჩაჯექი და თვალთ დამიბნელდა.

56

არც კი ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი გულწასული, ერთი კი იყო — გონს რომ მოვედი, პირველი, ვინც დავინახე, ტაბლასთან, დაბალ სამფეხა სკამზე მჯდომი ვიღაც გაქუცული კაცი იყო. კაცს იღლიაში საკმაოდ მოზრდილი, ცოცხალი კუ ჰქონდა ამოჩრილი. კუ ფეხებს ჰაერში ასახსავებდა, კაცი კი ცრემლიანი მზერით შემომყურებდა. ბინის პატრონი მის პირდაპირ მოკალათებულიყო და თვლემდა. ტაბლა ისევ ძველებურად იყო გაწყობილი. გარგნებული ვიჯექი იატაკზე, ჩემო სოსო, და ნელ-ნელა აზრზე მოვედიოდი. უპირველესად, ვიგრძენი, რომ აბსოლუტურად ფხიზელი ვიყავი, ანდა ამდენის მერე ეგ რაღა გასაკვირი იქნებოდა, სახლში კი უკვე სამარისებური სიჩუმე იდგა. სწორედ ამ დროს, სახლის პატრონმა თავი ტაბლაზე ჩამოღო და საერთოდაც ზვრინვა ამოუშვა. რა ჯანდაბა უნდა მექნა. წამოდგომას კი არა, კაი ხანს განძრევას ვერ ვებედავდი. ის ვიღაც გაქუცული კაცი კი ისევ მე შემომყურებდა და კვლავაც აცრემლებული ჰქონდა თვალები. როგორც იქნა, მოვიკრიფე ნებისყოფა, რაც შეიძლებოდა ფრთხილად წამოვდექი და კედელს ზურგით მივეყუდე. ეს იყო და სწორედ ამ დროს წამოიძარა ფეხზე ის გაქუცული კაციც და ხმა ამოიღო:

— ექიმ... ცქემი ბიცქიმ მედუზა დაიცპიროს, ექიმ... სახლსპი მაიკვანოს... ცპიქასპი კვანდეს... ექიმ, ცქემი ცოლი არი კაი ქალი... დიდი დზუდზუები, რამე-გამე ადგნეს, კისელმა უნდოდეს და ის ცპიქა დალიონ... ექიმ, ცქემი ცოლიმ მედუზა გადაკლავოს ექიმ... ცუდათ გახდეს, ექიმ... ოფლმა ასხამდეს, თითქო დნებოდეს... ექიმ, უნდა მისპველნოს... აგერ კუ მოგართვის, ნანდვილი კუ... მასპ

ბამბანერკამ ცჰვენკენ არ იცოდეს, ექიმ- კაი კუ- ექიმ- კაი კუ- — ამ სიტყვებით გაქუცულმა კაცმა კუ იატაკზე დასვა. კუც, როგორც კი თავისუფლად იგრძნო თავი, უმაღლეს ტაბლის ქვეშ შედგრა, — ექიმ, სჰენ უნდა ცამოსზიდნეს- ჩემი ცოლმა მისჰველნოს, ექიმ- ჩემი ბიცჰიმ დარჩეს კარაულივით იქან- ექიმ, ზვალ ორი კუ მოგიყვანოს მე- ორი კაი კუ-

ამ ყველაფრის შებდეჯ სმის ამოღების ან შეწინააღმდეგების თავი საერთოდ სად მექნებოდა, ჩემო სოსო? რა გაეწყობოდა — ჩემი ოთახისკენ რის ვაივა- გლახით წაულასლასდი. თან ცალი თვალი მასჰინძლისკენ მქონდა, მაგრამ მას არაფერი გაუგია — თავი კვლავაც ტაბლაზე ედო და უდარდელად ზერინავდა. ჩემს ოთახში საკმაოდ თბილოდა. ფეჩი ისევე გუზგუზებდა. იქვე ძროხის გამხმარი ფუნის პატარა გორა იდგა. ფეჩის კარი გამოვალე და რამდენიმე ცალი შევაგდე, მერე საწოლზე ჩამოვეჯექი და სახე ხელისგულებში ჩაერგე. ვეღარც ვფიქრობდი, სოსო. არაფრის თავი აღარ მქონდა. გონება ისევე იმ აურზაურის ექოებით იყო საესე, ძლივს წამოვიმართე და ზურგჩანთიდან სამედიცინო ყუთი ამოვიღე.

გზად საინტერესო არაფერი მომხდარა. საკმაოდ ციოდა. გზას ის გაქუცული კაცი თავის მობილურით მინათებდა და ეგრეც მივაბოჯებდით. აქა-იქიდან ძროხათა მშვიდი ზმუილი ისმოდა. აღარც მახსოვს, რამდენი ვიარეთ, ერთი კი იყო — სულ მარცხნივ ფუხვევდით და ლობებს ვედებოდით. ბოლოს იმ გაქუცულმა კაცმა მობილური სანახევროდ ღია ჭიშკარს მიანათა და შიგნით შემოძღვა. ეზოს ბოლოში ერთსართულიანი, ბოლომდე განახასხებული სახლი ილანდე- ბოდა. ყველა ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა.

57

— ცჰემი სახლი! — გაიშვირა გაქუცულმა კაცმა ხელი სახლისკენ და კიბეზე ამოძღვა, მერე კარს ხელი ჰკრა და კარგად განათებულ, საკმაოდ ვრცელ ოთახში აღმოჩნდით.

ოთახის შუაგულში მდგომ მაგიდასთან ასე ცამეტიოდე წლის ბიჭი იჯდა და იცრემლებოდა.

— ცჰემი იცჰი! — გაიშვირა გაქუცულმა კაცმა ხელი ბიჭისკენ და მანაც აცრემლებული თვალებით ამოგვხედა. არაფრის თავი აღარ მქონდა არც მის- ალმების, უბრალო თავის დაქნევისაც კი. სრულ სიცარიელეში ვყვინთავდი და აუტანლად გულგრილი ვიყავი ყველაფრის მიმართ.

— რატომ ტირილი, ცჰემი ბიცჰი? — დაეკითხა კაცი შვილს. — აგერ, ექიმ, ცჰენი ექიმ დედა მოარცჰინებს... შენ დილას ცახველ, ორი კაი კუ დაიცჰირნო ტბაზე- გარნა ტირილ უცამალოს დედის?

შვილმა არაფერი უპასუხა, სწრაფად წამოიმართა სკამიდან და საწოლი ოთახისკენ გავარდა.

– დედი ენატრების– ეცოდავების. ცელქი ბიცპი– – თქვა გაქუცულმა კაცმა, და ამ დროს საწოლი ოთახიდან ისევ ბიჭი გამოვიდა. ხელში დიდი ვარცლი ჯჭირა, რომელიც წყლით იყო გადაპიპინებული. ბიჭმა ვარცლი ძირს დადგა და მოგვაჩერდა.

– მამიკ, სპენ რო ცახვიდე ექიმისთან– – დაიწყო ბიჭმა ქვითინით.

– ჰო, ცქემო ბიცპი– – გადაუსვა გაქუცულმა კაცმა ბიჭს თავზე ხელი.

– დედა დადნობა დაიცვოს–

– ვა–

– ვა და ბა– სუ ცკალი გასდიოდის ხელიდგან, ფეხიდგან, მუცლიდგან–  
სულ–სულ–

– ეგ რა მედუზა მოგიკვანავს, შე ოხერნო–

– არ ვიცო– მამიკ, მე ტასპტი ღავედგი იქა, საცოლთგან– ვუკურეფ, ვუკურეფ– დედა დნების–

– დნების?

– სულ დადნების. სულ–სულ– ბოლოს ცკალად გახდეს... დედა აღარ არი, არა– დედა არი ესა– –ამოიქვითინა პატარა ბიჭმა და ვარცლზე თითი მიაშვირა.

58

ძირს დავიხედე და აშკარად გავარჩიე, ვარცლში ქალის კაბა ტივტივებდა, ასევე ქალის ნიფხავი და გრძელი თმები.

ჩემო სოსო, აღარ დავწერ, იქ მერე რა მოხდა, მე რა დამემართა, ან შინ როგორ აღმოვჩნდი, ერთი კია, ამ წერილში ჩემი სოფელ პარტიკაში ჩასვლის მხოლოდ პირველი დღეა აღწერილი. არაფერი გადამიჭარბებია და იმ დღის მართლა ყველაფერი მოვეყვი, არ გამომიტოვებია, მისხალიც კი. უკვე ერთი კვირაა გასული ჩემი აქ ჩამოსვლიდან. ამ წერილის წერა ზუსტად მეშვიდე დღეს დავიწყე და მინდა გითხრა, რომ არც მომდევნო ექვსი დღე ყოფილა იმ პირველზე რამეთი ნაკლები. პირიქით. ისინიც რომ აღვწერო, ალბათ ერთი საშინელებათა რომანიც კი გამომივა, მაგრამ სად მაქვს მაგის თავი; ცუდად ვარ, სოსო. დეპრესიულობა, გექსომება, სულ არ მახასიათებდა, მაგრამ ახლა ძალიან შავად მაქვს საქმე მაგ მხრივ – მიტევეს და მიტევეს. რამდენჯერმე ვცადე ყველაფერისთვის მსუბუქად, ირონიულად თუ ცინიკურად შემეხედა, მაგრამ არ გამომდის. ალბათ იმიტომ, რომ უშუალოდ მე მეტება და რანაირი ექიმი მე ვარ აქ ამის მერე?– ან საერთოდ, ვის რაში ვჭირდები აქ? ამ ერთ კვირაში ისეთები გადავიტანე, მეტი რომ არ შეიძლება – ეგეთები ყველაზე მურტალ, ბნელ „უჟასებში“ არ გექნება ნანახი. თან შიში დამჩედა საოცარი, ენით აღუწერელი – როგორც კი ამ ანძას შევხედავ, საოცრად ვოფლიანობ, რაღაც–რაღაცეები

მერევა თავში. ძალაუნებურად ვივიწყებ თითქმის ყველაფერს და ვარ მხოლოდ აწმყოში, პირუტყვივით, ერთი ნათელი სხივი არ გამიკრთება თავში – მგონი ვგრძობდი, სოსო, ან მართლაც ეპირუტყველები. აქაც უკვე ეჭვის თვალით მიყურებენ. მგონი აღარც სჯერათ ჩემი ექიმობის, ანდა რაღა დამეჯერება, როცა:

1) ქალი დადნა, გაწყალდა და ვერ ვუშველე

2) მორე დღეს მეზობელი კაცი ოცდაათ ბუზად იქცა და ვერაფერი გავაწყე

3) მესამე დღეს მეზობლის ძროხამ გამარჯობა მითხრა და ამინდზე გამომელაპარაკა.

4) მეოთხე დღეს ანძასთან ერთ კაცს ჩაეძინა და სახლში სამი დაბრუნდა.

5) მესუთე დღეს – ჩემმა სახლის პატრონმა ძროხის პატივისგან ღვინო დაწურა.

6) მეექვსე დღეს მისმა ცოლმა იმშობიარა და „დედაენა“ შვა, რომელიც თან ლაპარაკობს და თან ძუძუსა სწოვს.

დღეს კვრია, ჩემო სოსო. დღეს რა მოხდება – აღარ ვიცი. ისე, ყველაფერს ვუშვებ. წყისით, ამათი და აქაურობის შემხედვარე, მეც უნდა გადავირიო. სახლი კუებითაა სასუე. რა ჯანდაბად მჭირდებათ, ნეტა? – ისე, ხორცად კი არა უშავთ. ყოველდღე მიხარშავს სახლის პატრონი. ამ წერილს რომ ვწერ, ფანჯარასთან ვზივარ. აქედან ის დაწყველილი ანდა მოჩანს და სულ მთლად გალუმპული ვარ. ვყარვარ მეც ბოლომდე, მაგრამ მკილია. შენც რა, სიზმარში უკვე მერამდენეჯერ გნახე – როგორც უკანასკნელ აფადმყოფს, სულთმობრძავს, ისე მიყურებდი, თან გამომეტყველება გქონდა ისეთი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მეთქვა შენთვის. იქნებ ეს წერილია ზუსტად ჩემი ყველაზე მთავარი სათქმელი ამ ცხოვრებაში? მაშ ეგეთი სიზმრები რაღას ნიშნავს? სოსო, იქნებ მართლა მიშველო რამე, ვიდრე ბოლომდე არ გადავრეულვარ და გაფაქურებულვარ. კოსტა-ფოსტალიონია ერთი აქ. ყრუ-მუნჯი როგორც ვიცი, ზვალ დილით ქვემო სოფელში მოდის. ჩემი სახლის პატრონს უკვე შევუთანხმდი, იმან აუხსნა და ამ წერილს შიომდე ჩაიტანს. მერე ვნახოთ, რა მოხდება, თუ დამეხმარები და გამოაწვევინებ ჩემს თავს აქედან, რა ვიცი, შენს პატივისცემაში ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. ხომ გყავს ვიღაცები ზემოთ, სოსო, შენც ხომ დიდ თანამდებობაზე ხარ... არ სჭირდებათ აქ ექიმი, ჩემო სოსო! ესენი მე არ ვიცი საერთოდ ვინ არიან. გამოვიპარო? ეგ კი ვიფიქრე, მაგრამ რამე არ დამმართონ გზაში, იმის მეშინია. სულ თვალს მადევნებენ. სახლში ვარ – მოსვენება არ მაქვს, გარეთ გავალ და კუდში დამდევენ „ექიმ-ექიმის“ ძახილით. სად გაიპარები – მოიფიქრე რამე, თორემ აღარ ვარ კაცი. იქნებ ამ ანძის ავან-ჩაჟანიც გაიგო.

აღარ უნდა ტვინის ჭყლეტა – ეგა ყველა აქაური უბედურების საწყისი და სა-  
თავე გამორთონ, მე მაგათი დედა ვატირე! რა უქნეს აქაურობას, თუ ხვდებიან?!  
ეს რა ექსპერიმენტს ატარებენ ადამიანებზე– ვინ მისცათ ნება?! უბედურება  
არაა, სოსო?– ვთხოვ! რამე გამირკვე და მიშველ! ერთ კვირას კიდევ ალბათ  
გავძლებ, თუ გადავჩნი და არ აფუშვი აფრები – შენს პასუხს დაველოდები.  
მერე მორე წერილს მოგწერ და ვგრე. არ მოგეშვები, სხვა რა საქმე მაქვს.  
აქ მე ნორმალური ავადმყოფი ვერავინ ვნახე, ანდა რომელი ავადმყოფი, ჩემო  
სოსო, მედიცინა ასეთებთან უძლური და უსუსურია. გინდ დაიჯერე, გინდ არა,  
სიკვდილიც კი არაუის ეკარება– არა კვდებიან, გეუბნები, ფაქტია. როგორც  
გავიგე რაც აქ ის ვოჯოხეთური ანძა დაარჭეს, კაციშვილი აღარ გამგზავრე-  
ბულა საიქიოსკენ სოფელ პატივადან, მაგრამ რად გინდა– ადამიანობის აღა-  
რაფერი სცხათ. დარვინი ხომ გახსოვს, რა კაცი იყო, და მისი მოძღვრება? აქ  
პირიქით ხდება ყველაფერი– უკან–უკან ან უფრო ზუსტად, გან–გან მიიწვევენ,  
ნაბიჯ–ნაბიჯ. რაღაც საშინელებაა ამათ თავს, ჩემო სოსო. ვითომ მხოლოდ  
განუსაზღვრელკრედიტიანი მობილურების გამო გადაიცვალნენ და დახურდავდ-  
ნენ? თითქოს ზღაპარში ვარ სტუმრად– ანდა რომელიმე ზოოპარკში... საერთოდ  
არ უნდა არსებობდეს ასეთი ზღაპრები... სინამდვილეა ეს აქაური, მაგრამ არ  
ჰგავს ეს ცხოვრებას?! სიკვდილზე უარესი სუნი დგას აქ. არ ვიცი– არაფერი არ  
ვიცი– სად არის სამართალი, პა, სოსო?! სად, სად ეშმაკში იმალები, ღმერთო?!

SOS!

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული ფაქტის წინაშე ვდგა-  
ვართ – ხელთა გვაქვს ე. წ. მოთხრობა, რომელსაც, ავია თუ  
კარგი, გააჩნია თავისი მხატვრული ფორმა.

დაე, ახლა მწერლებმა და გამოცდილმა მკითხველებმა განსა-  
ჯონ, რამდენად ბუნებრივი და როგორი პასუხგასაცემი იქნება  
კითხვა, ოპონენტებს რომ დავუსვა: ეს მხატვრული ფორმა  
როგორ ესადაგება ნაწარმოების იდეას? ეს დაახლოებით იგივე  
იქნებოდა, უნივერსალში დიდი ამბით რომ ვიყიდოთ მამაკაცის  
შარვალ-კოსტუმი, გარეთ რომ გამოვალთ კი ვიკითხოვ: „რო-  
გორ ექნება?“ კი მაგრამ, ვის? ამ კითხვას როგორ უნდა გაე-  
ცეს ზუსტი და ნათელი პასუხი, როცა რაიმე ახალი ნაწარმის

შეძენის ბრმა ფინით შეპყრობილებს, ჩვენ გვხიბლავდა მხოლოდ ყიდვის პროცესი, კონკრეტული მამაკაცი კი, რომელიც მერე ამ შარვალ-კოსტუმს ატარებდა, არავინ გვყოლია სახეში!!!

აქაც იგივე ხდება! ეს ოცდახუთგვერდიანი უთავბოლო ნაწარმოები პირდაპირ ღალატებს: ავტორი თავის მწერლურ ქურაში გავარვარებულ იდეას კი არ ასხამს ხორცს, არამედ ფურცლების გარკვეულ რაოდენობას ავსებს ალაღბედზე, რათა მერე ლიტერატურულ პრესაში თავისი გვარ-სახელით გამოქვეყნებული ტექსტი იხილოს და პროფესიული პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილოს!!!

რამედ ღირებული მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად გავარვარებული კი არა, ოდნავ შეცხელებული იდეა მაინც რომ სწავდეს ავტორის წარმოსახვას, მაშინ ის თავს უფლებას როგორ მისცემდა, შეიდი-რვა გვერდი სრულად უაზრო შესავლისთვის დაეთმო! ნამდვილი მწერალი შეიდ-რვა გვერდს ხომ ერთი პატარა, მშვენიერი მოთხრობისთვის იმყოფინებდა! ავტორს ამხელა უთავბოლო შესავალი უნდა დაეწურა, ციდიან აბზაცში ჩაეკუმმა და მერე, როგორც წესი და რიგია, თავის მთავარ სათქმელს შესდგომოდა! მაგრამ რაკი არ გააჩნია ნაწარმოების შექმნის ნათელი იდეა, ამიტომ ველარც ამაში გარკვეულა: რა არის მთავარი და რა – მეორეხარისხოვანი, რას უნდა ჩაეჭიდოს და რა გამოტოვოს!

აგერ, დასაწყისშივე ერთგან რა წამოსცდება.

„გზაში საინტერესო არაფერი მომხდარა“.

მადლობა უფალს, საინტერესო რომ არაფერი მოხდა! ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე საინტერესო მართლა მომხდარიყო ან მოსჩვენებოდა, თორემ დავიღუპებოდი: გულუბრყვილო ავტორი სახელგანთქმულ ბერძენ ისტორიკოს და გეოგრაფ სტრაბონით (ძვ. წ. 64 – ახ. წ. 23) მიაყოლებდა და იმ საინტერესო ამბების თანამიმდევრულ აღწერასაც შეუდგებოდა!!! მაგრამ მოთხრობის ისედაც გაურკვეველ იდეასა და აქედან, უფორმო მხატვრულ ფორმას, ან თვითმიზნურად გამოგონილ გასაჭირში ჩავარდნილ ჩვენს სქემატურ გმირს რაში წაადგებოდა ათასგვარი საინტერესო ამბების მოყოლა?! ეს ექიმი კოკა განა მაგიტომ

მიავლინეს მთის სოფელში, რომ გზადაგზა ნანახი საინტერესო ამბების დეტალური აღწერით გაართოს ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლები ან რომელიმე თავისი ძმაკაცი?!

მთის სოფელში მივლინებული ექიმი იქაურ ყოფას გაგიჟებამდე მიუყვანია და ახლა თავის გავლენიან ძმაკაცს უთავბოლო წერილით შორიდან უგვანოდ ემუდარება – აქედან როგორმე გამოიხსენიო!

აი, რა არის მთავარი, აი, რის ირგვლივ უნდა ეტრიალა შეკუმშულსა და დამაჯერებელ თხრობას!!! მაგრამ რაკი ავტორი ამას ვერ ხვდება, ვნებააღკვეცილი ჟამთააღმწერელივით მისდევს და სრულიად უაზროდ, ერთმანეთზე გადაუბმელად ვილაზე და რალაზე არ მსჯელობს: მიწისძვრა, დანგრეული სოფლები, შიო, ფოსტალიონი, წერილი, კოკას მივლინება, მეგობართან პურმარილი და ღამისთევა, გამგზავრება... ლოდები, ბილიკები, ჰავა, კლიმატი, ჰაერი, მლაშე ტბა, სოფლის სახელწოდების ისტორია... ოფლით, ნეხვითა და განავლის სუნით აყროლებული სოფელი და სოფლელები, ნეხვის გორები, მობილური ტელეფონები, კოკას დაბინავება, კოკას მასპინძელი, მასპინძლის დედა, მეუღლე, შვილი, მათი მეზობლის ცოლ-შვილი... ბუზები, კუები, დარვინი, მეღუზები, ანძა!.. ავტორი პირდაპირ ნემსის ყუნწში გაძვრომას ცდილობს, რა არის, ეს სვეკრული ანძა რალაც შემადრწუნებელ საფრთხობელად წარმოგვიდგინოს და სქემატურად შეთითხნილი ყველა უბედურება მის მავნე გავლენას დაუკავშიროს თუ გადააბრალოს!!! მაგრამ რაკი თვითონაც გრძნობს, რომ აქედანაც არაფერი გამოდის, ახლა, აგერ, ქართულ ანბანს მისდგება! ან-ბან-გან-დონ! – ინყებს უაზრო ჩამოთვლას და „კან“-ის მაგიერ შეცდომით „კალ“-ს გაიძახის! ანბანის თვითმიზნური ჩამოთვლაც „ჟან“-თან ბეზრდება და ახლა ახალ უაზრობას აიკვიატებს: ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ!.. მაგრამ ასე როდემდე და სადამდე შეიძლება იტახიმტუხიმოს – ბოლოს და ბოლოს, რამენაირად ხომ უნდა დაასრულოს უთავბოლო მოთხრობა და თავი დააღწიოს ამ გრაფომანულ კოშმარს?!

როგორც დაინახეთ, ავტორი აქაც ადვილად პოულობს „გამოსავალს“: მოთხრობის დამაჯერებელი დასასრულის პასუხ-

ისმგებლობისგან მოულოდნელად ხელს იბანს და უცებ დაუფიქრებლად თავდაყირა გადაეშვება მკითხველის გამახეტებელ, არაფრის მომცემ ექვსპუნქტიან ფანტასტიკა-ფანტასმაგორიაში! თანაც აქ აი, რა ინვეეს გაკვირვებას: მწერალი ყალბი პროფესიული პასუხისმგებლობით შეპყრობილ თავის სქემატურ პერსონაჟს ასე თვალთმაქცურად რომ აყბადებს: მგონი აღარც კი სჯერათ ჩემი ექიმობის, ანდა რალა დამეჯერება, როცა ვერ ვუშველეო და ექვსი სახის აბსურდულ-ფანტასტიკურ შემთხვევას დიდი ამბით ჩამოათვლევინებს. კი მაგრამ, როდის იყო, ექიმს მსგავსი უცნაური მოვლენების განკურნება თუ შველა შეეძლო ანდა ევალებოდა? ექიმი ადამიანის მკურნალია და არა ჯადოქარი, ამისთანა ზღაპრული მოვლენები ძირშივე რომ აღკვეთოს ან მერე განკურნოს!

სამწუხაროდ, ავტორის ამგვარი იაფფასიანი „მხატვრული“ ოინები ახალი ან პირველი არ არის. უპრინციპო და უგემოვნო რედაქტორების ლოცვა-კურთხევითა და დამლუპველი ნაქეზებით ჩვენმა ავტორმა სრულიად ულოგიკოდ, მხატვრული დამაჯერებლობის გარეშე მრუმე აბსურდ-ფანტასტიკაში უპასუხისმგებლო გადავარდნა დიდი ხანია, რაც უკადრის „მხატვრულ“ ტრიუკად გაიხადა და საცა არ იქნება, იქ გულდაგულ იყენებს.

იმავე „არილმა“ (ოლონდ მაშინ ჯერ კიდევ გაზეთი იყო) 1998 წლის 27 აგვისტოს გამოაქვეყნა ბესო ხვედელიძის მოთხრობა „მინდვრის ყვავილები“.

ნახატებიან ტექსტს გაზეთის ორ გვერდზე ცოტა მეტი უჭირავს. მთავარი პერსონაჟი – მოცლილი, ლაზღანდარა, ახირებული ყმანვილკაცი ქალაქის ქუჩებში უმიზნოდ დაყიალებს და ხან ვის გამოელაპარაკება ხოლმე, ხან – ვის.

არ გაინტერესებთ, ეს ახალგაზრდა რაებს დაინახავს ხოლმე მოსაუბრეთა თვლებში? იგი ჯერ მეთევზე ბერიკაცს გადაეკიდება და აასაუბრებს.

„ბერიკაცი შენსკენ ატრიალებს თავს. მის დანისლულ თვალეში თეთრი გემი ცურდება“.

„ბერიკაცის თვალეში ცხელი მდინარე ხოხობს ხარშავს“.

„ბერიკაცის თვალეში კომანჩოები ხარირემს მისდევენ“.



„ბერიკაცის თვალეებში წეროები თბილი ქვეყნებისკენ მიფრი-  
ნავენ“.

„მის თვალეებში მარხუანას პლანტაცია ინვის“.

„ბერიკაცის თვალეებში მიააკოვსკი თავისი ლექსების კითხვას  
ინყებს“.

„მის თვალეებში ოცდათერთმეტი დეკემბერი უკანასკნელ  
წუთებს ითვლის“.

მთავარი პერსონაჟის მორიგი მსხვერპლი თოვლიან ეზოში  
მოთამაშე თეთრქუდიანი გოგონაა.

„მის თვალეებში თეთრ დათეებს საახალწლო შუშუნებს  
ურიგებენ“.

„მის თვალეებში ზანგი მოთხილამურე აცემინებს (ცხვირს,  
ჩახმახს, დამნაშავეს, უდანაშაულოს თუ ვის ან რას? ჯ. მ.)“.

„გოგონას თვალეებში ორსული ქალები შოკოლადს ჭამენ“.

„მის თვალეებში ზოოპარკიდან გაქცეული მიმუნები ტრო-  
ლეიბუსით მგზავრობენ“.

64

მოცლილი ვაჟბატონი ვილაცის ბინის ზარს დარეკავს. კარს  
წითელკიმიონიანი ქალი გაუღებს და ახლა მათი საუბარი  
ინყება – საუბარი უსაგნო და უაზრო. მაგრამ ვის რაში აინ-  
ტერესებს მათი საუბარი – მთავარია, ახირებული პერსონაჟი  
რას ხედავს მოსაუბრის თვალეებში.

„ქალის თვალეებში ახალდაქორწინებულ ლოკოკინებს თა-  
ფლობის თვე აქვთ“.

„ქალის თვალეებში კორდებალეტი ცეკვავს“.

„ქალის თვალეებში სპილოს დაავადებით შეპყრობილებს აცრას  
უკეთებენ (როგორი ქართულია აცრის გაკეთება?! ჯ. მ.)“.

„ქალის თვალეებში თოვლის ბაბუები დამდნარი ლოლუებით ვა-  
ჭრობენ (თუ დამდნარია, ლოლუა საიდანლა იქნება?! ჯ. მ.)“.

„ქალის თვალეებში არქიმანდრიტი შობაზე (უნდა იყოს სა-  
შობ(ა)ოდ. ჯ. მ.) დასაკლავი ლორის ანდერძს კითხულობს“.

„ქალის თვალეებში ცისფერთვალეა ზანგების კვარტალი  
ინვის“.

„ქალის თვალეებში კოლიზეუმს დონბასელ მეშახტეთა დელ-  
ეგაცია სტუმრობს“.

„ქალის თვალეებში პიგმეები სპილოს ხორთუმის სუჰს ხარ-შავენ“.

„ქალის თვალეებში უჟავშნო კუები ტყემლის საკრეფად მიდ-იან“.

მთავარი პერსონაჟი ახლა თავის გოგოსთან ერთად ქათქა-თა ლოგინში წევს.

„გოგოს თვალეებში მოხუცი გრაფინიები დამჟკნარ ტუჩებზე პომადას ისვამენ“.

„გოგოს თვალეებში თეთრ კლინიკასთან ალბინოსი დონორების რიგი დგას“.

„გოგოს თვალეებში კუბელი ლტოლვილები მათემატიკის რვეულებს ყიდიან“.

„გოგოს თვალეებში პენსიაზე გასული კოსმონავტები ალუბ-ლის კომპოტს მიირთმევენ“.

„გოგოს თვალეებში ვეტ-ექიმი (უნდა იყოს ვეტექიმი. ჯ. მ.) შიდსის საწინააღმდეგო ვაქცინას იგონებს“.

„გოგოს თვალეებში ქრიზანთემების ყანა ლელავს (ვინმე გინახავთ, ან აქამდე გაგეგონათ ქრიზანთემების, საერთოდ, ყვავილების ყანა? ჯ. მ.)“.

„გოგოს თვალეებში მოქიშპე მხარეები ტყვეების გაცვლაზე რიგდებიან“.

„გოგოს თვალეებში საპანაშვიდე მიხაკების სურნელი ტრია-ლებს“.

„მის თვალეებში ესკიმოსი ქალები სელაპის მანონს ისვამენ ტანზე“.

„გოგოს თვალეებში დახუჭობანა ოლიმპიურ (აქ აკლია სიტყვა „თამაშობათა“. ჯ. მ.) სახეობებში შეაქეთ“.

„გოგოს თვალეებში ინდური კინოს დღეებია“.

„გოგოს თვალეებში მინისძვრით დაზარალებულებს ძველ-მანებით ეხმარებიან“.

„გოგოს თვალეებში სტიჟარტების დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელს შპიცბერგენზე ასახლებენ“.

ვილაც უცნობი ტელეფონით ურეკავს მთავარ პერსონაჟს. ახლა ვნახოთ, რა გამოჩნდება ამ უკანასკნელის თვალეებში,

ანუ თვითონ რას ხედავს თავის საკუთარ თვალეებში. მოუს-  
მინეთ.

„შენს თვალეებში წითლეები ზამთრის სასახლეს ილეებენ“.

„შენს თვალეებში საოპერო დარბაზი სიმფონიურ ორკესტრს  
ცალი ხელით უკრავს“.

„შენს თვალეებში გაზირებული წვიმა მოდის“.

„თვალეებში ბრაზილიური სამბას კარნავალი გენყება“.

„შენს თვალეებში ქალები ავანგარდულ ასამბლეას აწყობენ“.

„შენს თვალეებში კომენდანტის საათი ცხადდება“.

ეს ჩვენი ჯეილი ახლა თავის ძველ ნაცნობს, ქუჩაში „გა-  
მომწვევად მიმავალ ყავისფერტუჩებიან გოგოს“ გაუბამს ლაი-  
ლაის.

„გოგოს თვალეებში ობობები ბუზებს უმიჯნურდებიან“.

„გოგოს თვალეებში შიო თემზისპირელი მადრიგალს წერს“.

„გოგოს თვალეებში ყმები ფეოდალს მამათმავლობაში ამხე-  
ლენ“.

66 „გოგოს თვალეებში კოსტა-რიკელები (უნდა იყოს კოს-  
ტარიკელები. ჯ. მ.) ბანანს კრეფენ“.

„მის თვალეებში ახალი ბედუინი (რას ნიშნავს ეს „ახალი  
ბედუინი?“ ჯ. მ.) თავის აქლემს კუზის ოპერაციას უკეთებს“.

ივლისის პაპანაქებაა. წონილით დაქანცულ მთავარ პერ-  
სონაჟს პარკში ვილაც ჟურნალისტი გოგონა მიუჯდება რამ-  
დენიმე კითხვის მისაცემად.

„გოგოს თვალეებში „ჰერალდ ტრიბუნ“ ისტამბება“.

„გოგოს თვალეებში ცარიელ კონტინენტებს მნიფე პამიდვრე-  
ბით ტვირთავენ“.

„გოგოს თვალეებში მსოფლიოს ნოქართა სილამაზის კონკურ-  
სი ეწყობა“.

„გოგოს თვალეებში ხმელთაშუა ზღვის დამრობის პროექტს  
განიხილავენ“.

„გოგოს თვალეებში სპირტიანი სასმელეებით ვაჭრობა იკრძა-  
ლება“.

„გოგოს თვალეებში სამას არაგველს ერთი დედა ჰყავს“.

პროვინციიდან დედაქალაქში მეტროპოლიტენის დასათვალ-  
იერებლად ჩამოსულ მოსწავლეებს პედაგოგი ქალი ხელმძ-  
ღვანელობს.

მთავარი პერსონაჟი – რაკი სხვა საქმე არა აქვს რა –  
ახლა ამ ჯგუფს ავტორლიალება.

„მასწავლებლის თვალეში ბავარიელი მეტალურგების გაფიც-  
ვა მიმდინარეობს“.

„მასწავლებლის თვალეში მერცხლები ეიფელის კოშკზე  
ბუდეს იკეთებენ“.

„მის თვალეში გაუჩრები პასპასეში (უნდა იყოს პამპას-  
ეში. ჯ. მ.) ტანგოს ცეკვავენ“.

„მასწავლებლის თვალეში მალაიზიელი მარგალიტის მაძიე-  
ბელნი ზღვაში გადაიან“.

დადგა სექტემბერიც! ლექტორი ქალი ლექციაზე თავის  
სტუდენტებს ესაუბრება. მთავარი პერსონაჟიც იქა ბრძან-  
დება.

„ქალის თვალეში ტაქსო-პარკში (უნდა იყოს ტაქსოპარკში.  
ჯ. მ.) მულტფილმებს უყურებენ“.

„ქალის თვალეში მაკლერების მსოფლიო კონგრესი ინყე-  
ბა“.

„ქალის თვალეში სემიპალატინსკის კოსმოდრომს არემონ-  
ტებენ“.

„ქალის თვალეში ტრანს-კავკასიური (უნდა იყოს ტრანსკა-  
ვკასიური. ჯ. მ.) მაგისტრალი გაჰყავთ“.

„ქალის თვალეში სარაევოს გარეუბნებს ბომბავენ“.

„ქალის თვალეში მესამე მსოფლიო ომის სამზადისია“.

საქმეგამოლეული ჩვენი გმირი კვლავ ქუჩა-ქუჩა დაჩერ-  
ჩეტობს. უცებ თავისი ძველი ნაცნობი გაახსენდება და ეზო-  
დან(!) იმდენს უყვირის(!), რომ გოგოს(!) მეცხრე სართულის(!)  
აივნიდან გადმოახედებს და სასეირნოდ წასასვლელად ელი-  
ჯინება. მაგრამ აი, ხათაბალა – ლალის ეს არ სურს!

„ქალის თვალეში საშემოდგომო ფეხსაცმლის მალაზიებს  
ლუქავენ“.

„ქალის თვალეში პიანინოს ამწყობთა დემონსტრაცია შიმში-  
ლობას აცხადებს“.

„ქალის თვალეებში უპატრონო ძაღლები ერთმანეთს ელლა-ბუცებინან“.

„ქალის თვალეებში საგადასახადო ინსპექტორები ხორცკომბინატებს დახურვით ემუქრებიან“.

„ქალის თვალეებში სირდარია და ამუდარია ბამბის პლანტაციებს რწყავენ“.

„ქალის თვალეებში ნიურნბერგის პროცესი სრულდება“.

უგვანო სიტყვა-პასუხით გაანჩხლებული ეს ლალი მეცხრე სართულიდან მთავარ პერსონაჟს ყვავილიან ქოთანს სთხლემავს გოგრაში. დაზარალებული, ცხადია, საავადმყოფოში მოხვდება. მას ორი მედლა უვლის. მძიმე ტრავმამაც კი ვერ მოაშლევინა ეს აბსურდულ-აკვიატებული ზნე.

„ორივეს თვალეებში სიცილიური პარტია თამაშდება“.

„ქალის თვალეებში ბოშა ქალი შეკემფეშეგარში წითელ სანთლებს ყიდულობს“.

„მათ თვალეებში მაორები ქერტლისაგან ნაპოლეონს (უნდა იყოს „ნაპოლეონს“. ჯ. მ.) აცხობენ“.

68

„მათ თვალეებში იროკეზები მუსტანგებს ხვდებიან“.

მომჯობინებულ მთავარ პერსონაჟს მეორე პაციენტი, თავგადახოტრილი გოგო ემუსაიფება. ჩვენი გმირი კვლავ თავის სტიქიაშია!

„გოგოს თვალეებში მენაყინეობის ფაკულტეტის (ნუთუ მართლა არსებობს ასეთი ფაკულტეტი? თუმცა რა მნიშვნელობა აქვს – თავისი ნება არ არის: რაც მოეპრიანება, იმას წამოაძახებინებს მთავარ გმირს! ჯ. მ.) სტუდენტებს სტიპენდიებს უკავებენ“.

„გოგოს თვალეებში აბორიგენები თავიანთი ფეხის თითებს შორის ჩაგროვილ ჭუჭყს დასცქერიან“.

„გოგოს თვალეებში მსუქანი ქალები გასახდომად ღორის სოლიტერს ყლაპავენ“.

„გოგოს თვალეებში ატლანტიდის საძებრად წამსვლელი ექსპედიცია ყალიბდება“.

„გოგოს თვალეებში პროსტიტუცია-ნარკომანიის წინააღმდეგ ლილიპუტთა გამოსვლები მიმდინარეობს“.

„მის თვალეებში ქამელეონების მასობრივი ჟლეტის პროგრამა ხორციელდება“.

„გოგოს თვალეებში სარანჩები (უნდა იყოს კალიები. Саранч/ა რუსულია. ჯ. მ.) სიმინდის ყანას ანადგურებენ“.

დასასრულ, ჩვენი გმირი ივლის, ივლის და ისევ იმ თავის პირველ მსხვერპლს, მეთევზე ბერიკაცს მიადგება.

„ბერიკაცის თვალეებში შიშველმკლავება ქალები თოკებზე სარეცხს ფენენ“.

„მის თვალეებში წეროები თბილი ქვეყნებიდან ბრუნდებიან“.

აი, „არილის“ მთავარ რედაქტორს რა ჰგონია, ანდა შეიძლება არცა ჰგონია, მაგრამ რალაც მიზეზით მაინც ძალდაძალ ცდილობს ჭეშმარიტ ლიტერატურად შემოგვასაღლოს ამ ორივე მოთხრობაში უხვად დახვავებული ეს აბსურდული და უადგილო, თითებიდან გამონოვილი ლაზღანდარული უფანტაზიო ფანტასტიკა.

ამგვარ მანერულ, უღიმღამო ფანტასტიკაზე მსჯელობისთვის შეიძლებოდა აქვე დამესვა წერტილი, მაგრამ იძულებული ვარ, ცოტა რამ კიდევ დავამატო, ვინაიდან ბოლო დროს ქართულ მწერლობაში მოსულმა ახალუხლების ერთმა ნაწილმა ამგვარი ჯაგლაგი ფანტასტიკა გურიის დაბურულ ტყეებს დაამსგავსა: როგორც გასული საუკუნეების ფირალები იმ ტყეებს შეაფარებდნენ ხოლმე თავს, რათა ხელისუფლებისთვის მიუწვდომელნი ყოფილიყვნენ, ისე ზოგიერთი ჩვენი კალმოსანიც – როგორც კი ისედაც მწირი მხატვრული საფანელი ამოელვა – მაშინვე სახელახელოდ გამოგონილ პრიმიტიულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფანტაზიო ფანტასტიკას შეაფარებს ხოლმე თავს და იმედოვნებს, რომ თავის ნებაზე ითარეშებს: რაც პირზე მოადგება, იმას წამოიძახებს, როგორც თვითონ მოიპრიანებს, თავის გმირებს იმას ჩაადენინებს, პასუხს კი ვერავინ მოსთხოვს! ანდა, ვის რა ესაქმება – ეს ხომ ფანტასტიკის სფეროა და არა მკაცრი რეალობა!!!

ეს აბსოლუტურად ყალბი, დამღუპველი წარმოდგენაა! ფირალების ტყეში იძულებით თავშეფარებას თუ ერთგვარი აზრი ჰქონდა იმ თვალსაზრისით, რომ მაშინდელი კომუნიკაციებისა და ტექნიკის პირობებში ისინი ხელისუფლებისაგან ზოგჯერ

მართლაც ხელმიუწვდომელნი რჩებოდნენ, მსგავსი რამ ლიტერატურაში გამორიცხულია, ვინაიდან აქ არ არსებობს ისეთი უანრი, სადაც უნიჭობა თავს დაიმაღლავდა და კრიტიკისაგან შეუმჩნეველ-ხელშეუხებელი დარჩებოდა! უკბილო, მოსაწყენი და არაფრის მომცემი ფანტასტიკის მოტრფიალებს შევახსენებ, რომ ამ სფეროში ზოგჯერ თვით დიდ მწერლებსაც კი მოსცარვიათ ხელი. ბელინსკი, რომელიც ყველაზე პირველი და ყველაზე დიდი თაყვანისმცემელი იყო გოგოლის იშვიათი ტალანტისა, პრინციპულად შენიშნავდა.

**“Портрет” есть неудачная попытка г. Гоголя в фантастическом роде, здес его талант падает... Вообще надо сказать, фантастическое как-то не совсем дается г. Гоголю”.**

\* \* \*

ერთი დაუკვირდით, როგორ და რით მთავრდება მოთხრობა.

70 „სად არის სამართალი, ჰა, სოსო?! სად, სად ეშმაკში იმალები, ღმერთო?!

ჯერ ერთი, მთლიან მოთხრობას თუ ჩაუკვირდებით, ადვილად დავინახავთ, რომ სიუჟეტური და მხატვრული თვალსაზრისით მასში სულაც არ იგრძნობა ღმერთის შეწუხების საჭიროება ან აუცილებლობა. მაგრამ ავტორს რაკი არ ჰყოფნის მხატვრული ალლო და მტკიცედ გადაუნყვეტია, გინდა თუ არა, თავისი ნაწარმოები მაინცდამაინც ღმერთისადმი მიმართვით დაავიკრავინოს, მაშინ სამართლიანად მაინც მოექცეს, თორემ რა გამოვიდა? სამართლის მძებნელი ექიმი კაცი ღმერთს სრულიად უსამართლოდ უკიდურესობამდე შეურაცხყოფს: სად ეშმაკში იმალებიო!

კი მაგრამ, ღმერთს რა სჭირს დასამალი და ისიც ეშმაკში?!

გაგონილა მეტი სიბეცე, უსამართლობა და მკრეხელობა?!

მართლაცდა, სად არის ან სამართალი, ან გონებაფხიზელი რედაქტორი, ან გამომცემლობის ალლოიანი მუშაკი?! თუმცა რომელ სამართალზელა შეიძლება ლაპარაკი, როცა ამგვარი

მდარე ტექსტი ჯერ ლიტერატურულ ჟურნალში დაბეჭდეს, მერე კი წლის ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ მოთხრობად გამოაცხადეს!

ღმერთისადმი პათეტიკური მიმართვით თავისი ნაწარმოების დაგვირგვინება ბოლო დროს ლამის მოდად აქციონ. ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ 2004 წლის მე-3 ნომერში დაბეჭდილი ახალგაზრდა მწერალ რეზო თაბუკაშვილის მოთხრობაც „გემების ჩრდილქვეშ“ სრულიად ულოგიკოდ ღმერთისადმი მჩაბტე პათეტიკური მიმართვით მთავრდება.

**„საით მიმყავხარ, ღმერთო?!“**

ამის ნაკითხვამ შემაკროთო და შემაცბუნა: ვისაც მოეპრიანება, ღმერთს ასე თამამად რომ ჩაავლოს ხელი და თავის ქეიფზე ატაროს, რა გამოვამეთქი! მართლა დავიბენი, რადგან თავიდან ვერაფერს მივხვდი: პერსონაჟმა რა საბუთით ჩაავლო ღმერთს ხელი, ხოლო რაკი ჩაავლო, ის მაინც ხომ უნდა იცოდეს, რისთვის ჩაავლო და საით მიჰყავს?! თორემ გასაშტერებელი გარემოება იქმნება – პერსონაჟს სადღაც ნასაყვანად ღმერთისთვის ხელი კი ჩაუვლია, მაგრამ აღარ იცის, ან აღარ ახსოვს თუ ველარ გადაუნყვეტია, საით წაიყვანოს და დაბნეული ისევ ღმერთს ეკითხება – ღმერთო, საით მიმყავხარო?

რა ქნას, რა უპასუხოს ღმერთმა დავთრებარეულ პერსონაჟს?!

ტვინის ჭყლეტა დიდხანს არ დამჭირდა: მოთხრობას კარგად რომ ჩაუუკვირდი, თან ისიც გამახსენდა, ჟურნალი ვის ხელშია ჩავარდნილი, უმალ თვალიც ამეხილა და შვებით ამომესუნთქა!

პერსონაჟს ღმერთისთვის ხელი კი არ ჩაუვლია, არამედ პანია ოიდიპოსუკასავით ცდილობს გაერკვეს თავის ბედ-ილბალში და სურს, ღმერთს შესაშური მოკრძალება-მოწინებით შეაღალადოს – საით მიგყავს ჩემი თავიო! მაგრამ ილბალი არ გინდათ – ავტორსაც და რედაქციის მესვეურებსაც ზმნის უღვლილება შემლიათ. ამიტომ უნდა იყოს არა „საით მიმყავხარ, ღმერთო?!“, არამედ „საით მიგყავარ, ღმერთო?!“ და მაშინ ყველაფერი თავის ადგილას დგება!..

არც სურვილი და, ცხადია, არც იმდენი დრო და ძალ-ღონე გამაჩნია, უკანასკნელი წლების თანამედროვე ქართული პროზა



თავიდან ბოლომდე წავიკითხო. ამიტომ არ ვიცი, თავის ნაწარ-  
მოებში კიდეც რამდენმა ახალგაზრდა მწერალმა როდის ან რო-  
გორ მიმართა, ანდა მომავალში რანაირად მიმართავენ ღმერთს.  
ამიტომ მუხლმოყრით ვიხვეწები: სანამ უშუალოდ ღმერთს მი-  
ვმართავდეთ, ჯერ თვითონ ჩვენი თავბედისა გავიგოთ და რი-  
გიანად გავერკვეთ, რა გვსურს უზეშთაესისგან, თორემ უხერხ-  
ულია ამგვარი ჩიქორთული ქართულითა და მკრეხელური აზრ-  
კილოთი ღმერთთან ლაპარაკი.

\* \* \*

მართალია, ავტორი ერთადერთ მთავარ პერსონაჟს, ქართველ ექიმ მამაკაცს მეგობრისადმი მოწერილ წერილში თავიდანვე რაღაც საეჭვოდ ათქმევინებს ასეთ რამეს: „აქამდე ასე მიყრილად არაფერი მინერია, რაც კი თავში მომდის, ყველაფერს დაუფიქრებლად ვყრი ფურცელზე. სინტაქსსა და მისთანებს მაინცდამაინც ნუ მიაქცევ ყურადღებას. გახსოვს, ალბათ, კალმით ხელში არასოდეს ებრწყინავდი“-ო, მაგრამ ეს მწერალს როდი ათავისუფლებს ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან. უფრო მეტიც, ტექსტს პირდაპირ კოჭებზე ეტყობა, რომ ეს ამდენი სახის ლაფსუსები სწორედ ავტორისეულია.

იგი წერს: ყოფაცხოვრება, ბიო-ანძა, მედ-პუნქტი, ბიო-კოს-მოსი, დამმართნოდა, ღურბინდი, ეკალ-ბარდი, ძროხების ჯოგი, კაი ხანს, ზემოთნახსენები, ანახე, ერთი-მეორეზე, წვდებოდნენ, გამინყეს, მანახეს, ბოლო-ბოლო, ფეჩი, ხმისამოუღებლად, სერვანდი, ბალახ-ბულახი, ფხალისმაგვარი, იძროდა, გადანევედა, მოვიკრიფე ნებისყოფა, გამოანვევინებ ჩემს თავს, ავან-ჩავანი, თეთრ ხალათში იდექი, ვერტმფრინავი...

უნდა იყოს: ყოფა-ცხოვრება, ბიოანძა, მედპუნქტი ან სა-მედიცინო პუნქტი, ბიოკოსმოსი, დამმართვოდა, ჭოგრიტი, ეკალბარდი, ნახირი, კარგა ხანს, ზემოთ ნახსენები, ანახე, ერთიმეორეზე, სწვდებოდნენ, გამინყვეს, მანახვეს, ბოლოს და ბოლოს, ღუმელი, ხმის ამოუღებლად, სერვანტი, ბალახბულახი, მხლისმაგვარი, იძვროდა, გადასწევედა, მოვიკრიბე ნებისყოფა, გამოანვევინებ ჩემ თავს, ავანჩავანი, თეთრი ხალათით ან თეთრხალათიანი იდექი, შვეულმფრენი...

პატივცემულო მკითხველებო, ნებისმიერი ნაწარმოები ჯერ ლიტერატურულ ორგანოში რომ დაიბეჭდოს, მერე კი გამომცემლობამ წლის საუკეთესო მოთხრობად აღიაროს და ცალკე წიგნში შეიტანოს, ხომ წარმოგიდგენიათ, ამგვარმა ტექსტმა რამდენი მუშაკის ხელში უნდა გაიაროს?! მაშ, რანაირადღა იპარება ამდენი შეცდომა და რა არის ეს: პროფესიული უგულისყურობა, ერთმანეთის დამლუპველი მოიმედება თუ ბოლო დროის საშინელი სენი – დემოკრატიის მანტიით მოპარპაშე თავანყვეტილი ანარქია, ყველა სფეროდან გეგმაზომიერად რომ ერეკებიან გამოზრდილი კადრებს და მათ ადგილას სრულიად გამოუცდელ, პროტექციით აყვანილ უვიც-უდარდელა ახალბედებს აბატონებენ...

„ცოცხალი კუ ჰქონდა ამოჩრილი“. – წერს ავტორი.

რიგითი მუშაკი თუ ვერა, ნუთუ მთავარი რედაქტორი მაინც ვერ ხვდება, რომ აქ უნდა იყოს „ჰყავდა“ და არა „ჰქონდა“.

„ღვინო დანურა“.

არამცთუ რედაქცია-გამომცემლობის მუშაკმა, არამედ რიგიანმა ზრდასრულმა ქართველმა ეს მაინც უნდა იცოდეს: ღვინოს კი არა, ყურძენს წურავენ ხოლმე! ღვინოს რალა დანურვა უნდა – დანურულიც არის და დაყენებულიც! მოკლედ, ყურძენს წურავენ, ღვინოს აყენებენ, არაყს ხდიან!

„ყველა ჩემკენ იჩრდილავდა შუბლს“.

ჯერ საერთოდ, და, მით უმეტეს, აქ, სოფლელები შუბლს კი არა, თვალებს იჩრდილავენ!

„სოფლის მეორე მხარეს უზარმაზარი ანძა იყო აღმართული, ჩემო სოსო. ფორმით ეიფელის კოშკს ნააგავდა, თუმცა შორიდან კიდევ უფრო მაღალი ჩანდა“.

უფრო მაღალი შორიდან როგორ გამოჩნდებოდა?! პირიქით, კოშკი, ანძა, შენობა თუ ხე ახლოდან გვეჩვენება ხოლმე უფრო მაღალი და არა შორიდან!

„ჩემო სოსო, ხომ იცი, რა უბედურ-ამაზრზენი არსებაა ადამიანი“. – გადაჭრით აცხადებს ავტორი.

ცალკეული პიროვნება შეიძლება მართლაც ასეთი, ანდა ამაზე უარესიც იყოს, მაგრამ ზოგადად ადამიანი რატომ არის უბედური და, მით უმეტეს, ამაზრზენი არსება?!  
73

„სოფელი პატივა სამი ათასი მეტრის ზეგანზეა გაშლილი“.  
– გვარნმუნებს ავტორი, მაგრამ მკითხველმა როგორ გაიგოს, ეს სამი ათასი მეტრი რას განსაზღვრავს: ზეგანის სიგრძეს, სიგანეს თუ ზღვის დონიდან მის მდებარეობას?! მართალია, გარემოების მიხედვით მკითხველი კი თავისით ხვდება, რომ ავტორი სოფლის ზღვის დონიდან მდებარეობას გულისხმობს, მაგრამ წიგნიერ ქართველს და, მით უმეტეს, მწერალს არ ეპატიება ჩვენი პატარა სამშობლოს ელემენტარული გეოგრაფიის უცოდინარობა: სოფელი უშგული ითვლება ერთ-ერთ ყველაზე უმაღლეს დასახლებულ ადგილად ევროპაში – იგი ზღვის დონიდან 2 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ავტორმა თავისი ფანტაზიით გამოგონილი არარსებული სოფელი პატივა ასე უსაბუთოდ მთელი 800 მეტრით (!!!) რასთან დაკავშირებით აამაღლა უშგულზე?! ეს არაფერს მატებს მოთხრობას, თორემ პა, თუგინდ ვეერესტს ააცილოს!

„ჩემო სოსო, პისტოლეტი სოფელ პატივაში ჯერჯერობით არაფერში დამჭირვებია, რადგან საამისო საბაბი არავის და არაფერს მოუცია“.

ავტორს აბსოლუტურად არ გააჩნია ენის ცოდნა და აზრის ბუნებრივად ჩამოყალიბების უნარი: მას ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია სიტყვები – მიზეზი და საბაბი. მართლა მიზეზიც რომ მისცენ, დედაქალაქიდან მთის სოფელში მივლინებულმა ექიმმა ჯერ მაშინაც კი უნდა გამოიჩინოს იმდენი კეთილგონიერება და თავდაჭერა, რომ თავიდან აიციდინოს რაიმე არასასურველი ინციდენტი და როგორ, საბაბს, ანუ განზრახ გამოგონილ მიზეზს უცდის თუ ეძებს გაზის პისტოლეტის გამოსაყენებლად?!

„ტელეფონებში ჩურჩული ატეხეს“.

ნეტავი ამქვეყნად ვინმეს თუ შეუძლია წარმოდგინოს ანდა ძალუძს ჩურჩული ატეხოს?! შეიძლება აჩურჩულდნენ, იჩურჩულონ, ჩურჩული დაიწყონ, გააბან, მაგრამ ატეხონ?! ჩურჩული სროლა, აყალმაყალი, ღრიანცელი, ცემა-ტყეპა, გნიასი, ყიყინი, სიცილ-ხარხარი, ალიაქოთი, ყეფა, წივილ-კივილი და სხვა მისთანა რაშ ხომ არ არის, რომ ატეხონ?!

„ეზოს ბოლოში ერთსართულიანი, ბოლომდე გაჩახჩახებული სახლი ილანდებოდა. ყველა ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა“.

ო, ღმერთო!.. ილანდებოდაო! ჰმ! რას ნიშნავს ეს სიტყვა? ილანდება (დაილანდა, დალანდულა) კუთხ. (იმერ. გურ.) – ოდნავ ჩანს, გამოჩანს.

ჰოდა, ახლა თავად განსაჯეთ: თუკი სახლი „ბოლომდე გაჩახჩახებული“ იყო და თანაც „ყველა ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა“, მაშინ მასზე რაღა პირით უნდა ითქვას, ილანდებოდაო?! რა ჰქვია ამ ყაიდაზე აზროვნებასა და წერას?!

„შემის მაგივრად ძროხის გამხმარ ფუნას ახვავებენ“. „იქვე ძროხის გამხმარი ფუნის პატარა გორა იდგა“. „ძროხის გამხმარი ფუნაა პირველი გამათბობელი საშუალება სოფელ პატივაში.“ – წარამარა ჩაგვჩიჩინებს ავტორი.

მოთხრობა მართლა რეალისტურად რომ იყოს გააზრებული და არა თითებიდან გამოწოვილი, მაშინ ავტორს ეცოდინებოდა: ძროხის გამხმარ ფუნას ნივა ჰქვია და ერთი ზუსტი სიტყვის მაგიერ ნამდაუნუმ ტექსტს ზედმეტი ორ-ორი სიტყვით აღარ გადატვირთავდა.

„ერთი კვირაა გასული ჩემი აქ ჩამოსვლიდან“.

ავტორი აი, ასე ალაპარაკებს თავის პერსონაჟს, ზღვის დონიდან სამი ათას მეტრზე მდებარე მთის სოფელში რომ ასულა თბილისიდან!

აქ უსმინეთ, რას გაიძახის ავტორი.

„ქიმიო ხომ გახსოვს, ჩემო სოსო, მთელი მენდელეევის (უნდა იყოს მენდელეევის. ჯ. მ.) ტაბულა ხომ შიგა გვაქვს ადამიანებს“.

მერწმუნეთ ადამიანურად, სულაც არ მინდა, ბუზი სპილოდ ვაქციო თუგინდ იმიტომ, რომ თავად ერთი რიგითი პროზაიკოსი ვარ და შეიძლება ხვალ-ზეგ ამაზე უფრო ტლანქი უხამსობა მეც გამეპაროს, მაგრამ ნუთუ ჯერ „არილის“ რედაქციაში, მერე კი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში“ ერთი მუშაკი მაინც არ აღმოჩნდა, რომლის პიროვნულ სიფაქიზეს, ლიტერატურულ გემოვნებას თუ პროფესიულ სიფხიზლეს შეაკრთობდა ამ ფრაზის უწმანური ჟღერადობა-მინიშნება და უფრო მოსათმენ მხატვ-

ვრულ ფორმასა და აზრს მისცემდა?! თქვენც არ მომიკვდეთ!.. არავინ არაფერი არ იცის! არავინ არაფერს არ უკვირდება! არავის არაფერი არ ადარდება! არავის არაფერი არ აინტერესებს! არავინ არაფერზე არ დაისჯება – ლიტერატურულ-ბიუროკრატიული კონვეიერი თავისით მირახრახებს!.. თანაც რა არის ამ მოკლე და მარტივ ფრაზაში ამდენი „ხომ-ხომ“-ის ძახილი?! ანდა, მენდელეევის რა ტაბულაზე გველაპარაკება ავტორი? არსებობს დ. მენდელეევის მიერ 1869 წელს აღმოჩენილი ელემენტთა პერიოდული სისტემა და არა რალაც ზოგადი ტაბულა.

„საზოგადოებრივ საპირფარეშოში, ალბათ, ყოფილხარ, ჩემო სოსო და იქაური სიმყრალეც უნდა გახსოვდეს. პირდაპირ გეტყვი, მიახლოებით მსგავსი სურნელი იდგა“...

ავტორი უფრო დაკვირვებით უნდა მოეპყროს თითოეული სიტყვის მნიშვნელობას. რა არის სურნელი? სასიამოვნო სუნი, – არომატი. ჰოდა, აბა, სად საზოგადოებრივი საპირფარეშოების სიმყრალე და სად – სურნელი?!

76

„ვეცადე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.) ორ სიტყვაში... ამეხსნა ჩემი ვიზიტის მიზეზი“.

აბა, რა ფასი აქვთ ამგვარი ლიტერატურული ჟურნალისა და გამომცემლობის სტილისტებს, ლიტმუშაკებს, რედაქტორებს, მთავარ რედაქტორებს, რომლებიც ბაიბურში არ არიან, რომ ეს „ორ სიტყვაში“ რუსულის ყბადაღებული კალკია (В двух словах) და ნემსივით იჩხვლიტება, ჭინჭარივით ისუსხება!

უნდა იყოს „ორი სიტყვით“ და არა „ორ სიტყვაში“.

„დეტალებში გავუმეორე ყველაფერი“.

აქაც იგივე! უნდა იყოს „დეტალურად გავუმეორე ყველაფერი“.

აბა, მოთხრობის ეს ადგილი გავიხსენოთ. რაკი მაღალმთიან სოფელში სამანქანო გზა არ მიდის, იქ მივლინებულ კოკას სამსახურის მძღოლი „ვილისით“ ერთ-ერთ რომელიღაც ქვედა სოფლამდე აიყვანს, თვითონ კი თავისი „ვილისით“ ისევ უკან დაბრუნდება. მთავარ პერსონაჟს აქ ამავე პროგრამით უფრო ადრე მივლინებული კოლეგა-ძმაკაცი, შიო დახვდება.

აი, ავტორი ამას როგორ გადმოგვცემს.

„მძლოლმა „ვილისით“ ქვედა სოფელში დამტოვა, მედ-პუნქტში, სადაც ამავე პროგრამით, ჩვენი შიო დამხვდა განაწილებული“.

ეს არის საგნებისა და მოვლენების მწერლური ჭკრეტათხრობა?!

ბარემ ამ წინადადებების სინტაქსსაც დააკვირდით.

„სულ რაღაც ერთი კვირაა ჩემი აქ ჩამოსვლიდან გასული“. „გაიშვირა გაქუცულმა კაცმა ხელი ბიჭისკენ“. „გადაუსვა გაქუცულმა კაცმა ბიჭს თავზე ხელი“. როგორია?

აბა, ან ამ სიტყვების სულმოუთქმელ დომხალს დაუკვირდით, რომლებსაც ერთი ობოლი სასვენი ნიშანი „მძიმეც“ კი არ აწესრიგებს.

„ესენი მე არ ვიცი საერთოდ ვინ არიან“.

მეც რაღა ძალი მადგია – თუკი მართლა ეს არის გამართული ქართული, მაშინ მეც ასე ამოვიძახებ: „ესენი მე არ ვიცი საერთოდ ვინ არიან!!!“ და ამ მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელში „ესენი“ ვგულისხმობ რედაქცია-გამომცემლობის იმ მუშაკებს, რომლებმაც ჯერ ამ უმდარესი ტექსტის შეფასება-რედაქტირება მოახდინეს, მერე ჟურნალში დაბეჭდეს, ბოლოს კი 2005 წლის ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ მოთხრობად გამოაცხადეს!

\* \* \*

ოპონენტებს არ ეგონათ, მათგან მაინდამაინც შედევრს ვითხოვდე, თუმცა ვინ იტყვის უარს, თუკი ასეთი რამ დაიბადება! მოდი, ახლა თუგინდ თვით ოპონენტების წისქვილზე დავასხამ წყალს: სუსტი, უხეირო მოთხრობების მეტი რა დაბეჭდილა ამქვეყნად, მაგრამ ბევრ მათგანში რედაქტორს აცდუნებს, ხოლო გამოუცდელ მკითხველს ატყუებს ხოლმე ამ სუსტი მოთხრობის ერთ-ერთი რომელიმე დადებითი მხარე და ამიტომ თვითონ ნაწარმოებიც მთლიანად კარგი ჰგონია! რომელი ღირსება შეიძლება ბრწყინავდეს სუსტ ნაწარმოებში? მაგალითად: საინტერესო სიუჟეტი, დამაჯერებელი პროლოგი, თხრობის სიტანაბრე და პროპორციულობა, ნაწარმოების შეკრულობა, ავტო-

რის ნატიფი აზროვნება, საგნებისა და მოვლენების მწერლური ჭკრეტა, მთავარი სათქმელის მოხდენილი ხაზგასმა, კვანძის ოსტატური განასკვა-გახსნა, ბუნებრივი ფინალი, ოპტიმისტური მუხტი, უნაკლო მართლწერა, ძარღვიანი თხრობა, ფერად-ფერადი ფრაზები, ცოცხალი დიალოგები, კოპნია კომპოზიცია, მხატვრული ფორმის პლასტიკურობა, გონებამახვილური გამოთქმები, ავტორის განათლება-განსწავლულობა თუ ცხოვრებისეული გამოცდილება, დახვეწილი სტილი, მდიდრული ლექსიკა, ლოგიკური გადაბმა-გადასვლები, ეროვნული ტიპაჟი, ხალასი იუმორი, მიზანში მორტყმული სარკაზმი, ჯანსაღი ირონია, ანალიტიკური მსჯელობა, ლოგიკური დასკვნები, ბუნების ცინცხალი სურათები, მხატვრულობით გამორჩეული რომელიმე სცენა თუ ადგილი და მრავალი სხვა!

ახლა ოპონენტებს ვთხოვ, დამისახელონ ბესო ხვედელიძის ამ მოთხრობის თუგინდ ერთადერთი ღირსება, რომელმაც ისინი მოხიბლა ან მოისყიდა! არსებითად, ეს არის არა თუგინდ სუსტი მოთხრობა, არამედ მკითხველის გამაოგნებელი შეუპოვარი წყლის ნაყვა. თხრობასა და შინაასრსს არც რაიმე შინაგანი აზრი გააჩნია, არც რაიმე სიღრმე, სიზუსტე, დამაჯერებლობა, მიმზიდველობა..

78

მკითხველს თავგზას უბნევს და უდიერად აწამებს სრულიად უთანაბრო ტექსტის ერთმანეთში უპასუხისმგებლოდ და ულოგიკოდ აღრეული რეალისტური თხრობის, ზღაპრის, იგავ-არაკის, სარკაზმის, მეცნიერული კვლევის, რეპორტაჟის, დოკუმენტური ნარკვევის, ფოლკლორული ძიების, მდარე ირონიის, ფანტასტიკის, უკბილო იუმორის, პამფლეტის თუ აბსურდის უმარილო და უმიზნო ელემენტები.

მოთხრობის ერთადერთი „ღირსება“ ეს არის: ავტორი მთელი ნაწარმოების მანძილზე თავგანწირულობამდე მისული მონადინებით ძაბავს და ავარვარებს, პირდაპირ სიმების დანყვეტამდე ჭიმავს სიტუაციას, რაც, სამწუხაროდ, მკითხველზეც გადადის!

„- რატომ სამწუხაროდ? - გაკვირვებით შემომეკითხება ზოგიერთი, - ნამდვილ ნაწარმოებში განა სწორედ ასე არ უნდა ხდებოდეს?“ დიახ, მაგრამ როცა მოთხრობა ჩამთავრდება, მო-

ტყუებულ მკითხველს თვალი ეხილება - ეს ხელოვნური დაძაბულ-დაჭიმულობა არავის და არაფერს ემსახურება და თავიდან ბოლომდე თურმე გრაფომანული ბლეფი ყოფილა!!!

\* \* \*

ნებისმიერი ლიტერატურული ჟანრის ნაწარმოები პირველ რიგში ცოცხალი, ცხოვრებისეული პერსონაჟებით ფასდება! აქ? რაკი ავტორს არ გააჩნია გამოკვეთილი იდეა (ყოველ შემთხვევაში, მოთხრობას ეს არ ეტყობა!), ამიტომ, ბუნებრივია, არც ის იცის, ვინა და როგორი უნდა იყოს მისი მთავარი გმირი. დაუკვირდით მოთხრობას: აბსოლუტურად თითებიდან არის გამოწოვილი ამ ერთადერთი, უსისხლხორცო და უსახური კარიკატურული პერსონაჟის მსჯელობა, ვნებები, გრძნობები, განცდები, წარმოდგენა, დაკვირვება, სურვილი, პრეტენზია, ჟინი, მისწრაფება, ახირება, ჩივილი, მუდარა, სასონარკვეთა, მუქარა, გულახდილობა...

ეს სქემატური პერსონაჟი აგერ, რას სწერს თავის ძმაკაცს.

„ხომ იცი, რა ჩათლახიც ვარ!“

ბრავო!.. ბრავისიმო! მართლა სანიმუშო პიროვნება და სპეციალისტი ყოფილა ეს ჩვენი მთავარი პერსონაჟი!!

მკითხველი რომ არ გადავღალო, სპორტულ ტერმინოლოგიას მოვიშველიებ: ალაღბედა ავტორმა აქ სრულად მოულოდნელად საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ელვისებური წირვა გამოუყვანა როგორც მთავარ პერსონაჟს, ისე მთლიანად თავის მოთხრობას! აქ აშკარა გახდა დამალონებელი სინამდვილე: ავტორი სრულიად ანგარიშმიუცემლად, არამწერლურად ისვრის ნებისმიერ სიტყვას, რაც კი პირზე მოადგება და არ იცის, როგორ შეასხას ხორცი თავის იდეას - თუკი ასეთი მართლა გააჩნია! - რათა ამ ერთადერთ გმირს მკითხველთა თანაგრძნობა მოუპოვოს, ნაწარმოებს - მხატვრული დამაჯერებლობა.

მთვარი პერსონაჟი თუკი მართლა ასეთი აუგიანია და ეს კარგად იცის როგორც თვითონ, ისე მისმა ძმაკაცმა, ჯანდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანმაც, მაშინ რალა ფასი აქვს



მის კაცობას და ექიმობას, ან რა აზრი ჰქონდა ამისთანასთან კონტრაქტის დადებას და მთის სოფელში დიდი ამბით ექიმად მივლინებას?! ანდა, დასაწყისშივე ამგვარი სამარცხვინო დახასიათება-ალიარების შემდეგ რაღა აზრი უნდა ჰქონოდა მოთხრობის გაგრძელებას – ნუთუ ავტორს გულწრფელად სჯეროდა ან ახლაც სჯერა, რომ აბუჩადაგდებული მკითხველი გულთან მიიტანს ვილაც მკვებარა „ჩათლახი“ ექიმის ამ აბსურდულ გოდება-მუდარას?

\* \* \*

ყოველგვარ მხატვრულ ნაკლოვანებასაც რომ თავი დავანებოთ, საქართველოს მთის ყოფა-ცხოვრების თემებზე შექმნილი ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ბაჩანას, თედო რაზიკაშვილის, შიო არაგვისპირელის, მიხეილ ჯავახიშვილის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო ასათიანის, მირზა გელოვანის, გაბრიელ ჯაბუშანურის, რევაზ მარგიანის, გიორგი გიგაურის, გურამ რჩეულიშვილის, ალაზა ხაიაურის, ვალერიან საღლიანის, ირაკლი, შოთა, შაბურა, ალუდა, კობა, მინდია, ბალათერ არაბულების, ირაკლი გოგოლაურის, ვალერიან ჩუკურიშვილის, გივი ბუთხუზის, ჯარჯი ფხოველის, ბესიკ და გოჩა ხარანაულების, მირონ ხერგიანის, გიგი და ვაჟა ხორნაულების, ფარნაოზ რაინაულის, ტარიელ ხარხელაურის, დავით მჭედლურის, ვაჟა ჩორდელის, ბორენა ჯაჭვლიანის, გიორგი ცოცანაიძის, ომარ თურმანაულის, იზა ჯაჭვადის, ეთერ თათარაიძის, ალექსანდრე გაბურის, გოდერძი ჩოხელის, მარინე ნონკოლაურის, ერეკლე საღლიანის და ბევრი სხვა ქართველი კალმოსნის რეალისტურ მხატვრულ ნაწარმოებებს ნაზიარებმა ჩვენმა მკითხველმა როგორ, რანაირად უნდა მიიღოს ეს გულის ამრევი, ლიტერატურული იდეალებისა და ღირებულებების, მწერლობის, მკითხველების, მთის, ბარის, საერთოდ, ადამიანური ღირსების შეურაცხმყოფელი პათოლოგიური პასკვილი, სადაც ზიზღმომგუბებული და ცხვირზე თითებმოჭერილი ჩიტირეკია პერსონაჟი პირუტყვივით ბუზებდახვეულ მთიელებში ქუჭყის,

ნების, ოფლის, განავლისა და საპირფარეშოს მყრალი სუნის მეტს სხვას ვერაფერს გრძნობს და ხედავს, და სადაც თურმე

„სახლებს გარედან და შიგნიდანაც ლამის კვირაში ერთხელ მაინც, შინაური ცხოველ-ფრინველისა (ძირითადად ძროხის) და საკუთარი განავლით ლესავენ“.

აქ უკვე თავდამცირებად მიმაჩნია ჩვეულებრივი ლიტერატურული კრიტიკის ენით მსჯელობა. ამიტომ ერთი ძველი ანეკდოტის გახსენებით მოვრჩები.

პროვინციული პატარა ქალაქის ქსოვილების მაღაზიაში მოულოდნელად ერთი უცხო მამაკაცი შევიდა და მუშტარგამოლეულ, ჩასუქებულ უღვაშა ნოქარს ძვირფასი სახოვანი აბრეშუმის ქსოვილის სქელ თოფზე ანიშნა.

– ასი მეტრი მომიჭერთ!

სარფიანი მუშტრის გამოჩენით გამოცოცხლებულმა ნოქარმა უმალ გადაუზომა ასი მეტრი ქსოვილი და გადაუჭრა.

უცნობმა შუბლზე ჩაფიქრებით მიიღო თითი.

– ეგ ასი მეტრი ახლა ოც-ოცმეტრიანებად დამიჭერთ!

ნოქარმა გერგილიანად შეასრულა მყიდველის ნება-სურვილი.

მუშტარმა შუბლზე ხელახლა მიიკრა თითი და უფრო ღრმად ჩაფიქრდა.

– ბარემ ეგ ოცმეტრიანი ნაჭრები სულ თითო-თითო მეტრად დამიჭერთ!

დახლიდარმა ეს დავალებაც უსიტყოდ შეასრულა და მეტრ-მეტრიან ნაკუნებს შესახვევად დაუნყო დალაგება.

– არა, არა, მოიცადეთ! – შეაჩერა მუშტარმა, – ახლა აიღეთ მაკრატელი და თითოეულ ნაჭერს უნაკლოდ ამოაჭერთ ყვავილები!

უბედურ ნოქარს ახლა კი აეხილა თვალი და საცოდავად შეპბლავლა.

– კაცო, შენ სულელი ხომ არა ხარ?!

– სულელი ვარ, აბა, რა ვარ! – უტიფრული სიმშვიდით მიუგო უცნობმა, გავიდა გარეთ და გაქრა.

ჩემი აზრით, აქაც დაახლოებით მსგავს გარემოებასთან გვაქვს საქმე.

მიმნდობი მკითხველი მთელი გატაცებითა და სინრფელით იწყებს ამ მოთხრობის კითხვას, მაგრამ თანდათან ყველაფერზე თვალი ეხილება და აბუჩადაგდებულმა ბოლოს იმ უბედური ნოქარივით რომ შეჰბლავლოს ჟურნალ „არილის“ რედაქტორს: ეს სადაური მოთხრობაა – თქვენ მე მართლა დებილი ხომ არ გგონივართო, „არილის“ რედაქტორმა – თუკი მას გააჩნია ხალასი ლიტერატურული გემოვნება, სინდისი და ვაჟკაცობა – იმ უცხო მუშტრის ყაიდაზე უნდა უპასუხოს უბედურ მკითხველს: დებილი მგონიხარ, აბა, რა?! დებილი რომ არ მგონებოდი, ამგვარი გრაფომანული აბდაუბდის შემოთავაზებას ისე რა გამაბედვინებდაო!

ჟურნალმა „არილი“ დაბეჭდა კოტე ჯანდიერის მოთხრობაც „გლობალიზაცია“.

ორცეცხლშუა ვინვი, რადგან ვერ გადამინყვეტია, საიდან და როგორ დავინყო. გადაჭრით ნამოვიძახო: ეს უმდარესი და უთავბოლო ტექსტი პროტექციით ჯერ ჟურნალში დაბეჭდეს, მერე კი წლის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობადაც გამოაცხადეს-მეთქი, ვაითუ ასე არ იყოს და ამით შეურაცხყოფილმა ოპონენტებმა მერე იწყინონ – რას გვერჩი, ცილს რაზე გვნამებო! ხოლო თუ არავითარ პროტექცია-წრეობანას არ ჰქონდა ადგილი და ოპონენტებს ეს ტექსტი მართლა მოთხრობა ჰგონიათ, მაშინ ისლა დამრჩენია, დამშვიდებული სინდისით განვაცხადო – ისინი მხატვრული ლიტერატურის გაგებისაგან ისე შორს მდგარან, როგორც პლანეტა პლუტონი მზისგან!

რა არის მოთხრობა, როგორი უნდა იყოს მოთხრობა?

83

აი, ქსე ტერმინ-სტატიის „მოთხრობა“ ერთ-ერთი პასაჟი.

„რომანთან შედარებით მცირეა მოთხრობის წარმოსახვის მასშტაბი, ცხოვრების ჩვენების სირთულე; სიუჟეტი მარტივია, თხრობა – კონდენსირებული; შეზღუდულია პერსონაჟთა რაოდენობა; არ არის ნაჩვენები კონფლიქტების განვითარების, ხასიათის ფორმირების მრავალმხრივი პროცესი, ფართო ეპოქალური სურათები. მოთხრობაში ყურადღება გამახვილებულია უპირატესად კონკრეტულ მოვლენაზე, რომელიმე პერსონაჟის ბედზე“.

რამხელაა „გლობალიზაცია?“ იგი სულ 24 ფურცელია.

პერსონაჟთა მოქმედების არეალი? კახეთი, ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი, სტალინგრადი, ნოვოროსიისკი, ვორონეჟი, მოსკოვი, მორდვეთი, უკრაინა, ბელორუსია, ლიტვა, გერმანია, პარიზი, თურქეთი, ფინეთი, ინგლისი, პოლანდია, იტალია, საბერძნეთი, აშშ...

დროის რამხელა მონაკვეთს მოიცავს ნანარმოცი?

ო, აქ იგი თვით ლევ ტოლსტოის უზარმაზარ რომანსაც კი - „ომი და მშვიდობა“ მთელი 70 (!!!) წლით აჭარბებს!

როგორც იცით, „ომი და მშვიდობა“ იწყება 1805 წლის ივლისში ფრეილინა ანა შერერთან გამართული წვეულებით და არსებითად ასე მთავრდება.

“Наташа вышла замуж весной 1813 года, и у ней в 1820 году было уже три дочери и один сын”.

მოკლედ, თითოთ საჩვენებელი მსოფლიო კლასიკის ეს ერთ-ერთი ყველაზე გენიალური რომანი დროის მიხედვით სულ რაღაც 15-16 წელს მოიცავს.

კოტე ჯანდიერის მოთხრობა? იგი საქართველოს ისტორიის ყველაზე ტრაგიკულ, სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით დაღდაკრულ ეპოქას ეხება: 1916 წლიდან 2004 წლამდე – თითქმის საუკუნეს!!!

პერსონაჟთა რაოდენობა? თვალში საცემია დამალონებელი სინამდვილე: ავტორს ან არ სცოდნია, ანდა შეიძლება იცოდა კიდევ, მაგრამ ღმერთთან დაჭიდების კადნიერი ჟინით ატანილი ამირანივით ჩირადაც არ ჩაუგდია მსოფლიო ლიტერატურის პრაქტიკაში დამკვიდრებული აქსიომა – მოთხრობაში უკიდურესად შეზღუდულია პერსონაჟთა რაოდენობა, რომ აქ მწერლის ყურადღება უნდა გამახვილდეს ერთ-ერთ რომელიმე, გამოკვეთილ მოქმედ გმირზე!!!

მაინც ვინ არიან „გლობალიზაციის“ პერსონაჟები?

მოთხრობა გადატვირთულია პირველი, მეორე, მესამე... მეთათხარისხოვანი გმირებითა და ისეთი პიროვნებებით, რომლებიც ნანარმოებში უშუალოდ არ მონაწილეობენ, მაგრამ მათი დილექტანტური თუ სპეკულაციური ხსენება გარკვეულ გავლენას ახდენს დანარჩენ მოქმედ პირთა ცხოვრება-საქციელზე და შაბლონის დაღს ასვამს მოთხრობის იდეასა და მხატვრულ ღირსებას. შევეცდები, ყველა მათგანი დავასახელო.

უმთავრესი, ოღონდ უსახელო პერსონაჟია მთელი მოთხრობის მანძილზე შეუფერხებელი მონოლოგით მთხრობელი – თელავისა და ახმეტის რაიონების ფარგლებში მდებარე, გამოგონილ სოფელ კამეჩაანთკარში 1920 წელს დაბადებული, 84 წლის გლეხკაცი.

ტიტუ - მისი მამა, ვანა - პაპა, თამარა - მეუღლე, ანიჩკა - მისი ერთადერთი და, 1916 წელს იმავე სოფელში დაბადებული; ნალენჯიხელი ბოჩია პაჩკორია - ანიჩკას ქმარი; მათი ანუ ამ ანიჩკასა და ბოჩიას შვილები - მარინა და ეთერი; სერგო გოგოჭური - ამ მარინას ქმარი, ანდრო გოგოჭური - მარინას მამა. ამ მარინას „ორი შვილი რუსეთში ყაამ (კორექტურა არავის გეგონოთ - ავტორი მართლა ასე ალაპარაკებს თავის მთავარ პერსონაჟს! ჯ. მ.). ერთი თვალის ექიმი, მეორე კი აპერატორია, მოსკოვის ტელევიზიაში მუშაობს“. კლარა პაჩკორია - ბოჩია პაჩკორიას და; ბერძენი რამაზ ზგურიდი - ამ კლარას ქმარი, მათი გაუთხოვარი ქალიშვილი. საბერძნეთში ოჯახით გადახვენილი ზგურიდის აქ დარჩენილი დეიდაშვილები, ალინა და თინა ლობჯანიძეები - მომავალი იელოველები. ბოჩია პაჩკორიას კარის მეზობლები - ყარამან ნონორია და ანზორ კაუემიაკინი... ბოჩიას და ანიჩკას მეორე ქალის, ეთერის ქმარი, კაკო გელაშვილი - ხაშურის მილიციის უფროსი, ეთერისა და კაკოს შვილები - მარიამი, ქეთევანი და გია. კაკო გელაშვილის მოადგილე და მეზობლები... დომენტი და ხარიტონი - რაჭველი დურგლები, რომელთათვისაც ვანა პაპას მოთხოვრების მთავარი პერსონაჟი, დაულალავი მთხრობელი, თავის დროზე შეგირდად მიუბარებია... ილიკო ჯანდიერი, „ეგა, გენაცვა, დიდი ზოოტექნიკოსი იყო - ჯერეთ რიგაში, მერე კი გერმანიაში და ხოლანდიაში ნასწავლი“. ლევან ჯანდიერი - ამ ილიკოს მამა... მათიკაშვილი, გვარამია და „კიდევ ერთი მდივანი ქალი“ - მინსახკომის მუშაკები. მალაქია ინაკავაძე - კახეთის მილიციის უფროსის მოადგილე 20-იან წლებში, ათიოდე მილიციელი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ქაქუცას მიერ გაგზავნილი მოწვე, ჩოლოყაშვილის რაზმელები, მწყემსები... მთავარი პერსონაჟის ძია და ძალო, თელაველი ცოლ-ქმარი გიორგი და ელისაბედ ერისთავები; თელაველი გაუთხოვარი თავადის ასული ელიჩკა ვახვახიშვილი, რომელთანაც ოდესღაც მდგმურად მდგარა საფერშლო კურსების მოსწავლე ანიჩკა. კომუნისტების მიერ დახვრეტილი ელიჩკას ორი ძმა და სიძე, ამ დახვრეტილთა შვილები - სამი გოგო და ორი ვაჟი. ელიზბარი - ელიჩკას ერთ-ერთი

ძმისნული, სამამულო ომში ვორონეჟთან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცი... სოფლის ფოსტალიონი ვალოდია, გურჯაანის დუქანში მოქეიფე იმერლები, მეფაიტონე... მთხრობელის კარის მეზობელი ლელალუტა - კაცი ნაჯიბგირალ-ნაციხარი, კარლო - ამ ლელალუტას ძმისნული, „რომელმაც ააშენა ეკლესია წმინდა გიორგის სახელზედ. ეგ კარლო ცნობილი ქურდია მოსკოვში. რუსებიცა და ჩეჩნებიც დიდ პატივს სცემენ თურმე“... „ენკევედეს“ ერთი „ახალგაზრდა ოფიცერი“ და „იარალიანი დარაჯები“... ქუცნა შაქარაშვილი - კახეთში სახელგაყვარდნილი ექიმი, მელაანელი ექიმბაში... სტალინი, სამამულო ომის დროს ფრონტზე გასაგზავნი პატიმრები, „ლაგერის“ უფროსი, ლოთი რუსი მღვდელი... ზვიად გამსახურდია, გამსახურდიას ხალხი, მხედრიონელები, წალენჯიხის პოლიციის უფროსი ბორია ცეკვავა, მარტვილელი ვილაცა ილარიონ ფიჩორი, „თავის დროზე ეკლესიიდან ქურდობისთვის გაგდებული, ორჯერ საგიჟეთში ნაჯდომი. ხალხი შამაიკობა - სამეგრელო იელოველები-საგან უნდა გავწმინდოო...“ თვით იელოვა, რომელიც „წინ გამოსულა და უთქვამს; „ხალხო, თქვენა ხართ ჩემი მოწმეები, - მე აგირჩიეთ მოწმეებად, რო მცნობდეთ და გჯეროდეთ ჩემიო!..“ იელოვას მოწმეები, მართლმადიდებელი ქრისტიანები. ანიჩკას მეზობელი მაცნე გოგო, გამხეცებულ ფანატიკოსთა ბრბოები. იელოვას მოწმეთა ქომაგები - ინგლისელი ქალი და ორი ფინელი კაცი „თავიანთი თარჯიმნებით“, „სამი ახმახი მნათე“... კამეჩაანთკარელი მამა ზაზა, წალენჯიხელი მიტროპოლიტი, ალავერდელი მეუფე, ეპისკოპოსი... კამეჩაანთკარში საგანგებოდ ჩაყვანილი თბილისელი პროფესორი, „გიჟების ექიმი...“ თელავის გამგებელი, კახეთის გუბერნატორი, თელავში საგასტროლოდ მყოფი ანსამბლის რეჟისორი, ამ ანსამბლის ორი მოცეკვავე გოგო... თაკო და ტუკა (იგივე გია) - რომელიღაც რადიოარხის მუშაკები, მთავარი პერსონაჟის ამ უთავბოლო მონათხრობს რომ ინერენ ფირზე...

მოკლედ, ეს დაახლოებით იგივეა, მაგალითად, ახალბედა მოქანდაკეს აკადემიური თეატრის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მსახიობის საიუბილეოდ მისი ბარელიეფი შეუკვეთონ, ის კი

კიბით მიადგეს მარმარილოს უზარმაზარი საბადოს კარიერს და ამ თეატრის ყველა თანამშრომლის გამოქანდაკებას შეუდგეს!!! ამიტომ, საცა სამართალია, აქვე უნდა შემენყვიტა კრიტიკული მიმოხილვა, ვინაიდან ყველაფერი ისედაც ცხადი ხდება: ამდენი პერსონაჟებით გადატვირთული „ბაბილონის გოდოლი“ ვერანაირად ვერ იქნება რამედ ღირებული მოთხრობა!

მანც რაზე აუგია ავტორს თავისი ე. წ. მოთხრობა? ყველაფერზე და არაფერზე!!! აქ ყანრით გათვალისწინებული მომავალი ნაწარმოების თუგინდ ჯერ ბუნდოვნად წარმოდგენილ იდეასა და მისაღებ ან მოსათმენ ჩარჩოში ჩასმულ სიუჟეტთან დაკავშირებული, მხოლოდ აუცილებელი პერსონაჟების, მოვლენებისა და ამბების მხატვრული ხორცშესხმა კი არ ხდება, არამედ პედანტურ-დილეტანტური მიყოლებით ყველასი და ყველაფრის ქრონოლოგიურ-სტატისტიკურ-კონვეირული უხელოვნო აღწერა!!! ამიტომ აქ ავტორი ემსგავსება უდარდელა მშენებელს, გატაცებით რომ ამენებს ვებერთელა შენობას, მაგრამ წინასწარ არ იცის და თითქო არც აინტერესებს, მერე რა იქნება ამ შენობაში: სკოლა, სილამაზის სალონი, საჯინიბოები, საბავშვო ბაღი, ტელესტუდია, რესტორანი, საავადმყოფო, ტანკების სარემონტო, სამშობიარო, მატყლის საჩეჩი საამქრო თუ სპორტული კომპლექსი...

87

როგორც ავტორს, ისე „არილის“ რედაქციას და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასაც“ არ ესმით, რომ ნებისმიერი „მარკის“ მოთხრობა-ავტომობილსაც გააჩნია თავისი ზღვრული ტვირთამწეობა, „წყალწყვა“, მგზავრ-პერსონაჟთა დასაჯდომი და ფეხზე დასადგომი ადგილები, სანვავის ლიტრაჟი, სიჩქარეთა რაოდენობა, მოტორის ცხენის ძალა, მოქმედების რადიუსი, ლერძისა და საბურავების გამძლეობის კოეფიციენტი...

ავტორი ბულალტერივით ჩასჯდომია ჩვენი უბედური სამშობლოს ოთხმოცდარვანლიან (!) ტრაგიკულ პერიოდს (1916-2004) და ძილის მომგვრელი ერთფეროვნებით გვიამბობს და გვიამბობს ყველასა და ყველაფერზე: 1916 წელს მთავარი პერსონაჟის დის, ანიჩკას დაბადება, მათი ბავშვობის ეპიზოდები, კამეჩის ყველის ამოყვანის საგვარეულო ტექნოლოგია, ქაქუცა



ჩოლოყაშვილის ბრძოლები, ტყეში გაჭრილ აჯანყებულთა ფარული გამოკვება, მილიციის უფროსის დაჭრა-გადარჩენა, რეპრესიები, საკოლმეურნეო წყობილება, სამამულო ომის ფრონტზე პატიმრების გარეკვა, მთავარი პერსონაჟის დაინვალიდება, კახეთიდან შორეულ მორდვეთში წაუხდენლად ჩასაღწევი ცხვრის ყაურმის დამზადების ელიჩკა ვახვახიშვილისეული რეცეპტი... რამდენიმე გვარისა და ოჯახის სამი-ოთხი თაობის წარმომადგენელთა მწარე ბედ-იღბალი!!! ანიჩკას ფრონტზე წასვლა, მისი გათხოვება, დაქვრივება, გაიელოვებება, შეჩვენება, თვითმკვლელობა, ეკლესიების მშენებლობა, მარკეტინგების გახსნა... არა, შეუძლებელია ყველაფრის ჩამონერა! შედეგი?

მოთხრობა ემსგავსება საკოლმეურნეო მინდვრების ოღრო-ჩოღრო გზებზე მოჯაყჯაყე, ტაროიანი სიმინდით უსულგულოდ თავმობმულ სატვირთო ავტომობილს: როგორც ყოველ მოსახვევსა და ნარვალში ჩაჯაყუნებისას გადატვირთული ძარადან სულ სრიალ-სრიალით ცვივა ხოლმე სიმინდის ტაროები, ისე ამ რჯულზე დაყათრული მოთხრობის აბზაც-პასაჟებიდანაც სულ პანტაპუნტით ცვივა სრულიად ზედმეტი პერსონაჟები, ამბები, მოვლენები, ფაქტები, შემთხვევები, სცენები... არსებითად, ეს არის არა რამედ ღირებული მოთხრობა, არამედ ვეებერთელა ტექსტტომარა, რომელშიც იმოდენა მასალაა ჩაყრილი, რომ იქიდან თვით თომას მანის „ბუდენბროკებზე“ გაცილებით უფრო დიდი რომანი, ანდა, ერთი სამოციოდე დამოუკიდებელი, მშვენ-იერი მოთხრობა გამოვიდოდა!!!

\* \* \*

ავტორს ჯერ არ გააჩნია ელემენტარული მხატვრული ოსტატობა და მწერლური წინდახედულობა, რის გამოც თავის მოთხრობას ხან სად აუგებს ხოლმე ანდერძს და ხან – სად.

აი, რას ეუბნება ქადაგად დაცემული მთავარი მოქმედი პირი რადიოს ენაგადაყლაპულ მუშაკებს, რომლებსაც ხელში შეჰყინვიათ მიკროფონები და რაიმე კომენტარის, შეკითხვის ან შენიშვნის გარეშე ანგარიშმიუცემლად, თითქოსდა თვითმიზნურად ინერენ და ინერენ ვითომდა 84 წლის კახელი გლეხკაცის,

სინამდვილეში კი ავტორის თითებიდან გამონოვილი ნაყალბევი პერსონაჟის უთავბოლო რომშვას.

„— მე რომ მისმინო, შეილო, სვალ დილამდე ვიყბედებ, არ კი მაშბეზრდება. გონი სსვა რამე მკითხეთ, მე კი ვრატრატებ ცარიელი კასრივითა. პატარაობიდანვე სუ ეგეთი ვიყავი — ერთსა მკითხავდნენ და სსვასა ვყვებოდი“.

აქ ნუთუ ავტორი არ უნდა უკვირდებოდეს: მკითხველისთვისაც საინტერესო იქნება მოხუცის უთავბოლო რატრატები, ანდა, პირდაპირ ფურცელზე მიშვებული ეს ყბედობა თავისთავად მიიღებს მოთხრობის სახეს?!

გასაკვირია: ავტორი იმას კი არ ცდილობს, ბერიკაცს მკითხველის თვალში პიროვნული თანაგრძნობა მოუპოვოს, რათა ამ უკანასკნელმა გულთან მიიტანოს ისედაც მიყრითა და უხელოვნოდ მონათხრობი მისი ჭირ-ვარამი, არამედ გზადაგზა ყველაფერს თითქო განზრახ აკეთებს, თავისი მთავარი პერსონაჟისადმი მტრულად თუ არა, გულგრილად მაინც რომ განაწყოს ყველა.

89

„თელი ჩემი ცხოვრება ქაქანსა და ჩიტრეკიობაში გავატარე— მე რომ ლაქლაქი არ მეზარება, თქვენც კარგად ხედამთ— არც სიბეჯითე მქონდა და არც განსაკუთრებული ჭკუა, სკოლაც სამაღლოდ დაწერილი სამიანებით დავამთავრე— აბა, მე როდის რა მითქვამს ჭკვიანური?— ისე, მართალი რომ ვთქვათ, დიდი ტვინისა არც არასდროს ვყოფილვარ!“

ეს რას მატებს ან მთავარ პერსონაჟს, ანდა თვითონ მოთხრობას?

\* \* \*

განსაცვიფრებლად ჰგვანან ერთმანეთს მწერლები და დაზვერვის სამსახურის ინსტრუქტორები. როგორც ეს უკანასკნელნი მთელ თავიანთ ცოდნასა და ფანტაზიას აქსოვენ მტრის ზურგში შესაგზავნი აგენტის ყოველმხრივ მომზადებას, რათა არ ჩავარდეს და წარმატებით შეასრულოს დავალება, ისე მწერალმაც

მთელი თავისი ნიჭი უნდა დაახარჯოს მკითხველთა რიგებში „შესაგზავნ“ თავის „აგენტი“-პერსონაჟებს, თუკი სურს, რომ თითოეული მათგანი იყოს დამაჯერებელი, ცოცხალი და არა ავტორის უსისხლხორცო თითებიდან გამონოვლილი ჩუჩილა. მკითხველი ნაწარმოების კითხვას რომ დაინყებს, ავტორი პირველივე სტრიქონებიდან შეუმჩნევლად გაქრეს, მისმა პერსონაჟებმა კი დამოუკიდებლად, „თავისით“, მკითხველში ეჭვის აღუძვრელად იაზროვნონ, იმეტყველონ, იმოქმედონ!

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში სულ უმნიშვნელო შეცდომასაც კი საბედისწერო შედეგი მოსდევს ხოლმე.

ერთ მაგალითს მოვიყვან მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან. ბერლინში შესაგზავნად და იქ რაღაც საგანგებო დავალების შესასრულებლად დიდი ბრიტანეთის დაზვერვის სამსახური (ინტელიჯენს სერვისი) განსაკუთრებული მონადინებით ამზადებდა თავის ერთ ყველაზე ნიჭიერ მზვერავს. მიუხედავად იმისა, მტრის ღრმა ზურგში გადასროლილმა ჯაშუშმა წარმატებით გაიარა ყველაზე სახიფათო წრეები, მეხუთე დღეს მაინც ჩავარდა ყოვლად უმნიშვნელო წვრილმანისთვის – თუმც მზვერავის, მწერლისა და მესანგრის საქმიანობაში არ არსებობს წვრილმანები და მსხვილმანები!

ინგლისელ მზვერავს ბერლინის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა რომ უნდა გადაეჭრა, ავტომობილი არ მოდიოდესო და ინსტინქტურად გაიხედა არა იქით, საითაც წესით უნდა გაეხედა, არამედ საპირისპირო მხარეს! რატომ? იმიტომ რომ, კონტინენტისაგან განსხვავებით ბრიტანეთის კუნძულებზე ავტომობილები სულ საპირისპირო მხარეს მოძრაობენ! და ეს წამიერი არასწორი გახედვა იმდენად თვალში საცემი აღმოჩნდა, რომ ვიღაც ფილისტერს უმალ ეჭვი აღედრა და მაშინვე პოლიციელთან მიიღბინა! „გერმანელი“ მოქალაქე ანუ ბრიტანელი აგენტი დააპატიმრეს, დაჰკითხეს, გამოტყუეს, გაასამართლეს და დახვრიტეს!

ახლა ვნახოთ, ჩვენს ავტორს როგორ მოუმზადებია მკითხველთა ფართო წრეში „შესაგზავნი“ თავისი აგენტი-პერსონაჟი – 84 წლის გლექაკაცი.

აი, როგორ იწყება ამ გლექაკაცის ვრცელი მონოლოგიცა და მოთხრობაც.

„ანეკდოტი ხომ გაგიგონიათ, კამეჩანთკარელი კაცი ალაზნის პირას რო წამოწოლილა და ვირებს გასცქერის? და თან იძახის: სოჩაა (უნდა იყოს სოჭია. ჯ. მ.) მა რაა!“ გაგახსენდა-ათ?“

აქ უმაღლესი ცხადი გახდა: უხეიროდ მომზადებულმა ჩვენმა აგენტ-პერსონაჟმა პირველი წრეც კი ვერ გაიარა და პირის გაღებისთანავე „ჩავარდა!“ ძალიან სამწუხაროა, რომ მთავარი პერსონაჟი თავისი ოჯახისა და ახლობლების სისხლიანი ისტორიის გადმოცემას ბინძური ანეკდოტის უნმანური და უადგილო მინიშნებით იწყებს! მოკლედ, ფარდა აეხადა ყველაფერს: აქ ლაპარაკობს არა ცხოვრების დარჯაკში გამოვლილი 84 წლის კახელი გლეხკაცი, არამედ სანაგვეზე ნაპოვნი დაფაცხავებული ფანერისგან გამოჩორკნილი ბერიკაცის მაკეტს ამოფარებული ახალბედა დებიუტანტი, რომელიც ჯერ არ დაუფლებია მკითხველთა მასებში „შესაგზავნი“ აგენტ-პერსონაჟების სათანადოდ მომზადებას! ამიტომ როგორც მწერალი, ავტორის მაგიერ მკითხველთა წინაშე მე განვიცდი უხერხულობას. რატომ? როგორ თუ რატომ?! ხომ ნახეთ, რაც მოხდა, ავტორი კი აინუნშიც არ არის და ვერ ხვდება, რომ თხრობის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, რადგან მისი აგენტი-პერსონაჟი უკვე „ჩავარდა!“ მაგრამ ის თავისას არ იშლის, სქემატური ბერიკაცი კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს. იგი გატაცებით ლაპარაკობს რა თავისი სოფლის სახედრებსა და ჩოკინებზე, აი, ერთგან რას გვეუბნება.

„ჯაგარაბურდული, დაჩოლახებული ბებერი სახედრები: გვერდებგაბერილი, მაკე დედლებს აკიდებული ჩოჩრები“.

სოფლად დაბადებული და გაზრდილი 84 წლის კახელი გლეხკაცი კი არა, ალბათ, მკვიდრი ქალაქელი ქართველიც არ იტყვის სახედარზე ჯაგარიო! რა არის ჯაგარი? ღორის ქეჩოსა და ზურგზე ამოსული უხეში ბალანი. აბა, ახლა როგორი წარმოსადგენია, ენის უცოდინარი ავტორის მიერ დახატული აქამდე უცნობი ფანტასტიკური კენტჩლიქოსანი ცხოველი – ღორის-ჯაგარიანი სახედარი!

ანდა, ნუთუ „არილის“ რედაქციის და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ თანამშრომლებს გარდა სხვებიც დაიჯერებენ, რომ მკვიდრი კახელი გლეხკაცი მაკე სახედარზე ფაშატის

ნაცვლად დედალს იტყოდა? დედალ-მამალი ხომ ფრინველებზე ითქმის! აბა, რას დაემგვანება, ბაზარზე რომ ჩამოვიაროთ და სხვადასხვა გამყიდველს ასეთი კითხვებით მივმართოდ.

- ეგ თქვენი მტრედი ფაშატია თუ ულაყი?
- ეგ თქვენი კვიცი ძუ არის თუ ხვალი?
- ეგ თქვენი პოინტერი კერატია თუ ნეზი?
- ეგ თქვენი გოჭი ფაშატია თუ ულაყი?
- ეგ თქვენი მუტრუკი დედალია თუ მამალი?

ავტორი მსგავს „წერილმანებს“ ყურადღებას არ აქცევს.

„პატარაობაში ბებერ ხარკამეჩზე გაღამჯდარი სოფლის ჯოგს მოვერკეპოდით ხოლმე“.

მსხვილფეხა რქოსან საქონელს ნახირი ეთქმის, ჯოგს კი ცხენებზე იტყვიან ხოლმე.

აბა, ახლა როგორ არ გაგიკვირდებათ: ავტორი, რომელმაც ისიც კი არ იცის, სახედართან მიმართებაში რა უნდა იხმაროს – ჯაგარი თუ ბალანი ან ბენვი, მამალ-დედალი თუ ულაყი ან ფაშატი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისადმი – ნახირი თუ ჯოგი, რის იმედით ჰკიდებს ხელს ან ამნაირ პერსონაჟს, ანდა საერთოდ, სოფლის თემას?!

ახლა შევეხები ერთ ადგილს, რომლის გვერდის ავლა უზნეობად მიმაჩნია.

თბილისიდან თელავში საგასტროლოდ ჩასულ ანსამბლის წევრებს ბანკეტზე მაგრად გამობრუჟავენ. დაძალებული ღვინისაგან გაღახული „კონცერტის რეჟისორი“ თურმე მხოლოდ ქაფქაფა ყავას მოჰყავს ჩვეულ გუნება-განწყობილებაზე. ის უბედურიც დილაადრიან მაგიტომ დაყიალებს დუქან-დუქან, მაგრამ ყავის ხსენებაც კი არსად ჭაჭანებს და მხოლოდ ლუდს, არაყს, ხინკალსა და ხაშს აძალებენ! მას კი ყავის გარდა არაფერი სურს! მაშ, მოდი, ჩვენც თანაგრძნობით მოვეკიდოთ ადამიანის პიროვნულ გუნება-განწყობილებას და ნება-სურვილებს!

ერთი სიტყვით, ეს გუნებაგაფუჭებული „კონცერტის რეჟისორი“ ბოლოს შემთხვევით შეეხეტება ნუხანდელი უზომო სმით გატიალებული კაცებით სავსე აეროპორტის კაფეშიც.

მთავარი პერსონაჟი, უფრო სწორედ კი მის უხეირო მაკეტს ამოფარებული ალტაცებული ავტორი თავის სტიქიაშია. მოუსმინეთ.

„აქაც ხალხი პასმელიაზე გამოდის, წინ პივის ბაკლები უდგათ და გალიფული ხინკლები ლანგრითა. მიიწვიეს სტუმარი სუფრასთან. ამ რეჟისორს კი თაუპირი ჩამოსტირის, უარს ამბობს დასალევზე, ყავა და ყავაო, გაიძახის, ბოდიში მამითხოვია და შასცა ვირის დედასა“.

ამ ბოლო, მეხისებური ფრაზის წაკითხვა და ეშმაკის ბორბლის დაბზრიალებაც ერთი იყო: ერთმანეთის მიყოლებით ელვისებურად გაქრა ეს თვითმიზნურად ნაჩორკნი ყიამყრალი პერსონაჟი, ე. წ. მოთხრობა, მასში სპეკულაციურად ნახსენები ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმეულები, რეპრესიის მსხვერპლნი... უნიჭო ავტორი, „არილის“ უგემოვნო რედაქტორი, უსამართლობის მთესველ-დამკანონებელი „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ და უხამსობისგან ალანძულ ჩემს ცნობიერებაში დარჩა მარტო რადიოკორესპონდენტი გოგონა – ეს თავში ჩარტყმული და სულში ჩაფურთხებული თაკო, რომელსაც სამსახურებრივი დავალება და თანამდებობრივი მოვალეობის შეგნება უფლებას არ აძლევს დაიცვას თავისი მანდილოსნური ღირსება და პროტესტი გამოხატოს: ამგვარი უნმანურ-უხამსური ფრაზის შემდეგ ცივად დადოს მიკროფონი და საკუთარი ღირსების შეგნებით თავანეული, უსიტყვოდ გაეცალოს იქაურობას! მაგრამ ეს სანყალი გოგონა ამას ვერ ჩაიდენს, ვინაიდან გარემოების ტყვეა! ამიტომ იძულებულია, კრინტიჩანყვეტილმა გადაყლაპოს ეს ამაზრზენი შეურაცხყოფა, პირუტყვივით იდგეს და ბოლომდე ისმინოს ყოვლად სქემატური, სიტყვაგრძელი ბერიკაცის ეს ამდენი უხამსობა, მსმენელისა და მკითხველის გამომათაყვანებელი უთაებოლო, ელემენტარულ სითანაბრესა და მხატვრულობას მოკლებული, თანაც ხელოვნურად დამახინჯებული ლექსიკითა და სტილით დამძიმებული ყბედობა!

აქ უკვე საბოლოოდ გაირკვა: ამ ტექსტის ავტორი განეკუთვნება იმ კალმოსანთა კატეგორიას, რომლებიც თავიანთი გამოუცდელიობით თუ მწერლური შესაძლებლობის უქონლობით აფორიაქებულნი, არანაირი უხამსობის წამოყრანტალებას არ

თაკილობენ, ოღონდ კი მკითხველზე როგორმე შთაბეჭდილება მოახდინონ! იმას კი აღარ უფიქრდებიან, ანდა, აღარც ანაღვლებთ: ეს ყველაფერი როგორ თავსდება მწერლური კოდექსის, ადამიანის ზნეობა-ეთიკისა და ნაწარმოების მხატვრული ფორმის ჩარჩოებში!!!

თუმც ჩვენს ავტორს ვერ დავუკარგავ „დამსახურებას“: მის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ აქ მან თავის გმირს თვით რუსი კლასიკოსის, ანტონ ჩეხოვის ერთ-ერთი პირუტყვ-პერსონაჟიც კი დააძლევინა და მსგავსი ტიპებისთვის დაწესებული პირველობის გარდამავალი დროშა 122 წლის შემდეგ, როგორც იქნა, რუსეთის რომელიღაც მიყრუებული მაზრიდან თელავში ჩამოატანინა!

მხედველობაში მაქვს ა. ჩეხოვის მიერ 1883 წელს დაწერილი პატარა მოთხრობა „ალბიონის ასული“. მოკლე შინაარსი ასეთია. პროვინციელი მემამულის, ივან კუზმას ძე გრიაბოვის ცოლ-შვილი სადღაც სტუმრადაა წასული. თვითონ ივანე და მის შვილების აღმზრდელი ინგლისელი გუვერნანტი, მადმუაზელ თფაისი მდინარის პირას უსიტყვოდ თევზაობენ. მოულოდნელად მათ ამ მემამულის მეგობარი, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ფედორ ანდრიას ძე ოტცოვი წამოადგებათ თავზე. აღარ გამოვუდგები მეგობრების საუბარს და იმას, ეს მემამულე როგორი ზიზღითა და აგდებით ახასიათებს სამშობლოდან გადმოხვენილ, მარტოსულ ინგლისელ ქალიშვილს.

მოულოდნელად ნემსკავი წყალქვეშ რალაცას მაგრად წამოედება! ივანეს რაკი არც მკედის განყვეტა და ნემსკავის დაკარგვა სურს და არც ტანისამოსის დასველება, მდინარეში ჩასასვლელად და ნემსკავის ასაშვებად პირდაპირ ქალიშვილის (!), თავისი შვილების აღმზრდელის (!!!) თვალწინ მთლიანად გაშიშვლდება!!! თან როდი ჩქარობს! ოტცოვის აღშფოთებას საზღვარი არ აქვს.

“- Да полезай скорей в воду или прикройся чем-нибудь! Скотина!

- И хоть бы сконфузилась, подлая! - сказал Грябов, полезая в воду и крестясь, - брр... Холодная вода... Посмотри, как бровями двигает! Не уходит... Выше толпы стоит! Хе-хе-хе...

Войда по колена в воду и вытянувшись во весь свой громадный рост, он мигнул глазом и сказал:

- Это, брат, ей не Англия!”

თქვენ როგორ ფიქრობთ, 84 წლის კახელმა გლეხკაცმა ნელ-ან ჩეხოვის ამ პერსონაჟზე ნაკლები „გმირობა“ ჩაიდინა? ჩემი აზრით, გადააჭარბა კიდეც! ოღონდ ეგაა, ამ ბერიკაცს ზნეობრივ-ეთიკური სასჯელის ზომას ის უმსუბუქებს თუ საერთოდ, უუქმებს, რომ ეს მართლა მან თავისით კი არ წამოროშა, არამედ ავტორმა ძალდატანებით წამოაოშინა, რომელიც თავისი ბერიკაცის ბუნებასა და ხასიათს დაკვირვებით კი არ ძერწავს, არამედ უადგილო ტლანქი გამონათქვამებითა და ვინრო წრეში ყურმოკრული უწმანური ანექდოტებით ნაჩქარევად თითხნის. ეტყობა, ბერიკაცს თავისი მონოლოგიცა და მოთხრობაც სწორედ მაგიტომ დაანყებინა ალაზნის პირას მობალახე ფაშატი სახედრებისა და სოჭის პლაჟებზე მობანავე ლამაზმანების უხამსი შედარება-გაიგივებით.

დასანანი, რომ ავტორმა ვერ აიცდინა ზოგიერთი უნიჭო კალმოსნის, თეატრის, კინოსა და ტელერეჟისორის მიერ გამოხარატებული და წლების განმავლობაში გაკორძებული, ლამის ქრესტომათიულ სახელმძღვანელოდ ქცეული ტრაფარეტის საძრახისი დამლა.

მაინც როგორია ამ მრუდი ტრაფარეტით წარმოდგენილი თანამედროვე ტიპიური კახელი კაცი? თუმც მაგას რაღა კითხი უნდა? უეჭველად ჩაკურატებულ-ჩაგოდრებული, სქელკისერა, გოგრათავა, ცულით ნაჩოკნი პირისახის უხეში ნაკვთები, გაუპარსავი, მიჩაჩულ-მოჩაჩული, ტლანქი მიხვრა-მოხვრა, სულ მუდამ აღრენილი, ანდა ასაღრენად შემართული, ყველაფერზე და ყველასთან მკვახედ მოლაპარაკე... თვითრჯული, ახირებული, დაუსაბუთებლად ჯიუტი და თავისნათქვამა, უადგილოდ ეჭვიანი, დოღრიალა... წარმოუდგენლად ხარბი და წუნურაქი, ანდა პლაკატურად ხელგაშლილი... ზნეობრივ-ეთიკური თვალსაზრისით დაუკრეფავში დაუფიქრებლად შემტოპავი... დასასრულს კი, ეს უკვე როგორც წესი – უწმანურ-უხამს გამოთქმათა და ლანძღვა-გინების ბარაქიანი მფრქვეველი! მიუხედავად იმისა,



პერსონაჟის ვინაობა და ნაწარმოების იდეა და მხატვრული გარემოება ამას ითხოვს და ბუნებრივად იხამებს თუ არა!!! თუმცა ეს ვილას აინტერესებს, თუ ღმერთი გნამთ - აბა, ისე რომელი მკითხველი, მსმენელი თუ მაყურებელი მიიღებს კახელი კაცის განზოგადოებულ მხატვრულ სახეს, თუ უხამსი გამონათქვამებითა და უშვერი ლანძღვა-გინებით გული არ მოაოხებინეს?!

შედეგი? რეალისტურად დახატული, ცოცხალი, დამახასიათებელ-დამაჯერებელი ტიპის ნაცვლად ხელში შეგვრჩება ხოლმე გონებაჩლუნგი და ზნეობასუსტი, პუბლიკის დაცივნისთვის განწირული კრომლები!

ამიტომ გულდასაწყვეტია, რომ ზოგიერთი მოხალტურე, მდარე თუ სულნასული შემოქმედი ზერელედ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება საქართველოს იმ კუთხეს, რომელმაც სამშობლოს აღუზარდა ქეთევან დედოფალი, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (ნიკიფორე ირბახი), ბიძინა ჩოლოყაშვილი, ერეკლე II, ანტონ I კათალიკოსი, სოლომონ ლიონიძე, დავით რექტორი, გაიოზ რექტორი, დავით ბოდბელი (ვაჩნაძე), იოანე ხელაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, სოლომონ დოდაშვილი, გიორგი მაისურაძე, ილია ჭავჭავაძე, კოტე მარჯანიშვილი, ლადო აღნიაშვილი, ფიროსმანი, კოტე მყაშვილი, სანდრო ახმეტელი, დედას ლევანა, ვანო სარაჯიშვილი, მიშელ დარიალი (ნანობაშვილი), ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ავლიპი ზურაბიშვილი, ნატო ვაჩნაძე, გიორგი ლეონიძე, ელენე ახვლედიანი და სხვა ბევრი მამულიშვილი.

არავის ეგონოს, კახელი კაცი ანგელოზად მყავდეს წარმოდგენილი. არა! იგი ყველა აქ ჩამოთვლილი და უფრო უარესი ნაკლის მატარებელიც არის, მაგრამ ნამდვილმა შემოქმედმა თავისი პერსონაჟის ნებისმიერი ადამიანური ნაკლი თუ ღირსება უნდა გააცხადოს მოცემული ნაწარმოების დამაჯერებელი მხატვრული ფორმის ფარგლებში, გმირის რთული სულიერი სამყაროს ჩვენების პარალელურად და არა ამ რომელიმე ნაკლის გარედან სპეკულაციური მოწებებით, რათა ნაუცბათევი იაფფასიანი ეფექტით პუბლიკა გააცინოს და საქართველოს რომელიმე კუთხისა თუ ამ კუთხის მკვიდრის უკბილო გაშარებით ლაქიურად ასიამოვნოს.

ამგვარი მოძველებული, თუმცა გაუცვთელი შტამპის მსხვერპლი მარტო კახელი და კახელი როლია. ავიღოთ, მაგალითად, გურული პერსონაჟი. აქაოდა, გურულიაო, იმის მიუხედავად, სიუჟეტი და მხატვრული ატომსფერო მოითხოვს თუ არა ამას, რალაც იაფფასიანი, თუნდაც უკბილო ხუმრობა მაინც უნდა ნამოაძახებინონ, რამაც შეიძლება ავტორისა და თვით რამდენიმე პერსონაჟს გარდა სხვას მრუდე ღიმილიც კი ვერ მოჰგვაროს! მოკლედ, ზოგიერთ ნაწარმოებში ამ გურულ იუმორზე ისეთი თვითმიზნური დაჟინებული აქცენტი კეთდება, რომ ხან შეგაჟრჟოლებთ: ღმერთმა ნუ ქნას და, გურულს ეს იუმორის გრძნობაც რომ არ გააჩნდეს, ანდა ხელოვნურად არ მიაკერონ, მაშინ მისგან აღარაფერი დარჩებოდა, ხელში ცოცხალი პერსონაჟი აღარ შეგვრჩებოდა, რადგან ფეხის ხმას აყოლილი, მდარე შემოქმედი გურულის პიროვნებაში ჩაკირულ სხვა მრავალ სანიმუშო ნიშან-თვისებას ვერ ამჩნევს, ანდა არ ძალუძს მისი მხატვრული ხორცშესხმა და ამის მიზეზით ამ საყოველთაოდ ცნობილ გურულ იუმორს ისე ებლაუჭება, როგორც წყალნაღებული - ხავსს!

97

რაჭველი პერსონაჟი? აჰ, ვისა აქვს საიმისო დრო, მოთმინება, ნიჭი და ნერვები, რომ რაჭველი კაცის რთული დიდბუნოვნება შეისწავლოს, მერე კი მისი მხატვრული ხორცშესხმისთვის თავი გაიცხელოს - აგერ, მდარე შემოქმედთა სახელოსნოს თაროზე არ დევს სამაგისო შტამპიც! როგორც ხელგამომავალი ფალსიფიკატორი სუფთა წყლისა და ფხვნილისაგან რამდენიმე წუთში დაამზადებს ხოლმე ათასკაციანი ქორნილისა თუ ქელეხის სამყოფ „ღვინოს“, ისე ამ ტრაფარეტითაც უცებ „დახატავთ“ რაჭველს!

მოკლედ, კახელი კაცის უმთავრესი ნიშან-თვისება შეუხამებელი ლაპარაკი და უწმანური ლანძღვა-გინება ყოფილა, გურული პერსონაჟის - იუმორი, თუნდაც უკბილო და მწრაფლნარმავალი! რაჭველის? აქ რალაზე უნდა გაკეთდეს უმთავრესი, შესაძლოა, ერთადერთი აქცენტი? რაზე და: მეტყველება, მოძრაობა და მოქმედება უზომოდ ზანტი, აზროვნება და სიტყვაპასუხი - წყვეტილი და შენელებული! ჰოდა, ისე როგორ იქნება,

ვილაცა ვერ გავაცინოთ და კანტიკუნტი ტაშიც არ შეგვანოონ. მაშასადამე, გათავებული საქმეა – წარმატება განაღდებული გვექნება!

ეს ყველაფერი დღითი დღე მოსაწყენი და აუტანელი ხდება, ბატონებო!

\* \* \*

ენა? ენას არ იკითხავთ ახლა? შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ავტორმა შექმნა ახალი სალიტერატურო ენა-ეს-პერანტო, რომელზეც დედამინის ზურგზე არავინ ლაპარაკობს, გარდა მის მიერ სქემატურად დახატული ამ ძალდატანებული ბერიკაცისა, ბუნებრივ პერსონაჟს კი არა, განტყეების ვაცს რომ წარმოადგენს, რათა მწერლის ყველა ნაკლი ბოლოს მას წამოეკიდოს!

თავად განსაჯეთ: 84 წლის გლუხკაცი, რომელიც თელავის სანახებში დაბადებულა და მთელი სიცოცხლეც იქ გაუტარებია, შეიძლება ამგვარი ლექსიკითა და სინტაქსით მეტყველებდეს?

„წორხი მტკიოდა ვერნათქვამი სათქმელისაგან“. „ჩვენ უფრო სა-კოლმეურნეო მშენებლობებში გვეძახოდნენ“. „გადმოდით ჩვენ სტოლში, ბატონო“. „დანჯღრეული ტრაქტოლი გადინარჩუნეს კომუნისტების დროიდან“. „ილიკო გაღიმებული ხელს ართმევდა ყველას სათითაოდ“. „კოცონის დანთება დაგვევალეს, რომ მერე მწვადები შეეწვათ მოგვიანებით“. „უეცრად კარზე კაკუნია“. „ჩვენა მაგათა კონტრებს ვეძახდით“. „შენ მთავარია თავს მიხედო“. „აღდგომაზე (უნდა იყოს სააღდგომოდ. ჯ. მ.) კი საკლავს კლამდა“. „ესლა უნდა მარხვა შევინახოთ“. „თელ ტანში ტკივილმა დამიარა ბლაგვად და მძიმედ“. და ა. შ.

ავტორი მთხრობელი ბერიკაცის მეტყველების ემოციური ელფერისა და ინტონაციის წარმოჩენას ცდილობს არა ზუსტი, მოქნილი ფრაზითა და ბუნებრივი სინტაქსით, არამედ მეტისმეტად ხელოვნური ხერხით: ამა თუ იმ სიტყვას წარამარა სრულიად უადგილოდ ზედმეტი ბგერით ამძიმებს, ხოლო ზოგიერთ მათგანს დეფიზით შუაზეც აპობს. ამიტომ ისედაც ძნელად საკითხავი ტექსტი ოღროწოლო ნახნავს ემსგავსება.

98

„- გაგახსენდა-ათ?!.. პლიონკა გაგითავდა-ა?.. ნერვები მეშლება, კაცო-ო!.. გაფრთხილებული მყაა-ამ!.. სო-ო, ვირებზე მოგახსენებდით... ბიჯო-ო!.. რა-ა?.. სწყვეე-ეტსო... მა-აშ! არ მოგვესმა-ა?!.. სო-ო... ვაარ... დგაა... ჩაანს... არხეინად ვაართ... არც ღვინო-ო?.. ჭკუა ააქ თავში?.. არ გადმოღია-ან?!.. ესენი საართო?.. ბენზინიცი ჭიირს... თუ მანქანითა საართ... რაფი დგაა... კმაყოფილი ჩაანს... ჩქარობდნენ კიი... ვერ გაიგე-ე? გზაც ანობზე არ გადი-ის?!.. რა ცნოვრება გა-აქვთ!.. რა-ა, შვილო?- თქვენა საართ?.. სუნი სდიის... დგაა ლოდზე“.. და ა. შ.

სხვადასხვა კილო-კავით მოლაპარაკე ქართველი სუფთა სალიტერატურო ენას გარკვეული დოზით რომ ამახინჯებს, ეს სინამდვილეა. მაგრამ თანამედროვე ქართული მხატვრული ლიტერატურიდან მე არ მაგონდება კოტე ჯანდიერის ამ პერსონაჟის მსგავსი მეორე ისეთი ქართველი პერსონაჟი, მით უმეტეს, კახეთის მკვიდრი, ასეთი დოზითა და მასშტაბით რომ ასარეველიანებდეს ენას. შეიძლება ასეთი შთაბეჭდილებაც კი დაგრჩეთ: ავტორს ჰგონია, რომ რაც უფრო ხელოვნურად გამოგონილი ჩიქორთულობით ალაპარაკებს თავის პერსონაჟს, მით უფრო კოლორიტული გამოუვა!!!

თუ ალლო არ მლალატობს, ჩვეულებრივი კახელი გლახკაცი ასე ამბობს: ჩანს, დამინახავენო, ვხედავ, მოჰყავთ, გახსოვს, ვთხოვდი, უწევდნენ, დახურავენ, კარგა, მთელი, არა მიშავდა რა, მყავს, მიჭირავს, წევს, ახსოვდა, სთხოვდა ან თხოვდა, მთვრალი, მოგდევს, ხერხავენ, ჰყავს ან ყავს, მოაქვს ან მათქვს, არა უშავს რა, დავლევო, ხედავს, დალევთ, დადებენ, სავსე, დავრგეთ, დავლევ, მღვდელი, ავავეს, მყავდა, ქსოვდა, ხედავთ, მაგათებური, უჭირავს, აწევს, კარგი, მოჰკრავდა, გყავთ, ძალიან, გათავდა, მინგრევ, მივათრევ, უდევს, უჭირავს, მთხოვდა, გამაშლევინეს და ასე, უსასრულოდ.

ჩვენი პერსონაჟი კი ამბობს: სჩანს ან შჩანს, დამინახამენო, ვხედავ, მოჰყავთ, მახსოვს, ვთხოვდი, უწევდნენ, დახურამენ, კარქა, თელი, არა მიშამდა, მყაამ, მიჭირამს, წემს, ახსომდა, სთხოვდა, თვრალი, მოგდემს, ხერხამენ, ყაამ, მათქ, არა უშამს, დავლემო, ხედამს, დალემთ, დაზდებენ, სამსე, დავრგით, დავლემ, ღვდელი, ავამსე, გყავამდა, ქსომდა, ხედავთ,

მაგითებური, უჭირამს, ანემს, კარქი, მოჰკრამდა, გყამთ, ძრიალ, გათამდა, მინგრემ, სთხომს, მივათრემ, უდემს, უჭირამს, მთხომდა, გამაშლეინეს და ასე, უსასრულოდ.

ნებისმიერი კუთხის მკვიდრი – ამ შემთხვევაში კი გლესკაცი – ზოგიერთ სიტყვას თავისებურად რომ კუმშავს და რომელიმე ბგერას ყლაპავს, არც ეს არის საიდუმლო. მაგრამ როდის იყო, ხეირიანი მოქართულე – გლესკაცი კი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო მოქართულეა! – ამა თუ იმ სიტყვას სრულიად ზედმეტი, უსარგებლო ბგერით პოზიორულად „ალამაზებდეს?!“

აბა, ნახეთ, ამ მოთხრობის სქემატური პერსონაჟ-გლესკაცი როგორ აუტანლად „აკულტურულებს“ ზოგიერთ ზმნას.

„ჩასწერე ჩემს ანგარიშზე“. „ნუ სტირი, ბიჭო!“ „ამ ქალაღებს ენკვეედში დასტოვებ“. „ასე სთქვა“. „გაზეთებშიც სწერდნენ“. „ე ჩიფსები მაინცა სჭამეთ“. „ალარ სჩანს“. „ბორიას დავსჭყვივლე“. „არც მასპინძლები სჩანან“. „არ დასტოვა“. „გადასწმინდე, თორემ ქაფი დამეღვარა“. „უნდა ჩასწეროთ?“ „ბოჩია კი მოჰკლეს“. „მორები გამოჰქონდათ... სჭრიდნენ და... თბებოდა უბანი“. „როგორც მერე სთქვეს“. „შლანგი... გასჭედა. მინამ... გასწმინდეს“. „დაჰკარგა ცხოვრების ხალისი“. „პალიასტომში ჩაჰყარეს“. „ტენტი გადასჭიმეს“, „მამა ზაზასთან გადასწყვიტა მისვლა“. „მამა ზაზამ შესწყვიტა კითხვა“ და ა. შ.

არადა, უნდა იყოს: ჩანერე, ნუ ტირი! დატოვებ, თქვა, წერდნენ, ჭამეთ, ჩანს, დავჭყვივლე, ჩანან, დატოვა, გადანმინდე, ჩანეროთ, მოკლეს, ჭრიდნენ, თქვეს, გაჭედა, განმინდეს, დაკარგა, ჩაყარეს, გადაჭიმეს, გადანყვიტა, შეწყვიტა და ა. შ.

ავტორის მიერ თავისი პერსონაჟის მეტყველების პოზიორული დამახინჯებისადმი მიდრეკილება ზოგჯერ ყოველგვარ საზღვრებს სცილდება.

„აურაცხელი ნევსები გეეკეთებინათ ჩემთვისა“.

მართლა აღარ არის მწერლური ალლო და ზომიერება?! ჰა, ჯანი გავარდეს, ამა თუ იმ პერსონაჟს ზმნა როგორც უნდა, ისე დაამახინჯებინოს, მაგრამ ნუთუ ნებისმიერმა ასაკსრულმა ქართველმა ეს ყოვლად ჩვეულებრივი, დედის კალთიდანვე შესისხლხორცებული სიტყვა-საგანიც კი – „ნემსი“ ველარ უნდა

ნარმოთქვას უშეცდომოდ? ბოლოს და ბოლოს, პერსონაჟის მიერ ყველა სიტყვის დამახინჯება თვითმიზნად ხომ არ უნდა იქცეს?!

მწერალი თავისი გლახაკის ლექსიკას აღმაშფოთებლად ტვირთავს რუსული სიტყვებით: პლიონკა, ტაჭკა, პრიხოდ-რასხოდი, სტოლი, სტოლები, ტუჟურკა, ლახანკა, იაშიკები, ბუშლატა, კასინკა, გრუზავიკი, კუზაო, მლადში, ჩიხოლიანი, პახმელია, კარკასები, ტრუბები, სტოლები, ზაპასი, სკლადი, იზვეშენია, დაცინკული ყუშტები (?! ჯ. მ.), კრესლოები, შკაფ-ები, პასობია, სალიარკა, პულიმიოტი, ბაშმაკები, კნიჟები, ეტიკეტკა, ტრიაპკა, ხლებნი, კარიჩნი, კარდონი, კარტოჩკა, ყუვაჩკა...

უზრუნველ-უდარდელა ავტორის, ჟურნალის რედაქტორისა და გამომცემლობის ხელში ჩავარდნილი ეს სანყალი კახელი გლახაკი ზოგჯერ კი ერთსა და იმავე საგანს ხან რუსულად მოიხსენიებს ხოლმე, ხან – ქართულად.

„ლურჯი კარანდაშით რაღაცას იწერდა“. „ჟურნალები და ფანქრები მოზიდეს“. „ტრიაპკაც წამაიღე“. „ჭინჭებში გახვეული ფული“.

101

ცდუნებაატანილი ავტორი ამ თელაველ გლახაკს ხან ღიმილის მომგვრელად თუ განზრახ, მკითხველების ღიმილის მოსაგვრელად აჩლექინებს ენას.

„პატარა, დანჯღრეული ტრაქტოლი“. „მაგ ტრაქტოლის მეოხებით-მორები გამოჰქონდათ“. „ტრაქტოლი ვეღარ დაუქოქამთ“. „ტრაქტოლს ორთავე მხრიდან დაუწყეს სროლა“.

ერთი სიტყვით, მწერალი თავის პერსონაჟს სრულიად უზაროდ აი, ასე ამახინჯებინებს სიტყვას „ტრაქტორი“, და ეს მაშინ, როცა ჩვენს ყოფაში უფრო გვიან შემოსულ და გაცილებით რთულ სიტყვებს ლინგვისტური სიზუსტით ნარმოათქმევინებს: ექსკავატორი, ტელევიზორი, სპიდოლა, ჰოსპიტალი, ვიტრინა, მექანიზაცია, ტექნოლოგიები, ფაბრიკები, ფესტივალი, ტენტი, სანიტარი, მობილიზაცია, ლეიტენანტი, რეჟისორი, დელეგაციები, ჩიფსები, კაფე, სუპერმარკეტი, გლობალიზაცია...

აბა, ახლა თავად განსაჯეთ: ვინ დაიჯერებს, ან ვის რაში სჭირდება ბერიკაცის, უფრო სწორედ, გულუბრყვილო ავტორის ეს „ტრაქტოლი“?!

თვალში საცემია ერთი ასეთი მიუტყევებელი ნაკლოვანებაც. ეს თელაველი გლეხკაცი კი, ეტყობა, ზოგჯერ გამართულად ლაპარაკობს, მაგრამ მართლწერის უცოდინარ ავტორს მისი „ნალაპარაკები“ დამახინჯებით გადააქვს ქალაქდზე, ხოლო რედაქცია-გამომცემლობის უმეტარი მუშაკები ამას ვერ ამჩნევენ.

ავტორს უწერია: აცა-ბაცა, ღამ-ღამობით, ცოდო-მადლი, მიქრის, მერე-ღა, იმ ხანად, მაინც და მაინც, საღსალამათი, თავთავის, ბოლო-ბოლო, პურმარილი, შიგა და შიგ, ხუთად-ხუთმა, ცრუ მონმეებად, ყოველის მხრიდან, პირი-სახეზე, ვერას გზით, თმააბურძგნული, წნილი, ვერკი...

უნდა იყოს: აცაბაცა, ღამღამობით, ცოდვა-მადლი, მიქრის, მერეღა, იმხანად, მაინცდამაინც, საღ-სალამათი, თავ-თავის, ბოლოს და ბოლოს, პურ-მარილი, შიგადაშიგ, ხუთად ხუთმა, ცრუმონმეებად, ყოველი მხრიდან, პირისახეზე, ვერასგზით, თმააბურძგნილი, მწნილი, ვერ კი...

სამწუხაროდ, ვერც ამ მოთხრობის ავტორი ასცდენია მწერალთა გარკვეული კატეგორიის ერთ-ერთ განუკურნავ ზადს: მთელი სიფაქიზე-სიმახვილით ვერ გრძნობს აზრის სიმნიფესა და ფრაზის მუსიკალობას, არ იცის მწერლური „ნოტები“ და ამიტომ ვერ ხვდება, ზუსტად სად და როდის უნდა დასვას ესა თუ ის სახვენი ნიშანი, მეტადრე კი მძიმე. თუ კალმოსანი ამ ნიჭს მოკლებულია, სრულყოფილად როგორ უნდა გადმოსცეს აზრი?! ხოლო აზრის სრულყოფილად გადმოუცემლად ნაწარმოების რა მხატვრულობაზედა შეიძლება ლაპარაკი?!

ამ ნაკლის ნათელყოფას ძირიან-ფორჩიანად რომ ჩავყვე, მოთხრობის საკმაო ნაწილის გადმონერა-გარჩევა იქნება საჭირო. ამიტომ ოთხიოდე უმარტივესი მაგალითით შემოვიფარგლები.

„რო გავიღვიძე უკვე გურჯაანს ვუახლოვდებოდით“.

„როგორც იყო სამ თუმანზე შევეუთანხმდი“.

„არ ვიცი რა წყალს მივცე თავი“.

„ვინ იცის რას უკრამდა ანიჩკა“.

ახალბედა ავტორი თუ ვერა, ნუთუ ჯერ ყურნალის, მერე კი გამომცემლობის ერთი მუშაკი მაინც როგორ ვერ მიხვდა, რომ ამ ოთხივე წინადადების მეორე სიტყვასთან აუცილებლად მძიმე უნდა დასმულიყო?!

„რო გავიღვიძე, უკვე გურჯაანს ვუახლოვდებოდით“.

„როგორც იყო, სამ თუმანზე შევეუთანხმდი“.

„არ ვიცი, რა წყალს მივცე თავი“.

„ვინ იცის, რას უკრამდა ანიჩკა“.

გამოუცდელი თუ დაუდევარი ავტორი, რომელიც, როგორც ეტყობა, ძალიან ზერელედ ეკიდება თავისი პერსონაჟის მხატვრულ ძერწვას, ამ 84 წლის კახელ გლეხს მოულოდნელად ხან გურულ-იმერული დიალექტით ამეტყველებს.

„ამ გაგანია კომუნისტობაში“. „გაგანია ომია აფხაზეთში“. „ზეიდან და ქვეიდან გზა მოუჭირეს“. „ქვეითკენ... ალაზნის ტოტი მოჩანს, ზეით – მწვერვალები“.

\* \* \*

103

საერთოდ, მთელ ამ მოთხრობა-მონოლოგს თავიდან ბოლომდე აშკარად ეტყობა, რომ ეს არის არა კახეთის სოფლის მკვიდრი ბერიკაცის ლექსიკა და სინტაქსი, არამედ დიდი ქალაქის ბეტონის ჯუნგლებში დაბადებულ-გაზრდილი კაცის მჭლე ქართული.

„სახლს აღარც ღობე შერჩენოდა და აღარც ბალკომის მოაჯირები“.

კი მაგრამ, ერთი სახლის ბალკომს ანუ აივანს მაინც რამდენი „მოაჯირები“ აქვს ხოლმე ან შეიძლება ჰქონდეს?

„სანთელი მოუკიდა და ბუდეში ჩასვა“.

ეკლესიის შანდალსა თუ კანდელაბრს გააჩნია სასანთლეები და არა რალაც ბუდეები.

„ფოთში მიუვარდნენ იელოველებს“. „აივანზეც ავარდნენ“. „ჩაუსვამს მანქანაში ქალები“. „ანზორა და ბოჩია ადგილზევე მოკვდნენ“. „მე და ვანა უსმოდ ვიჯექით ბუხართან“. „სიცილით მოკვდნენ ბუფეტრიკები“. „ვზივართ მე და თამარა... სუპერმარკეტში“. „უკაფობით კვდებიან...“



ღრმად მწამს, ავტორი ლაპარაკს რომ აცლიდეს, ის 84 წლის კამერჩანთკარელი გლეხკაცი ამ წინადადებებს ასე იტყოდა.

„ფოთში იულოველებს მიუცვივდნენ“. „აივანზეც აცვივდნენ“. „ქალები მანქანაში ჩაუსხამთ“. „ანზორა და ბოჩია ადგილზევე დაიხოცნენ“. „მე და ვანა ბუხართან უხმოდ ვისხედით“. „ბუფეტრიკები სიცილით დაიხოცნენ“. „მე და თამარა სუპერმარკეტში ვსხედვართ“. „უყავობით იხოცებიან“...

„ვანა პაპაც იქვეა, მიწაზე ჩამომჯდარა“.

გასაკვირია: მინა ანუ დედამინა ტაბურეტია, სამფეხა, ჯორკო, პუფი, ბოკონი, სკამლოგინი, საკარცხული, სანოლის კიდე თუ კულტურისა და დასვენების პარკის მერხი, მასზე ვინმე რომ ჩამოჯდეს?!

„ეზოში მატყლია გაშლილი და ვბერტყავთ“.

სინტაქსს თავი გავანებოთ! მატყლი ფარდაგია, ნოხი თუ ლეიბი, რომ მიადგნენ და ბერტყონ, თანაც ეზოში გაშლილი?!

104 თუ არ ვცდები, მატყლს, თანაც ეზოში საგანგებოდ გაფენილს, პენტავენ ხოლმე და არა ბერტყავენ. ბერტყვა და პენტვა ანუ გაფაფუკება სულ სხვადასხვა რამ არის.

„ნუ გააწუხე გული!“

ღმერთო, რომელი რიგიანი მოქართულე წამოისვრის ამ სიტყვა-სარეველას – გაანუხე! ეს კახელი გლეხკაცის ბუნებრივი ლექსიკა კი არა, დიდი ქალაქის თახსირი ბიჭბუჭების ამაზრზენ-ნაძალადევი სიტყვანარმოებიდან ნასესხები მავნე ვირუსია!!!

არ ვიცი, ავტორს რის თქმა ენადა, მაგრამ ქართულში არის ასეთი ხატოვანი გამოთქმები.

გულს (სულს) შეუნუხებს – თავს მოაბეზრებს, გაუჭირვებს საქმეს, – გაანამებს.

გულს გაუნყალებს – თავს მოაბეზრებს, საქმეს გაუჭირვებს.

„ხმა გამოვარდა“.

აქ ავტორი ისე წერს, გამოვარდაო, თითქო გიჟზე, ნამწყვდევ კვიცზე, ბულაზე, ვეფხვზე და მისთანებზე გველაპარაკებოდეს

და არა რაიმე ამბავსა თუ მოვლენასთან დაკავშირებულ ხმის გავრცელებაზე. ის აზრი, რასაც აქ ავტორი გულისხმობს, ასეთი კი არა, სულ სხვანაირი ხატოვანი ფორმებით გადმოიცემა: ხმა გავარდა, ხმა გაუვარდა, ხმა დავარდა, ხმა დაუვარდა...

„მამჩემმა ზიარება მიიღო და ისრე წავიდა ფრონტზე“.

მთავარი პერსონაჟი, 84 წლის გლეხი 2004 წელს აი, ასეთი სტილით გვიამბობს 1942 წელს მორდვეთში მდებარე რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკიდან ფრონტზე წასული მამის ამბავს, რაც ამ უკანასკნელის მოკლე ბარათით შეუტყვიათ კამერაანთკარში! ამიტომ ნაწარმოების შინაარსი და მხატვრული ფორმა პირდაპირ ლაღადებს, რომ პერსონაჟმა მსგავსი ამბები თურმეობით მოგვითხროს: მამჩემს ზიარება მიეღო და ისე წასულიყო ფრონტზეო. მაგრამ ეს ავტორს ჯერ არ ესმის, ვერ მიმხვდარა და ეს სქემატური პერსონაჟი ბევრ ძველისძველსა თუ ახალ, მესამე-მეოთხე პირისაგან მონათხრობს თუ განზე ყურმოკრულს ისეთი სტილითა და თავდაჯერებით მოგვითხრობს, თითქო გუშინ და სწორედ მის თვალწინ მომხდარიყოს! ეს კი ნაწარმოებისადმი ანელებს ინტერესს, ავტორისადმი – ნდობა-პატივისცემას.

105

„როცა ყველი გარედან შეხებუა და ნეკის სიმსხო ქერქს მაიდმდა“.

არადა, მოჩქარე ავტორი აქ გულისხმობს „სისქეს“ და გაიძახის „სიმსხოს“.

„მე მაშინ 12-13 წლისა ვიყავი“.

ასე გადაჭრით რომ აცხადებს, ვიყავიო, ერთდროულად როგორ იქნებოდა 12 წლისაც და 13 წლისაც? ამიტომ „ვიყავი“-ს ნაცვლად უნდა ეხმარა „ვიქნებოდი“ ან „თუ ვიქნებოდი“.

„აბა, პაპაჩემი რას მაიფიქრებდა, რო ბაღლები- ჟუჯაჩებსა და კოკა-კოლებს შაჩეკოდნენ“.

ნუთუ რიგიანი მკითხველი დაიჯერებს, რომ კახელი გლეხაკაცი მართლა ამნაირი უაზრო მრავლობითი ინეტყვცვლებს: ჩვენი ბიჭები (შვილები, სიძეები...) ღვინოებს (არყებს, კოკა-კოლებს, ლუდებს, რძეებს...) შეეჩვივნენო?!

ან ეს „უშუაჩკები“ რალა უბედურებაა? კახელ გლეხს იმდენი ჭკუა და დაკვირება კი აქვს, რომ თავისით მიმხვდარიყო: ეს „უშუაჩკები“ კევია და მეტი არაფერი!

„მე კი ვრატრატებ ცარიელი კასრივითა“.

კასრმა როგორ უნდა ირატრატოს? რა არის რატრატი? უთავბოლო ლაპარაკი, ყბედობა. ცარიელი კასრი რახრახებს ხოლმე და არა რატრატებს.

ავტორი გატაცებით მოგვითხრობს თელაველ ქველმოქმედ თავადიშვილებზე, კეთილ ცოლ-ქმარ ერისთავებზე, ლატაკი გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას რომ ასწავლიან.

„ძია გიორგი და ძალო ელისაბედი წერა-კითხვას ასწავლიდნენ სოფლის სალახანებს“.

ეს რომ ნავიკითხე, მოულოდნელობისაგან შეეხტი – ავტორი რა საბუთით ლანძღავს იმ უმანკო ლატაკ ბავშვებს, ან ეს კეთილშობილი, შემდეგ კი უსაფუძვლოდ რეპრესირებული ქველმოქმედნი რასთან დაკავშირებით ჩამოაქვეითა სალახანების მასწავლებლებად?!

რას ნიშნავს ეს სალანძღავი სიტყვა – სალახანა? გაფუჭებული, ზნედაცემული, გათახსირებული.

საჭიროა კომენტარები?

„თითისწვერებზე შემდგარი გოგუცანა“.

არადა, დამიჯერეთ – ის გოგუცანა ფეხის წვერებზეა შემდგარი და არა თითისწვერებზე.

„ჩაცმულ-გაპატოსნებული ხის ტახტზე იღო კუბოს მოლოდინში“.

ავტორი ხაზგასმით რომ წერს, ჩაცმულიო, აბა, ჩვეულებრივ პირობებში სხვანაირად კიდევ როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მიცვალებული, თანაც დედაკაცი? ან რალა საჭირო იყო ზედმეტი სიტყვა „ხის“, როცა თვითონ „ტახტი“ – თანაც სოფლურ-გლეხურ-ღარიბულ პირობებში – თავისთავად გულისხმობს ხის ნაკეთობას. ანდა, მიცვალებული როგორღა უნდა ყოფილიყო „კუბოს მოლოდინში?“

და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ავტორი როგორ ფიქრობს, ნუთუ თავისი ცხოვრების შულოამოხვეულ ამ გლახკაცს არ ეცოდინებოდა, გარდაცვლილ დაზე რომელი სიტყვა უნდა ეხმარა – იღო თუ ესვენა?

მოკლედ, ამ ნიგნში „15 საუკეთესო“ მუჭა-მუჭა მიმოხილული ათასგვარი შეცდომები და მხატვრული წუნი დღის წესრიგში აყენებს ერთ მტიკივნიულ საკითხს: არ შეიძლება, ვისაც მოესურვება, თავისი თავი მთავარ რედაქტორად გამოაცხადოს და მერე რედაქცია თავისი სუბიექტური შეხედულებით შერჩეული თანამშრომლებით გაავსოს!

ნებისმიერი მხატვრულ-ლიტერატურული ორგანოს მთავარი რედაქტორის შერჩევისას აქტიურ მონაწილეობას უნდა ღებულობდეს ქართველ მწერალთა კორპუსი, საქართველოს მწერალთა კავშირი. გამომცემლობა-რედაქციებშიც უნდა ტარდებოდეს ატესტაცია, ტესტირება, პროფესიული გადახალისება, ამა თუ იმ თანამდებობის დაკავებისთვის ღია კონკურსის გამოცხადება, თორემ რა გამოდის: დღევანდელ სინამდვილეში ბევრი რედაქტორის, პროზის განყოფილების გამგის, ლიტმუშაკის, კონსულტანტის თუ სტილისტის მთელი პროფესიულ-ლიტერატურული ცოდნა-გამოცდილება მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ ქართულად წერა-კითხვა იცის, მეტი არაფერი!!!

107

**„შუადღის მზე უკვე კარგა გადაწვერილი იყო.“**

რას არ წაიკითხავს კაცი! თუმც წაიკითხვა ადვილია – თქვენ მარტო ის იკითხეთ, როგორ იქმნება ამგვარი „მხატვრული შედეგები“!

თუკი შუადღის მზეა, მაშ, ჯერ რანაირადღა უნდა იყოს „უკვე კარგა გადაწვერილი“? ხოლო თუ მართლა „უკვე კარგა გადაწვერილი იყო“, მაშინ საშუადღეოზე როგორღა იქნებოდა – მზე სიბრტყეზე ორად ხომ არ გაიჭრებოდა, რათა ერთდროულად ერთი ნახევარი საშუადღეოზე დარჩენილიყო, მეორე ნახევარი კი „უკვე კარგა გადაწვერილი“ ყოფილიყო?!

ერთი მაცოდინა, სურათს ნეტავი რა მხატვრული ლილა გაუხუნდებოდა, ავტორს წინადადების პირველი სიტყვა რომ არ ეხმარა, ანდა მერე რედაქციის რომელიმე დაკვირვებულ მუშაკს ამოეგდო?!

„იმ ჰაერში გაკიდებულ ლოდზე ჩამოვჯექი“.

იმ ჰაერში ან ამ ჰაერში კი არა, უბრალოდ ჰაერში გაკიდებულ იმ ლოდზე ჩამოვჯდა ერთადერთი დის სიკვდილით დამგლოვიარებული ბერიკაცი, რომელ ლოდზეც ოდესღაც მისი პატარა დაია, ანიჩკა იდგა და ხალისიანად გაიმღეროდა!

ლოდზე განმარტოებული, მოგონებებითა და მწუხარებით გაბრუებული ბერიკაცი ორ ლიტრ არაყს ჩაყლურჭავს.

„მერე თითქო რაღაცამ მამიჭირა და მამკრუნჩხა, თელი ტანი და ხელ-ფეხი გამიშეშდა და თვალთ დამიბნელდა.

მესამე დღეს მწყემსს ვუპოვივარ წითელ ლოდზე უგონოდ დაგდებული და მოკუნტული. ვერას გზით (უნდა იყოს ვერასგზით. ჯ. მ.) გამამღიენეს ხელ-ფეხი. ისევ ისე ჩამომიყვანეს სოფელში. არც ვჭამდი და არც ვლაპარაკობდი. არც ის მესმოდა, რას მეუბნებოდნენ. საავადმყოფოშილა მოვედი გონზე“.

აქ პირდაპირ მკითხველისა და მხატვრული თხრობის აბუჩადამგდები, რაღაც ისეთი ულოგიკო, პრიმიტიულ-უსუსური, არაფერის მომცემი მსჯელობა და მოვლენათა თანამიმდევრობაა, კაცს თავი სიზმარში ეგონება.

იქნებ მე ვცდები, აბა, ერთი თქვენც კარგად ჩაუკვირდით. ხელფეხდაკრუნჩხული და გონებადაბნელებული ბერიკაცი თუკი მერე საავადმყოფოშილა მოვიდა ცნობაზე, მაშ, ვის გააკვირვებდა, ან ვილა მოსთხოვდა პასუხს: რატო არაფერს ჭამდი, რატო არ ლაპარაკობდი, ანდა რატო არ გესმოდა ჩვენი ლაპარაკიო?! უგონოდ მყოფი, ცნობამიხდილი ადამიანი როგორ შეძლებს ან ჭამას, ან დალაპარაკებას, ან სხვისი ლაპარაკის მოსმენას?! ეს ხომ თავისთავად, ისედაც იგულისხმება და რის მომტანია ასეთი გრაფომანული წყლის ნაყვა? გარდა ამისა, რაკი მოხუცებულის ამგვარი პასიურობა შეგნებულად კი არაა ჩადენილი, არამედ მისი უგონობით არის გამოწვეული, მაშინ ავტორს უნდა დაენერა არა „არც ვჭამდი და არც ვლაპარაკობდი“-ო, არამედ „ვერც ვჭამდი და ვერც ვლაპარაკობდი“.

საყოველთაოდ ცნობილია, მხატვრული და მით უმეტეს, მცირე ზომის ნაწარმოებისთვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მის ოსტატურ დაწყებას, ისე ბუნებრივ დასასრულს.

„გლობალიზაცია“? აქ მეტად შეუსაბამოდ და უცნაურად აღიქმება მოთხრობის დასასრული. აი, როგორია მისი დამაგვირგვინებელი აბზაცი.

„ერთადერთი, რაც არ გამაიცვალა, ისევ ეს კავკასიონის მთებია, მაწონგადასხმულებივით რო დაგვქათქათებენ თავზე. ისე, როგორც აღრე, მეფე ერეკლეს დროსა“.

ჰმ! ჯერ ერთი, ეს ბერიკაცი როდის მოესწრო „მეფე ერეკლეს დროსა“? ანდა, განა მარტო „მეფე ერეკლეს დროსა“? უხსოვარი დროიდან, რაც ზღვებიდან ეს მთაგრეხილი ამოიზარდა და თავისი ფორმა მიიღო, მას აქეთ სულ ასე დაქათქათებებს არემარეს, მაგრამ მაგით ვითომ რაო?! დღეს ჩვენ თვითონ თუ არ გავმთლიანდით, ერთ პირზე არ დავდექით და ჩვენი კუთვნილი ადგილი ვერ ვიპოვეთ თანამედროვე მსოფლიოში, მიწისაგან პირისა აღვიგვებით, კავკასიონის ეს „მაწონგადასხმულებივით“ მთები კი ისევ ისე იქათქათებენ, როგორც „მეფე ერეკლეს დროსა“, როგორც ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, იაკობ ცურტაველის, მურვან ყრუს, ბულა თურქის, ბაგრატი მესამის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, გიორგი რუსის, სადუნ მანკაბერდელის, თემურლენგის, სიმონ პირველის, შაჰ-აბასის, გიორგი სააკაძის, ზურაბ არაგვისერისთავის, საიათნოვას, არსენა ოძელაშვილის, იასე ფალავანდიშვილის, მიხეილ ვორონცოვის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, გიგლა ბერბიჭაშვილის, ფიროსმანის, ნოე ყორღანიას, მაქსიმ გორკის, სტალინის, სერგო ორჯონიკიძის, ლავრენტი ბერიას, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე ლესელიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო მუსხელიშვილის, ვასილ მჟავანაძის, მიხეილ მესხის, იური როდიონოვის, მერაბ კოსტავას, ჯაბა იოსელიანის, ვლადისლავ არძინბას და სხვათა და სხვათა „დროსა!..“ მერე, „მაწონგადასხმულებივით“ მთების მარტო ეს სიქათქათე და მათი ისევ იმავე ადგილას ნირუცველელი დგომა ჩვენთვის რა ხსნა და ნუგეშია, თავად თუ არ გავინძერით?!

მოკლედ, ბოლოს აშკარა ხდება, რომ ავტორმა თავისი მოთხრობის მეტად ვრცელსა და ზოგად, ათასგვარი განშტო-

ბებით დახუნძლულ იდეასა და სიუჟეტს ვერ მოუძებნა ნათელი, მკვეთრად მოხაზული მხატვრული ფორმა თავისი ბუნებრივი განვითარებითა და დამაჯერებელი დასასრულით, რის გამოც ეს 84 წლის მთავარი მოქმედი პირი ჩამოჰგავს არა მხატვრული ნაწარმოების ცოცხალ პერსონაჟს, არამედ რაღაც საჭირბოროტო საკითხზე სახელდახელოდ გამართულ სოფლის ყრილობაზე სიტყვით გამოსულ, ხალხისგან წაქეზებულ გლეხკაცს, ყველაფერს რომ ედება და ასახელებს, რაც კი გზადაგზა ნამოუტივტივდება ბებრულ მეხსიერებაში!

სწორედ ეს ნაკლი უნდა იყოს მიზეზი, რომ ავტორისაგან შეგულიანებული, სრულიად ცამონმენდილზე დასასრულ ასე ყარაჩოლულად წაეპოტინა კავკასიონის „მანონგადასხმულე-ბივით“ მთებსაც, რომელთაც არაფერი აკავშირებს მოთხრობის იდეასთან, სიუჟეტთან, მთლიან შინაარსთან, რომელიმე პერსონაჟის პირად ცხოვრებასთან, საერთოდ, მხატვრულ ფორმასთან... ამიტომ მოთხრობის ამგვარი დასასრული დაახლოებით იგივეა, მაგალითად, თანამედროვე მძიმე ტანკს ჭურვაგაუვალ ჯავშანზე ფანერიც რომ ააკრან – უფრო მეტი გამძლეობა ექნებაო!

110

მწერლები და მკითხველები, ალბათ, დაუკვირვებლობაში, ანდა საკითხის მიფუჩეჩებაში ჩამომართმევენ, თუ არ შევეხებ მოთხრობის ერთ-ერთ უმთავრეს ნაკლსაც – ნაწარმოების სათაურის სრულიად ალაღბედზე, წარმოუდგენლად წარუმატებელ-ნამგებიან შერჩევას. დებიუტანტმა კარგად უნდა იცოდეს, თუ რა მნიშვნელობა, ხიბლი და ესთეტიკური სიამოვნება გააჩნია მწერლის, მხატვრის, მოქანდაკის, კომპოზიტორის, კინორეჟისორის, თუ ფოტოხელოვანის მიერ თავისი ნაწარმოებისთვის დიდოსტატურად შერჩეულ სათაურს. როცა ეს უკანასკნელი დილექტანტური სიიოლით, ანდა დახურული ყუთიდან ლატარიის ბილეთივით ალაღბედზე კი არ არის ამოღებული, არამედ შემოქმედებითი ტანჯვა-წამების ფასადაა მიღებული და ბუნებრივად გამომდინარეობს ნაწარმოების იდეიდან და მხატვრული ფორმიდან, როცა ისინი – ნაწარმოების იდეა, შინაარსი, მხატვრული ფორმა და სათაური – სხვადასხვა მხარეს კი არ მიიწევენ, არამედ ერთმანეთს ავსებენ და დამაჯერებლად ეხამებიან, ერთ-

დროულად უზრუნველყოფენ ერთმანეთის და, საბოლოო ჯამში, მთლიანი ნაწარმოების მხატვრულ მონოლითურობას, სრულყოფას და წარმატებას. მაშინ მკითხველი თუ მაყურებელიც გრძნობს, რომ საქმე აქვს ჭეშმარიტ შემოქმედთან.

სამწუხაროდ, ბოლო წლების ქართულ პროზაში ხშირად ნააწყდებით ალაღბედზე მიკერებულ, სრულიად წარუმატებელსათაურიან ნაწარმოებს. ნაიკითხავთ ამა თუ იმ კალმოსნის მოთხრობას, ნოველას, პიესას ან რომანს და გაოგნდებით – სათაურს არანაირი სისხლხორცეული ძაფი არ აკავშირებს ნაწარმოებთან! ეგ კიდევ არაფერი. ხან საქმე იქამდეც მიდის, რომ თვით მარტო სათაურივე (!) შეიცავს სრულიად მიუღებელ აზრობრივსა თუ მხატვრულ შეუსაბამობას.

ჟურნალმა „ლიტერატურული პალიტრა“ 2005 წლის მე-3 ნომერში გამოაქვეყნა მწერალ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა. აი, როგორია მისი სათაური.

„იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი ანუ გრიშა და მთავარი“.

გაკვადნიერდები და ვიკითხავ: კი მაგრამ, ვილა არ ჩნდება სიყვარულისთვის? ამქვეყნად გაჩენილ ნებისმიერ ღვთისშვილს განა თვით ღმერთისგან არ აქვს დანათლებული სიყვარულის ნიჭი, გრძნობა, მისი მშვენიერების განცდა-მოთხოვნილება და უფლება?! მაშ, რაღა საჭიროა ამგვარი დისკრიმინაციული ხაზგასმა?! ხსენებული მოთხრობის მთავარი პერსონაჟი, პიანინოების ამწყობი ვილაც გრიშა რა ისეთი გამონაკლისი ან იმისთანა განსაკუთრებული აღდგომის წითელი კვერცხია, რომ მასზე მწერალი სათაურშივე ისეთი ხაზგასმით გვატყობინებს – „იგი სიყვარულისთვის იყო გაჩენილი“-ო, თითქო ეს კაცობრიობის ისტორიაში რაღაც იშვიათი, მოულოდნელი ბედნიერი შემთხვევა ყოფილიყოს!

სათაურის ამგვარი აზრი და კილო თითქო აბუჩად იგდებს ყველას და განსაკუთრებით თვით ამ ნაწარმოების მკითხველებს: როგორც რაღაც გამონაკლისი, ბედნიერი შემთხვევა, ეს მხოლოდ გრიშაა სიყვარულისთვის გაჩენილი და არა თქვენ, ვინაიდან თქვენ არასრულფასოვან არსებებად ყოფილხართ მოვ-



ლენილი ამქვეყნად და ამიტომ არც სიყვარულის პრეტენზია შეიძლება გაგაჩნდეთო!

მწერალმა თავის ნაწარმოებს ასეთი სათაური რომ მისცეს: „ის მწერლად (მოქანდაკედ, ზღვაოსნად, პოეტად, მხატვრად, მხედართმთავრად, მსახიობად, ფეხბურთელად, ალპინისტად, დიქტატორად...) იყო დაბადებული“-ო, ეს გასაგები და მისაღები იქნებოდა, ვინაიდან, მაგალითად, სერვანტესის, მიქელანჯელოს, რუალ ამუნდსენის, ჯორჯ ბაირონის, კლოდ მონეს, ფრიდრიხ დიდის, ჩარლი ჩაპლინის, პელეს, მიხეილ ხერგიანის, სტალინისთანა პიროვნებები და ნიჭითაცხებული პროფესიონალები საუკუნეთა განმავლობაში თითო-ოროლა თუ დაიბადა. მაგრამ სიყვარულისთვის იყო გაჩენილი? მწერალი სათაურშივე ასეთი პრიმიტიული ტენდენციურობით რა მოტივითა და რის იმედით უსვამს ხაზს, როგორც რაღაც იშვიათ მოვლენას – სიყვარულისთვის გრიშას ამქვეყნად გაჩენას, მაშინ როდესაც თითოეული ჩვენთაგანიც სწორედ სიყვარულისთვის მოგვაავლინა უზემთაესმა!

112

მეორე მაგალითი. ლიტერატურულმა ჟურნალმა „ოლე“ (მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი) 2005 წლის ოთხ ნომერში გამოაქვეყნა ნუგზარ ჩიკვაიძის რომანი. აი, ამ რომანის სახელწოდება:

„კიდობანი ლივლივებს მდინარეზე.“

კიდობანი და ლივლივი? კი მაგრამ, კიდობანმა როგორ, რაინაირად უნდა ილივლიოს? რას ნიშნავს ლივლივი? ტალღისებური რიტმული მოძრაობა, რხევა, ქანაობა.

აქედან ცხადია, რომ შეიძლება ლივლივებდეს წყალი, საერთოდ, სითხის ზედაპირი, ტალღა, მორევი, ჭავლი, გუბე, წყლის ზედაპირზე გაჩენილი ბენზინის ლაქა, გამდნარი ტყვიის ნაკადი, ნიავისგან დარხეული ყანა, სათიბი და სხვ.

მწერალი აქ რაიმე ფიგურალურ-ხატოვანი თვალსაზრისით ალივლივებს კიდობანს? მაგრამ არც აქედან გამოვა რამე, ვინაიდან ფიგურალურ-ხატოვან გამოთქმებსაც თავისი წესკანონები აქვთ. ვინმემ რომ დაწეროს, მაგალითად: „ფულისწული ფუფუნებაში ლივლივებდა“. „ზარის თანაბარი წკრიალი

ლიველივით ეფინებოდა არემარეს". „ქალიშვილს სულ თავისი შეყვარებულის სახე ულიველივებდა გონებაში“. „კაცის თვალეში რისხვა (უინი, სურვილი, მძვინავრება...) ალიველივდა“. და სხვა მისთანანი, ეს გასაგები იქნებოდა, მაგრამ ხის კიდობანი ისე როგორ უნდა გარდაიქმნას, დარბილდეს, გალღვეს, დადნეს და განყალდეს, რომ წყლის ზედაპირზე, ანდა რალა წყლის ზედაპირზე – პირდაპირ თვითონ ილიველივოს წყალივით?! მაგრამ მაშინ ის ხომ კიდობანიც აღარ იქნება!

მოკლედ, ან მე თვითონ არაფერი მესმის, ანდა რომანის ავტორს ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია სიტყვები – ლიველივი და ტივეტივი.

ჩემთვის ასევე სრულიად გაუგებარია, მწერალმა კოტე ჯანდიერმა თავის ამ მოთხრობას რის საფუძველზე და რა მოსაზრებით დაარქვა „გლობალიზაცია“.

რას ნიშნავს „გლობალიზაცია“? ეს სიტყვა 1977 წელს გამოცემულ ქართულ ენციკლოპედიაში საერთოდ არ ჭაჭანებს, ხოლო გამომცემლობა „განათლების“ მიერ 1989 წელს დასტამბულ „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ განმარტებულია არა „გლობალიზაცია“, არამედ „გლობალური“: 1. საერთო, მთლიანი, ერთად აღებული. 2. რაც მთელ მსოფლიოს მოიცავს.

დღეს ყველა წიგნიერმა კარგად იცის, რაც არის გლობალიზაცია და რა სურთ გლობალისტებს.

ჰოდა, მწერალი თავის ნაწარმოებს მთელი მსოფლიოს მომცველ პრეტენზიულ სახელწოდებას „გლობალიზაცია“ რომ მისცემს, მაშინ უნდა შექმნას უზარმაზრი თანამედროვე ეპიკური რომანი, სადაც რომელიმე ან რამდენიმე ოჯახის, ფენის, წრის თუ სამსახურის ფონზე ფართო მასშტაბითა და უტყუარი მხატვრული საღებავებით იქნება ნაჩვენები ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ეს ურთულესი პროცესი.

ანდა, კალმოსანს უნდა გააჩნდეს ისეთი უნიკალური მწერლური ნიჭი, როგორიც, მაგალითად, ივან ბუნინს (1870-1953) ჰქონდა, რომ რაიმე პრეტენზიული ან მეტისმეტად გახმაურებული სათაურით დაწერო არა უეჭველად რომანი ან დიდი მოთხრობა, არამედ თუგინდ პანანკინტელა მინიატურა და

გასაოცარი გამჭრიახობით, სითბოთი, ირონიით თუ სარკაზმით სწორედ მასში აჩვენო ამა თუ იმ ეპოქალური მოვლენის სიკეთე, უღმობლობა, სიმახინჯე, შეუქცევლობა თუ ბოროტება.

„რალა მაინცდამაინც ივან ბუნინი?“ – იკითხავს ზოგიერთი.

ცნობილია, რომ კარლ მარქსის ფუნდამენტალურ ნაშრომს წარმოადგენს უზარმაზარი „კაპიტალი“, რომელშიც განხილულია კაპიტალისტური წარმოების წესი და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობანი. თავისებურადაა ახსნილი ბურჟუაზიული საზოგადოების მოძრაობის ეკონომიკური კანონი და მრავალი სხვა.

საბჭოთა ქვეყანაში ეს სავალდებულო ნიგნი-ბიბლია უამრავი პარტიული მუშაკის, მეცნიერის და სტუდენტისთვის ნამდვილ სატანჯველს წარმოადგენდა.

ჰოდა, როდესაც სულ პირველად ივან ბუნინის ერთ-ერთ ტომში პანია მინიატურის სათაურს „Капитал“ წავანყდი, შეეცბი – ამხელა მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს, თანაც სამშობლოდან ემიგრირებულს, ეს მარქსისტული სათაური რამ მიაცემინა, ნუთუ სხვა ვერაფერი მოიფიქრა-მეთქი და არ დავმალავ საკუთარ გულუბრყვილობასა და გამოუცდელობას, მასზე უეცრად წამიხდა შთაბეჭდილება! მაგრამ როცა წავიკითხე!..

აი, 1930 წელს ემიგრაციაში დანერილი ეს მინიატურაც.

## Капитал

Квасник, лысый, красный, тугопузый, лихо кричит тенором на всю ярмарку:

- Вот квасок, попиривает в носок! Вот кипит, да некому пить!

Высокий русский мужик в теплой шалке на затылок идет в толпе с огромным белым хлебом под мышкой и на ходу набивает им рот, жует, откидывая голову назад, раздувая наздри:

- А почему этот квасок?

- Орел вся бутылка, семитка стакан!

- А на грош не отольешь?

- на грош, милый, и воробей не мочится!

Мужик жует, думает. Потом со вздохом, но твердо:

- Нет, на семитку не взойду. Капитал не дозволяет!

კომენტარებს ვერც ამ პანია შედეგს შევკადრებ, ვერც - მკითხველებს.

ჩვენი ავტორის ორმოცდარვაგვერდიანი მოთხრობა კი - რომელიც კრებულში ყველაზე დიდია - როგორ ამართლებს თავის სახელწოდებას „გლობალიზაცია“? მთავარი პერსონაჟი გაჭიანურებით და უხელოვნო გადასვლ-გადმოსვლებით იწყებს თავიანთი ოჯახის წევრებისა და ახლობლების ამბავს, დაწყებული 1916 წელს თავისი უფროსი დის დაბადებით, კამეჩის ყველის რეცეპტის აღწერით, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლებით, რეპრესიებით, სამამულო ომით, თავისი მამა-პაპის დაღუპვით, აფხაზეთის მოვლენებით და დამთავრებული იელოვას მომხრე-მონინაალმდეგეთა შეტაკებით, გაიელოვებული დის თვითმკვლელობით.

მწერალი გლობალიზაციას მოთხრობის დასასრულსღა უხდის ვალმოსახდელ ხარკს. მოუსმინეთ.

115

„აბა, პაპიჩები რას იფიქრებდა, რო კამეჩანთკარში კაფე და სუპერმარკეტი გაიხსნებოდა! რო ბაღლები ჟუვარკებსა და კოკა-კოლებს შაქრვოდნენ; რო ქალები, ნუკი (რა სიტყვაა „ნუკი?“ ჯ. მ.) გეწუნებდა და, შენსეფ ჭიპშიშველანი ივლიდნენ; ქურდები და მილიციის უფროსები ეკლესიების შენებას მიჰყოფდნენ ხელსა; უბრალო ხალხი კი ვიღაცა მამაძაღლების ნაჩუქარ ფქვილსა და შაქარს დაჰხარბდებოდა“.

აი, სულ ეს არის „გლობალიზაციის“ მთელი გლობალიზაცია, რომელიც მკითხველზე ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს, ვინაიდან მოთხრობის შინაარსი და ალაღბედზე მიკერებული სათაური ერთიმეორეს ვერ უთავსდებიან.

თონა დოლენჯაშვილის მოთხრობა „ექსპედიცია“ ჟურნალმა „ალტერნატივა“ (მთ. რედაქტორი შოთა იათაშვილი) გამოაქვეყნა. ავტორი ამ თავის ხუთფურცლიან ტექსტში უკბილო, თუმც საშინელ ფანტასტიკობანას გვეთამაშება. რატომ ფანტასტიკობანა და არა ფანტასტიკა? – იკითხავს გაკვირვებული მკითხველი – ან ეს ყველაფერი თუ უკბილოა, მაშ, როგორღა არის საშინელიც?”

ეს ბოლოს გაცხადდება, მანამდე კი, მოდი, ჯერ მთავარი მოქმედი პირი, 24 წლის ნუცა გავიცნოთ და მერე ტექსტს მივყვით.

„აკვარიუმის ხუთი თვეში, მტვრიანი საოჯახო ფოტოალბომი, უცნობი მხატვრის ორიოდე გრაფიურა და ფილოლოგის დიპლომი დიდი ვერაფერი ავლადიდება იყო ნუცასავეთ მომლოდინე და მეოცნებე გოგოსთვის; დიდი ვერაფერი წყალობა იყო ოროთახიანი სტანდარტული ბინა, ჩაშუშული კომბოსტო და ტელევიზორის კვრანთან მიმსხდარი გაფაციცებული მშობლები“.

ეს ნუცა ერთ დღეს სრულიად შემთხვევით რომელიღაც გაზეთში გამოქვეყნებულ საზღვარგარეთ საექსპედიციოდ გასამგზავრებელი არქეოლოგიური ჯგუფის განცხადებას ამოიკითხავს: მზარეული გვჭირდებაო! რაკი ეს ხელობა ემარჯვება, მოგზაურობაზე მეოცნებე ქალიშვილი უმაღლ დარეკავს. ისინიც მიატანიებენ ვიზისთვის საჭირო საბუთებს და ორი კვირის შემდეგ სამარშრუტო ტაქსში მოკალათებული ექვსკაციანი არქეოლოგიური ჯგუფი მიტინგების ისტერიით შეშლილი თბილისიდან შვებამოგვრელი გაემგზავრება. საითკენ?

„ჯერ თურქეთში. იქიდან კი ეგვიპტესა და კენიაში გადავალთო, უბასუხეს... შუალამე იყო, ძილში რომ ჩაესმა, კენიის საზღვართან ვართო... პირველი დღეები ძძიმე იყო. ველურ ბუნებასთან, სიცხესთან, შიშთან ბრძოლა. ღამით ლომების ღრიალი აღვიძებდა... ზემოთ ცხელი ცა ეკიდა, თვალებს – ხორშაკი ქარი, ფეხისგულებს უდაბნოს სილა წვადა“.

116

რაც მთავარია, როგორ მიდის გათხრების საქმე? ო, უკეთესს ვერც ინატრებდით!!!

„ყოველდღე მიწისქვეშეთში რაღაც ახალს პოულობდნენ. ბრინჯაოს, ვერცხლის, სპილენძის სამშენისებსა და სამკაულებს (ჯერ ერთი, „სამშენისები“ რა სიტყვაა და თან ეს „სამშენისები“ და სამკაულები განა ერთი და იგივე არ არის?! ვ. მ.), სამუშაო იარაღებსა და თიხის ჭურჭლულს, პრეისტორიულ ადამიანთა ძვლებსა და სამარხებს. ამ ყველაფერს დიდი ფუნჯებით საგულდაგულოდ წმენდდნენ, ათარიღებდნენ და ხის ყუთებში ფუთავდნენ. ამტკიცებდნენ, აფრიკული ტომების ახალ ცივილიზაციას (ახალს კი არა, უძველეს, მაგრამ აქამდე უცნობ ცივილიზაციას. ვ. მ.) მივაკვლიეთ“.

ერთ დღეს ექსპედიციის ხელმძღვანელი მზარეულ ნუცას ამ არქეოლოგიურ გათხრებში უშუალო მონაწილეობის მიღებას შესთავაზებს.

„ნუცას ამაზე არც უფიქრია, დაუფიქრებლად გადაეშვა საერთო ორომტრიალში და აფრიკის ეგზოტიკური ცა და მიწა ახლა უკვე მთელი სიძიძით დააწვა მხრებზე.

და მის ცხოვრებაში გამაოგნებელი, გასაოცარი დღეები დაიწყო“.

117

დაინყო და რა დაინყო! ყოველდღიურად იმდენი და ისეთ-ისეთი განძი ამოაქვთ „მინისქვეშეთიდან“, თვით ჰაინრიხ შლიმანსა (1822-1890) და ჰაუარდ კარტერსაც (1873-1939) კი შეშურდებოდათ!

„პირველად ლითონის ჯანგისფერი რგოლებისაგან აწყობილი (რაკი აეტორს აღარ დაუშლია, მაშინ უნდა ეხმარა ანემსილი, ასხმული ან აკინძული და არა აწყობილი. მაგრამ ამულეტი (აეგაროზი, შანა...) ერთი მთლიანი, მცირე რამ ნივთია და არა მძიფივით რაღაც „რგოლებისგან აწყობილი“. ვ. მ.) ამულეტი იპოვა. თითქმის უცვლელად შემონახულიყო და ნუციკომ წარმოიდგინა, როგორ დაატარებდა მას რომელიმე აფრიკელი გოგო. შემდეგი აღმოჩენა თიხის მომცრო ქანდაკება იყო – ხელმძღვანელმა – დასკენა, კაპაიების ერთ-ერთი კერპი იქნებოდაო. კაპაიებს ახლად აღმოჩენილი ცივილიზაციის შეილებს უწოდებდნენ. არქეოლოგთა აზრით, ისინი ადგილობრივი აბორიგენების შორეული წინაპრები უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ მათ გადაეტანათ ცივილიზაცია ეგვიპტეში. „ეს კულტურა ეგვიპტურ და შუამდინარულ კულტურებზე

ძველი და განვითარებულია“ – ამტკიცებდა კოკა – ამ მიწისქვეშა მისტერიის მონაწილე ნუცაც ხდებოდა. ეს განსაკუთრებით მძაფრად მაშინ შეიგრძნო, როდესაც – ნიჩაბი რაღაც მაგარს წამოედო – იქიდან გასაოცარი სილამაზის ბრტყელი სურა (რას ჰქვია ბრტყელი? როგორ წარმოვიდგინოთ ბრტყელი სურა? ბრტყელი კი არა, იქნებ მუცლიანი სურა იყო?! ჯ. მ.) ამოაძვრინა. სურა ერთიანად მოხატული იყო – ნუცამ პირველმა ნახა, როგორები იყვნენ (უნდა იყოს ყოფილიყვნენ. ჯ. მ.) კაპაიები. ფარაონებივით გრძელი ტუნიკები ეცვათ, (ტუნიკა ძველი რომაელების სამოსი იყო და არა ფარაონების. ჯ. მ.), წაგრძელებულ თავებზე ოქროსფერი გვირგვინები ედგათ და ხელებ-გაშლილნი სურის ყელისკენ იმზირებოდნენ. სურა ხელიდან ხელში გადადიოდა, აღტაცებულ შეძახილებს ბოლო არ უჩანდა, ხოლო როდესაც კოკამ სურის გულდასმით დათვალიერებისას ფსკერისკენ (თუ ქუსლისკენ?! ჯ. მ.) მიმავალ ლურჯ სახზე უცხოდ დაკლაკნილი წარწერები აღმოაჩინა, მთელი ბანაკი ერთბაშად დადუმდა. კაპაიების ცივილიზაციის დამწერლობის პირველადმოჩენ ნუცას კი განცდათა სიმძაფრისაგან მუხლი მოეკვეთა და იმ საკრალურ მიწაზე დაეშვა –

118

ნიკამ და ბატონმა ალექსანდრემ ბაზალტისა და გრანიტის ფილები იპოვეს, რომელზეც (უნდა იყოს რომლებზეც. ჯ. მ.) კაპაიას სახელმწიფოს კანონები იყო ჩამოწერილი, ხოლო მარიშამ, ჯგუფის ყველაზე ლამაზმა და მხიარულმა წევრმა, ოქროს სიმებდაწყვეტილი არფა აღმოაჩინა. ხელმძღვანელის ვარაუდით, მასზე თავად დედოფალი მათა უკრავდა, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). გაიძიფრა სურის წარწერაც, რომელიც ღრმა სიმბოლური მნიშვნელობის ტექსტი აღმოჩნდა. კაპაიებს სურაზე, რომელშიც წმინდა წყალი იხსმებოდა, სიკვდილის დამამარცხებელი (უნდა იყოს დამამარცხებელი. ჯ. მ.) იეროგლიფები ამოეტვიფრათ. ლამა მიიჩნედა, რომ წერილი სირაქლეშის ფრთით იყო დაწერილი, რომ კაპაიელთა დამწერლობა ახლოს იყო ძველევგოპტურთან – 1400-ზე მეტ იეროგლიფს ითვლიდა და სემიტურ-ქამიტურ ენებს უყრიდა საფუძველს.

ნუციკო ასეთი ბედნიერი არასოდეს ყოფილა“.

მაგრამ ვაგლახ! ნუციკოს ამ ბედნიერებას ბოლო ეღება, როცა ექსპედიციის უკანასკნელ დღეს ახლა სინს იპოვის.

„ლამაზი სინი იყო, კაპაიები ხილის დასაწყობად თუ იყენებდნენ. ნუცა გულდასმით სინჯავდა ჭურჭლის ზედაპირს, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდა. ჯ. მ.). მეორე მხარეს სინის შუაგული უმნიშვნელოდ გაჩხაპნილიყო.

ნუცას მოჰყენა, სწორედ იმ ადგილას წარწერის მსგავსი რაღაც მოჩანდა. ძირს დაგდებული ლუბა მოიშველია, ჩაუკვირდა და თვლებს არ დაუჯერა – არა, ეს წარმოუდგენელი იყო. ნამდვილად ეჩვენებოდა – ნუციკოს ერთიანად აკანკალა. გამადიდებელი შუშის ქვეშ კი გარკვევით იკითხებოდა წარწერა: “Речинский завод. ОТК”.

რა ხდება, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? ჯობს ისევ ავტორს მოვუსმინოთ.

„ნუცა და ხელმძღვანელი წყაროსთან ისხდნენ. ნუცას ხელში ახლად აღმოჩენილი საბჭოური წარმოების სინი ეჭირა და მთელი ქვეყანა თავზე ექცეოდა. ხელმძღვანელი მშვიდად ლაპარაკობდა.

– და ნუცამ მოისმინა დაუჯერებელი, ჭკუაზე შემძლელი ისტორია არასამთავრობო ორგანიზაციის შესახებ, რომელიც არქეოლოგიურ ექსპედიციებს აწყობს (უნდა იყოს აწყობდა. ჯ. მ.) მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში და ახალ-ახალი აღმოჩენებით ამდიდრებს (უნდა იყოს ამდიდრებდა. ჯ. მ.) კაცობრიობის ისტორიას. სინამდვილეში, (აქ მძიმე სრულიად ზედმეტია. ჯ. მ.) არავითარი აღმოჩენები არ არსებობს (უნდა იყოს არ არსებობდა. ჯ. მ.). ნივთები ორგანიზაციის მიერ არის (უნდა იყოს ყოფილა. ჯ. მ.) შექნილი, დაძველებული და მოხატულ-გადაკეთებული. არავითარი არქეოლოგები არ არსებობენ (უნდა იყოს არ არსებობდნენ. ჯ. მ.). ჯგუფის წევრთა უმეტესობა ხელმოცარული, უმუშევარი და თავგადასავლების მაძიებელი ავანტიურისტია (უნდა იყოს ავანტიურისტი. ჯ. მ.) და რაც მთავარია – არავითარი ექსპედიცია არ არსებობს...

– ეს ნივთები?

– უმეტესობა ბარახოლკაზეა ნაყიდი. ის ბაზრობა აყარეს და იაფად შევიძინეთ. საერთოდ, ნივთებს დაკვირვებით ვამუშავებთ (უნდა იყოს ვამუშავებდით. ჯ. მ.). ამ შემთხვევაში უხეში შეკვლმა გაგვეპარა.

– არქეოლოგები – ნუთუ არც ერთი –

– არა, ალექსანდრე არქეოლოგია დიდი ხნის წინ დაატოვებინეს არქეოლოგიის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, ყველაფერი იციან. მან და კიდევ რამდენიმემ, მაგრამ ეს მათთვის ისეთი საოცარი თამაშია –

– როგორ თუ თამაში? – ვერ მოითმინა ნუცამ.

– ნუციკო, ჩემო კარგო, – ხმა დაირბილა ხელმძღვანელმა, – ჩვენ უცხოური გრანტებით ვფინანსდებით. ადამიანებს ეს სჭირდებათ. სინამდვილიდან გაქცევა სინამდვილის დავიწყება სჭირდებათ. ჩვენ მათ ვეხმარებით.



– კაპიას ტომი... ნუთუ მართლა... არსად არასოდეს არსებულა? – თვალები დაებინდა ნუცას. ცრემლები გაჭირვებით გადაყლაპა და შორეულ ჰორიზონტზე გაწოლილ შიშველ გორაკებს (როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჰორიზონტზე გაწოლილი შიშველი გორაკები, როცა თვით ჰორიზონტი ცისა და ამ გორაკების თხემების წარმოსახვითი შეერთების სახს წარმოადგენს?! ჯ. მ.) გახედა. იმათ, რომელთა იქითაც კილიმანჯაროს თოვლიანი მწვერვალები (ტანზანიაში მდებარე აფრიკის ყველაზე უმაღლესი (5895 მ.) მწვერვალი კილიმანჯარო მანც რამდენი „მწვერვალები“ ჰგონია ავტორს ანდა ჟურნალ „ალტერნატივას“ რედაქციისა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ თანამშრომლებს?! ჯ. მ.) იწყებო, ფიქრობდა“.

მართალია, იმედგაცრუებულ ნუციკოს კენიიდან შორეულ ტანზანიაში მდებარე კილიმანჯაროს „თოვლიანი მწვერვალები“ ელანდება, მაგრამ ეს „არქეოლოგიური“ ჯგუფი მართლა კენიაში როდი იმყოფება! „აბა, სად არიან?“ – გაიკვირვებს მკითხველი. არც ამის განმარტებას დაგზარდებოდით, მაგრამ ჯგუფის ხელმძღვანელი ჩემზე ასწილ უკეთესად აგიხსნით.

120 „– ეს მიწა, შენ აფრიკა რომ გგონია, საქართველოს ტერიტორიაა, წალკის რაიონის რამდენიმე დაუსახლებელი კილომეტრი.

– როგორ თუ წალკაში, – ძლივს მოახერხა ხმის ამოღება ნუცამ, – ჩვენ ხომ იმდენი ვიმგზავრეთ.

– უბრალოდ, წრეზე დავედიოდი“.

ამის ნაკითხვა და ჩემს წარმოსახვაში ამ ე. წ. მოთხრობის, მისი ავტორის, „ალტერნატივას“ რედაქციისა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ საპნის ბუშტივით გაქრობაც ერთი იყო! თუმცა მათი ჯავრი ვილას ჰქონდა, როცა თვით უბედური სამშობლო ჩამომენგრა თავზე!!!

როგორ? რანაირად? ახლავე აგიხსნით!

ცხადია, გემახსოვრებათ, ავტორმა დასაწყისშივე ნათლად რომ გვითხრა, საით მიემგზავრებოდნენ.

„ჯერ თურქეთში. იქიდან კი ეგვიპტესა და კენიაში გადავალთ“.

მოთხრობის მოქმედება მართლაც „კენიაში“ მიმდინარეობს, მაგრამ, როგორც ბოლოს დავინახეთ, ეს ყველაფერი ბლუფი ყო-

ფილა და კენიაში კი არა, თურმე ემანდ, წალკის მიდამოებში უბანაკიათ! ახლა მკითხველმა თავად წარმოიდგინოს: ჯგუფის ხელმძღვანელს ექსპედიციის წევრები ქვემო ქართლის სანახებში აღმა-დაღმა რამდენი უნდა ეტარებინა, რომ თბილისიდან კენიამდე (!!!) გაჭიმული სავარაუდო მანძილის დაფარვის ილუზია შექმნილიყო!!! და აი, აქ რას აცხადებს ავტორი! თუმცა, სანამ ციტატას მოვიყვანდე, აეროფლოტის ენაზე რომ ვთქვათ, ყველამ მაგრად შეიკარით უსაფრთხოების ქამრები, ხოლო თუ ვინიცობაა, ვინმეს ცალი ხელით ეს წიგნი უჭირავს, მეორეთი კი ჩვილი ბაია, ვთხოვ, შეწყვიტოს კითხვა და ჯერ ჩვილი ჩაანვინოს თავის სანოლში ან სადმე დასვას, რათა წანაკითხით მოგვრილი ელდისაგან უცებ ხელიდან არ გაუვარდეს.

აბა, ყველანი მზად ხართ? მაშ, მომყავს ციტატა.

„სულ ერთნაირი, უსახური მიდამოები იყო, არაფერი საინტერესო და ღირსშესანიშნავი“.

ავტორი აი, ასეთი სისხლის გამყინავი უსულგულობით ახასიათებს სამხრეთ საქართველოს მთიანეთში მდებარე ერთ-ერთ მშვენიერსა და მრავალტანჯულ მხარეს, სადაც არ მოიძებნება არც ერთი სოფელი, ნასოფლარი, ნაქალაქარი, ნაკალოური, ეკლესია-მონასტერი, ნასაყდრალი, ციხესიმაგრე, რაიმე ისტორიული ნაშთი, ტოპონიმი, სასაფლაო, გამოქვაბული, მწვერვალი, მთაგრეხილი, ქედი, უღელტეხილი, ბუჩქობი, პლატო, ქვაბული, ზეგანი, კორტოხი, ფერდობი, ჩამოსათავარი, კლდე, ქარაფი, ფლატე, ორნოხი, ხრამი, ღარტაფი, გზა, ტყე, კენჭი, წავარნა, მოსახვევი, აღმართი, დაღმართი, სათიბ-სახნავი, ასწლოვანი ხე, ველ-მინდორი, ტაშირი, ახო, მდელო, კორომი, წარაფი, ჩანჩქერი, ფშანი, რუ, წყარო, ნაკადული, მდინარე, ტბა, ოლე, ბრძნულად ჩადუმებული ლოდი თუ მხსნელის მომლოდინე, ბალახებიდან ცხვირამოშვერილი წალურჯო კრამიტის ნატეხი, ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორიით რომ არ სუნთქავდეს; ყოველი მათგანის ხილვა ჭკუათამყოფელ ქართველს იმავე წამს რომ არ ახსენებდეს ამ მხარეში ოდესღაც ქართული კულტურის აყვავება-ამაღლებას, მტერთა აურაცხელი შემოსევებისას დიდი სისხლის ფასად მოპოვებულ ჩვენს ბრწყინვალე გამარჯვებებს და მწარე თუ სა-

მარცხვინო დამარცხებებს, ლალატს, ძმაკალიობას, დაკნინება-დაქუცმაცებას, მომხდომის ძალმომრეობას, აყრა-გადასახლებას, გადარჯულებას, ცბიერულად შემოთესლებული თავმოსანყლებული ხიზნების უმადურობასა და თვალგულკუჭგაუმადრობას... ჩვენი სამშობლოს ამ ერთ-ერთ ყველაზე ჯადოსნურ, გრძობაგონების ამაფორიაქებელ მხარეში კუსოდენა უცხოური ავტომობილის პანია სარკმლიდანაც კი ვერსად დაინახება ისეთი ხედი, რომელმაც ნამდვილი ქართველი ანდამატივით არ მიიზიდოს, გულზე მარწუხივით არ მოეჭიროს და უმალ ჩვენი წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებებით, დარდით, სინანულით, განსჯით, უინით, სიმხნევითა და მომავლის რწმენით არ აავსოს!..

მოკლედ, როგორც ნაბანს ბავშვი, ავტორმაც თავის უკბილო ფანტაზიობანას ისე გადააყოლა საქართველოს ერთ-ერთი მხარე. მერედა, ვის ჩაადენინა ეს? ახალგაზრდა, პრეტენზიულ ფილოლოგს, გულს რომ ურევს გაუთავებელი მიტინგებით პოლიტიზირებული დედაქალაქის ატმოსფერო და სულიერ შვებას მოგზაურობაში ხედავს. ქალიშვილს, ავტორმა თავიდან ასე რომ განადიდა.

„მაგრამ ნუცა რჩეული იყო“.

კი მაგრამ, ვისი რჩეული იყო, ან რაში გამოიხატება მისი ეს რჩეულობა – მოთხრობის დასაწყისში ღვიძლ მშობლებს აგდებულად „დიდი ვერაფერი წყალობა“ რომ უნოდა და ჩამუშულ კომპოსტოსთან გაათანაბრა, ბოლოს კი საქართველოს ერთ-ერთი ედემური მხარე უსახურად და უინტერესოდ გამოაცხადა?!

ან ვინ დაგვიდგება თავდებად, რომ კილიმანჯაროს „თოვლიან მწვერვალებზე“ ოცნებით გაბრუებული, „კენიაში“ მოკალათებული ნუციკო მომდევნო „ექსპედიციისას“ კიდევ საქართველოს დანარჩენ მხარეებსაც უსახურად, უინტერესოდ, ბათილად არ გამოაცხადებს და სახელდახელო აუქციონზე არ გამოიტანს: ასეთი უსახურ-უინტერესო სამშობლო აღარ გვჭირდება!.. ვისაც გნებავთ, დაეპატრონეთ!.. ჩვენ კი შეიძლება კილიმანჯაროს „თოვლიანი მწვერვალების“ მიდამოებში გავემგზავროთ ახალი სამშობლოს საძებნელად!

ღმერთო, ჩვენგან ამისთანების გაგონებალა უნდათ ისედაც დოგა-დოგა თავს წამომდგარ, ჩვენი მამულის ღალით დასუქე-

ბულ-დალალეზულებსა და ჩვენსავე მინა-წყალზე თვალგა-  
ფაციცებულ მგლებსა და აფთრებს, საქართველოსაგან ჩამო-  
გლეჯილ კიდე-კუთხეებს ქვალორლიანად და ეკალბარდიანად  
პირდაპირ უმად რომ ყლაპავენ და მაინც ვერ დამძლარან?!

სადაც სამართალია, ამგვარი მავნე მიკრობის შემცველი  
გრაფომანული ტექსტის პირველდამბეჭდავ რედაქტორს, მერე  
კი მის 2005 წლის ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ მოთხრობად  
მაღიარებლებს სამუდამო დისკვალიფიკაცია უნდა მიეცეთ!

მკითხველებს ბოდიშს მოვუხდი ასეთი რბილი განაჩენის წამ-  
ოყენებისთვის.

\* \* \*

წელან შემთხვევით არ შევუწყვილე ერთმანეთს ფირალები  
და გრაფომანები, გურიის აქოჩრილი ტყეები და ფანტასტიკის  
ჟანრი.

სამნუხაროდ, ვერც თ. დოლენჯაშვილს გაუძლია ფანტას-  
ტიკის უღრანებში თავის ნებაზე განუკითხავად მოქმედების  
ცდუნებისთვის. მაგრამ ამ ჟანრის გადაჭარბებით მოტრფი-  
ალებმა „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ მაინც გასინჯონ ტერ-  
მინი „ფანტასტიკა“. იგი სხვა არაფერია, თუ არა სინამდვილის  
მოვლენების წარმოდგენა, ოლონდ, ცხადია, გაზვიადებულად.  
მოკლედ და ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, ამგვარი ჟანრის ნაწარ-  
მოებში აღწერილი „ტყუილი“ უნდა იყოს მხატვრულად დამა-  
ჯერებელი, ლოგიკური „ტყუილი“ და არა ტლანქი, ერთმანე-  
თის საწინააღმდეგო და ერთიმეორის გამომრიცხველი, შეუსაბა-  
მო, მკითხველისა და თვით ჟანრის შეურაცხმყოფელი პიტალო  
ტყუილი – ვერავითარ კრიტიკას რომ ვერ უძლებს.

123

წალკის რაიონის მიდამოებში მყოფ ნუციკოს, რომელსაც  
თავი შორეულ კენიაში ჰგონია, დამლამობით ლომების კმინვა-  
ლრიალი რომ აღვიძებს, ეს შეიძლება დავუჯერო, რადგან ან  
თვითონ სჭირს ჰალუცინაცია, ანდა ჯგუფის ხელმძღვანელი  
ფირზე ჩანაწერით მანიპულირებს. მაგრამ რამდენიმე დღის  
განმავლობაში თბილისიდან ხელის განვდენაზე, სულ ქვემო ქა-  
რთლში და მის მიმდებარე წალკის რაიონის მიდამოებში რომ  
ტრიალებენ, ნუთუ ფილოლოგი ქალიშვილი რაიმე მშობლიურმა

ნიშანწყალმა ვერ უნდა მიახვედროს: ეს სანახები თურქეთი და, მით უმეტეს, ეგვიპტე და კენია კი არა, თავისი ქვეყნის მიწა-წყალია?! ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს: მწერლურ თავისუფლებასაც, მის ფანტაზიასაც, ნაწარმოების მხატვრულ დამაჯერებლობასაც, მკითხველის გულუბრყვილობას, თანადგომას, მოთმინებას, ხათრსაც?!. მაგრამ ფანტასტიკის დაბურულ ტყეს თავმიცემული ავტორი აღარაფერს უწევს ანგარიშს, აღარაფერზე აგებს პასუხს.

„ზევით ცხელი ცა ეკიდა, თვალებს – ხორშაკი ქარი (აქ სიტყვა „ქარი“ სრულიად ზედმეტია, ვინაიდან თვითონ ხორშაკი ცხელ ქარს ჰქვია. ჯ. მ.), ფეხისგულებს უდაბნოს სილა წყავდა (უნდა იყოს სწავდა. ჯ. მ.)“.

როგორც წელანაც ვთქვი, მწერალს ლომების ამბავს დაეუ-ჯერებ, მაგრამ ამ უდაბნოს გახურებული სილით ფეხისგულების დანვას რალა მოეუხერხოთ, როცა ნალკის რაიონი უდაბნოში კი არა, ზღვის დონიდან 1460-1500 მეტრზე მდებარეობს და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულიდან მშრალ სუბტროპიკებზე გარდამავალ ჰავის ოლქშია მოქცეული, სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 6, ხოლო ივლისის – 16 გრადუსს არ აღემატება! ამიტომ აქ უდაბნოს გავარვარებული სილით ვინმეს ფეხის-გულები დაენვას კი არა, თუგინდ ზაფხულობით ასული უცხო კაცი – თუ ცოტა რიგინად არ აცვია – იქნებ გაცივდეს და სიცხე ან სურდო, ანდა ორივე ერთდროულად აიკიდოს!

ეჰ, რა ვუთხარი დებიუტანტურ აჩქარებას თუ მშობლიური მხარეების ჰავის უცოდინარობას, თორემ ავტორს თუ მაინცდამაინც უდაბნო და გახურებული სილა სურდა, მაშინ კენია ნალკის გრილ რაიონში კი არა, სადმე ივრისპირეთში უნდა „გადმოეტანა“, სადაც საკმაოა უკაცრიელი უდაბნო ადგილები და მთელი ზაფხული ისეთი პაპანაქებაა, რომ მზის გულზე თუგინდ კვერცხი შეინვება!

დასასრულ, ფანტასტიკის ჟანრზე ბრმად შეყვარებულ კალმოსნებს მოკრძალებით შევახსენებ გოეთეს მიერ ეკერმანთან ნათქვამ ცნობილ ფრაზას.

„ფანტაზიას თავისი საკუთარი კანონები გააჩნია“.

მარიანა ნანობაშვილის რვაფურცლიანი მოთხრობაც „მე-სიჯი არსაით“ უურნალმა „ალტერნატივა“ გამოაქვეყნა. ნანარ-მოების თემა ადამისუამინდელია, მაგრამ მარად გაუხუნარი და მკითხველის ამალეღვებელი – სიყვარული!

პატარა საკურორტო ქალაქში დასასვენებლად მყოფი ოცდაათი წლის ზაზა ერთ დღეს პლაჟზე შემთხვევით პირველად დაინახავს ჩრდილოელ თორმეტიოდე წლის ბიჭუნას და მის ყრუ-მუნჯ დედიკოს, რომელზეც მაშინვე გული შეუვარდება.

დედა-შვილის პლაჟზე გამოჩენას, მათ ურთიერთობას, ამ ყრუ-მუნჯი ქალის ქცევასა და მანერებს, ვნებაატანილი ზაზას მიერ მათთან დაახლოების სურვილსა და ცდას მწერალი ისე ხატავს, რომ მკითხველიც იძაბება და მოუთმენლად ელის მოვლენათა შემდგომ განვითარებას: ბავშვიანი მანდილოსანი უპასუხებს თუ არა უცხო მამაკაცის გრძნობებს; ან თვითონ ზაზა როგორ აპირებს ყრუ-მუნჯი ქალის მოხიბვლას, რანაირი რაინდული თვისებებითა და მამრული კეთილშობილებით შეეცდება მისი ინტიმური სამყაროს უხილავი სიმების შერხევას და საბოლოოდ მოახერხებს თუ ვერა საოცნებო სიყვარულის იდუმალ ბილიკებზე მის ნებაყოფლობით გაყოლას!

125

„და უცებ, ამ ტემპერამენტის ყრუ-მუნჯის ცქერისას ზაზას გონებაში დაებადა სურათი (მკითხველი ციტატის ბოლოს მიხვდება, რანაირი სურათიც დაებადებოდა. ჯ. მ.), რომელსაც ხუთიოდე წუთის წინაც კი ვერ წარმოედგინა ანასთან მიმართებაში.“

ქალი უკვე სხვა თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა. ძალიან მოეწონა. მერე მის ირგვლივ ხალხს დააკვირდა. იგი აშკარად მამაკაცის გარეშე იყო. ზაზას თითქოს ეშმაკი შეუჩნდა. იმ წამს გადაწყვიტა ამ ქალის დათრევა“.

ციტატის ბოლოს სიტყვის ნაკითხვა და მკითხველის წარმოდგენაში მოთხრობის დანაცრებაც ერთდროულად ხდება, ვინაიდან იგი მოელოდა შეყვარებული მამაკაცის სულიერი ლი-

რიზმის გამომზეურების პროცესის მხატვრულ ასახვას, ავტორმა კი მოულოდნელად ეს ყველაფერი ხელის ერთი მოსმით მკითხველისა და სიყვარულის შეურაცხმყოფელ უხამს, სამბისტურ-კარატისტულ „დათრევამდე“ დაიყვანა!!! რა გაეწყობა: ზაზას თუკი ამ ყრუ-მუნჯი ქალის მხოლოდ „დათრევა“ სურს და მეტი არაფერი, დაე, დაითრიოს და იმდენ ხანს ათრიოს, სანამ არ მობეზრდება, რიგიანი მკითხველი კი ამ ტლანქი პროცესის კითხვა-ცქერით არც თავს დაიმცირებს, არც დროს დაკარგავს!

ანდა, ერთი ეს ვიკითხოთ: მკითხველს რატომ, რასთან დაკავშირებით უნდა წაეკითხა დებიუტანტი მწერლის, მარიანა ნანობაშვილის მოთხრობაში აღწერილი ვიღაც ზაზას და ყრუ-მუნჯი ანას სატრფიალო თავგადასავალი, როცა მსოფლიო ლიტერატურა სავსეა სიყვარულის თემაზე შექმნილი უკვდავი შედეგებით?! ამიტომ ასწილ არ ერჩია, აელო რომელიმე კლასიკური ნიმუში და იქ დიდოსტატურად ასახული სიყვარულის პირველი წაკითხვით თუ ხელახალი გადაკითხვით განეცადა უმაღლესი ესთეტიკური ტკბობა, სულის ამამალლებელი ლირიზმი?! მაგრამ სწორედ მაგაშია სიყვარულის მშვენიერება, ძალმოსილება, იდუმალება და უკვდავება, რომ ქვეყნად რამდენი შეყვარებული ადამიანიცაა, იმდენივე სასწაულებრივად ინდივიდუალური, სხვა ყველასაგან განსხვავებული სიყვარულის თავისებური განცდა და მისი მშვენიერების ლირიკული გამოხატულება არსებობს!

მკითხველიც სწორედ ახალ, ჯერ არნახულ, მკვეთრად ინდივიდუალურ სიყვარულთან შეხვედრის მაცდური იმედიტა და მოლოდინით ჩაუჯდა მარიანა ნანობაშვილის მშვენიერად დაწყებულ მოთხრობასაც და მწერალს მანამდე მისდევდა ნდობითა და გატაცებით, სანამ ავტორისეულ თხრობაში სიყვარული – ადამიანის ეს ყველაზე ამალლებული და ფაქიზი გრძნობა – ტლანქ „დათრევად“ არ მოინათლა! ეს კი უკვე მიუღებელია, ვინაიდან ამგვარად სოფლის სადალაქოებში, სალაცხოზე თუ სადმე ვინრო წრეში კურორტზე ნამყოფი ვაჟბატონები ბაქიაობენ ხოლმე უტიფრად: დავითრიე, შევათრიე, შევაბი, მოვჩანგლე, შევიტყუე, დავიმარტოხელე, ავყუდე, მივიმწყვდიე, გავმხლართე და სხვა მისთანანი, მაგრამ ეს ხომ მხატვრული ლიტერატურა არ არის?!

მოკლედ, ზაზამ გულში კი ამოიჭრა, ეს ყრუ-მუნჯი ქალი უეჭველად „დაითრიოს“, მაგრამ რაკი არ გააჩნია იმდენი შინაგანი კულტურა, ერუდიცია და მამრულ-ადამიანური მომხიბვლელობა, დედა-შვილს რაიმე საბაბით სრულიად ბუნებრივად პლაჟზევე გაუბას საუბარი და დაუახლოვდეს, ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს, უკადრის ხერხს მიმართავს – მოულოდნელად გესტაპოს აგენტის როლში გვევლინება.

„ნახევარ საათში მუნჯმა (ველარ გავიგე, ეს ქალი მარტო მუნჯია თუ ყრუ-მუნჯი?! ვ. მ.) პირსახოცი აკეცა, თავის ბიჭუნას ხელი დაავლო და წავიდა. ზაზას არ გასჭირვებია არც შეუმჩნეველად აღდგენება (ფუი, შენს ვაჟკაცობას! ვ. მ.), არც მათი ადგილსამყოფელის აღმოჩენა (ყოჩაღ, ვე როგორ მოახერხე – მართლა მაგარი ვინმე ყოფილხარ! ვ. მ.). ისიც კი მოახერხა, რომ იმავე დიასახლისთან თვითონაც იქირაეა ოთახი და საღამოსვე გადაბარგდა ახალ ბინაში“.

ესეც ასე! საქმე გაიჩარხა! რაკი ზაზაც მათ გვერდით დაბინავდა, მორჩა – ყრუ-მუნჯის „დათრევას“ წინ ველარაფერი დაუდგება!!!

ზაზას ყრუ-მუნჯის დათრევა კი განუზრახავს, მაგრამ მარტო მის იმედზე ხომ არ იქნება?! ანდა, ჯერ ვინ იცის: დაითრევს, ვერ დაითრევს?! ყრუ-მუნჯისას რას გაიგებ – ერთიც ვნახოთ და ვერაფერი შეასმინა, რალა ეშველება მერე, ძვირფასი საკურორტო დრო უქმად დაკარგოს?! ამიტომ მეორე დღეს პლაჟზე მარტოკა რომ იჯდა და „თვალს წყალს ალევინებდა“, ვილაც ქალმა ღიმილით სთხოვა – სანამ წყლიდან ამოვალ, ჩემს მობილურ ტელეფონზე თვალი გქონდესო. ხოლო როცა უკან მობრუნდა, ზაზას კიდევ ერთხელ გაუღიმა და ეს ყველაფერი საკმარისი გამოდგა, ჯერ ერთად ევახშმად, მერე კი ლოგინშიც ერთად აღმოჩენილიყვნენ! მაგრამ რა მოხდა მერე: სამაგიეროდ ფიქრით „თავის“ ყრუ-მუნჯს დასტრიალებს – ნეტავი, ახლა რას აკეთებსო. ამიტომ იმ ქალთან საქმეს რომ მოითავებს, შინისკენ გაეშურება. ჩვენი ნაცნობი ბიჭუნა ეზოში დაღვრემილი უზის, დედას კი გუშინ თურმე უხარბია, მზის დაკვრა მიუღია და შინ უგონოდ გღია.



„წამო, ვნახოთ, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ვ. მ.). — კატეგორიულად თქვა ზაზამ.

ანა მუცელზე იწვა (ადამიანი მართო მუცელზე როგორც უნდა იწვეს?! მუცელზე კი არა, ალბათ, პირქვე იწვა. ვ. მ.) და ეძინა. ძილში შფოთავდა. ზაზა — მიუახლოვდა — მორიდებით დაადო შუბლზე ხელისგული.

— მგონი, სიცხე აქვს, (აქაც წერტილი უნდოდა და არა მძიმე. ვ. მ.). — რატომღაც წაინურჩულა ზაზამ.

ცოტა ხანში (უნდა იყოს „ცოტა ხნის შემდეგ“. ვ. მ.) საწოლზე წამომჯდარი (აქ მძიმე უნდოდა, ვ. მ.), მზისგან ერთიანად წითელი ანა აპრი-ალტებული თვალებით აკვირდებოდა მის (მის კი არა, თავის. ვ. მ.) გარშემო ატეხილ ფაციფუცს, მიწოდებულ წამლებს სვამდა.

— ეს ყველაფერი უაზრობაა, — ჩაილაპარაკა ზაზამ, — მაწენის გარდა ახლა ამას არაფერი უშეულის.

— მერე, ვიყიდოთ! — გამოეპასუხა ბიჭი.

— გაიქცევი? — თვალბში ალაღად ჩახედა კაცმა, — დედას მე მივხედავ.

ბიჭი უყოყმანოდ წამოდგა.

— რამე მალაზია იპოვე. ახლომასლო ჯიხურებში არ იქნება, (აქ მძიმე კი არა, ძახილის ნიშანი უნდა. ვ. მ.)! — როგორღაც ატაცებულმა მიიძახა ზაზამ.

პირისპირ რომ დარჩა ანასთან, თავისდა გასაოცრად, დაიბნა. ერთდროულად გაუღიმეს ერთმანეთს. კაცმა ლოყაზე ხელისგული მოუსვა, ისე, გასამხნეველად. ქალს უნებურად თვალეზი მიეღულა. ზაზას გუშინდელივით დაარტყა ქალისაგან ერთბაშად მოზღვავებულმა ტალღამ, თბილმა, წამლექავმა. ამჯერად მოეშვა, შეისრუტა ეს ტალღა, აჰყვა. ძალიან ახლოს დაინახა ანას ჭროლა თვალეზი, ნარუჯისა და სიცხის ფონზე არაბუნებრივად რომ უბრწყინავდა. მერე ქალის ტუჩის რბილ-სველი შეხება (საინტერესოა, ამ დროს მეორე ტუჩი სადღა იყო და რას აკეთებდა?! ვ. მ.) იგრძნო (სად? ვ. მ.) და თავსაც დაკარგავდა, ანა ტკივილისაგან რომ არ დამანჭულიყო უცებ. ზაზა გონს მოეგო და დამწვარი მხრიდან უცებ მოაცალა ხელი. ანამ მოუსვენრად გაიხედა კარისკენ.

— ჯერ არ მოვა, ჯერ არა. — თავი გადააქნია ზაზამ და ხელი ისევ წაიღო ქალის სახისკენ (უნდა იყოს „ხელი ისევ ქალის სახისკენ წაიღო“. ვ. მ.). ანამ ჯიუტად გადააქნია თავი და კარისკენ ანიშნა. კაცმა ამოიოხრა და უკან მიიხედა. ღია კარში ბიჭი იდგა.

— დიასახლისს კქონია, (აქ მძიმე კი არა, ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ. მ.)! — გაუწოდა მაწვნით საესე ჭიქა— არეულმა ზაზამ ჭიქა გამოართვა, ანას მიუტანა. ქალმა მაწონი დამწვარ მკლავებზე წაისვა. უცებ ღედა-შვილმა ერთდროულად შეხედა ზაზას, თითქო, აქ რაღას აკეთებო. კაცი წამოდგა.

— აბა, გამოკეთდი, (აქაც წერტილი უნდოდა. ჯ. მ.) — უხერხულად გაულიმა ანას. მერე ბიჭს მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოჰხვია (უნდა იყოს მოხვია. ჯ. მ.). კარამდე ერთად მივიდნენ.

— ხვალ ერთად წავიდეთ პლაჟზე? — ჰკითხა უკვე (უკვე? თუ კორექტურა გაიპარა და უნდა იყოს „უცებ“?) ჯ. მ.) კაცმა.

ბავშვს გაუხარდა.

„დავითრევ“, (აქ მძიმე კი არა, წერტილი ან ძახილის ნიშანი და დე-ფიზი უნდოდა. — ჯ. მ.)! — დარწმუნებით ჩაილაპარაკა ზაზამ, როგორც კი თავისი ოთახის კარი მიხურა და მარტო დარჩა“.

ისევ ის სამბისტურ-კარატისტული „დათრევა!!!“ ეს უკვე მეტისმეტია და თან ცოტა უხერხულიც, რომ ავტორმა, თანაც მანდილოსანმა, თავის მთავარ პერსონაჟს ასე პათოლოგიურად ააკვიატებინოს და სულ „დათრევის“ პოზიციიდან ააზროვნოს! ნელან სხვა ქალთან ნაწოლი ზაზა რომელ „დათრევასლა“ გეგ-მავს, როცა ეს საწყალი, სიცხისაგან გადახურებული ქალი ისეა შემწვარი, აგერ, თითის წაკარებაზეც კი მტკივნეულად იმანჭება და მზის დაკვრისაგან შეიძლება სულაც სული განუტევეოს! მართ-ლა აღარ არის ცოდვა-მადლი და ზნეობა, ან ავტორისეული სი-მალლე და ზომიერება, ან ქართველი მამაკაცის მოთმინება, და-კვირვება, გულისხმიერება, სუსტი სქესისადმი მამრულ-ლომური თანაგრძნობა-მფარველობა?! მთელი ეს სცენა — ზაზასა და ანას პირისპირ დარჩენა — იმდენად თვითმიზნური, არალოგიკური, ყალბი, ანტიჰუმანური, უზნეო და ამაზრზენია, რომ მკითხველი აღშფოთებამდე მიჰყავს ავტორის მწერლური ჭკრეტა-განსჯის შესუსტებას და ამ ხისთავიანი ზაზას მოუაზრებლობას თუ ქა-ლის „დათრევის“ ბეცურ აკვიატებას, რომელსაც მზიგან გადახ-ურებული, თან სიცხეანეული, სიკვდილის პირას მივარდნილი გაოგნებული ქალის ტანის აღმურ-ვარვარი „გუშინდელივით“ ენების აღმძვრელ „თბილ, წამლეკავ“ ტალღად ეჩვენება! მა-გრამ რის თბილი, რა თბილი, თუ ღმერთი გნამთ — მხედაკრუ-

ლი და სიცხეანეული ქალი საბედისწეროდ ვარვარებს!!! ბულასავით გეშალებულ ზაზას კი ეს ვერ შეუგნია და „დათრევის“ პათოლოგიური უინით შეპყრობილი, როგორც ავტორი ნანობს თუ იკვებნის, „თავსაც დაკარგავდა, ანა ტკივილისაგან რომ არ დამანჭულიყო უცებ“.

მსგავს... თუმც მოდო, რომელიმე სახელმძღვანელოდან ჯერ ეს შევიტყოთ კარგად, რა არის მზის დაკვრა.

„თავის ტვინის სხვადასხვა ფუნქციის მოშლით გამოწვეული ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც ვითარდება შიშველ ტანზე მზის სხივების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. კლინიკური ნიშნებიდან აღსანიშნავია კანის სიწითლე და შეშუპება, უსიამოვნო შეგრძნება მთელ სხეულში, თავბრუ, თავის ტკივილი, ყურების შუილი, ზოგჯერ გულისრევა, პირღებინება, ტემპერატურის მომატება, გულისცემისა და სუნთქვის აჩქარება, მძიმე შემთხვევაში მაღალი ტემპერატურა (40°C და ზევით), მეტყველების მოშლა, კრუნჩხვები, პალუცინაციები, ცნობიერების დაკარგვა. ზოგ შემთხვევაში მზის დაკვრა შეიძლება სიკვდილით დამთავრდეს“.

130

დაახლოებით აი, ამ დღეშია ჩავარდნილი ეს საწყალი ყრუმუნჯიც. მაგრამ ზაზას ეს ჩირადაც არ მიაჩნია და, ალბათ, მართლა „თავსაც დაკარგავდა“, ხელის ნაკარებაზე ანა მტკივნეულად რომ არ დამანჭულიყო, ანდა, მანონზე გაგზავნილი ბიჭუნა ნაადრევად არ დაბრუნებულიყო!..

ალარ ვიცი, რა ვთქვა კიდევ... ავადმყოფი და მით უმეტეს, სიცხიანი ეჭვმიტანილი დაკითხვაზე არ გაჰყავთ ხოლმე, სიკვდილგადანყვეტილ რეციდივისტსაც კი არ სჯიან, თუ სიცხე აღენიშნა!.. რაიმე სტიქიური უბედურებით (ყინვა, დიდთოვლობა, შიმშილი, წყალდიდობა, ხანძარი...) უმნეო მდგომარეობაში ჩაცვივნილ ნადირ-ფრინველზე ხელის აღმართვა დიდ ცოდვად ითვლება – კანონი მათ მოპოვებას სასტიკად კრძალავს და ნებისმიერ მოქალაქეს გულმონყალების გამოჩენისკენ მოუწოდებს! აქ? აქ კი... ეეეჰ!..

აი, რა მოსდევს ხოლმე რედაქტორის ოქროს სავარძელზე არარედაქტორული პიროვნებების აღზევებას!!!

მოკლედ, ეს აყინებული უხამსი „დათრევა“ სრულებით ვერ ჯდება ვერც მოთხრობის მხატვრულ ფორმაში, ვერც მისი პერსონაჟების ფსიქოლოგიურ თუ ადამიანური ღირსების ჩარჩოებში, ვერც მკითხველის გემოვნებისა და მოთმინების ფარგლებში. დაე, მკითხველებმა თავად გაავლონ პარალელები და პირუთვნელად განსაჯონ: მიუხედავად იმისა, ჭიდაობის ნებისმიერ სახეობაში აუცილებელია კამეჩური ძალ-ღონე და მონინალმდეგის „დათრევა“, მაინც არ შეიძლება მოჭიდავის მარტო უხეში „დათრევის“ იმედად ყოფნა, ვინაიდან თვით ამ უკიდურესად ძალისმიერ სპორტულ სახეობაშიც კი აუცილებელია ჭიდაობის მაღალი კულტურა და მისი ტრადიციების ღრმა ცოდნა, უზადო ტექნიკა, გონებამახვილური ილეთები, გამომგონებლობა, ფანტაზია, ყოველი მონინალმდეგის ელვისებური შესწავლა და ინდივიდუალური მიდგომა, აღმაფრენა, მაყურებლის პატივისცემა და მისი გემოვნების გათვალისწინება, შერკინების სანახაობრიობა, საჭიდაო კოდექსის ცოდნა და მისი რაინდული დაცვა-შესრულება!

ამ მოთხრობაში კი, ბოლოს და ბოლოს, საკითხი სიყვარულს ეხება! მართალია, ეს არის იაფფასიანი საკურორტო სიყვარული (რომელიც ბოლოს ავტორს მეტისმეტად სქემატურად გადაჰყავს დიდ სიყვარულში), მაგრამ მაინც ადამიანის ინტიმურ გრძნობა-განცდებთან გვიხდება შეხება. ამიტომ საჭირო იყო საგნისადმი ფაქიზი მიდგომა, დამაჯერებელი მხატვრული ფერების დაკვირვებით შერჩევა და არა ამგვარი იერიშობანა და ინტიმური ურთიერთობის ვულგარულ „დათრევაზე“ დაყვანა...

ერთი სიტყვით, ავტორის სქემატური ჩანაფიქრით რაც უნდა მომხდარიყო, მოხდება – ზაზა ამ ყრუ-მუნჯ ქალსაც „დაითრევს!“ ბიჭუნას თვალის ასახვევად დღისით სამთავენი ერთად ატარებენ დროს და ზაზა კეთილი კაცის როლს თამაშობს, ლამლამობით კი, ბავშვს ანგელოზის ძილით რომ სძინავს, ყრუ-მუნჯი დედამისი თვითონ შედის ხოლმე ზაზასთან და რიჟრაჟამდე ერთ ამბავში არიან... სხვათა შორის, ამ ყრუ-მუნჯი ანას ქმარყოფილიც ყრუ-მუნჯი ყოფილა და ტკბილად უცხოვრიათ, მაგრამ ოჯახი დანგრევიან და ერთმანეთს სულ ცემა-ტყეპით დასცილებიან, როცა

„ქმარმა ანას პალტოს შიდა (უნდა იყოს შიგა. ვ. მ.) ჯიბეში საგულდაგულოდ გადამალული, უკვე ნაკლული პრეზერვატივების კოლოფი უპოვა, როცა სურდას ეძებდა“.

ქალი ცოტა ხნით დეპრესიაში კი ჩავარდნილა, მაგრამ

„როცა მარტოობამ შეაწუხა, ანამ დაუფარავად დაიწყო მამაკაცების ძიება“.

ჰოდა, ეს ზაზაც ერთ-ერთი იმ მრავალთაგანია!..

დედა-შვილის ზღვაზე ყოფნის ყველიც ამოიწურება. ზაზა ანას ახალნაყიდ მობილურ ტელეფონს აჩუქებს და მის ხმარებასაც შეასწავლის. ვაგზალზე გაცილებისას კი ანიშნებს – უეჭველად „დაგიმესიჯებო“. მატარებელი შორეულ გზას გაუდგება. ყრუ-მუნჯზე უზომოდ შეყვარებული ზაზა უმალ სატელეფონო შეტყობინებას დაადევნებს: თქვენთან ხვალვე ჩამოვდივარ დილის მატარებლით და სადგურზე დამხვდით... შორიდან გეალერსებო!

ზაზამ მესიჯი კი აფრინა, მაგრამ...

132 აფორიაქებული ყრუ-მუნჯი თავის ბარგი-ბარხანაში უცებ მობილურ ტელეფონს დაუნყებს ძებნას, მაგრამ რაკი ვერსად იპოვის და ჰგონია, მომპარესო, გაოგნებულ მგზავრებს მხეცური ღრიალ-ნკმუტუნით შესთხოვს – ჩემი ტელეფონი დამიბრუნეთ და აჰა, ფული წაიღეთო!!! მაგრამ ტელეფონი მართლა უცხომ კი არ მოიპარა, არამედ ღვიძლმა შვილმა ასწაპნა და საპირფარეოსო სარკმლიდან მოისრიალა, რადგან ახალმიღებულმა მესიჯმა და დედის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლებისა და საყვარლების უეცარმა გახსენებამ ყველაფერზე თვალი აუხილა და მიხვდა: ვინ იყო ეს ვილაც ზაზაც და რაც სურდა დედამისისაგან!

მოკლედ, თავიდან სრულიად ბუნებრივად დაწყებული მოთხრობა მერე, თანაც ძალიან მალე საგულდაგულოდ შეკრულ სქემატურ ჩარჩოში ისე ნაძალადევად, ნაჩქარევად და უხელოვნოდ არის ჩაჭედული, რომ მთელი ეს ამბავი შეიძლება დაიჯერონ მხოლოდ მსურველებმა.

არ დავმაღავ: მოთხრობის კითხვა უმონყალოდ ქანცავს მკითხველს. გაკვირვებასა ვარ - ავტორს, ყურნალ „ალტერნატივას“ რედაქტორს და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ ნუთუ მართლა გულწრფელად სჯერათ, რომ ამდენი უცხო სიტყვებით დახუნძლულ ნაწარმოებს მკითხველი ნამდვილ მხატვრულ პროზად მიიჩნევს?! მოუსმინეთ!

„კატეგორიულად უყვია- მჩქეფარე ენერგია- განცდების ფეიერვერ- კი- ტემპერამენტიანი ყრუ-მუნჯი- ნაკლებად ერუდირებული- ზედაპირული ემოციები- საერთო ინტერესები- არამოტივირებულის და პარადოქსულის- კანდიდატურის შერჩევა- „ტექნიკურ“ საკითხებს აგვარებდა- უმრავლესობა ხომ კონსერვატორია- ინტუიციამ არ უღალატა- ფლირტის ყველა სიამოვნებას- ინფორმაციის გამოძალვა- ახალ „ობიექტზე“- ინსტინქტებით მუდმივად ინფორმაციის გამოწოვას ცდილობდა- ამავე სამყაროსთვის ინფორმაციის მიწოდება- მისი პრობლემა იყო- ყურადღების ობიექტი ხდებოდა- რაღაც მომიშვლებული ინტუიციის ძლიერ შესამჩნევი ვიბრაციით შექანიკურად კი არ აღიქვამდა ქარს- მისი აბსტრაქტული აზროვნება- მოხაზული სიმბოლოების საგებად- პერიოდულად მხოლოდ კაცის ეჭვიანობის მღუმარე სცენებით გამოდიოდა ჩვეული რიტმიდან... მჩქეფარე ენერგია- ამ ენერგიის გამოჟონვა ხდებოდა.. სკანდალი მღუმარე და საშინელი იყო- მალე გამოვიდა დეპრესიიდან- სიტყვა კულტურით ლავირებს- ის კადრებით ფიქრობდა... მომიშვლებული იმპულსებით- პრობლემა მოგვარებადი იყო- ნაგარაუდვეი ინფორმაცია- ზაზა აბსოლუტურად უკომპლექსო იყო- ბარიერის შეგრძნება- სექსუალურ ინტონაციათა მთელი გაბა იყო- ოსტატურად მანიპულირებდა- რაღაც მომენტში- ქალისაგან გამომავალმა იმპულსებმა- გალანტური ღიმილით- კოცნაც ემარჯვებოდა, პრინციპში- პრობლემა არ ჰქონდა ხოლმე- კატეგორიულად თქვა- სიცხის ფონზე- არასოდეს ექნებოდა ინტონაცია- ისე რეაგირებდა- როგორ დაეჭირა ანა დისტანციაზე- მყარად, გარანტირებულად- სუფთა დეგენერატიო- ეს დელიკატური საზღაური იყო-“

თხრობას არ გააჩნია სიღრმე და სიზუსტე, რის გამოც ძირითადი, გასაგები ტექსტის კითხვის მხარდამხარ მკითხველს ტვინი ეჭყლიტება, რათა თან კომპიუტერული სისწრაფითა და სიზუსტით „თარგმნოს“ და როგორმე უცებ მიხვდეს, სუფთა მშობლიურ და დასაშვებ მხატვრულ ენაზე რას ნიშნავს ესა თუ ის აბურდულ-დაბურდული ან უცხო სიტყვებით უპასუხისმგებლოდ გადატვირთული წინადადებები.

„ახლა ზაზა ვერ იყენებდა (ამ ყრუ-მუნჯ ჭალთან. ვ. მ.) სრულყოფილად თავის ხერხებს. ძირითადი მისი იარაღი ორაზროვანი სიტყვების მიზანმიმართული რახარუქი და სექსუალურ ინტონაციათა მთელი გამა იყო, თანაც ძალიან დაბალი, იშვიათად სასიამოვნო ხმით ოსტატურად მანიპულირებდა“.

134

რას ნიშნავს ეს „სექსუალურ ინტონაციათა მთელი გამა?“ ან ზაზა „იშვიათად სასიამოვნო ხმით ოსტატურად“ რას „მანიპულირებდა?“ ანდა, რანაირია ბოლო წინადადებების აზრობრივი და სტილისტური გადაბმა?

სინტაქსი? „ძირითადი მისი იარაღი იყო“. აბა, ახლა კრიტიკოსის პინცეცით ბოლო წინადადებაში შეფუთული „მარგალიტი“ ამოვიღოთ: „იშვიათად სასიამოვნო ხმით“. განა შეიძლება არსებობდეს „იშვიათად სასიამოვნო ხმა“ ან მსგავსი სხვა რამე? აქ ავტორს ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია სიტყვები – „იშვიათი“ და მისგან წარმოებული ზმნისწინი „იშვიათად“. „იშვიათი სასიამოვნო ხმა“. – ეს გასაგებია, მაგრამ „იშვიათად სასიამოვნო ხმა?“ ეს ხომ აბსურდია!

რას ნიშნავს ზმნისწინი „იშვიათად?“ არახშირად, ზოგჯერ, ხანდახან, კანტიკუნტად. აი, რა გამოუვიდა ავტორს: „კანტიკუნტად სასიამოვნო ხმა“.

ახლა მიუდგომელმა გულშემატკივარმა თავად წარმოიდგინოს, მკითხველს რა დღეში ჩააგდებს ამგვარი პასაჟებით სავსე ტექსტის კირკიტი. მაგრამ, როგორც ეტყობა, ავტორს, ჟურნალ „ალტერნატივას“ რედაქტორს და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ ეს სულაც არ ანალღლებთ – ამაზე დაე, ბეჩავმა მკითხველებმა იმტვირიონ თავები!!!

„ანასთვის უცხო იყო სიტყვები – ეს საგარეოდ შემოსილი აზრები. საუბარი, როცა სიტყვა კულტურით ლავირებს, ფიქრი კი ფსკერზე მიდის, ადამიანის ნამდვილ ბუნებად დასაღებად“.

სრულიად გაუგებარია, ავტორი რის საფუძველზე აიგივებს სიტყვებს ანუ მეტყველებას და აზრებს. სიტყვები თავისთავად, ასე ზოგადად როგორ უნდა იყოს აზრები და თანაც „საგარეოდ შემოსილი“, თუ ისინი, ანუ საჭირო სიტყვები მოაზროვნე, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის გონებაში დაბადებულმა აზრმა არ მოძებნა და დაალაგა პატრონის ნააზრევის გადმოსაცემად?!

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, სიტყვები ანუ მეტყველება აზროვნების შედეგად მოპოვებული ცოდნის ფიქსაციის, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის საშუალებაა. აზროვნება და მეტყველება ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებული მოვლენებია. აქედან პირველი სინამდვილის ასახვის უზოგადესი ფორმაა, მეორე – აზროვნებითი მოქმედების საშუალება. ამიტომ კარგად უნდა გვახსოვდეს: აზროვნებისა და მეტყველების განუყოფელი კავშირი სულაც არ ნიშნავს მათ იგივეობას.

ავტორი გადაჭრით რომ აცხადებს, „სიტყვები – ეს საგარეოდ შემოსილი აზრები“-ო, ცალკეული სიტყვები როგორ, რანაირად უნდა იყოს „შემოსილი“ მზამზარეული აზრებით? განა შესაძლებელია, ანდა, როგორი წარმოსადგენი, რომ ესა თუ ის ცალკეული სიტყვა „შემოსილი“ იყოს, მაგალითად, საგარეოდ, საშინაოდ, საბურთაოდ, საქეიფოდ, საფარეოსად, საცურაოდ, საავაზაკოდ, საოპერაციოდ, სადეკანოზოდ, საჯაშუშოდ, სამათხოვროდ, საპატარძლოდ, სამასპინძლოდ, სააგარაკოდ, სამეკობროდ, სასიდდეროდ და ა. შ.

„საუბარი, როცა სიტყვა კულტურით ლავირებს“. – თავისას განაგრძობს ავტორი.

გულდასაწყვეტია, რომ ახალგაზრდა მწერალი არ ენდობა ან ჯეროვნად ვერ ფლობს მშობლიური ენის საგანძურს და ალალბედზე დღიურ მუშასავით ქირაობს უცხო სიტყვას. მაგრამ ცალკეული სიტყვა როგორ, რანაირად ან რისთვის უნდა ლავირებდეს, თანაც კულტურით? ხოლო თუ ეს სინამდვილეა, მაშინ რაში და რით გამოიხატება სიტყვის კულტურით ლავირება?



„როცა სიტყვა კულტურით ლავირებს, ფიქრი კი ფსკერზე მიდის“. – ავტორი ასე გვიხასიათებს ზოგიერთი საუბრის აზრს, პროცესსა თუ შედეგს.

საკვირველია, ეს „სიტყვის კულტურით ლავირება“ რა იმ-ისთანა საშინელება ყოფილა, რომ დამფრთხალი ფიქრი მაშინვე ფსკერზე ეშვება ნყალქვეშა ნავივით?! ამიტომ სიტყვის კულტურით ლავირებას და ფიქრის სადღაც ფსკერზე გაგზავნას, იქნებ ჯობდა, ავტორს ადამიანების მიერ საკუთარი აზრების შენიღბვისა თუ დამალვის მხატვრული ხაზგასმა მოეხდინა?

ახლა შევიტყოთ, ეს ფიქრი თურმე რისთვის უნდა ნავიდეს ფსკერზე. რისთვის და

„ადამიანის ნამდვილ ბუნებად დასალექად“.

რანაირი ქართულია ან რა აზრია გატარებული ამ ალალბედზე ანემსილ წინადადებაში – „ადამიანის ნამდვილ ბუნებად დასალექად“, სადაც გახეტებული სიტყვები ერთმანეთს ყეყეჩებოვით შესჩერებიან და ვერ გარკვეულან, ასე მოულოდნელად რისთვის შეყარეს ერთად!

136

მოკლედ, წინადადება უნდა იყოს დაპურებული, ნათელი, აზრით დატვირთული, ბუნებრივად ებმოდეს წინა და მომდევნო წინადადებებს, განუზრელად უზრუნველყოფდეს ნაწარმოების იდეის ხორცშესხმასა და სრულყოფას მისი მხატვრული ფორმის ფარგლებში. ამ კრებულში კი ორიოდ ავტორის გარდა ყველას მოთხრობა გადატვირთულია სრულიად ზედმეტი, არაფრის მთქმელი, ზერელე, მჩატე, ბუნდოვანი, უსუსური, ლიტერატურული ვარჯიშისას ალაღბედზე გამოგონილი (სწორედ რომ გამოგონილი!), ყოველგვარ მხატვრულობას, სიღრმესა და სიზუსტეს მოკლებული, ძილის, ღიმილის, სევდის, აღშფოთების და ღმერთმა იცის, კიდევ რისა და რის მომგვრელი წინადადებებით.

„თვითონ მუდამ გაწონასწორებული ზაზა მშვიდად იღებდა ცხოვრებას“.

აბსოლუტურად ხალტურული, სასხვათაშორისოდ მოგონილი გულგრილი წინადადება!

რას ნიშნავს, ან რა მხატვრულობის ნატამალი სცხია ამ ლუგუმ „მშვიდად იღებდა ცხოვრებას?“ გარდამავალი ზმნით ნახმარი ცხოვრება პენსიაა, ტელეგრამა, ქრთამი, ასანთის კოლოფი, ასლი, ქვანახშირი, სისხლის ალება, ხახვი, თაფლი, ნაცარი, ნახველი, ეკალი, ჭირნახული, ღვინო, ფოტოსურათი, კინოფილმი, ციხესიმაგრე, ხანჯალი, ჭიანჭამი კბილი, ხმა თუ მსხვერპლი, რომ მიიღო, აიღო, ამოიღო, გამოიღო, გაიღო ან გადაიღო?!

„თვითონ მუდამ განონასწორებული ზაზა“. ეს უკვე არაფერს არ ჰგავს!

პლაჟზე მისული ზაზა ზღვაში ჩასვლის წინ პირსახოცს სწორედ იქ გაიშლის, სადაც გუშინ დედა-შვილი ბანაკობდა. ეს იმ მოსაზრებით, რომ „ადამიანთა უმრავლესობა ხომ კონსერვატორია“ და ისინიც ისევ აქ მოვლენო. არც შემცდარა!

„მუნჯმა (ე. ი. ამ ყრუ-მუნჯმა ანამ. ვ. მ.) პირდაპირ მის (ე. ი. ზაზას კი არა, არამედ ზაზას გაშლილი პირსახოცის. ვ. მ.) გვერდით გაშალა პირსახოცი. ამ დროს ზაზა ზღვაში იყო და ცალი თვალით ნაპირს უთვალთვალებდა. ეს რომ დაინახა, კმაყოფილმა ზღვას ზურგი აქცია და სიღრმეში შესცურა (უნდა იყოს შეცურა. ვ. მ.)“.

137

რანაირი სურათია?! ნაპირთან მობანავე, დედა-შვილზე თვალდაჭერილმა ზაზამ თუკი „სიღრმეში შესცურა“, გამოდის, რომ მაშინ ზურგს ზღვას კი არა, პირიქით, ნაპირს, სანაპიროს, პლაჟს შეაქცევდა, ზღვის სიღრმეში რომ შეეცურა! ასე არ გამოდის?!

„...ხომ არ გაუკეთებდა კაცი ძვირფას საჩუქარს“. – გულდამშვიდებით მოგვეთხრობს ავტორი.

ო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ხომ წალეკა ამ რუსულის „Сделать подарок“ ყბადაღებულმა კალკმა – „საჩუქრის გაკეთება, საჩუქარს გაუკეთებს“ და უნიგნური მუშაკებით დაკომპლექტებული რედაქცია-გამომცემლობათა ლოცვა-კურთხევით, აჰა, უკვე მხატვრული ნაწარმოების ავტორისეულ თხრობაშიც მკვიდრდება ეს ამაზრზენი საჩუქრის გაკეთება!

საინტერესოა, რას გვიჩვენებს უურნალ „ალტერნატივას“ რედაქცია ან „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, აქედან რომელია სწორი ფორმები:

„მამამ თავის ქალიშვილს „პელიკანის“ კალმის საჩუქარი გაუკეთა“. „მამამ თავის ქალიშვილს „პელიკანის“ კალმით საჩუქარი გაუკეთა“. „მამა თავის ქალიშვილს „პელიკანის“ კალმის საჩუქარს გაუკეთებს“. „მამას თავისი ქალიშვილისთვის „პელიკანის“ კალმის (კალმით...) საჩუქარი გაუკეთებია“. „დაბადების დღეზე მამა „პელიკანის“ კალმის (კალმით...) საჩუქარს გამიკეთებს“. „მამა დაბადების დღეზე საჩუქრად „პელიკანის“ კალამს გამიკეთებს“. „მამა თავის ქალიშვილს „პელიკანის“ კალმის (კალმით...) საჩუქარს უკეთებს“. თუ...

138 ღმერთო, ჩვენი ჯადოსნური ზმნის პატრონებს რა ჯანდაბად გვინდა ვილაც ტვინცერცვება ვაიჟურნალისტიკის მიერ გამოგონილი და დამკვიდრებული ეს ჯაბახანა „საჩუქრის გაკეთება“, როცა არაგვის კალმახივით სხარტი ზმნა თავისით მოსდევს კალმის წვერს: „მამამ თავის ქალიშვილს „პელიკანის“ კალამი აჩუქა“, „მამას თავისი ქალიშვილისთვის „პელიკანის“ კალამი უჩუქებია“, „მამა დაბადების დღეზე „პელიკანის“ კალამს გაჩუქებს“. „არ მახსოვს, მამას ჩემთვის კალამი ერუქებინოს“, „მამა „პელიკანის“ კალამს მეც მაჩუქებს“. „ეგ ისეთია, მაგ. „პელიკანის“ კალამსაც იჩუქებს“.

ზაზას და ანას ინტიმური ურთიერთობა რომ აენყობა, ქალი თავის შვილს როგორც კი დააძინებს, თვითონ შედის ხოლმე ზაზასთან და ბავშვის გაღვიძებამდე ერთად ნეანან.

„კაცს არ ტოვებდა შვერძნება, რომ ეს ქალი დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოდა მას, ისე რეაგირებდა ყოველ შეხებაზე, კოცნაზე, სუნთქვაზე“.

რა თქმა უნდა, გასაგებია ყოველი შეხება, ყოველი კოცნა. ასევე გასაგები იქნებოდა ყოველი ჩასუნთქვა და ყოველი ამოსუნთქვაც, მაგრამ მკითხველმა რანაირად გაიგოს ან როგორ ნარმოიდგინოს ეს ყოველი სუნთქვა?!

ახალგაზრდა მწერალი აი, როგორ გვიხატავს ამ ყრუ-მუნჯი ქალის შინაგან სამყაროს.

„ბგერისმიღობური, მხოლოდ საკუთარ წარმოსახვაზე დამყარებული მისი აბსტრაქტული აზროვნება სრულიად განსაკუთრებულ გარემოს ქმნიდა ანას გარშემო, სადაც უფრო ბუნდოვანი იყო ზღვარი სულიერსა და

უსულოს, მატერიალურსა და აზრობრივს შორის და უფრო მჭიდრო – კანონზომიერება და ურთიერთკავშირი“.

აქედან მკითხველი ვერაფერს იგებს, აქ არაფერია სწორი და მისაღები.

ჯერ ერთი, ადამიანის აზროვნება, თუგინდ აბსტრაქტული, როგორ, რანაირად უნდა იყოს „დამყარებული“ წარმოსახვაზე?

რა არის აზროვნება? აი, მეცნიერების პასუხი.

„შემეცნებითი პროცესი, რომელიც აღქმისაგან განსხვავებით, სცილდება თვალსაჩინო, გრძობადი (სენსორული) ასახვის ფარგლებს და სინამდვილის უფრო ღრმა შემეცნებისკენ მიისწრაფვის. აზროვნების პროცესში ხდება აღქმის მონაცემთა გონებრივი გადამუშავება. არსებითის გამოყოფა არაარსებობისაგან, საგანთა შორის მიმართებათა და დამოკიდებულებათა წედლობა, მნიშვნელობის გაიგივება და ა. შ. აზროვნება შემეცნების უფრო მაღალი, გაშუალებული ფორმაა“.

რა არის წარმოსახვა? მეცნიერები ამის პასუხსაც იძლევიან.

139

„ადამიანის სპეციფიკური უნარი წარმოიდგინოს აღქმული, არარსებული, უნახავი ან წარსულში ნანახი“.

მკითხველებმა ახლა თვითონ დაასკვნან: აზროვნება იქნება წარმოსახვაზე „დამყარებული“, თუ პირიქით, წარმოსახვაა აზროვნების ერთ-ერთი პროდუქტი. მაგრამ ამას თავი დავანებოთ! რაკი ავტორს გულუბრყვილოდ სჯერა, რომ აზროვნება წარმოსახვაზეა „დამყარებული“, ნანარმოების მხატვრული დონის დასადგენად, მოდი, ცოტა ხნით ჩვენც ასე დავიჯეროთ, ოღონდ აქ აი, რა ინვეეს განცვიფრებას: ნებისმიერი ადამიანის აზროვნებაც, მით უფრო აბსტრაქტული, განა მხოლოდ მის საკუთარ წარმოსახვაზე არ იქნება დამყარებული?! აბა, სხვის წარმოსახვაზე ხომ არ იქნებოდა, ანდა, როგორ უნდა ყოფილიყო დამყარებული?!

მაშ, მწერალს რაღა მაინცდამაინც ამ ყრუ-მუნჯი ქალის უკვირს?!

ავტორმა რაკი მსოფლიოს მორიგი საოცრება აღმოაჩინა – ანას აბსტრაქტული აზროვნება ანასავე წარმოსახვაზე „დამყარებული“ იპოვა! – აგერ, ახლა რას გვეუბნება.

„ეს აბსტრაქტული აზროვნება სრულიად განსაკუთრებულ სამყაროს ქმნიდა ანას გარშემო“.

კი მაგრამ, ავტორს ეს, აბა, სხვანაირად როგორ წარმოედგინა?! თუმცა თან აბსურდულად გამოიყურება, მწერალი ანას „განსაკუთრებული სამყაროს“ ჩამომყალიბებულ ქვაკუთხედად მარტო აბსტრაქტულ აზროვნებას რომ მიიჩნევს.

იძულებული ვარ დახმარებისთვის ისევ მეცნიერებას მივმართო.

განასხვავებენ ლოგიკური აზროვნების სამ ძირითად ფორმას – ცნებას, მსჯელობასა და დასკვნას. განარჩევენ აზროვნების შემდეგ ძირითად ოპერაციებს: ანალიზს, განყენებას ანუ აბსტრაქციას, სინთეზსა და განზოგადობას.

როგორც ვხედავთ, აბსტრაქცია აზროვნების რომელიმე ფორმა კი არ ყოფილა, არამედ მისი მხოლოდ ერთ-ერთი ოპერაცია! აქედან უკვე ადვილია იმის გაგება, რომ არამცთუ აბსტრაქტული აზროვნების ოპერაცია, არამედ აზროვნების მარტო რომელიმე ფორმაც კი ვერ იქნებოდა ნებისმიერი, თუ გინდ რაიმე ფიზიკური ან სულიერი ხინჯის მქონე ინდივიდის „განსაკუთრებული სამყაროს“ ჩამომყალიბებელი. და რომ მას, ადამიანის „განსაკუთრებულ“ თუ ჩვეულებრივ სულიერ ჩამოყალიბებას სხვადასხვა შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს.

მოკლედ, მწერალი თავისებურად გვიხატავს ამ ყრუ-მუნჯი ქალის „განსაკუთრებულ“ სამყაროს.

„სადაც უფრო ბუნდოვანი იყო ზღვარი სულიერსა და უსულოს, მატერიალურსა და აზრობრივს შორის და უფრო მჭიდრო – კანონზომიერება და ურთიერთკავშირი“.

ავტორის ამგვარი დაუფიქრებელი, ულოგიკო მსჯელობით გაბეზრებული მკითხველის თვალში ეს ჩემი კრიტიკული მიმოხილვა თანდათან, ალბათ, უინტერესო ხდება და დიდი ხნის

ნინ მოყირჭებულ, დანჯღრეულ სათამაშოებში ჩამჯდარი, ძიღმორეული ბავშვის ჩხირკედელაობას ემსგავსება!

მერე რა, რომ ეს ანა ყრუ-მუნჯია – ჰყავს ბავშვი, ჰყოლია ქმარი, მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები... ახლა კიდევ აგერ, ეს ზაზა... ჩრდილოეთიდან ზღვაზე ჩამოსულა, ბინა უქირავებია, შვილთან ერთად ბანაობს, მზეზე ირუჯება, იკვებება, მოძრაობს, აზროვნებს!.. ჰოდა, ერთი ამოხსნას ვინმემ: ამ ანას, მაშ, რალატომ უნდა გასჭირვებოდა მარტივზე უფრო ყოვლად უმარტივესი რამ – სულიერისა და უსულოს გარჩევა?! სულიერსა და უსულოს შორის არსებულ ზღვარს მწერალი ამ ყრუ-მუნჯ, მაგრამ სხვა მხრივ სრულიად ჯანმრთელსა და ნორმალურ, მრავალნაცად ქალს ასე თვითმიზნურ-სქემატურად რისთვის უზუნდოვნებს? რაიმე ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანების განსაკუთრებული ფსიქიკის დიდ მცოდნედ რომ მოგვაჩვენოს თავი?! არ ვიცი, არ ვიცი!.. აქ სულიერისა და უსულოს შედარება თუ ბუნებრივად გამოიყურება, ამ კონტექსტში მატერიალურისა და აზრობრივის შეწყვილება რალას უნდა მოასწავებდეს – სად მატერიალური, სად აზრობრივი?!. დასასრულ, ციტატას მეხუთე თვალვიით მიყენებული, უცნაური მსჯელობისა და სინტაქსის მქონე წინადადება.

„უფრო მჭიდრო – კანონზომიერება და ურთიერთკავშირი“.

აქ კი საბოლოოდ იბნევა მკითხველი და ველარაფერი გაუგია: რა კანონზომიერება? ვისი, რისი, ვისთან და რასთან ურთიერთკავშირი?! თუკი ამ ყრუ-მუნჯი ქალისთვის სულიერსა და უსულოს შორის ზღვარი „უფრო ბუნდოვანი იყო“, მაშ, ყოფიერების ისეთ რთულ კატეგორიებში, როგორიცაა „კანონზომიერება და ურთიერთკავშირი“, როგორღა გახდა მისთვის ასე ადვილად და უცებ „უფრო მჭიდრო?“ ან რა გახდა „უფრო მჭიდრო“ – თვითონ ეს კანონზომიერება და ურთიერთკავშირი, ანასა და კანონზომიერებას შორის კავშირი, ანასა და მის თაყვანისმცემლებს შორის კავშირი თუ ეს ზემოთ ნახსენები ზღვარი?! ხოლო თუ აქ მართლა ის ზღვარი იგულისხმება, ზღვარი როგორ უნდა გახდეს „უფრო მჭიდრო?!“

ვეგრძნობ, რომ ჯობია უფრო პირდაპირი ვიყო: არ არის საჭირო ამ ანას ყრუმუნჯობით მანერულ-თვითმიზნური სპეკულირება! აქ უნებურად მაგონდება ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ 2005 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მ. ნანობაშვილისავე ერთ-ერთი მოთხრობა „ვერონიკას თმები“, რომელიც თავისი მანერულ-სქემატურობით ტყუპისცალივით ჰგავს ამ მოთხრობას „მესიჯი არსაით“.

მოთხრობაში „ვერონიკას თმები“ აღწერილია ტყუპადშობილი ორი უბედური დის სევდიანი ისტორია (მათი განცალკევების მიზნით ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი იღუპება). ამ ორი მოთხრობის შედარება ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ თითქოს ავტორს ასე ჰგონია: თუ მისი ნაწარმოების პერსონაჟები რაიმე გულდასაწყვეტი ფიზიკური ნაკლის მატარებლები იქნებიან, მკითხველის თვალში ეს უფრო მეტ თანაგრძნობას შესძენს!

მეც მესმის, რომ მკითხველი ბუნებით გულჩვილია, მაგრამ თუ ნაწარმოებს რაიმე სპეკულაციური ნაკლი უპოვა, მაშინ ეს გულჩვილობა გულგრილობაში გადადის ხოლმე. ამიტომ კარგი იქნება, მწერალმა უკუაგდოს წინასწარ მოხაზული სქემები, თავისი ნიჭი მოახმაროს სრულიად ბუნებრივად მიმდინარე მოვლენების მხატვრულ ასახვას და თან ხელიც აიღოს იაფფასიანი ეფექტებითა და გაზვიადებებით მკითხველებზე შთაბეჭდილების მოხდენის უშედეგო მცდელობაზე.

ამის საქრესტომათიო მაგალითს ახლავე მოვიყვან, რომლის მსგავსი მთელ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაშიც კი არ მეგულება, ანდა, ამჟამად არ მახსენდება. ავტორი აი, ერთგან როგორ გვიხასიათებს თავის მთავარ პერსონაჟს, ზაზას.

„ყოველთვის იმ ქალთან იწვა, რომელზეც ფიქრობდა და რომელიც უნდოდა“.

სათქმელით გატაცებულ დებიუტანტს თუ გაექცა კალამი, ნუთუ ჟურნალის რედაქტორი მაინც ვერ უნდა მიმხვდარიყო, ამგვარი განცხადება რას ნიშნავს და სად ურტყამს?!

მ. ნანობაშვილს დაახლოებით ამ ყაიდაზე მაინც რომ ეთქვა: რომელი ქალიც მოენონებოდა, ვერ მოისვენებდა (არ დაცხრე-

ბოდა, ყველაფერს იღონებდა, არავის მოერიდებოდა, არაფერს დაიშურებდა, არასგზით დაიხვედა უკან, თავს მოიკლავდა...), მანამ თავისას არ მიაღწევდაო, თუ რალაც ამის მსგავსი, მაშინ ეს გასაგები, მისაღები და დამაჯერებელიც იქნებოდა! მაგრამ რას ნიშნავს ჩვენი საზოგადოების, საზოგადოებრივი მორალისა და განსაკუთრებით კი მთელი საქალეთის შეურაცხმყოფელი ეს გულგრილ-ცინიკური ფრაზა „რომელიც უნდოდა?!“

ფსიქოლოგიისა და სექსოლოგიის მიხედვით, მამაკაცს ქალის შეხედვისთანავე უჩნდება მისი დაუფლების სურვილი. ცხადია, ამ მხრივ არც ეს ზაზა იქნება გამონაკლისი. მართალია, მამაკაცებს ამგვარი სურვილი კი უჩნდებათ, მაგრამ მის სისრულეში მოყვანას ათასი რამ უშლის ხოლმე ხელს: საზოგადოებრივი მორალი, მამაკაცური ზნეობა... თვით მანდილოსნის სინდის-ნამუსი, ნება-სურვილი, შეუვალობა, სულიერი სიფაქიზე, სიჯიუტე, თავისი ოჯახის, პრინციპებისა და იდეალების ერთგულება... მოსალოდნელი პარტნიორისადმი ლტოლვა-სურვილის უქონლობა, გულგრილობა თუ სულაც ზიზლი და ა. შ., მაგრამ, როგორც მოთხრობიდან ჩანს, ეს ყველაფერი ეხებათ სხვა მამაკაცებს და არა ზაზას!!! თანამედროვე ქალთა საზოგადოებიდან ამ ზაზას „რომელიც უნდოდა“, სწორედ იმ მანდილოსანს რამენაირად ანიშნებს, ისიც სიხარულით გადიძრობს კაბას, სპრინტერივით გამოიქცევა და უმალ გვერდში ამოუნვება!!!

143

ღმერთო ჩემო, მოთხრობის ეს ყოველად ქარაფშუტული ადგილი, ვინ იცის, რამდენ დოყლაპია ვაჟბატონს შეიტყუებს ფუჭი ოცნების მორევში: ბიჭოს, ეს რა კაი რამ ნავიკითხე – იქნებ მეც გადავიგორო მკლავზე ყველა ქალი, „რომელიც მომინდებოდა!“

არ ვიცი, ამ საგანზე სხვები რას და როგორ ფიქრობენ, მაგრამ დღეს მამაკაცი, ამ შემთხვევაში კი ზაზა, ასე უდავიდარაბოდ, მხოლოდ თავისი ნდობა-სურვილით რომ დანვეს ჩვენი საზოგადოების ყველა იმ ქალთან, „რომელზეც ფიქრობდა და რომელიც უნდოდა“, მაშინ ამ ორიდან ერთ-ერთი პირობა მაინც არის აუცილებელი: ან თვით ჩვენი საზოგადოების მორალი უკვე იქამდე უნდა იყოს გახრწნილ-გათახსირებული, რომ ვისაც ვინ „მოუნდება“ – კაცს ქალი თუ ქალს კაცი! – პირუტყვზე უფრო



უცერემონიო სიიოლით ეუფლებოდეს, ანდა თვითონ ეს ზაზა უნდა იყოს თანამედროვე საზოგადოებას მოვლენილი დემონი თუ ოქროპირ-დონჟუანი, რაღაც ზეკაცია, დედამინაზე ჩამოსული ზევსი, რომლის ცდუნებას ვერც ერთი ქალი ვერ უძლებს და უმალ და უსიტყვოდ ნებდება! მაგრამ რაკი დღევანდელი არც-თუ სანიმუშო მორალი ღირსეული მანდილოსნებისა და მამაკაცების მეოხებით მაინც ფეხზე დგას და ჩვენი საზოგადოებაც ისევ ამ მორალზეა დაფუძნებული, ყველამ იცის: ჯერ იქამდე არ დავეცემულვართ, ვისაც ვინ „მოუნდება“, ასე უარარაოდ მოინვინოს გვერდით და დაეუფლოს. ამიტომ ზაზას ამგვარი ფანტასტიკური, თუმც თვითმიზნურ-გულის ამრევი წარმატებები მის პიროვნულ ღირსებებში თუ არა, ყველასაგან გამორჩეულ თვისებებში უნდა ვეძებოთ.

144

მწერალი კი გვეუბნება, ზაზა „ყოველთვის იმ ქალთან იწვა, რომელიც უნდოდა“-ო, მაგრამ მარტო ამის განცხადება არ კმარა, ვინაიდან ამ ავტორისეულ მშრალ ინფორმაციას მკითხველი მხოლოდ ცნობად იღებს. ამიტომ ზაზას ისეთი მხატვრულ-დამაჯერებელი პორტრეტიც უნდა შექმნილიყო, რომ მკითხველებსაც (აღარაფერს ვამბობ მწერლებზე!) ერწმუნათ – ეს ზაზა მართლა ისეთი სწორუპოვარი მზეჭაბუკი ყოფილა, რომ სრულიადაც არ გაუჭირდებოდა, ყოველთვის იმ ქალთან დაწოლილიყო ხოლმე, „რომელიც უნდოდა“.

ახლა ვნახოთ, ავტორს როგორი გამოსდის მთავარი პერსონაჟის პორტრეტი (ციტატაში ნახმარი ყველა მრავალწრივი ავტორისეულია).

„თვითონ მუდამ გაწონასწორებული ზაზა მშვიდად იღებდა ცხოვრებას.

მძაფრი განცდები უცნობი იყო მისთვის. როგორც ნაკლებად ერუდირებული, მაგრამ ჭკვიანი ადამიანების უმრავლესობა, ისიც ხედავდა ხოლმე სხვების სულის უფსკრულს, მაგრამ არასოდეს უღრმავებოდა მას. სრულიად აკმაყოფილებდა ზედაპირული ემოციები, ზედაპირული მეგობრობა და ზედაპირული სიყვარული... რაღაც არჩევნის გაკეთებისას იმას ითვალისწინებდა, რას უფრო ნაკლებად ინანებდა შემდგომში. ყველაზე მეტად კი მოწყენილობა აწუხებდა – ნიჭიერი ადამიანის მოწყენილობა, რომელმაც ვერ მიაგნო თავის მთავარ გზას.

მის ჩასახშობად ზაზა არ იკლებდა პატარ-პატარა სიამოვნებებს – ქეიფებს, ბუნებაში ლაშქრობებს, დატვირთულ სამსახურსა და ქალებს, რა თქმა უნდა.

ქალებთან საქმე მარტივად იყო.

ზაზას სჯეროდა სილაამაზის, ვნების, საერთო ინტერესების. მიჩვევისაც კი სჯეროდა, მაგრამ სიყვარულის – არა. აი, ისეთის, არამოტივირებულის, უმართავეის და ზოგჯერ პარადოქსულის. თორემ ისე, ზაზა სულ შეყვარებული იყო, რაც თავი ახსოვდა. იმიტომ კი არა, რომ მიზანმიმართულად თავის „ნახევარს“ ეძებდა, უბრალოდ, ასე ნაკლებად იყო მოწყენილი. ამიტომაც ვერავისთან შეინარჩუნა მეტნაკლებად (უნდა იყოს მეტ-ნაკლებად. ვ. მ.) სერიოზული ან ხანგრძლივი ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ოცდაათს გადასცილდა. არც ნანობდა ამას, სიმაართლე ითქვას. სამაგიეროდ, ყოველთვის იმ ქალთან იწვა, რომელზეც ფიქრობდა და რომელიც უნდოდა. მთავარი კანდიდატურის შერჩევა იყო, დანარჩენ „ტექნიკურ“ საკითხებს ზაზა იოლად აგვარებდა ხოლმე“.

სანამ ავტორის მიერ დახატული მთავარი პერსონაჟის პორტრეტის განხილვას შევუდგებოდე, მანამ შევეხები ერთ მომენტს, რომელიც, არ დავმაღავ, მკითხველს ქანცავს, შეურაცხყოფს და ლამის გაღიზიანებამდე მიჰყავს.

მოთხრობაში სამად სამი პერსონაჟია: ეს ზაზა, ყრუ-მუნჯი ანა და მისი ბიჭუნა. მოყვანილი პასაჟი ცხადყოფს, რომ აქ მწერალი მხოლოდ ზაზას პიროვნების დახატვას ლამობს და პირველივე წინადადებაში გასაგებად გვეუბნება, ვისზე ექნება ლაპარაკი: ზაზა მშვიდად იღებდა ცხოვრებასო.

ჰოდა, მკითხველსაც ესმის, რომ მოთხრობა და განსაკუთრებით კი მთელი ეს მონოლითური პასაჟი თავიდან ბოლომდე სულ ზაზას ეხება და ეძღვნება!!! მაგრამ ავტორი, არ ვიცი, თავისი გამოუცდელით თუ იმის შიშით, ვაითუ ყვეერი მკითხველები ვერ მიმიხვდნენ, ვიზე მაქვს ლაპარაკიო, მისდევს და: „ზაზა მშვიდად იღებდა...“ „ზაზა არ იკლებდა...“ „ზაზას სჯეროდა..“ „ზაზა სულ შეყვარებული იყო...“ „ზაზა იოლად აგვარებდა...“

კაცო, ეს ჩვენ, მკითხველებსაც გვესმით, თავიდანვე მივხვდით, გავიგეთ, ვიცით, გვჯერა, ცხადია, რომ აქ ზაზაზეა მსჯელობა – რა არის ამდენი „ზაზა-ზაზა-ზაზა-ზაზა-ზაზა“-ს ძახილი?! ავტორმა ნაცვალსახელი მაინც მოიშველიოს ზოგან!

მაგალითად, რამდენიმე ან რომელიმე, აი, თუგინდ ეს წინადადება „მის ჩასახშობად ზაზა არ იკლებდა პატარ-პატარა სიამოვნებებს“, უზაზაოდ რომ დაენერა, „მის ჩასახშობად არ იკლებდა პატარ-პატარა სიამოვნებებს“, საინტერესოა, ავტორი მაინც რას ფიქრობს – ციტატის დასაწყისიდან დაკვალიანებული მკითხველი პირველივე წინადადებაში ნახსენებ ზაზას მაგიერ, აბა, აქ სხვას ვის იგულისხმებდა?! ცხადია, მხოლოდ ზაზას და სხვა არავის!!!

მოკლედ, მკითხველისადმი მეტი ნდობის გამოჩენაა საჭირო.

ახლა მთავარი პერსონაჟის პორტრეტს მივხედოთ. პირდაპირ ვიტყვი: იგი თავიდან ბოლომდე უწვალეზად, დაუკვირვებლად, სქემატურ-შაბლონურად არის აგებული. გამოცდილი კი არა, საშუალო მკითხველიც უმალ მიხვდება, რომ ავტორის მიერ ასე გულუხვად ნახმარი შტრიხები: მძაფრი განცდების უქონლობა, ჭკვიანი, მაგრამ ნაკლებერუდირებული მამაკაცი, სხვისი სულის უფსკრულები... ზედაპირული ემოციები, ზედაპირული მეგობრობა, ზედაპირული სიყვარული... რისამე არჩევნისას ყოყმანი, მოწყენილობა, თანაც უბრალო კი არა, ჭკვიანი კაცის მოწყენილობა, ნათელი მიზნის უქონლობა, ცხოვრების გზის უპოვრობა და მისთანანი ძველისძველი, ათასგზის ნახმარი, გადაცვეთილი თარგებია, რომლებიც, თუ გაჭირდა, ასე ხელოვნურად შეიძლება ნებისმიერ პერსონაჟს „ჩაეცვათ“ მთელი სოფლის საკაცეთის საზიარო, ჩამოცვეთილ ჩოხასავით, მაგრამ თვალმახვილი მკითხველი მაინც მიხვდება – ეს „ჩოხა“ ამ პერსონაჟის ტანზე არ არის გამოჭრილი და შეკერილი!

არ დავმალავ: გული მეტკინა, ზაზას „პატარ-პატარა“ სიამოვნებებს – ბუნებაში ლაშქრობებს, დატვირთულ სამსახურსა თუ ქეიფებს ავტორმა ბოლოს ქალიც რომ მიათვალა კოჭლი თოხლივით.

ქალი, საერთოდ, ქალისა და მამაკაცის ნებისმიერი ურთიერთობის გამოხატულება თუ მხოლოდ „პატარა“ სიამოვნებაა და მეტი არაფერი, მაშინ ამასაც ვიკითხავ: ავტორს ამქვეყნად, აბა, რალა მიაჩნია უფრო „დიდ“ და ადამიანის ყველაზე ამამაღლებელ სიამოვნებად?!

ანდა, რას ნიშნავს ეს დატვირთული სამსახური? მესმის მძიმე სამსახური, სამსახურებრივი ტვირთი, სამსახურებრივი დატვირთვა, მაგრამ როგორ გავიგოთ ეს დატვირთული სამსახური?

აბა, ახლა ციტატის მესამე აბზაცის პირველ წინადადებას დახედეთ და დააკვირდით.

„ზაზას სჯეროდა სილამაზის, ვნების, საერთო ინტერესების“.

აბსოლუტურად ზოგადი, უადგილოდ ნახმარი და აქედან, არაფრის მომცემი წინადადებაა, რომელიც პერსონაჟის ისედაც ფერმკრთალ პორტრეტზე საბუდისწეროდ გადასმული საღებავის სქელ ფენას ემსგავსება!!!

ავტორი ამ წინადადებაში ისეთ ცნებებს ასახელებს, რომ ამის მთელ კაცობრიობას სჯერა და ამ ზაზასაც რომ სჯეროდეს, ამაში რა არის გასაკვირი ან ამგვარად სახარებელი?! თუმც მანც ვხვდები, ამას რისთვისაც მიმართავს ავტორი. რისთვის და, მკითხველის ამგვარ „შემზადებას“ მთავარი სათქმელი რომ მოაყოლოს.

„მიჩვევისაც კი სჯეროდა, მაგრამ სიყვარულის – არა“.

ააა, აი, თურმე რა! აქ კი გაგელიმებათ, ვინაიდან შეუძლებელია არ გაგელიმოთ! კი მაგრამ, ზაზას მიერ სილამაზის და ვნების დაჯერება მისი სიყვარულის უჯერობის რანაირი ახსნა, შერბილება თუ კომპენსაციაა?! ამქვეყნად ვინ იქნება ისეთი ჭკუათამყოფელი მამაკაცი, სილამაზისა და ვნების რომ არ სჯეროდეს?! მით უმეტეს, ზაზას, ყოველთვის მხოლოდ იმ ქალს რომ ამოიწვევს ხოლმე გვერდით, „რომელიც უნდოდა“. ყოველივე ამის შემდეგ, მაშ, რა გასაკვირი და, მით უმეტეს, ავტორისგან რაღა ხაზგასასმელი იყო ეს ისედაც ცხადი აქსიომა – ზაზას სილამაზის და ვნების სჯეროდაო?! მოთხრობის იდეის, სიუჟეტის, მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების და ნაწარმოების მხატვრული ფორმის მკაცრი მოთხოვნების მიხედვით აქ მკითხველს ის კი არ აინტერესებს, ზაზას საერთოდ, რა უყვარს ან რა სძულს, რას აღმერთებს, რისი სჯერა და რისი არა, არამედ სულ სხვა და ერთადერთი რამ – მას სიყვარულის

რომ არ სჯერა! ამიტომ მწერლის მთელ მარიფათსაც მხოლოდ ამის ირგვლივ უნდა ეტრიალა, რათა ეს მხატვრულად ცხადეყო! თორემ ისე, ნაწარმოების სასიცოცხლო ინტერესებისა და მხატვრული ფორმის მიღმა თუ გავაბიჯეთ და წვრილად ჩავყევით, ვინ იცის, ზაზას კიდევ რამდენი რამე შეიძლება სჯეროდეს: ჩვენს პლანეტაზე დათბობის ან აციების მომატება, ჭარ-ბელაქნის დაბრუნება, გაჩიანის მიდამოებში გაზის ამოუნწურავი ბუდობის აღმოჩენა, XXI საუკუნის ბოლოს მოდაში ხიფთანების მობრუნება, მარსზე სიცოცხლის არსებობა, არიფანას უპირატესობა გერმანულ ანგარიშთან, ცოლქმრული ინსტიტუტის გაუქმება და ათასი სხვა რამ! და რაკი ეს მთავარი პერსონაჟის რწმენა თუ ნაფიქრ-ნააზრია, ხომ არ შეიძლება ყველაფერი ვახსენოთ, თუ ამას ნაწარმოების მხატვრული ინტერესები არ მოითხოვს?!

ბოლოს ციტატის დაგვირგვინებაც გავსინჯოთ.

„მთავარი კანდიდატურის (ე. ი. გვერდში ამოსაწვენი მანდილოსნის. ჯ. მ.) შერჩევა იყო, დანარჩენ „ტექნიკურ“ საკითხებს ზაზა იოლად აგვარებდა ხოლმე“.

148

აბა, რა სინდის-ნამუსით დავყაბულდე ან ავტორს, ანდა ზაზას, რომ მამაკაცის მიერ საოცნებო პარტნიორის შერჩევა მთავარია, ხოლო მათი გაცნობის წამიდან ვიდრე თუგინდ შიშველ ხორციელ ტკობამდე გადატანილი ღელვა-თრთოლა კი უმნიშვნელო „ტექნიკური“ წვრილმანებია და მეტი არაფერი?! მაშინ გაპირუტყვებულა კაცობრიობა და ეგ არი!

მოკლედ, მანდილოსნებთან „ტექნიკური“ საკითხების უბადლო მომგვარებლის, ამ ჩვენი სუპერდონჟუან ზაზას სატრფიალო სტრატეგია და ტაქტიკა ამგვარი ყოფილა: მთავარია ჯერ „დასათრევი“ ქალი შეარჩიოს, მერე კი უქმად არ დაკარგოს ძვირფასი საკურორტო დრო და შტურმით აიღოს „ობიექტი“.

არავის ეგონოს, ისე გავკადნიერდი, მანდილოსნებს ჩემით ვუნოდე „ობიექტი“. არა! ეს თვით ავტორის სტილი და ტერმინოლოგიაა. მოუსმინეთ:

„ზაზამ ქალს ბავშვის მეშვებით „შემოუარა“. ბიჭი თავიდან დაძაბული იყო, ბოლოს გაუშინაურდა. კაცმა შეუმჩნეველად დაიწყო მისგან ინფორმაციის

გამოძალვა, მით უმეტეს, რომ დედას არაფერი ესმოდა. ასე რომ, მალე დაახლოებითი წარმოდგენა შეექმნა ახალ „ობიექტზე“.

სამწუხაროდ, არც მოთხრობის ავტორს და არც თითებიდან გამონოვილ მის სქემატურ პერსონაჟს არ ესმის, რომ რამედ ღირებულმა მამაკაცმა თავის საოცნებო მანდილოსანს ვისიმე „მეშვეობით“ ასე ჯაშუშურად კი არ უნდა „შემოუაროს“, არამედ ვაჟკაცურად უშუალოდ მასთან გააბას ურთიერთობა, თავიდანვე განაცდევინოს ამ ლირიკული პროცესის მთელი მშვენიერება და თუ მართლა გააჩნია საიმისო მამრული სიმძალე და მიმზიდველობა, გრძნობამორეული მანდილოსანი ნებაყოფლობით გაიყოლოს ინტიმური უღრანებისკენ მიმავალ საოცნებო ბილიკზე!

ან ეს „ინფორმაციის გამოძალვა“ რაღა საკადრისი იყო?! თავისი პრიმიტიული სქემის ხორცშესხმით გატაცებული ავტორი ვერ გრძნობს, რომ ამ უკადრისი საქციელით მკითხველის თვალში სამარეს უთხრის ასერიგად ხოტბაშესხმულ პერსონაჟს, რომელიც ახალგაცნობილ ქალთან უშუალო ურთიერთობით კი არ ტკბება, მისი შინაგანი სამყაროთი და ადამიანური თვისებებით კი არ ინტერესდება, არამედ მსტოვარივით ჯერ მის წარსულსა და ბიოგრაფიაში იქექება, რათა იქნებ ისეთ რამეს ჩაავლოს ჭანგები, რაც მერე, თავისი საძრახისი გამოცდილების მიხედვით, მსხვერპლის „დათრევას“ გაუადვილებს!

გულის ამრევი პროვინციული სიმდაბლე და უკაცურობა!!!

როგორც ჩანს, ოპონენტებს არ ესმით, რომ „შეყვარებული“ მამაკაცის მხრიდან სრული უზნეობაა, ბავშვური უცოდვილობით მონდობილ პატარას საკუთარი დედის ზურგს უკან მასზე რაიმე საჩოთირო „ინფორმაცია გამოსძალო“, რათა მერე ეს მის წინააღმდეგ გამოიყენო სწრაფი და იაფფასიანი „წარმატების“ მისაღწევად! ამგვარი უზნეობა ორმაგდება, ვინაიდან ეს ყველაფერი ხდება თვით ამ საწყალი ყრუ-მუნჯი ქალის თვალწინ, მაგრამ ის ბაიბურშიც არ არის, ზაზა კი ასე უტიფრად სარგებლობს მისი ფიზიკური ზადით! აბა, ყოველივე ამის შემდეგ რაღა მადლი და მშვენიერება უნდა ახლდეს ამ ქალის „დათრევის“ პროცესსა თუ საბოლოო შედეგს?! მთავარი მართლა მართო პირუტყვიანი უინმოკვლა ხომ არ არის?!

რა ვქნა, თქვენ რაც გნებავთ, ის მიბრძანეთ, მაგრამ ეს სქე-  
მატურ-კარიკატურულ-ჯაშუშური ზაზა სულ არ ჩამოჰგავს იმ  
კაცს, მუდამ და მხოლოდ იმ ქალთან რომ ნევს ხოლმე, „რო-  
მელიც უნდოდა“. ხოლო თუ ეს მართალია და ყველა ქალთან  
ამგვარი უკადრისი ხერხებითა და მეთოდებით აღწევს მიზანს,  
მაშინ არც ერთ ნამდვილ მამაკაცს არ ვუსურვებდი ამგვარ  
„წარმატებებს“, ვინაიდან მსგავსი ჯაშუშური ფაციფუცისას გა-  
მოუბრუნებლად იკარგება უმთავრესი: ახალგაცნობილი წყვილის  
ბუნებრივი ურთიერთობის იგავური სიფაქიზე და მშვენიერება!

მოკლედ, რაკი ეს საწყალი ყრუ-მუნჯი ქალი თავისივე გუ-  
ლუბრყვილო ბიჭუნას „მეშვეობით“ უკვე „შემოვლილია“, ძვირ-  
ფასი ინფორმაცია – „გამოძალული“, „ობიექტი“ – შესწავლი-  
ლი, ახლა მოქმედების დროც დგება!

„ზაზას არ უყვარდა საკურორტო დროის დაკარგვა. აქ ბევრ რამეს საათები  
წყვეტდა- ამიტომ ყოველთვის სწრაფად გადადიოდა შეტევაზე ზაზა“.

150 უჰ, რაღა ზაზას შეტევაზე გადასვლა და რაღა ვერმახტის  
მიერ სსრკ-ის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საომარი ოპ-  
ერაციის „ბარბაროსა“ დანწყება!!! ოღონდ ეგაა, მკითხველში  
გულდანყვეტასა და იმედგაცრუებას ინვევს მწერლის მიერ ნი-  
ჭიერ კაცად შერაცხული ზაზას გულის ამრევი სწორხაზოვნება,  
მამრული ლირიზმის უქონლობა, საერთოდ, უფერულ-ეგოისტუ-  
რი ბუნება, ახალგაცნობილ მანდილოსანთან მისი საურთიერთო  
არსენალის ამაზრზენი სიტლანქე და სილატაკე: დათრევა, უკან  
მალულად ადევნება, მათ მეზობლად მსუნაგური გადმო-  
ბარგება, ბავშვის „მეშვეობით“ შემოვლა, ინფორმაციის გამო-  
ძალვა, „ობიექტის“ მიზანში ამოღება, საკურორტო საათების  
უშედეგოდ დაკარგვის პანიკურ-ლაჩრული შიში, დასასრულ,  
სწრაფ შეტევაზე გადასვლა!!!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თქვენ მარტო ციტატის  
ბოლო წინადადების სინტაქსი გასინჯეთ.

„ამიტომ ყოველთვის სწრაფად გადადიოდა შეტევაზე  
ზაზა“.

მოკლედ, მეც მესმის, რომ აქ საკითხი დიდ სიყვარულს კი  
არა, იაფფასიან საკურორტო გატაცებას ეხება (თუმც ავტორი

ბოლოს ამოდ ცდილობს, ეს ყველაფერი დიდ სიყვარულად მოგვაჩვენოს!), მაგრამ ადამიანი ყველა გარემოსა და ვითარებაში მაინც ადამიანად რჩება და ამიტომ აქაც საჭირო იყო მისი ადამიანური გრძნობებისა და სულიერი ღირსების თუგინდ ცალმხრივ-ზედაპირული, მაგრამ დამაჯერებელი ჩვენება. ბოდიში მომიხდია ამხელა მწერლის მეორედ შენუხებისთვის – აგერ, ივან ბუნინის მოთხრობებშიც „სავიზიტო ბარათი“ და „მზის დაკვრა“ სრულიად შემთხვევით, თანაც ძალიან მცირე ხნით გადაყრილ წყვილთა ხორციელი ჟინმოკვლავ ასახული, მაგრამ ეს ყველაფერი ისეთი მხატვრულ-ლირიკული შედეგულობითაა დახატული, მკითხველს უმაღლეს ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს.

ცხადია, ჩვენ ვერვის ნაუწყებებთ ბრიყვულ მოთხოვნილებას – რატო თქვენს ნაწარმოებებშიც არ არის მავნისა და მავნის მსგავსი მხატვრულ-ლირიკული დონეო, მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ განსახილველ მოთხრობაში ამის მსგავსი სურვილის ნატამალი, ან თუგინდ წარუმატებელი ცდაც კი არ იგრძნობა და ეს თავისთავად ფაქიზი საკითხი სქემატური სიტლანქით წყდება. მაგრამ ჩივილი გვიანია – ზაზა უკვე შეტევაზეა გადასული!

151

„მართალია, ამ შემთხვევაში ხელს ბავშვი უშლიდა (რაში უშლიდა?.. უბედური ბავშვი! ჯ. მ.), მაგრამ პრობლემა მოგვარებადი იყო (კიდევ კარგი! ან როგორ მოგწონთ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის მოგვარებადობამდე დაყვანა?! ჯ. მ.). კაცმა დედა-შვილი ვერ ვახამშე დაატყუა, მერე კი მწხერი ლამპიონებით სუსტად განათებულ პლაჟზე გაისიორნეს“.

სანამ ისინი ამ სეირნობიდან შინ დაბრუნდებოდნენ, დროის ამ მონაკვეთში მწერალი ზაზას ბუნებას, ფიქრებს, ზრახვებს, განცდა-გრძნობებს გაგვაცნობს და ჩვენ შესაძლებლობა გვექნება ზოგიერთი რამის კოორდინირება მოვახდინოთ.

„ზაზა აბსოლუტურად უკომპლექსო გახლდათ, ამიტომ მისთვის სრულებით არ იყო უხერხული პატარა ქალაქის ქუჩებში ყველას დასანახად ყრუ-მუნჯთან ფლირტი. მაგრამ მალე ძალიან გაუჭირდა, რადგან ამ ქალთან ურთიერთობისას გადაულახავი ბარიერის შეგრძნება ჰქონდა. ახლა ზაზა ვერ იყენებდა სრულყოფილად (უნდა იყოს „სრულყოფილად ვერ იყენებდა“. ჯ. მ.) მთელ



თავის ხერხებს. ძირითადი მისი იარაღი ორაზროვანი სიტყვების მიზანმიმართული რახარუხი და სექსუალურ ინტონაციათა მთელი გაბაიყო“.

აბსოლუტურ ინფორმაციულ უადგილობად, ცხოვრებისა და ჩვენი საზოგადოების ბუნების გასაკვირ უცოდინარობად აღიქმება მწერლის ეს ლაღადისი.

„ზაზასთვის სრულებით არ იყო უხერხული პატარა ქალაქის ქუჩებში ყველას დასანახად ყრუ-მუნჯთან ფლორტი“.

152  
ლმერთო ჩემო, მივარდნილი აულის ჭორხაბარა დედაბრებიც კი არ იმსჯელებდნენ ასე პრიმიტიულად! კი მაგრამ, ზაზას თუკი მართლა მოსწონს ეს ყრუ-მუნჯი ანა, რალატომ უნდა ყოფილიყო უხერხული მასთან ერთად „ქალაქის ქუჩებში ყველას დასანახად“ ფლორტი თუ სეირნობა?! ან უცხო ხალხი ქუჩა-ქუჩა მიმავლებს რას შეატყობდა, ანდა ვის რაში დააინტერესებდა – ის ვილაც ქალი ყრუ-მუნჯი იყო თუ სმენამახვილი და ენაჭიკჭიკა?! ავტორი ნუთუ მართლა ისეთი გულუბრყვილოა, რომ ასე სწამს – საკურორტო ქალაქის მკვიდრ მოსახლეობას და აქ ვინ იცის, საიდან აღარ ჩამოსულ, მხოლოდ საკუთარი სიამოვნებით, გართობა-დასვენებით და დროსტარებით გართულ ჭრელ საზოგადოებას ამის მეტი რამ საფიქრალი და სამკითხაო სხვა არაფერი ექნებოდა: იმ ვილაც კაცის, ანუ ზაზას გვერდით მიმავალი ბავშვიანი ქალი, ნეტავი, ყრუა, მუნჯი, ყრუ-მუნჯი, ელამი, კოჭლი, ლულულა, ბლენძია, მანჭია, ზოზინა, ფშრუტუნა, შტერი, კაპასი, გონიერი თუ ქრისტეს მტრედი... ამ კაცის ცოლი, და, რძალი, სხვა რაიმე ნათესავი თუ საიდანღაც თავგადასავლების საძებნელად ჩამოხეტებული ვილაც თავანყვეტილი აშაღლარა და ერთმანეთთან რა აქვთ საერთო?! ვისი რა საქმეა? ვის რაში დააინტერესებდა ტრადიციული საკურორტო ცხოვრების შეჭუჭყულ დინებაზე ატივტივებული ერთი უმნიშვნელო „ნაფოტი?!“

ეს სრულიად უსარგებლო, მაგრამ მრავლისმეტყველი პასაჟი ნათელს ფენს შემდეგ გარემოებას: არაკომპეტენტური, შემთხვევით აღზევებული რედაქტორების მიერ საბედისწეროდ წახალ-

ისებული, ერთფეროვანი სქემების ხაზვა-ხატვაში გამეცადინებული ავტორი არაფერს უფიქრდება და ასე ალაღბედზე, აქა-იქ ნაპოვნი „კენჭებით“ აკონინებს მთავარი პერსონაჟის მოზაიკურ პორტრეტს.

ახლა მკითხველებს ერთ კითხვას დავუსვამ: მამაკაცი, რომლის ძირითადი „იარაღი ორაზროვანი სიტყვების მიზანმიმართული რახარუხი“ და ეს რაღაც ბუნდოვანი „სექსუალურ ინტონაციათა მთელი გამაა“ და სხვა არაფერი, როგორ ფიქრობთ, „ტექნიკურ საკითხებს“ ასე „იოლად“ მოაგვარებს ყველა იმ ქალთან, „რომელიც უნდოდა?“

თუმც მკითხველებს რალაზე ვანუხებ, როცა ამის პასუხს ნებით თუ უნებლიედ თვითონ ავტორიც იძლევა.

„არ იცოდა, როგორ მისდგომოდა ქალს, როგორ დაეყოლებინა მოკლე დროში“.

ვაააჰ, ისევ ის სამბისტურ-კარატისტული დათრევის სინდრომი, ისევ დათრევა-დაყოლიებაზე აკვიატებული ფიქრი და ფორიაქი, ისევ ეს ნელანდელის მსგავსი აბსურდულობა, ოლონდ 153 ახლა უკვე კომიკურობაში გადასული!

აჰა, თავად განსაჯეთ: ნელან ავტორისაგან ცამდე ანეულმა, მანდილოსნებთან „ტექნიკურ საკითხთა“ იოლად მომგვარებელმა სუპერდონეჟანმა ზაზამ ახლა ისიც კი არ იცის, როგორ უნდა მიუდგეს ყრუ-მუნჯ ანას, მაგრამ მისი დაყოლიება კი სურს! თანაც „მოკლე დროში!!!“

სად არის ან სინდისი, ან ლოგიკა, ან სამართალი?! რა არის ასეთი, როგორც ძველები იტყოდნენ, უკადრისი მუცლის გვრემა?! ანდა, მკითხველმა როგორ გაიგოს ასე საბედისწერო-სასაცილოდ მიკერებული ეს „მოკლე დროში?“ ავტორი თუ სეირნობის პერიოდს გულისხმობს, მაშინ აქ რომელ დაყოლიებაზე ფიქრი შეიძლება, როცა ბავშვიც ახლავთ და ეგეც რომ არ იყოს, ქალის ყრუმუნჯობის მიზეზით კაცს ვერ გამოუყენებია სხვა მანდილოსნებთან მრავალნაცადი და უებარი, ეს ყბადაღებული თავისი ძირითადი „ხერხები“ და „იარაღი“ – „ორაზროვანი სიტყვების მიზანმიმართული რახარუხი და სექსუალურ ინტონაციათა მთელი გამაა?!“ ჰოდა, ამიტომ ამ სვე-

კრულ ყრუ-მუნჯს ბავშვის ზურგს უკან ტანისა და მკლავების უხამსი მოძრაობით ქურდულ-მუნჯურად ხომ არ ანიშნებს – შენი დათრევა-დაყოლიება მინდა! ამიტომ ამ შტერ ბიჭუკელას ცოტა ხნით როგორმე დავუსხლტეთ და სადმე ბნელ კუთხეში გავნაპირდეთო?! ესეც რომ არა, საინტერესოა, ავტორსა თუ მის პერსონაჟს მაინც როგორ წარმოუდგენიათ: ლამპიონებით განათებულ, მოსეირნებით სავსე პლაჟზე, სანაპიროსა თუ ქუჩებში როგორ უნდა მომხდარიყო ამ ნანატრი „დაყოლიების“ განხორციელება?

ხოლო ამ „მოკლე დროში“ თუ შვებულების დარჩენილი დღეები ივარაუდება, მაშინ ზაზა გამოცდილი მექალთანე კი არა, წმინდა წყლის დებილი გამოდის – ეს ბავშვიანი ყრუ-მუნჯი ანა კი არა, სრულიად თავისუფალი, ჯანსაღი კახპაც რომ ახლდეს, კაცმა მთავარ ფაქტორად როგორ უნდა მოიმარჯვოს ეს „მოკლე დრო“, როგორც საშელავათო არგუმენტი და ქალს ამ პოზიციიდან დაუნყოს „დაყოლიებაზე“ უგვანო ხვეწნა-ლიჯინი?!

154

მიუხედავად იმისა, რომ სქემატურ-აბსურდულად დახატული ზაზა მკითხველის არც მხარდაჭერას იმსახურებს, არც – თანაგრძნობას, ზოგჯერ მაინც შემებრალება ხოლმე, ისეთ დღეში აგდებს წინდაუხედავი ავტორი.

„ეს ყველაფერი ისეთი უჩვეულო იყო, რომ რაღაც მომენტში ზაზამ საშინელი დალლა იგრძნო, თითქოს ძლიერ დინებაში ერთ ადგილზე ცურავდა. საკუთარ თავზე გაბრაზდა, რაში ვკარგავო დროს. უცებ მიხვდა – ყველაფერი დამთავრდა ისე, რომ არც დაწყებულა. მაშინვე შვება იგრძნო, სახლში მოუნდა“.

დაუშვებელია ასე დაუფიქრებლად წერა და საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული და გაფოლადებული ადამიანური ურთიერთობის ნორმების, ჯანსაღი ინდივიდის მიერ ჩადენილი თუ ჩასადენი რაიმე ქმედების მოტივაციის თავდაყირა დაყენება – პერსონაჟის მსჯელობა, თუგინდ გაზვიადებულ-გალიზიანებული, მაინც მოცემული ვითარების ლოგიკურობიდან უნდა გამომდინარეობდეს, მის ბუნებრივ ასახვასა და გაგრძელებას ემსახურებოდეს. აქ? აქ კი ეს ზაზა ისე უსაბუთოდ, უაზროდ

და თუ გნებავთ, ისე სასაცილოდ უბრაზდება საკუთარ თავს – დროს რაში ვკარგავო, თითქო ყრუ-მუნჯის გაცნობამდე შინ იყო ჩაკეტილი და ლირიკული პოეზიის შედეგებს ქმნიდა, ანდა სადოქტორო დისერტაციას ამთავრებდა ბირთვული ფიზიკის დარგში! მამაცხონებულმა თვითონ, თავისი ყინითა და სურვილით ამოიჭრა გულში ამ ქალის „დათრევა“, არავის დაუძალებია – პლაჟიდან აბარებულ დედა-შვილს ჯაშუშურად თვითონ აედევნა მალულად, რათა მათი ადგილსამყოფელი შეეტყო, თვითონ გადაბარგდა მათ მეზობლად, თვითონ დაპატიჟა დედა-შვილი სავახშმოდ, ახლა თავისივე ინიციატივით სეირნობს სუფთა ჰაერზე საყვარელ თუ ვითომ საყვარელ არსებასთან, თან იმაზე ფიქრით იჭყლეტს ტვინს – როგორ „დავიყოლიო“, თანაც „მოკლე დროში“ და ისევ თვითონვე მოსდის გული – დროს რაში ვკარგავო?! როგორ, არ იცის, დროს რაში კარგავს – თვითონ არ დაგეგმა და ახორციელებს ყველაფერს?! სწორედ ამაზეა ნათქვამი: პატარძალი ტყუოდა და ისევ თვითონვე ბუოდაო!

ნავახშმევს ზღვის სუფთა ჰაერზე სეირნობა და გულში ჩავარდნილ, ახალგაცნობილ ქალთან ადამიანური ურთიერთობის (მით უმეტეს, დაგეგმილი ინტიმური ურთიერთობის!) ჩასახვის ამალეღვებელი პროცესი რანაირად შეიძლება ასე უსულგულოდ მოინათლოს დროის დაკარგვად?! ზაზამ თავისი საკურორტო დროის ნაწილი მართლა თუ არ დაკარგა – თუკი ზნეობრივი იქნება ამას დროის დაკარგვა ვუნოდოთ – საინტიერესოა, მაშ, როგორ წარმოუდგენია: აბა, როდისლა, სადლა, როგორლა უნდა შესძლოს თავისი მამაკაცური ღირსება-თვისებების გამომზეურება, სასურველი ქალის შეცნობა, დაახლოება, გაშინაურება, მოხიბვლა, მის ინდივიდუალურ სულიერ სამყაროში ინტიმური სიმების ფაქიზი მოძებნა, საცდელი შეხება, საბოლოო აჟღერება, ანუ ავტორისეული ტერმინოლოგიაც რომ ვიხმაროთ, მისი „დათრევა-დაყოლება?!“ ანდა, ერთი ესეც ვიკითხოთ: მწერალი დიდი რიხით რომ გვაუწყებს: ზაზა „ყოველთვის იმ ქალთან იწვა, რომელზეც ფიქრობდა და რომელიც უნდოდა“-ო, ნუთუ არც იმ ქალებთან კარგავდა დროს და „რომელიც უნდოდა“, სექსუალური რობოტივით ეკვეთებოდა და „დაითრევადა“,

როგორც ნელან ის ქალი „დაითრია“, ბანაობის წინ თავის მობილურზე თვალი რომ დააჭერინა სრულად უცხო მამაკაცს, მერე კი პირდაპირ ლოგინში ჩაუგორდა?! არავის ეგონოს, მსგავსი შემთხვევების შესაძლებლობებს გამოვრიცხავდე! მაგრამ საქმე ისაა, რომ სულწასული ქალისა და მამაკაცის ამნაირ სწრაფ და ზედაპირულ ურთიერთობასაც კი გააჩნია თავისებური პოეზია, მაგრამ ჩვენს ავტორს ეს არ აინტერესებს ან ვერ ამჩნევს ამ პოეზიას, ანდა ჯერ მხატვრული საფანელი არ მოსდევს მის გადმოსაცემად და ამიტომ იძულებული ხდება ეს ყველაფერი მხოლოდ „დათრევა-დაყოლიებაზე“ ანუ საბოლოო შიშველ შედეგზე დაიყვანოს, რაც უკვე აღარ არის მხატვრული ლიტერატურა!

ჰოდა, ამ ზაზას არ სურს დროის ასე „უქმად“ კარგვა და ვინ ატანდა, ან ახლა ვინ ატანს ძალას – გაეცალოს! ანდა, საინტერესოა, ამ ძვირფას დროს სხვაგან სად, ვისთან და რაში გამოიყენებდა უფრო ნაყოფიერად და აზრიანად – აქამდე სულ უქმად არ ეგდო პლაჟზე და მანდილოსნების ტლანქი თვალიერებით ირთობდა თავს?!

156

„წელს მაინც ისეთი სეზონი ვერ იყო (აბა, როგორი სეზონი ნებაჲს? ჯ. მ.). ხდება ხოლმე ასეც (უნდა იყოს „ასეც ხდება ხოლმე“. ჯ. მ.) – ზოგჯერ ას დამსვენებელ ქალში ვერავის გააყოლებ თვალს (აჰ, ზაზას შაპინ-შაპის რჩეული ჰარამხანა სდომებია!!! ჯ. მ.). ზაზამ სამაშველო რგოლს ხელი ჰკრა და ნაპირის გასწვრივ გასცურა (უნდა იყოს გაცურა. ჯ. მ.). არა რა, ერთი არ მოგეწონება“...

ფრჩხილები რომ გავხსნათ, დავინახავთ, ამ სექსუალური რობოტის, ზაზას სქემატურ, პროვინციულ-სასაცილო ბრაზმორევას მართლა დროის „უქმად“ დაკარგვის მიზეზი კი არ განაპირობებს, არამედ მწერლის მიერ ასე უფერული სწორხაზოვნებით დახატული მისი პირუტყვეული ჟინი: ცალკერძ ეს უცოდველი ბავშვი „უშლის“ ხელს, ცალკერძ ქალის ყრუმუნჯობა, რის გამოც თავისი მთავარი „ხერხები“ და „იარაღი“ ველარ გამოუყენებია, სადმე ბნელ კუნჭულში მსხვერპლი რომ „დაიყოლიოს“ „მოკლე დროში!“

მოკლედ, თუ საკითხი „მოკლე დროში“ ქალის უშუალო „და-  
თრევა-დაყოლების“ საოცნებო პროცესს არ ეხება, ისე მასთან  
სხვა ყოველგვარი ურთიერთობა ზაზას დროს უქმად დაკარგვად  
მიაჩნია!!! როგორია?!

ასევე სრულიად გაუგებარი და მიუღებელია ეს ადგილიც.

„უცებ მიხვდა – ყველაფერი დამთავრდა ისე, რომ არც დაწყებულა“.

ვერ ვუხვდები ავტორს: რას გულისხმობს ფრაზაში „არც  
დანწყებულა?“

ცხადია, უფროსებს ეს კარგად ეცოდინებათ და ამას მხო-  
ლოდ მოზარდების საცოდნელად ვამბობ: მეცნიერ-ფსიქოლო-  
გების მიხედვით, სრულიად უცნობი ქალისა და მამაკაცის მიერ  
ერთმანეთისთვის ნათქვამი ნებისმიერი პირველივე სიტყვა, უმ-  
ნიშვნელო შეხება თუ თვალეში შეხედვა უკვე მათი ურთიერ-  
თობის – თანაც ინტიმური ურთიერთობის ჩანასახად ითვლება!  
და რაკი მოტანილ წინადადებაში ცივილიზებული ადამიანების  
ურთიერთობა იგულისხმება, მაშინ გასაკვირია, ავტორი რაღა  
პირით გვეუბნება „არც დანწყებულა“-ო, როცა ზაზა მათ შეგ-  
ნებულად გაუმეზობლდა, პლაჟზე მთელი დღე ერთად იყვნენ,  
მზედაკრული ანა მოინახულა, მოუარა, მისივე შვილის მეოხებით  
„შემოუარა“, ბავშვს ღვიძლ დედიკოზე საჭირო ინფორმაცია  
„გამოსძალა“, „ობიექტი“ შეისწავლა, მერე ორივენი ვახშამზე  
დაპატიჟა, ნავახშმევს კი აგერ, „მეჩხერი ლამპიონებით სუსტად  
განათებულ პლაჟზე“ ერთად სეირნობდნენ, სადაც ზაზა ამ ბი-  
ჭუნასგან შეიტყობს.

157

„რომ შეყვარებული ამჟამად არა ჰყავს, მაგრამ ერთი გოგონა მოსწონს;  
რომ ყველაზე მეტად ალგებრას ვერ იტანს; უნდა გამოვიდეს ფეხბურთელი...“

ხოლო რაც შეეხება ბავშვის დედას

„ზაზასთვის სრულებით არ იყო უხერხული პატარა ქალქის ქუჩებში ყველას  
დასანახად ყრუ-მუნჯთან ფლირტი“.

ეს კიდევ არაფერი – აქ უყურეთ, რა ხდება (ყველა მრავალ-  
წერტილი ატორისეულია)!

„ანამ კისერთან უცხო თითები რომ იგრძნო, მოულოდნელობისაგან გაშეშდა. მგრძნობიარე კანზე საღერღელი აეშალა. უცებ თითები ოღნავ, სულ ოღნავ შეტოკდა... ნახევრად ჩაბნელებული პლაჟი, ლამპიონები, კანტიკუნტად მოსეირნე წყვილები, ზღვა თვალბში აუცურდა ანას (რა ვქნა, ვეღარ დავალაგებ ამ აღრეულ სინტაქსს! ვ. მ.)... ზაზა რაღაცას მიხვდა, ქალისკენ გააპარა თვალი. ერთბაშად მისგან ვნების ისეთი ოხშივარი ეცა, უნებურად შეტორტმანდა“.

აი, მკითხველო, მათი ურთიერთობა უკვე სადამდეა მისული: ქალის კისერზე მამაკაცის თითების ცაცუნეი, ანას მგრძნობიარე კანზე საღერღელის აშლა, ვნების ოხშივარის ადენა, ამ ოხშივრით დარეტიანებული ზაზას შეტორტმანება, ავტორი კი სრულიად დაუფიქრებლად გაიძახის – არც დანწყებულაო!!! არ დანწყებულა კი არა, გეომეტრიული პროგრესით მცოცავმა მათმა ურთიერთობამ სადაცაა ზენიტს უნდა მიაღწიოს, ოღონდ ეგაა, დაკვირვება-მოთმინება არც ავტორს ჰყოფნის, არც პერსონაჟს. თუმცე ეს არც არის გასაკვირი – მათი მთავარი მიზანი ხომ „დათრევა-დაყოლიება!“

158

მწერალი ამ ტერმინში „ყველაფერი დამთავრდა“ მართლა ზაზას მიერ ყრუ-მუნჯი ანას „დათრევა-დაყოლიებას“ გულისხმობს? თუ ასეა, მაშინ აქაც ყველაფერი თავდაყირა დგება. თუ ეს „დათრევა-დაყოლიება“ პლაჟზე სეირნობის მონაკვეთში ივარაუდებოდა, მაშინ იმნაირ გარემოში „დათრევა-დაყოლიების“ ან რა დასაწყისზე და მით უმეტეს, მის რა დამთავრებაზე ფიქრი და ლაპარაკი შეიძლება?! ხოლო თუ „დათრევა-დაყოლიების“ შორეულ პერსპექტივაზე, საერთოდ, მის განუხორციელებლობაზეა მინიშნება, მაშინ ავტორს სიტყვის „მიხვდა“ მაგიერ უნდა ეხმარა „მოეჩვენა“, ვინაიდან მოთხრობაში მისახვედრი არაფერია: ზაზასა და ანას ურთიერთობა – წმინდა ადამიანური თუ ინტიმური – მართლა კი არ დამთავრდება, როგორც ეს სულნასულობით აფორიაქებულ, გამოუცდელ სუპერდონჟუანს და მით უმეტეს, დაუკვირვებელ ავტორს მოეჩვენებათ, არამედ გაგრძელდება და ცოტა მოგვიანებით ზაზას სანუკვარი ოცნებით ანუ ამ ყრუ-მუნჯი ქალის „დათრევა-დაყოლიებით“ დაგვირგვინდება!

მოკლედ, სქემატურად, თანაც უთანაბრო სქემატურობით დახატულ ზაზას ამ ყრუ-მუნჯ ანასთან დავთრები ერევა.

„სახლამდე ზაზას გაუმყარდა აზრი, რომ ეს საქმე დაიხურა. ნამეტანი რთული და უჩვეულო იყო ყველაფერი“.

ნამეტანი, ნამეტანი! კი მაგრამ, რომელი უიმედო „საქმე“ დაიხურა ამგვარი ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული უსულგულობით? ცხადია, რომელი: ამ ყრუ-მუნჯი ქალის „დათრევა-დაყოლიების“ „რთული და უჩვეულო“ „საქმე!“ არადა, ამ „საქმეზე“ უფრო ადვილად გადასაჭრელი თურმე არაფერი ყოფილა – ადრე სხვა ქალებთან „ტექნიკურ“ საკითხთა უბადლო მომგვარებელი, ახლა კი ახალბედა პროვინციელი ამიკივით დამფრთხალი ზაზა ამას ცოტა მოგვიანებით მიხვდება და როგორც ეტყობა, არცთუ ლოდინით დაღლილი ანას აქტიური დახმარების გარეშე.

„კვირაზე მეტი გავიდა, რაც ერთად იყვნენ. ზაზამ ნელ-ნელა მოსინჯა უხილავი კედელი, ანას სამყაროს რომ უღობავდა ჯანმრთელებს (როგორ მოგწონთ ბოლო წინადადების სინტაქსი? ჯ. მ.) და თვითონაც ასე დააფრთხო თავიდან. მალე აღმოჩნდა, რომ ეს კედელი მყარი და შეუვალი კი არა, გამჭოლი იყო. ის კი არა და (უნდა იყოს არადა. ჯ. მ.), თითქო უფრო ადვილად მიაღწია ანამდე, ვიდრე მას სიტყვებით მოახერხებდა“.

159

რა უცნაურ-პრიმიტიული მსჯელობა და ლოგიკაა: სიტყვებით რა უნდა მოეხერხებინა, როცა ზაზამ თავიდანვე იცოდა, ანა რომ ყრუ-მუნჯი იყო?! ანდა, ზაზა თუკი ერთი კვირის მერეღა მოსინჯავდა ანას სამყაროს უხილავ კედელს და ისიც „ნელ-ნელა“, აბა, ერთი კვირით ადრე მწერალმა რილასთვის გვაუწყა დიდი ამბით.

„ზაზას არ უყვარდა საკურორტო დროის დაკარგვა. აქ ბევრ რამეს საათები წყვეტდა – ამიტომ ყოველთვის სწრაფად გადადიოდა შეტყაზე ზაზა“.

აბა, რაში გამოიხატა ამ სწრაფი შეტყვის პროცესი ან შედეგი გარდა იმისა, რომ ზაზამ დედა-შვილი ვახშამზე დაპატიჟა, ხოლო ვახშმისშემდეგი სეირნობისას ანას „დათრევა-დაყოლიება“ უიმედოდ ჩათვალა, ეს „საქმე დახურა“ და მეორე დღეს პლაჟზე სრულად შემთხვევით გაცნობილ ვილაც კალთამა-



დღიან ქალთან ერთად ჯერ რესტორნის მაგიდასთან, მერე კი ლოგინშიც აღმოჩნდა.

ერთი თვალმისაცემი დეტალიც: ამ თავის ყრუმუნჯობას თვითონ ანა არ განიცდის ისე, როგორც ავტორი. ცხადია, მას ვერავინ დაუშლის თავისი პერსონაჟების რაიმე ნაკლი, ღირსება თუ თვისება მხატვრულად გახაზოს, მაგრამ ამ ანას ყრუმუნჯობაზე ისეთი სქემატურ-თვითმიზნური დილექტანტურობით კეთდება აქცენტი, რომ აშკარაა – მკითხველის თანაგრძობის გამომწვევი ანას ამ ნაკლის ზედმეტი გაშუქებით ავტორი ცდილობს, თავისი სიმპათია ამ ყრუმუნჯისადმი ნაძალადევად მკითხველებსაც მოახვიოს. მაგრამ არ იყო საჭირო ანას ყრუმუნჯობის თვითმიზნური დრამატიზება – იგი ბუნებრივად უნდა მოქცეულიყო თვით პერსონაჟის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და მხატვრული ფორმის მკვიდრ ჩარჩოებში.

დასასრულ, მოსახდენი მოხდება: ზაზა ამ ყრუმუნჯ ქალს მართლა „დაითრევს“, ანდა – ავტორს ბოდიშს მოვუხდი გაბედული ვარაუდის გამოთქმისთვის – ეს ანა თვითონ „დაეთრევინება“, დღისით სამივენი ერთად რომ არიან ხოლმე ზღვაზე.

„ღამდამობით კი, როცა ბიჭს ღრმად ეძინა, ანა ზაზას ნახევრადღია (უნდა იყოს ნახევრად ღია. ჯ. მ.) კარში გასხლტებოდა ხოლმე და ზურგსუკან (უნდა იყოს ზურგს უკან. ჯ. მ.) საკეტით კეტავდა. და ყოველ პაემანზე კაცს არ ტოვებდა შეგრძნება, რომ ეს ქალი დიდხანს, ძალიან დიდხანს ელოდა მას, ისე რეაგირებდა ყოველ შეხებაზე, კოცნაზე, სუნთქვაზე“.

აბა, ყოველივე ამის შემდეგ რალა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ზაზას ანა თავდადვინეებაშივე შეუყვარდება. და არა იმიტომ, რომ ეს მხატვრულად გარდაუვალია ან დამაჯერებელი, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ასე სურს თავისივე ხისტი სქემის ტყვე ავტორს და ძალაა?! ეტყობა, საბოლოო ეფექტის მოსახდენად ასეთი შესაშური წინდახედულობით დასაწყისშივე იმიტომაც ჩამოგვიარაკა.

„ზაზას სჯეროდა სილამაზის, ვნების, საერთო ინტერესების. მიჩვევისაც კი სჯეროდა, მაგრამ სიყვარულის – არა“.

არც ახლა დაიჯერებს?! აჰა, ნიჰილიზმისთვის ხომ დასაჯა ღმერთმა! თვალიც მოსთხარა – აბა, რა ეგონა?! იჩერჩეტოს

ახლა ამურის ისრით გულდაკოდილმა – მოუხდება!.. არსებობს თურმე ამქვეყნად სიყვარული!!!

მოკლედ, ამ ზაზასა და ანას სიყვარულობანა ისე სქემატურ-პრიმიტიულადაა ნაბლანდი, რომ მსურველის მეტი სხვა არავინ დაიჯერებს. ხოლო განშორებისნინა ზაზას განწყობილება ისე ხალტურულად ზერელე და ბუნდოვანი, არამხატვრულია, რომ საერთოდ, არც კი ჯდება ისედაც უთანაბრო თხრობის სტილსა და კილოში. მოუსმინეთ. ყველა მრავალწერტილი ავტორისეულია.

„ზაზა ძალიან დაიბნა. არ იყო დარწმუნებული, რა ერქვა მის გრძობას ანას მიმართ. აქ ზღვა იყო– მზე– საკურორტო ქალაქი– საკურორტო ვნებები, უმეტესწილ შევბუღებასავით ხანმოკლე– იქნებ, (რა საჭიროა აქ ეს მძიმე? ჯ. მ.) მაინც ცდებოდა– (აქ კითხვა–ძახილი უნდოდა. ჯ. მ.)?! იქნებ, (ან ეს მძიმე რა საჭიროა? ჯ. მ.) ენანა ურთიერთობის გაგრძელება– (აქაც კითხვა–ძახილის ნიშნები უნდოდა. ჯ. მ.)?! არა, მხოლოდ ამ მოჯადოებული წრიდან გასვლის შემდეგ გაერკვეოდა ზაზა (რალა საჭიროა ეს ზედმეტი „ზაზა“, როცა ციტატის პირველივე სიტყვა გვამცნობს – მხოლოდ ზაზაზე, მარტო ზაზაზე იქნება ლაპარაკი?! ჯ. მ.) საკუთარ თავში. მაგრამ, (ან ეს მძიმე რა საჭიროა?! ჯ. მ.) მანამდე როგორ დაჭირა ანა დისტანციაზე, სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში– მყარად– გარანტირებულად–“

161

ავტორმა ვერც აქ მიაგნო პერსონაჟის სულიერ განწყობილებას. თუმც რომელი მწერალი შეძლებს თავის სქემატური ნაწარმოების სქემატური მთავარი პერსონაჟის დამაჯერებელი სულიერი განწყობილების პოვნას?! ამიტომ ჩვენი ავტორიც ამ არაფრის მომცემი შაბლონურ-გაცვეთილი ჩამოთვლითლა შემოიფარგლა: ზღვა, მზე... საკურორტო ქალაქი... საკურორტო ვნებები... შევბუღება... კი მაგრამ რა აზრი აქვს, რას ემსახურება ან რას იძლევა ამგვარი ვალმოსახდელი ჩამოთვლა?!. მზეო! – ისეთი ხაზგასმით იუნყება ავტორი, თითქო მზე მხოლოდ ერთი რომელიც პატარა საკურორტო ქალაქის სასნაულებრივი აქსესუარი იყოს, დანარჩენი მსოფლიო კი ნყვდიადში ცხოვრობდეს და უმრავლესობას მზე ჯერ თვალითაც არ ენახოს! რა შუაშია აქ მზე? კულმინაციისას მას რა კავშირი აქვს ზაზას იმ სულიერ ტკივილთან და განცდებთან, რომლის დამაჯერებლად ჩვენება

ავტორმა ვერ შეძლო და მე, როგორც რიგითი მკითხველი და მწერალი, მხოლოდ ჩემი გუმანით ბუნდოვნად ვხვდები ამას და უკმარისობის განცდით ვშორდები ნაწარმოებს... ან ანას რა დისტანციაზე დაჭერა აოცნებებს ზაზას, თანაც „გარანტირებულად?..“ ქალი სხვა ქვეყნის შორეულ ქალაქში მიემგზავრება – ამაზე უფრო „გარანტირებულად“ დისტანციაზე ყოფნა თუ დაჭერა გაგონილა და ნახულა?! არადა, ქვეტექსტი და ზაზას შემდეგი საქციელი (გაიხსენეთ, გამგზავრებისას ანას მობილურ ტელეფონს უყიდის, თავისი განცდა-გრძნობები რომ აუნყოს ხოლმე!) სულ სანინალმდეგოს ღალადებს: სინამდვილეში ზაზას ანას დისტანციაზე დაჭერა კი არ სურს, არამედ პირიქით: მასთან სატელეფონო კავშირის დამყარება, ხმის მინვდენა, ურთიერთობის გაგრძელება და გამყარება, ხელახალი შეხვედრის დათქმა... მაგრამ ამაში თვითონ ავტორიც ვერ გარკვეულა და თავდავინყებით შეყვარებულ კაცს ანას ასე გულცივად აქედანვე რალაც გარანტირებულ დისტანციაზე აჭერინებს!..

ყოველივე ამასაც რომ თავი დავანებოთ, ვის შეუძლია, განმიმარტოს, რას ნიშნავს მოყვანილი ციტატის მეორე წინადადება.

„არ იყო დარწმუნებული, რა ერქვა მის გრძნობას ანას მიმართ“.

თქვენ გაიგეთ რაიმე? მე არაფერი მესმის! აქ, მაგალითად, ამგვარი წინადადებები რომ ყოფილიყო: „არ იყო დარწმუნებული, რომ ანასადმი მისი გრძნობა წრფელი იყო“. ან „არ იცოდა, რა ერქვა მის გრძნობას ანასადმი“. მაშინ ყველაფერი ნათელი იქნებოდა, მაგრამ აქ ვერ გამიგია, ზაზა რაში არ არის დარწმუნებული? თუმცა აქ რანაირად შეიძლება იყოს ან არ იყოს დარწმუნებული, როცა ჯერ ისიც კი არ იცის, რა ჰქვია მის ამ გრძნობას!

\* \* \*

ჩემი აზრით, მ. ნანობაშვილის ამ მოთხრობასაც მისი ზოგიერთი სხვა ნაწარმოების ნაკლი სჭირს: გონებამახვილურად მოფიქრებული მოთხრობის იდეას და მის შესაფერ სიუჟეტს მწერალი რატომღაც ჯერ მონდომებით გამოამწყვდევს ხოლმე სქემა-

ტიზმის ვინრო საკანში, მერე კი მთელ თავის ნიჭს უშურველად, ზოგჯერ კი უშედეგოდ ხარჯავს, რათა ამ სქემატიზმის საკანში გამომწყვდეული პერსონაჟები ისევ სამზეოზე გამოლალოს და სიცოცხლის სული შთაბეროს.

მე ამას გულწრფელად ვუზიარებ, ხოლო ჩემს კომპეტენციაში თუ ეჭვს შეიტანს, მაშინ აზრი ჰკითხოს თავის მამამთილს – ჩემზე გაცილებით უკეთეს პროზაიკოსს, გივი ბოსტოლანაშვილს, რომელიც თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა შორის ცოცხალი პერსონაჟების შექმნის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ოსტატად მიმაჩნია.

**P. S.** მე აქ ვაპირებდი ნერტილის დასმას, მაგრამ შინაგანად მაშინვე ვიგრძენ: თუ ასე მოვიქცეოდი, ვერ ავიცდენდი სინდისის ქენჯნას, რადგან ისე გამოდიოდა, თითქო ავტორს რაღაც მნიშვნელოვანს ვუმალავდი. და რაკი არა მაქვს იმედი, როდისმე ამაზე უკეთესი შემთხვევა და ადგილი კიდე მექნება, ამიტომ ამ პატარა სათქმელსაც აქვე ვიტყვი.

შარშან სადღაც შემთხვევით ნავიკითხე მარიანა ნანობაშვილის პირველი ნიგნისადმი მიძღვნილი რეცენზია (ავტორი ველარ გამიხსენებია). მეც მესმის, რომ რეცენზია არ არის ბასრი კრიტიკული მიმოხილვა, მაგრამ ის რეცენზია იყო არა ნიგნის ობიექტურად შეფასების თუგინდ ვალმოსახდელი, ზედაპირული ცდა, არამედ ტლანქი ქათინაური დებიუტანტი ავტორისადმი: მხოლოდ ქება და არავითარი კრიტიკა, ნაკლი, შენიშვნა, გაფრთხილება, მითითება, მოსაზრება, კოლეგიური რჩევა – მოკლედ, ნამდვილი ძილმოსაგვრელად ნალიღინები იავნანა! ამიტომ უმცროს თანამოკალმეს ადამიანურად ვურჩევ: ნურც ბასრ კრიტიკას შეუშინდება და ნურც ხოტბა-ქებას მოადუნებინებს მწერლურ სიფხიზლეს – ორივე მათგანის ცივი გონებით განსჯას აქედანვე მიეჩვიოს. ხოლო რედაქციებში ნასალები ნანარმოებები ჯერ სხვისი თვალთ თვითონ ნაიკითხოს ხოლმე და კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს.

დავით ქართველიშვილის მოთხრობაც „ციყვი“ ჟურნალმა „ალტერნატივამ“ შემოგვთავაზა. სხვისი არ ვიცი და მე ამ რვაფურცლიანი მოთხრობის ჯერ ორი ფურცელიც არ მქონდა ნაკითხული, რომ უცებ დავემსგავსე საძოვარზე გაყვანილ, მთელი დღე შიმშილისაგან ყურებჩამოყრილ საცოდავ პირუტყვეს, მოუაზრებელმა პატრონმა მაინცდამაინც ხრიოკ ბორცვზე რომ მიალრძო მოკლე ჯაჭვით და ეს მაშინ, როცა ირგვლივ წინა დღეებში უხვად დანვიმული გაზაფხულის მინდორი ლურჯად ბიბინებს!!!

არ გჯერათ? გგონიათ, ვაზვიადებ? აჰა, თქვენც მოისმინეთ ავტორისეული თხრობა.

„ეს ჩვენი დიდი საშინაო პრობლემაა“. „ჩვენი შიდა (უნდა იყოს შიგა. ჯ. მ.) დიდი პრობლემა იცის“. „როგორც სხვები მოდიოდნენ თავისი (უნდა იყოს თავიანთი ან თავ-თავიანთი. ჯ. მ.) პირობლებით“. „ნათიამ გამაცნო თავისი პრობლემა“. „პრობლემა მოგვარებადი იყო“. „მე ჩემი პრობლემები მაქვს“. „შეუწყობს თუ არა ხელს ჩემი პრობლემების მოგვარებას“...

რა ვქნა, სხვა გზა აღარ დამრჩენია – თავს უფლება უნდა მივცე და უშუალოდ მოთხრობის ავტორს მივმართო.

ბატონო დავით ქართველიშვილო! მშვენიერი გვარ-სახელის მქონე ქართველო კაცო! ჩემო თანამემამულევე, თანამოძმევე, თანამოკალმევე და ქრისტესმიერო ძმაო! მე თქვენ პირადად არ გიცნობთ და არ ვიცი თქვენი არც განათლება, არც წლოვანება, არც დაბადების ადგილი; არც ის ვიცი, წარმოშობით საიდანა ხართ და ბავშვობის ან ცხოვრების რომელიმე ხანი გაგიტარებიათ თუ არა სოფლად, ხოლო თუ გაგიტარებიათ, საქართველოს რომელ კუთხეში და საერთოდ, სად და რანაირ წრესა და გარემოში ყალიბდებოდა თქვენი პიროვნული და მწერლური ცნობიერება! მაგრამ ერთი რამ ჩემთვისაც დღესავით ნათელია: თქვენ კალმისთვის მოგიკიდიათ ხელი, მწერლად გახდომა გადაგინყვეტიათ, ხოლო თუ დღევანდელი სტანდარტების

მიხედვით ვიმსჯელებთ, თქვენ არსებითად, მწერალი ხართ! აქედან გამომდინარე, ყოვლად წარმოუდგენელია, თხუთმეტ-საუკუნოვანი ქართული მწერლობიდან არ გყავდეთ თქვენთვის გამორჩეული ქართული სიტყვის დიდოსტატი მწერლები; ლიტერატურის ეკლიან გზას შემდგარმა, არ იცოდეთ მწერლის წმიდათანმიდა მოვალეობა საკუთარი ერისა და მშობლიური ენის სინმინდის წინაშე; გამართული, თავანკარა, ძარღვიანი დედაენით წერის აუცილებლობა, მშვენიერება და მნიშვნელობა, ავტორისეულ თხრობაში მაინც! ხოლო თუ ამდენი მართლა არ გესმით, მაშინ მწერლობაში მოსვლა რამ გაგაბედინათ?!

ჰოდა, თუ ღმერთი გწამთ, ერთი აუხსენით მკითხველ საზოგადოებას – რას ჩასციებთხართ ამ ათასგან ნათრევ „პრობლემას“ – ნუთუ მართლა ამ უცხო სიტყვაზე ჩამოწყვეტილა სალამი?! „ენაჲ შემკული და კურთხეული“ ნუთუ ისე დაგვიკნინდა და დაიჩუტა, რომ უმარტივესი აზრის გამოხატვაც კი აღარ ძალუძს და იგი ახალგამომცხვარი ჟურნალისტების, სამხედრო კორესპონდენტების, პოლიტიკას მიტმასნილი ამოდენა სიტყვაჩლუნგი უნიგნურების თუ ამერიკული კომერციული ფილმების პერსონაჟთა მიერ კევივით ნალექი რამდენიმე უცხო სიტყვით უნდა შეიცვალოს?! დასასრულ, ნუთუ მართლა ისეთი გულუბრყვილო ხართ, რომ გჯერათ – „პრობლემა-პრობლემა-პრობლემა-პრობლემა“-ს გაუთავებელი ძახილით მხატვრული ტილო მოიქსოვება?!.

165

პატივცემულო მკითხველებო, თუ თვალს დავაკვირვებთ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს, აღმოვაჩინთ, რომ შემთხვევით აღზევებული უხეირო რედაქტორების კურთხევით მსგავსი ხალტურული უსახურობა უკვე ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. იგივე მარიანა ნანობაშვილი ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ 2006 წლის საახალწლო ნომერში გამოქვეყნებულ გვერდნახევრიან(!!!) მოთხრობაში „მეფის გამბიტი“ პირდაპირ ოქროს კვარცხლბეკს უდგამს ასეთსავე გაცვეთილ მეორე უცხო სიტყვას, მის უდიდებულესობა „სიტუაციას“. მოუსმინეთ.

„სიტუაცია იდეალური იყო“. „წამში გაანალიზა სიტუაცია“. „– ბავშვს სიტუაცია აეუხსნათ“. „რა სულელური სიტუაციაა“.

ხედავთ, რა გამოსდის ორ თანამედროვე ქართველ ავტორს: მთელი ჩვენი ცხოვრება და ყოფიერება ერთისთვის მხოლოდ და მხოლოდ ყბადაღებული პრობლემაა, მეორისთვის – სიტუაცია, მეტი არაფერი!

მოკლედ, მოთხრობაში „ციყვი“ უხვად და უადგილოდ მიმობნეულ უცხო სიტყვებსაც რომ თავი დავანებოთ, ნათელი ხდება მორიგი ნაკლიც: ავტორს ჯერ არ გააჩნია მშობლიურ ენასთან ფაქიზი მიდგომის კულტურა, მარტივი აზრის ზუსტად გადმოცემის მინიმალური ოსტატობა. აი, როგორ იწყებს მოთხრობას.

„მე წლინახვერისა ვიყავი, პირველად რომ დავილაპარაკე“.

ახლა გულახდილად მითხარით: წლინახვერის ბავშვი შესძლებს ამის ასე ზუსტად შემეცნებას და დამახსოვრებას?! ეს ხომ აშკარა შეუსაბამობაა! ეს რომ მართლა ასეა, ამაში ისეთ ვინმეს დავიმონწმებ, მის ცოდნასა და პატიოსნებაში ეჭვს ვერ შეიტანთ. რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ეს მონმე არის თვითონ... ავტორი! აი, ზედმობმითვე რას გვაუნყებს.

166

„რა თქმა უნდა, ეს ამბავი გადმოცემით ვიცი და ის ღირსშესანიშნავი დღე არ მახსოვს“.

პოდა, თუკი ამას ავტორი თვითონვე ხვდება და აღიარებს, მაშ, რალა საჭირო იყო ტექსტის უსარგებლოდ გადატვირთვა – აელო და მოთხრობა თურმეობითი ფორმით დაენყო.

„მე წლინახვერის ვყოფილვარ, პირველად რომ დამილაპარაკია“.

აქედან ყველაფერი თავისთავად გახდებოდა ნათელი და ამდენი თავშესაწყენი ახსნა-განმარტებაც აღარ დაგვიჭირდებოდა!

„გუშინ მე დავასკენი, რომ ჩემი ცოლი ნათია და ჩემი საკუთარი ბიზნესპარტნიორი ლევანი საყვარლები არიან“.

აქაც იგივე! გარემოება კი პირდაპირ ლაღადებს, რომ უნდა იყოს „საყვარლები ყოფილან“ და არა „საყვარლები არიან“.

მაინც რაზეა მოთხრობა? პირველი პირით მთხრობელი ბიზნესმენი სანდრო და მისი მოადგილე ლევანი საქმიანი პარტნიორები არიან. ნათია სანდროს კანონიერი მეუღლეა.

„მე და ნათია, (რის მაქნისია აქ ეს მძიმე?! ჯ. მ.) სამი წელია უკვე (სინ-ტაქსს დააკვირდით! ჯ. მ.), რაც ერთად ვართ. სამი წელია, რაც ცოლ-ქმარი ვართ. სამი წელია, რაც ერთად ვწევართ: ვობრაუთ, კვენესით, ვქმენტ, ვყვირით და შემდეგ გაოფლილები ვყრივართ გვერდიგვერდ. მაგრამ შეილი ჯერჯერობით არა გეჟავს“.

ცოლ-ქმარს, ცხადია, მკითხველიც უთანაბრძნობს უშვილობას და გულწრფელად უსურვებს შვილიერებას, მაგრამ ნანარ-მოების მხატვრულობას რას სძენს ასე ვულგარულად ჩამოთვ-ლილი ეს ოხვრა, კვენესა, ქმენა, ყვირილი, გაოფლიანება?!

სიყრმის მეგობრები სანდრო და ლევანი თავიანთი დანაზოგ-ით იურიდიულ კანტორას გახსნიან.

„ერთ მშვენიერ დღეს სწორედ აქ გავიცანი ნათია, – მოგვითხრობს სან-დრო, – სამი დღის შემდეგ მე და ნათია ერთმანეთს შევხვდით. ჩვენ ვნახეთ მიქელანჯელო ანტონიონის ძალიან მოსაწყენი ფილმი „წითელი უდაბნო“ – სუანსის შემდეგ ჩვენ დაუსხედით უახლოეს კაფეში. შეუკვეთეთ ყავა, ნამცხვარი და კონიაკი და ვლაპარაკობდით სხვადასხვა ზე და ქვე თემებზე (უნდა იყოს ქვეთემებზე. ჯ. მ.).

– სანდრო, – ნათიამ პირველად მომმართა – ღმერთის გწამს?–

– მწამს!

სინამდვილეში მე არც მორწმუნე ვარ და არც ათეისტი. რა თქმა უნდა, მე ვხვდები, რომ სამყარო ვიღაც ადამიანებზე ძალიან ძლიერმა და ძალიან სრუ-ლყოფილმა არსებამ შექმნა, მაგრამ იქით აღარ მივდივარ, აღარ ვიქექები: ვინ არის ეს არსება? რას ითხოვს ეს არსება ჩემგან? მე ჩემი პრობლემები მაქვს. მე მინდა, რომ ჩემი კანტორის აქციები მსოფლიო საფონდო ბირჟაზე იყიდებოდეს, მე მინდა, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ექსპერტი ვიყო, ხოლო ლევანი – ჩემი ნიჭიერი მოადგილე. შეუწყობს ხელს თუ არა ჩემი პრობლემების მოგვა-რებას ქექვა: ვინ არის ეს არსება? რას ითხოვს ეს არსება ჩემგან? მე მგონი, რომ არ შეუწყობს.

ნათიამ შემომთავაზა:

– გინდა, კვირაობით ეკლესიაში ვიაროთ?

მე თავი დავუქნიე, ეს ნათიას ნახვის საშუალება იყო:

– ვიაროთ.

როდესაც ადამიანი კვირაში ექვს დღეს მუშაობს, კვირა გამოსაძინებლად სჭირდება. ჩემმა ცრუ პასუხმა (უნდა იყოს ცრუპასუხმა. ჯ. მ.) კვირა დღე



(უნდა იყოს კვირადღე. ჯ. მ.) წამართვა და მე პანიკაში ჩავეარდი. ორი თვის განმავლობაში ყოველ კვირა დღეს უთენია ვიღვიძებდი, ეკლესიაში რომ არ დამეგვიანა. რამდენჯერმე მაინც დავიგვიანე, თუმც ორი თვე საკმარისია ადამიანთან დასაახლოებლად. და ორი თვის შემდეგ ნათიას ვუთხარი:

– მე აღარ ვივლი ეკლესიაში.

ნათიას რეაქცია ჩემთვის მოულოდნელი იყო, ნათიამ მხრები აიჩინა და თქვა:

– ნუ ივლი.

და მე ეკლესიაში სიარული შევწყვიტე. ნათიამ – არა“.

მოკლედ, სანდრო ნათიას შვირთაეს, მაგრამ სამი წელი ისე გავა, შვილი არ მიეცემათ.

„ერთ მშვენიერ დღეს, (ნეტავ, რად უნდა აქ მოხმე?! ჯ. მ.) დამტკიცდა, რომ მიზეზი მე ვარ და ნათიამ მითხრა:

– ურწმუნო რომ ხარ, მაგიტომ ისჯები.

– შენ გგონია, რომ...

ნათიამ არ დამამთავრებინა:

– ხო, მგონია, რომ...

მე ნათიას არ დავამთავრებინე.

– შენ გგონია, რომ ღმერთი ჯალათია და ღმერთი შინაგან საქმეთა სამინისტროა?

ნათიამ უარის ნიშნად თავი გამიქნია.

– არა, არა მგონია, მე მგონია, რომ ღმერთი ნიშანს აძლევს ადამიანს და, თუ ადამიანი ბრმაა და ადამიანი თუ ბნელია, ეს ადამიანის ბრალია.

– ესე იგი, ჩვენ თვითონვე ვისჯით თავს.

– ხო, – ნათია ყელზე მომქცვია, – ცოტა მეტი იფიქრე, რა, გეხვეწები, ცოტა მეტი იფიქრე.

მე პირობა დავდე:

– ვიფიქრებ.

და იმ დღის შემდეგ მე ბევრს ვფიქრობ და მოულოდნელად ვასკენი, რომ ჩემი ცოლი ნათია და ჩემი საუკეთესო მეგობარი და ბიზნესპარტნიორი ლევანი საყვარლები არიან“.

ესეც ასე! კვანძიც გაიხსნა! რქებდადგმული სანდრო ოფიციალურად შეიძინა პისტოლეტს, თანაც უბრალოს კი არა, თექვსმეტვაზნიან „ბერეტას!“

მოლაღატენი მახეში რომ გააბას და ყველაფერი თავისი თვალით იხილოს, ბათუმში სამღდიან სასწრაფო მივლინებას გაიფორმებს და მეუღლის თვალის ასახვევად თვითმფრინავის ბილეთსაც შეიძენს. მაგრამ მართლა ბათუმში კი არ გაფრინდება, არამედ სათვალთვალოდ თბილისში დარჩება. დანარჩენი, მოდი, თვითონ ავტორს მოვაცოლინოთ.

„ჩვენ ნათიას ძველ უბანში ვართ (არ მესმის აქ სანდრო ექსკურსიამბოლოვით რატომ მოგვითხრობს მრავლობითი რიცხვით?! ჯ. მ.) და მე ვხვდები, სად ხვდებიან ნათია და ლევანი ერთმანეთს. ნათიას ძველი სახლის სხვენში. ადრე, როდესაც ჩვენ, მე და ნათია, შეყვარებულები ვიყავით, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ამ სხვენში... მანქანას მოშორებით ვაჩერებ, პისტოლეტს შარვალში ვიჩრი და ვფიქრობ, ნათიასგან შეუძნეველად როგორ ავიღე სხვენში? მიმართლებს: ეტყობა, აქ პირველად ხვდებიან და ლევანმა არ იცის ზუსტი მისამართი... ნათია სადარბაზოსთან დგას ქუჩის მხრიდან. საბედნიეროდ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), სადარბაზოს შესასვლელი აქვს ეზოდანაც და შესასვლელში კი არ შევდივარ, არამედ შევრბივარ. ნათიას სახლი ხუთსართულიანია. ხუთ სართულს ავრბივარ. ვძვრები სხვენში, აქ მე შინაურულად ვგრძნობ თავს. ყველაფერი მეცნობა. ყველა კუთხე-კუნჭული— საიმედოდ ვიმალება, ხელში პისტოლეტი მიჭირავს და მათ გამორჩენას ველი—

169

რამდენიმე ხანში (უნდა იყოს რამდენიმე ხნის ან ცოტა ხნის მერე (შემდეგ). ჯ. მ.) ისინი სხვენში ამოდიან—

— ეს სხვენი კი არა, სახლია. — ლევანი ამბობს—

— მამაჩემის გაკეთებულია. გვეხუმრებოდა მე და დედაჩემს. თქვენთან ცხოვრება აღარ შემიძლია, აი, სხვენს გავაკეთებ და გადავალ საცხოვრებლად. მე მგონია, რომ გვეხუმრებოდა... გაკეთებას რომ მორჩა, უცებ გარდაიცვალა. — ნათია პარკიდან კონიაკს იღებს, ტკბილუულს იღებს, მაგიდაზე აწყობს.

ლევანი მაგიდასთან ჯდება.

— ვქეიფობთ?

— კი, — ამბობს ნათია, — ვქეიფობთ.

ლევანი კონიაკის ბოთლს ხსნის. მორჩა. ეხლა თითო ჭიქას დალევენ. შემდეგ ლევანი ნათიას მოუცუქტდება, ყელზე აკოცებს, ყურზე მოუფერება, ყურის ბიბილოს ფაქიზად მოუწიწიქნის და ნათია პირველად ამოიოხრებს, თვალებს განაბაჟს, შემდეგ ყველაფერი სწრაფად მოხდება. ჭირის ოფლს მასხამს, ვგრძნობ, რომ ადამიანის მოკვლა შემიძლია. როდის მოგვლა? ვაცადო? არ ვაცადო?

ლევანი პლასტმასის ერთჯერად ჭიქებში კონიაკს ასხამს. ჭიქას მაღლა სწევს და ამბობს:

- რას გაუმარჯოს?
- ფეხმძიმედ ვარ!
- ვაა, როდის გაიგე?
- გუშინ.

თვალეში მიბნელებდა. ნათია ფეხმძიმედაა, ნათიას შვილი ეყოლება. ლევანმა უმოკლეს დროში შეძლო ის, რაც მე ვერ შევძელი სამ წელიწადში. ლევანს და ნათიას შვილი ეყოლებათ. თავის მოკვლაზე ვფიქრობ, პისტოლეტი საფეთქელთან მიმაქვს— ჩემი სახელი მესმის.

— სანდროს უთხარი?

მოატყუებს, მოატყუებს, დარწმუნებული ვარ, რომ მოატყუებს ნათია ლევანს. იტყვის, რომ მითხრა, რომ მე გავეგიედი, გადავირიე და სილა გავაწანი, რომ ვაგინე, რომ დავემუქრე, რომ მუცელში წიხლის ჩარტემა ვცადე, მაგრამ მან სასწაულებრივად აცილა წიხლი. ყველაფერს იზამს, ყველაფერს იტყვის, რომ ლევანი გააგიჟოს.

ნათიას პასუხი მესმის:

— არა, არ მითქვია.

— რატომ მერე? — ლევანი გაკვირვებულია (გაკვირვებული ვარ მეც), — კაცს შვილი უნდა ეყოლოს და არ ეუბნები?

ლევანი ეშმაკია. ლევანი აორთქლებას აპირებს. გოგო დააფეხმძიმა და აორთქლება უნდა. ეხლა ნათია, მტრისას, ისეთ პანიკაში ჩავარდება. მეცოდება ლევანი, ჩემი საუკეთესო მეგობარი და ბიზნესპარტნიორი და მიხარია, რომ შევესწარი. მიდი, ნათი, მიდი, შეხტი ეხლა მაგიდაზე და მიაყარე ლევანს: სიტყვები, ნამცხვრები, ერთჯერადი ჭიქები. მიდი, ნათი, მიიიდი, მაგრამ ნათია მაგიდაზე არ ხტება. ნათია სკამზე ჯდება. ევეე, ეს საინტერესო არ არის, დაიწყებს ნათია ეხლა ტირილს და ხეყნა-მუდარას: ლევან, არ დამტოვო, ლევან, არ შემატოვო მხეც სანდროს. ლევან, ძვირფასო, ლევან, მიყვარხარ და ა. შ. ნათია უკვე ტირის, ლევანი ნათიას გვერდით ჯდება და ნათიას თავზე ფფერება.

— დაწინარდი, ნუ ტირი, შვილი უნდა გეყოლოს და ბედნიერი უნდა იყო,

— ამბობს ლევანი და ხანმოკლე პაუზის შემდეგ ნათიას შეკითხვას უმეორებს,

— კაცს შვილი უნდა ეყოლოს და რატომ არ ეუბნები?

აი, ამას კი ნამდვილად აღარ მოითმენს ნათია. აი, ახლა კი მართლა შეხტება მაგიდაზე ნათია და მიაყრის, მიაყრის, მიაყრის, ლევანს: სიტყვებს, ნამცხვრებს, ერთჯერად ჭიქებს. მიდი, ნათი, მიდი, ხომ ხედავ, ხომ გესმის, ხომ ხედები, რომ გაგდებს, გარბის, გიორთქლდება, მაგრამ ნათია არ ინძრევა, ნათია ამბობს:

– სანამ თვითონ არ მიხვდება, არ ვეტყვი.

ლევანი დგება, ხელებს შარვლის ჯიბეებში იყოფს და ნათიას ეკითხება:

– რატომ? კაცს შვილი უნდა ეყოლოს და არ ეუბნები?

ეეი, ამან ჩაიხვია. და უცებ მე ვფიქრობ: მართლა ჩემგან ხომ არ არის ნათია ფეხმძიმედ? ძალიან მაგრად მიცემს გული, ბედნიერი ვარ და როგორც ნებისმიერი ბედნიერი ადამიანი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე: ვიყვირო, ვიცეკვო, თუ პირიქით მოვიკუნტო, თავი ჩავლუნო, თითებით ყურები დავიცო და ვიყო ასე მოკუნტულ-თაფნალუნულ-ყურებდაცობილი, რომ აღარაფერი დაინახო და გავიგო და ასე ბედნიერი, მაგრამ მოკუნტულ-თაფნალუნულ-ყურებდაცობილი ვიყო სიკვდილამდე. გადაწყვეტილებას ვერ ვიღებ და საწყის პოზიციაზე ვრჩები, დამალული და საფეთქელზე პისტოლეტმიღებული. ნათიას ხმა მესმის.

ნათია ამბობს:

– ესლა რომ ვუთხრა, სანდრო, ფეხმძიმედ ვარ-თქო (უნდა იყოს ვარ-მეთქი, ჯ. მ.), ყველფერს იმ სულელურ წამლებს და დიეტას დააბრალებს–

ლევანი ნათიას აწყვეტინებს:

– რა წამლებს? რა დიეტას?

მე ძვლები მეწვის.

– ა, შენთვის არ უთქვამს, ეტყობა შერცხვა, ექიმებთან ვიყავით და დადგინდა, რომ მიზეზი სანდროა, რაღაც წამლები დაუნიშნეს და დიეტა.

ვგრძნობ, რომ გავწითლდი.

– და, იმას ვამბობ, რომ ყველაფერს წამლებს და დიეტას დააბრალებს. მე კი მინდა, იგრძნოს და მიხვდეს, რომ სასწაული მოხდა, მე მინდა, რომ სანდროს რაღაც ზემოუნებრივის, რაღაც არამატერიალურის სჯეროდეს. მე მინდა, რომ სანდრო მიხვდეს, რომ თავისი სულელური ცარიელი ცხოვრებით ქრისტეს აყენებს ტკივილს. მე სულ ქრისტეს ვებვეწებოდი, რომ მე და სანდროს შვილი გეყოლოდა და როდესაც ხელი ჩავიქნე და ჭჭვი შემეპარა, სწორედ იმ დღეს დაფუხებმძიმდი, მთელი სხეულით ვიგრძენი, მთელი გულით, რომ დაფუხებმძიმდი. ლევან, შენ სანდროს საუკეთესო მეგობარი ხარ, შენ შეგიძლია გავლენა მოახდინო სანდროზე, ხომ ხვდები, რაზეც გელაპარაკები?

– ვხვდები.

„იმდენი შენ რა გითხარი მე!“ – ვფიქრობ.

– შენ თუ არ იცი, რა ელაპარაკო, აი, აქ შევხვდეთ ხოლმე და მე გეტყვი.

– ვიცი, როგორ არ ვიცი.

„იმდენი შენ რა გითხარი მე!“ – ვფიქრობ.

– აი, ბათუმიდან რომ დაბრუნდება, რას ეტყვი?

– გამარჯობა, როგორ ხარ, კანტორაში ყველაფერი კარგადაა.

— არა, არა, არა.

— ა, მივხვდი, შენი ცოლი ფეხმძიმედაა.

— არა, არა, არა—

— აბა?

— ეტყვი, რომ ქრისტე იწამე.

— მოვატყუო?

— მოატყუე მთავარია, სანდრომ მართლა იწამოს ქრისტე, მერე მე და სანდრო შენ მოგეხმარებით, რომ იწამო.

— კარგი, ვეტყვი, — და ლევანი პაუზის შემდეგ ნათიას ეუბნება, — მოდი, კაფეში წავიდეთ. აქ რალაც აღარ მომწონს, ჩაკეტილები ვართ. დაესხდეთ კარგ კაფეში და ქრისტეზე ვილაპარაკოთ.

— წავიდეთ, — ამბობს ნათია. მაგიდას უცქერს, — აქ საღამოს მოვალ და დავტრიალდები.

ნათია და ლევანი მიდიან. მე სამალავიდან გამოვდივარ. ნამცხვარს ვჭამ და კონიაკს ვსვამ. ბედნიერი ვარ. შემდეგ სხვენიდან სახურავზე ავდივარ და თქვეს-მეტყვე ვაზნას ჰაერში ვისვრი“.

172

თითებიდან მტკივნეულად გამოწოვილ, მთელ ამ გამახეტებელ სქემატურ სცენასაც რომ თავი დავანებოთ, მკითხველს მართო ეს უპასუხო გამოცანა ჩააგდებს საგონებელში: რა საჭირო იყო, რას ემსახურებოდა სპეცსამსახურის გამობრძმედილი აგენტებივით ნათიასა და ლევანის მაინცდამაინც ამ დაბინდულ სხვენზე კონსპირაციული შეხვედრა?!

მოთხრობის თავიდან ბოლომდე გადმოწერა მეტისმეტი იქნებოდა, ეს ამოგლეჯილი ციტატა კი სრულყოფილად ვერ ასახავს ნაწარმოების მთელ სქემატურობას, თვითმიზნურობასა და გულშესანუხებელ პრიმიტიულობას.

არ დავმალავ, კეთილი შურით შემშურდა პირველი პირით მოთხრობელი სანდროს ბედნიერება! მართლაც, რაოდენ ბედნიერები უნდა იყვნენ სანდროცა და ავტორიც, რომ მთელი ეს სქემატური აბლაუბდა სწამდეთ და არა მართო თვითონ სწამდეთ, არამედ თან ისიც სჯეროდეთ, რომ ამას მკითხველებიც დაიჯერებენ. მაგრამ ასე სწამთ და!

ნეტარნ არიან მორწმუნენი!!!

ჟურნალმა „ლიტერატურული პალიტრა“ გამოაქვეყნდა აკა მორჩილაძის მოთხრობა „სიკვდილი, ქალაქი“, რომლის პირველი აბზაცი ასეთია.

„1914 წლის 7 დეკემბერს 74 წლის თავადი აკაკი წერეთელი, ყველაზე განთქმული და უსაყვარლესი პოეტი, რომელსაც ბუები, ლამურები და თხუნელე ბიც კი ცნობდნენ სახეზე, ჩავიდა ქუთაისში მატარებლით, თბილისიდან“.

დაე, მკითხველმა თავად განსაჯოს, აკაკის მიმართ, თანაც ამ კონტექსტში, რამდენად მართებული ან მხატვრულია ბუების, ლამურებისა და თხუნელების ხსენება. ან რანაირია წინადადების სტილი და კონსტრუქცია: „ჩავიდა ქუთაისში მატარებლით, თბილისიდან“.

მწერალმა რამდენად შეძლო დიდი პოეტის პორტრეტის დახატვა, ამის განსჯას არ შეეუდგები – მხოლოდ ენობრივ მხარეს შევხები.

173

„ხელჯოხის ბიჯგებით ჩადიოდა სველ კიბეზე“. – წერს ავტორი.

ბიჯგები კუთხურია, უნდა იყოს ბჯენით.

აკაკი წერეთელი მატარებელშია. კონდუქტორი ლოგინის გამლას შესთავაზებს, მაგრამ პოეტი იუარებს და მხოლოდ ბალიშს მოითხოვს.

„მიწვა ხის მაგარ კოიკაზე“.

მწერალი ამ ბოლო სიტყვას ისე გულმშვიდად ხმარობს, თითქო სუფთა ქართული იყოს – არც ბრჭყალები, არც არაფერი! რედაქცია? ეჰ!

აკაკი ქუთაისის სასატუმროშია.

„გადახდა ერთი კვირის ფული, მოითხოვა ჩაქუჩი და გაზი და სასატუმროს ბიჭს აახდევინა თავისი შეჭვდილი ყუთი, რომელიც გამოდგა პირთამლე სავსე ქალაღლებით“.

თავი დავანებოთ ბოლო წინადადების აბსურდულ, თითქო განზრახ გაუკულმართებულ სინტაქსს. აქ ავტორი ისე წერს – გამოდგაო, თითქო ეს ყუთი აკაკის საკუთრება კი არ ყოფილიყო და წინდანიწვე არა სცოდნოდა, შიგ რა ჰქონდა, არამედ სრულიად შემთხვევით ეპოვოს სადღაც და ახლალა იგებდეს, შიგ რა ყოფილა!

„უკაცრავათ არ ვიყო, – შემოესმა უკნიდან“.

უნდა იყოს „უკაცრავად არ ვიყო, – შემოესმა უკანიდან“.

ფოსტაში აკაკი შემთხვევით შეხვდება უცნობს – ოცდაათორმეტი წლის ექიმს, სარდიონ მესხს.

„სარდიონ მესხი აკაკის ძველი კარგი ნაცნობის შვილიშვილი იყო. აკაკის ენახა მხოლოდ პატარა ბიჭობაში. მერე მესხი ბევრგან დაუფულა დოქტორობას და ახლა ექიმობდა კერძო პრაქტიკით: ხოლო რაც ომი დაიწყო, საქალაქო ლაზარეთშიც, რომელიც სამხედრო ვითარების გამო ხელქვეით მისცეს ქუთაისის მთავარ სამხედრო ექიმს, სხვანაირად კი ჰოსპიტალს“.

174

გრძნობთ, ხაზგასმული წინადადებებისა და აზრის თავის ამ-ატკივებელ დომხალს?

აკაკი ლაზარეთის დათვალიერებას მოისურვებს. არ გაინტერესებთ, ვინ იმყოფებიან ამ ლაზარეთში?

„საქალაქო ლაზარეთში ოსმალეთის ფრონტის ტყვეები იწვნენ. რუსის ჯარისგან ბრძოლის ველიდან წამოკრეფილი მტრის დაჭრილები“.

რას იტყვით, ხომ ნათელი, ტევადი და ძარღვიანი ქართულია?! მოდი, ახლა ახლოდან ვნახოთ ეს „ოსმალეთის ფრონტის ტყვეები“ და „მტრის დაჭრილები“, თანაც „რუსის ჯარისგან ბრძოლის ველიდან წამოკრეფილი“.

„ბურჟუაზიის ახლო (უნდა იყოს ახლოს ჯ. მ.), თხელ ლეიბებზე ზეწრებში გამოსვეული მთლად გამხდარი ეყარნენ შავგერემანი ახალგაზრდები, შიშვლები, თვალუბდასივებულები, სიკვდილის ნიშნით. ესენი იყვნენ ტიფიანები და როგორც მესხმა თქვა შეწუხებით, არ იყვნენ ოსმალები, არამედ ოსმალთაგან ომში ძალათ (უნდა იყოს ძალად ან ძალით ჯ. მ.) წაყვანილი არაბეთის შვილები, ბედუინები“.

მოკლედ, ავტორი არ ფიქრობს, არ ზრუნავს, არ წუხს, ანდა უბრალოდ, არ მოსდევს იმდენი მწერლური საფანელი, რომ სათქმელი გამოუვიდეს დახვეწილი, ლაკონური, ტევადი, მხატვრულ-ოსტატური.

რანაირია ან ენობრივად, ან აზრობრივად ეს „მთლად გამხდარი ეყარნენ?“, გამხდარი ეყარნენ!!! ან რაღა საჭირო იყო „არ იყვნენ ოსმალები“, თუკი შემდეგ წინადადება უფრო ზუსტად გაიმეორებდა მასში გატარებულ იმავე აზრს: ომში ძალით წამოყვანილი არაბები ყოფილან! ამ ციტატაში პირველი უცხო სიტყვა ავტორს, თავისი ჩვეულების თანახმად, კვლავ უბრჭყალებოდ აქვს ნახმარი. რატომ, რა უფლებით?

„აკაკი კარგა ხანს იდგა ვიწრო გასასვლელში და უყურებდა ამ საბრალო მომაკვდავებს. შეკრული პალტო მოძრაობას უშლიდა. თავი, უკვე მიჩვეულად, უკან გადაეგდო“.

ავტორი ხომ არ უკვირდება, რას ნერს, ან რა მიაქვს რედაქციაში და რედაქციაც ბაიბურში არ არის, რას სთავაზობს თავის მკითხველებს!!!

თუკი „აკაკი კარგა ხანს იდგა... და უყურებდა“, აბა, პალტო როგორ, როდისღა დაუშლიდა მოძრაობას?! სად ჩანს პერსონაჟის მოძრაობაც?! რა გამოდის: აკაკი თან „კარგა ხანს იდგა... და უყურებდა“ თან პარალელურად კიდევ მოძრაობდა და „შეკრული პალტო მოძრაობას უშლიდა?“ მაგრამ ეს ხომ ფანტასტიკის ფარგლებსაც კი სცილდება!!!

ავტორმა თან ეს რა უცნაური სიტყვა შემოგვიფრინა ქართულ ენაში – „მიჩვეულად!“ ეტყობა, უნდოდა ეთქვა „ჩვეულებისამებრ“. გარდა ამისა, აქ სულ არ იყო საჭირო ეს უადგილო ზმნისნინი „უკვე“, ვინაიდან თვითონ სიტყვა „ჩვეულებისამებრ“ თავისთავად გულისხმობს ამ სენის, ზმნისა თუ მანერის ხანდაზმულობას. აჰა, დავაკვირდეთ: „თავი, უკვე ჩვეულებისამებრ, უკან გადაეგდო“. აბა, რად უნდა აქ ეს „უკვე?“ მით უმეტეს, რომ ავტორმა მოთხრობის პირველივე წინადადებაში აღნიშნა მოქმედების დრო – 1914 წლის 7 დეკემბერი. აქედან კი აკაკის ორიოდ თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი.



უცებ აკაკი ლვინოს მოითხოვს და დაფაცურებული სარდიონ მესხი ჩანაკლულებული ბოთლით მიართმევს.

„აკაკიმ ბურჟუიკასთან მიფენილი მიტკალი აიღო და ღვინოში გააღბო“.

მიტკალი ერთ-ერთი სახეობის, ბამბის ქსოვილის მხოლოდ სახელწოდებაა და ტექსტიდან არა ჩანს, აკაკიმ მიტკლის რა აიღო: პირსახოცი, ხელსახოცი, პერანგი, ფეხსახვევი, ბედუინის დოლბანდი, ჩვარი, ნახევი თუ ნაფხრენი.

აი, მომდევნო სრული აბზაცი.

„მერე კიდევ უფრო მოულოდნელად, გადაფორთხდა სკამებსა და ფეხზე, და ასე, ბოთლით და ღვინით სველი მიტკლით ხელში და საბრალო ბედუინებს შუა აღმოჩნდა“.

176 აბა, ერთი გაგებდათ და ასე „ბოთლით და ღვინით სველი მიტკლით ხელში“ მისდგომოდით ისეთ რედაქტორს, როგორიც, მაგალითად, ელგუჯა მალრაძე იყო: ბუხუნა საყვედურებით ზურგს ისე შეგიტენიანებდათ, რომ მწერლად გახდომის ოცნებაზე ან ხელს აგაღებინებდათ, ანდა წერის იდუმალების ისეთ ჰორიზონტებს აღმოგაჩენინებდათ, რომ მაღლიერი და სიხარულით ფრთააბმული, შინისაკენ ძუძუმონყურებულ კვიცივით მოქუსლავდით! ახლა? ახლა რაც გინდა დანერე, როგორც გინდა მოაცოდვილე, ვინ არის გამკითხავი – ყველაფერი ხალასი ლიტერატურაა! ეეეჰ!!!...

ამ პანია მოთხრობაში ავტორმა როგორც სრულუფლებიანი, ჩვეულებრივი ქართული სიტყვა, უბრჭალებოდ ჯერ კოიკა იხმარა, მერე ბურჟუიკა, აგერ, ამ აბზაცში კი ახლა ფეჩით „გაგვახარა!“.

რა ხდება? მწერალმა ნუთუ მართლა არ იცის, რომ რუსული Печка ქართულად ღუმელს ნიშნავს?! ხოლო თუ იცის, ეს რაღაც „ფეჩი“ რითი სჯობია მშობლიურ ღუმელს?! ხოლო თუ თავისთვის მაინცდამაინც ეს უცხო სიტყვა მიაჩნია სამჯობინაროდ, მაშინ ბრჭყალებით რატომ არ ხმარობს?

შემდეგი აბზაცი ასეთია:

„იმათ არ ჰქონდათ წამოჯდომის ან ხეირიანი მოძრაობის ილაჯი, აკაკი კიდევ, ამ მძიმე პალტოსა და სიბერის მიუხე-

დავად, როგორღაც მოქნილობით ყველა მათგანს სწვდებოდა. კიდევ და კიდევ გაავლებდა (უნდა იყოს ავლებდა. ჯ. მ.) ღვინოში მიტკლის ნახევს და შუბლსა და სახეზე უსვამდა საბრალო ბედუინებს“.

ეშმაკმა დამლახვროს, თუ მკითხველიც იმ ბედუინებივით საბრალო არ იყოს!

ავტორი რატომ არ უკვირდება: ტიფშეყრილ „საბრალო ბედუინებს“ თუკი ნამოჯდომაც აღარ შეეძლოთ, „ხეირიანი მოძრაობის ილაჯი“, საიდან, როგორღა ექნებოდათ?

ან რას ნიშნავს, როგორ გავიგოთ და რანაირად წარმოვიდგინოთ ეს „როგორღაც მოქნილობით?“

მწერალი თავდაჯერებით რომ გვარწმუნებს, აკაკი მალ-მალ ავლებდა ღვინოში მიტკლის ნახევსო, ნუთუ აღარ ახსოვს: პოეტს ხელში მხოლოდ ბოთლი დააჭერინა და ბოთლში მიტკლის ნახევი როგორ, რანაირად უნდა გაევლო?! ამგვარი რამ შესაძლებელია რომელიმე პირფართო ჭურჭელში და არა ტუჩვინრო ბოთლში!

ახლა ციტატის ბოლოს დახედეთ! ავტორი ისე წერს: მიტკლის ნახევს შუბლსა და სახეზე უსვამდაო, თითქო შუბლიც სახის ნაწილი არ იყოს!

177

სხვებს თუ არ ანალვლებთ, მთავარმა რედაქტორმა მაინც ჩაიხედოს ლექსიკონში და ნახოს, რა არის შუბლი – ადამიანის სახის ზედა ნაწილი.

„აკაკი ელაპარაკებოდა იმათ არაბულათ“. უნდა იყოს არაბულად.

როგორც ხედავთ, მოთხრობის სტილსა და ენაში ბევრი რამეა გულდასაწყვეტი. მე ერთმა სხვა გარემოებაამაც დამწყვიტა გული. ავტორმა აკაკი ჯერ ბურჟუიკის ახლოს მიიყვანა, მცოვანი პოეტი მერე ფეჩზე გადააფორთხა, მაგრამ იმდენი ველარ მოახერხა, ბოლოს როგორმე ღუმელთან დაებრძანებინა.

ახლა ვნახოთ, ჩვენი ავტორი როგორ იწყებს ერთ-ერთ აბზაცს,

„მერე საეკიმო ოთახში ისტდნენ, სადაც ექიმი მესხი ცდილობდა ელაპარაკა რაღაც მოულოდნელობები, თუმცა აკაკი წერეთელმა ყოველივე იცოდა.

ასე ირკვეოდა ლაპარაკიდან, რაც იწვევდა მესხის სრულ შინაგან აღტაცებას, გაკვირვების შემდეგ“.

სრული უაზრობა, დაუფიქრებლობა, ბუნდოვანება, მიფუჩეჩება, არაპროფესიონალიზმი!

ჯერ ერთი, პირველ წინადადებაში რას ნიშნავს ეს „რალაც მოულოდნელობები?“ ადამიანმა როგორ, რანაირად უნდა განსაზღვროს თუ ილაპარაკოს, „რალაც მოულოდნელობებზე?“ ავტორმა ხომ თავი მოიჭრა და შეურაცხყოფელ მდგომარეობაში ჩააყენა თვით აკაკი წერეთელიც, რომელსაც ყოველივე ეს, ანუ ექიმ მესხის მიერ მოყოლილი და მოსაყოლი „რალაც მოულოდნელობები“ თურმე წინდანინვე სცოდნია! მაგრამ რომელ ძეხორციელს ძალუძს წინასწარ განჭვრიტოს „რალაც მოულოდნელობები?“ არავის!

მაშ, რა ხდება? რა და, მწერალს ერთმანეთისაგან ვერ განუსხვავებია სიტყვები: „მოულოდნელი“ და „მოსალოდნელი“. გადავფურცლოთ ლექსიკონი.

მოულოდნელი – რასაც არ მოელიან, – უეცარი.

მოსალოდნელი – რასაც უნდა მოელოდნენ, რასაც მოელიან – შესაძლებელი, საფიქრებელი.

ცხადია, ახლა ყველასათვის და, შეიძლება თვით ავტორის, მთავარი რედაქტორის, მთავარი რედაქტორის მოადგილისა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისთვისაც“ კი ნათელი გახდეს, რომ ქუთაისელი ექიმი სარდიონ მესხი აკაკი წერეთელს პირველი მსოფლიო ომიდან მომდინარე ათასგვარ მოსალოდნელ ამბებსა თუ მოვლენებზე ესაუბრებოდა და არა ტვინის შემადედებელ „რალაც მოულოდნელობებზე!!!“

გარადა ამისა, დაუკვირდით წინადადების აგების გაუკულმართებულ კონსტრუქციას: ეს „ცდილობდა ელაპარაკა“ ისე უღერს, თითქო მოსაუბრეს ენა-პირი ქაფქაფა ჩაით დასწვოდა, ანდა ყბები ჰქონოდა მომტერეული და „ცდილობდა“ ორიოდე სიტყვა ამოეღერდა, როგორმე ალაპარაკებულყო.

აგერ, როგორ იწყება მეორე, თანაც ხელოვნური, სრულიად ნაძალადევი აბზაცი. „ასე ირკვეოდა ლაპარაკიდან“. კი მაგრამ „ასე“ რა „ირკვეოდა ლაპარაკიდან?“ „რალაც მოულოდნელო-

ბები“, აკაკი წერეთელს ვითომდა ექიმ მესხის გარეშეც რომ სცოდნია? მაგრამ პირველ აბზაცში არც „ასე“ და არც „ისე“ – არაფერი არ ირკვევა! ან ეს „საექიმო ოთახი“ არის: სადაც სნეულები უწევთ და მკურნალობენ თუ ჰოსპიტლის მთავარი ექიმის, მესხის კაბინეტი? გარდა ამისა, მხატვრულ-დამაჯერებლობის თვალსაზრისით მკითხველი სრულებით ვერ ჰგუობს ამ „მესხის სრულ შინაგან აღტაცებას, გაკვირვების შემდეგ“.

მოკლედ, თითქოს განზრახ, ავტორმა დასაწყისშივე იზრუნა, რათა მკითხველს ამ პატარა მოთხრობაზე უმაღლესი ასცრუებოდა. თავიდან მეც ასე დამემართა და მეორედ მაშინლა ჩავუჯექი, როცა გარემოებამ მაიძულა.

ახლა ცოტა სტილსა და ენაზე.

„ყველაფერი იყო ქუთაისურათ“. უნდა იყოს ქუთაისურად.

„აკაკი წერეთელი ბუხართან იჯდა და თავის მთელ დღეს უბით ნატარებ ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა“.

სიტყვათა რანაირი კომბინაციაა – „თავის მთელ დღეს?“ უნდა იყოს, „აკაკი წერეთელი ბუხართან იჯდა და მთელ დღეს უბით ნატარებ თავის ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებდა“.

179

„ჩანთა გაჭირვებით ფეხებშუა დაიჭირა“.

უნდა იყოს „ჩანთა ფეხებშუა გაჭირვებით დაიჭირა“.

„ქუთათელაძემ თავის ქარისაგან დაჯღანულ შლაპაზე მოისვა თითები“.

გასაოცარია! ქუთათელაძის შლაპაა და არა ქარი!!!

რანაირად შეიძლება, სად გაგონილა ატმოსფერული მოვლენა, ქარი, ვისიმე საკუთრება იყოს?! ავტორს წინადადება ასე უნდა აეგო.

„ქუთათელაძემ ქარისაგან დაჯღანულ თავის შლაპაზე მოისვა თითები“.

„კალოშების გახდას ჯერეთ ვერ ბედავდა“. რანაირი ქართულია ჯერეთ – აქ რას დააშავებდა „ჯერ“?

„რაც გინდა სთქვი და“... უნდა იყოს თქვი.

„– აკაკი... უფ, ძინებია. – შეცბნენ ყველანი“.

უნდა იყოს სძინებია.

„– აუ, აღმოხდა ექიმ ქუთათელაძეს. ჩქარათ მოტრიალდა და გავარდა“.

არამცთუ ეს სასაცილო „ჩქარათ“, არამედ ამ კონტექსტში ვერც „ჩქარა“ გვიშველიდა. ეტყობა, უნდა იყოს უცებ, უცბად, უმალ, უმალვე, ფიცხლავ, წამსვე და სხვ.

„აკაკი იჯდა ნამძინარევი, სრულიად გამოურკვეველი, ტუჩებაბუზული, მისცქეროდა რაღაც ადგილს“.

ნეტავი, ერთი მაცოდინა, ავტორმა მართლა სადმე ამოიკითხა, ვინმესგან გაიგონა თუ თვითონ გამოიგონა ეს „მისცქეროდა!“

„მერეღა დაინახა კარებში გაჩერებული ჩანთიანი კაცი“.

ერთი კაცი მაინც რამდენ „კარებში“ შეიძლება ყოფილიყო გაჩერებული?

თუგინდ ორსაგდულიანი იყოს, მაინც მხოლობითით მოიხსენიება – „კარი“. თუ მრავალ სათავესოზეა ლაპარაკი, მაშინ იხმარება „კარები“, ხოლო „კარებები“ არასწორი ფორმაა.

„– უკაცრავათ ვარ... უკაცრავათ“. უნდა იყოს „უკაცრავად ვარ... უკაცრავად“.

„ფოსტიდან ფეხათ გამოგისწვრიათ“. უნდა იყოს ფეხად.

„– ეს რომანათ ხომ არა გაქვს, თქვენი ჭირიმე, დანერილი?“

ჯერ ერთი, უნდა იყოს რომანად. მეორეც, რაკი თავიდან მიმართვა მხოლობითშია, მაშინ უნდა იყოს „შენი ჭირიმე“. ხოლო თუ ავტორს „თქვენი ჭირიმე“ უნდოდა, მაშინ დასაწყისიც მრავლობითს ითხოვს – „გაქვთ“.

აი, ავტორი რას ათქმევინებს აკაკი წერეთელს ერთ-ერთი პერსონაჟის მიმართ.

„– გამახსენდა. გომართელის ამხანაგი. იმასთან ერთად მინახავხარ“.

უნდა იყოს მინახიხარ.

დასასრულ, თავისთავად იბადება კითხვა: რატომ მოტბორავს ამდენი აზრობრივი და ენობრივ-სტილისტური შეცდომები?

განამებულ, იმედგაცრუებულ მკითხველს ამაზე ვინ უგებს პასუხს?

ეკა ლალანიძის ნაწარმოებში „ლიტერატურულ პალიტრაში“ დაიბეჭდა, რითაც ცხადი გახდა, რომ ამ ჟურნალს შემთხვევითი, მხატვრული ლიტერატურისაგან სრულიად შორს მდგომი მთავარი რედაქტორისა და მისი მოადგილის სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას ნამდვილი სახადი აქვს შეყრილი. ეს სახადი თავისი ხასიათითა და მოსალოდნელი შედეგით ისეთი საზარელია, რომ დაკავებული თანამდებობიდან მათი დროზე მოცილება ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ღონისძიება კი არა, ლიტერატურულ ღირებულებათა და ადამიანური ზნეობის პიგიენის საკითხია!!!

თავ-თავიანთ თანამდებობებისთვის სრულიად შეუფერებელ ამ ორ მანდილოსანში ფესვგადგმული ეს სახადი აღვირახსნილ პროპაგანდას უწევს საღიზმსა და კაცთმოძულეობას, უტიფრად ასამარებს მწერლის დანიშნულებასა და პასუხისმგებლობას ღვთისა და საკუთარი ხალხის, საერთოდ, ადამიანის წინაშე, ერის ფსიქიკას, თითოეული ქალის მრწამსსა და ზნეობას, ქრისტიანული მორალის კატეგორიებს – მოკლედ, ყოველგვარ ჭუმანურს, წმინდას, ზნეობრივს, ადამიანურს!!!

არ დავმაღავ: გულს მიკლავს საკუთარი უიღბლობა თუ ბედისწერის სისასტიკე. როდესაც ამ ჟურნალის მესვეურებმა ლიტერატურული პაექრობის ქარცეცხლში ჩამითრიეს და მთელი პასუხისმგებლობით ვმუშაობდი 2006 წელს გამოცემულ ჩემს კრიტიკულ ნიგნზე „გინდოდა, გოგოთურსაცა წამასჯდომიყავ თავზედა?“, საცა სამართალია, ეკა ლალანიძის ეს მოთხრობაც მაშინ უნდა განმეხილა, როგორც 2005 წელს ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ერთ-ერთი ყველაზე სადისტურ-შემადრწუნებელი ნაწარმოები, რაც კი ოდესმე შექმნილა მსოფლიო ლიტერატურაში! მაგრამ მაშინ ვერ გავბედე მისი შეხება: ვაითუ სათქმელი საერთო მიმოხილვაში ჩაიკარგოს, თან ჩემისთანა უმნიშვნელო კალმოსნის ნათქვამსაც არ მოჰყვეს სასურველი გამობნაურება

და საქმე უფრო წავახდინო-მეთქი. ამიტომ მაშინ გვერდი ავუარე და თან დაძაბული ველოდი – აი, დღეს, აი, ხვალ აღშფოთებული საზოგადოებრივი აზრი ვულკანივით იფეთქებდა და სამართლიან განაჩენს გამოიტანდა!!! მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! ლოდინი ლოდინად შემრჩა, თან ღმერთმა არც ის ყოყმან-გაუბედობა მაპატიო და ბოლოსღა გაირკვა – ამ ტექსტის მიმოხილვაც თურმე ჩემი ხვედრი ყოფილა! არადა, მზვერავის ნერვები და კამიკაძის შეგნებული თავგადადება საჭირო, იგი აუღელვებლად რომ ნაიკითხოთ და შეაფასოთ!

ჩემზე რომ იყოს, პირდაპირ მთავარი სატკივრით დავინყებდი, მაგრამ საერთო მიმოხილვის ფორმა და ხასიათი მაიძულებს ამ მოთხრობასაც დანარჩენების მსგავსი თანამიმდევრობით მივუდგე. ვილას დავუმალე, ან რაღა აზრი აქვს დამალვას? ამ ე.წ. მოთხრობას რომ ნაიკითხავთ, კიდევ ერთხელ დარწმუნდებით: ჟურნალის მთავარი რედაქტორი ქართული მწერლობის განვითარებას კი არ ემსახურება, არამედ პათოლოგიურ პატივმოყვარეობას იკმაყოფილებს – რაც უნდა, იმას დაბეჭდავს „თავის“ ჟურნალში, ვინც თვითონ მოეგუნებება, იმას აკურთხებს მწერლად „თავის“ ჟურნალში! ვისი რა საქმეა?!

სამწუხაროდ, ეკა ლალანიძეც განეკუთვნება იმ ფანტასტიკურ „მწერალთა“ კატეგორიას, მწერალს რომ უწოდებენ, ბეჭდავენ, წერა კი არ შეუძლიათ!!! ჩემს ნათქვამში დაეჭვებულს შეუძლია თვითონ ნაიკითხოს ეს „კვირაში სამჯერ“. საგნების, ვითარებისა და მოვლენების არავითარი მწერლური ჭკრეტა, მხატვრულობის არავითარი ნატამალი! ავტორს არ შეუძლია საჭირო აზრის წინადადებებში გასაგებად ჩამოქნა და ამ წინადადებების ლოგიკური თანამიმდევრობით აკინძვა!.. თუმც ამდენს რა მაყბედებს? მწერლის ერთადერთი იარაღია ენა, ხოლო თუ მწერლობის მოსურნეს ეს ერთადერთი იარაღიც არ გააჩნია, ან არ უვარგა, მაშინ ის რაღა მწერალი იქნება?! ე. ლალანიძე საყველპუროდაც ვერ ფლობს მშობლიურ ენას და უნიგნური გოგო-ბიჭებით დაკომპლექტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სწრაფწარმავალი ტექსტების ყოველდღიურ სანაგვეზე ფაციფუცით მოკრეფილი გაცვეთილ-გალეული უცხო

სიტყვა-ტერმინებით ცდილობს მწერლად მოგვაჩვენოს თავი. აი, მისი ლექსიკური „ავლადიდების“ ზოგადი სურათი.

„არც სისხლიანი ფიფქვერკები აღლუვებდა- ტერორისტთა სატრანზიტო ზონაში ცხოვრობდა- მის პარტნიორს წაადგა თავზე- რატომ ამოვარდა ჩვეული რიტმიდანო... სისხლის სინთეზირება არც ისე ძნელი ყოფილა- არც დეპრესია ჰქონდა... საგამოფენო ექსპონატივით... შანსი არ დაუტოვა- კალორიების რაოდენობას კალკულატორზე ითვლიდა- საკუთარი წონის რეგულაცია... პროპაგანდისტ დაქალებს უსმენდა- რიტუალს ძარულებდა- ჩვეული ჟესტიკულაციით- ეჭვიანობის პარანოიალურ ბოდვებს- რეაქციას დადარაჯებული- საპროტესტო აქციის აქტივისტივით- უემოციო განსჯა- პრაგმატულ ყოფაში- კარნავალურ წარმოდგენებს- ეთიკის ნორმებით გაკოჭავს- იზოლირებულს აღარ ჩამოკავდა- ენერგიული ვიბრაციით- ლოტოსის პოზაში- გული აჩქარებულ ტაქტში აუფართოვდა- სარეპეტიციო ოთახი იყო- ნერვიული ჟესტიკულაციის მანიფესტიით (?! ჯ. მ.) ქალს ჭკუას ურევდა- „პრობლემა ის არის- ყველა ქალი გადის ამ ეტაპს- ფანტომური ტკივილი იგრძნო.“

ეს არის ქართული ენით დანერგილი მხატვრული პროზა?!

183

ავტორსაც რომ თავი დავანებოთ, რედაქცია-გამომცემლობაშიც არ აღმოჩნდა ერთი მუშაკი მაინც, ნაწარმოებში გაპარულ თვალშისაცემ ორთოგრაფიულ შეცდომებს რომ გაასწორებდა.

ავტორს უწერია: ყვებოდა, შეტოკებია, სულერთია, შარი-შურით, ჩრიდა, ყვებოდნენ, მოპარეს, უკნიდან, თხოვდა...

უნდა იყოს: ჰყვებოდა, შესტოკებია, სულ ერთია, შარიშურით, სჩრიდა, ჰყვებოდნენ, მოჰპარეს, უკანიდან, სთხოვდა...

რაზეა მოთხრობა, რა ანუხებს ავტორს და რის თქმას ლამობს?

მთავარი პერსონაჟია ერთი ჩვეულებრივი თბილისელი ქართველი ქალი, თეო, რომელიც ერთ დღეს საძინებლის სანოლში ქმარს მამათმავალ მეგობარ კაცთან წაასწრებს! გაფუჭებულ ქმარს უშვილო თეო თავისი საკუთარი ბინიდან სამუდამოდ გააგდებს და უდრტივინველად შეუდგება მარტოხელა ცხოვრებას.

ერთ დღეს თეოს თავისი თანამშრომელი ქალი ჩააცივდება: „შენზე კარგ სპეციალისტს სად ვიპოვით“, ჩემი ახლობლის



ქალიშვილი ინგლისურში უნდა ამეცადინოო. თეო იძულებულია დაჰყაბულდეს და ტასიკოს კვირაში სამჯერ თითო-თითო საათით ავარჯიშებს (მოთხრობამაც აქედან მიიღო თავისი ქარაფ-შუტული სათაური „კვირაში სამჯერ“).

ეს მეთერთმეტეკლასელი გოგონა, რომელიც, თეოს აზრით, „ცოტა ვერ იყო“, თავისი შეხედულებებითა და საქციელით ინგლისური ენის მასწავლებლის ყოფა-ცხოვრების რიტმს დაარღვევს და მასში თავისებურ ცვლილებებს შეიტანს.

ერთ ღამესაც ტასიკო დისკოთეკაზე შემთხვევით ვილაც პაპუნას გაეცნობა, თავდავინყებით შეუყვარდება და მერე მასზე ტიკტიკით თეოს გულს უწყალებს.

მაინც რითი მოიხიბლა გოგონა? აი, მისი მოკლე და ამომწურავი პასუხი.

„— პაპუნას მწვანე თვალები აქვს, მზეზე უყვითლდება“.

აჰ! ჭაბუკს თუ მწვანე თვალები აქვს და თან მზეზე უყვითლდება კიდევ, აბა, დიდ სიყვარულს წინ რალა დაუდგება!!!

ერთ დღესაც ტასიკო ფაცაფუცით გაემზადება და პაემანზე შურდულივით გავარდება.

„ინსტიტუტის შესასვლელთან მზეზე ყვითელთვალეა პაპუნა (თქვენ მარტო სინტაქსსა და აზრს დაუყვირდით! ჯ. მ.) ორ უცხო ბიჭთან და ერთ გოგოსთან ერთად დახვდა— მესამე სართულზე ავიდნენ, ერთი აუდიტორია შეარჩიეს.. იქ მერხები არ იდგა— ერთ-ერთი ბიჭი, რომელსაც ტასიკომ გუნებაში „ლინლა“ შეარქვა, ფანჯარას დაეჯაჯგურა და ძლივს გამოხსნა (უნდა იყოს გამოალო. ჯ. მ.). გოგოს მაიკო ერქვა. ტილოს ჩანთიდან არყის ორი ბოთლი ამოიღო და პირდაპირ იატაკზე დაჯდა. ბიჭებიც მოუსკუბდნენ.“

— პაპუნას გვერდით მჯდარი პლასტმასის ჭიქით არაყს სვამდა— მაიკოს მალე მოეკიდა— პაპუნამ ჯიბიდან ტარიანი გააძრო. მოქაჩა, მერე ბიჭს გადააწოდა, იმან — ლინლას. მერე მაიკოს ჯერი დადგა. ტასიკომაც დაარტყა ნაფაზი. პირველად არ ეწეოდა— როგორც მაშინ, ახლაც თავში რალაც სუსტი მუსიკა— დაძაბულობისაგან ათავისუფლებდა. რაც მთავარია, პაპუნას გვერდით იყო და ამ ყვითელთვალეა (თავიდან აკი მწვანეთვალეებიანად გაგვაცნო?! ჯ. მ.) ლამაზი ბიჭის ცხელი ტუჩები მის შიშველ მხრებზე ჭიამაიებივით დაცოცავდა (უნდა იყოს დაცოცავდნენ. ჯ. მ.).

— გარეთ გავიდეთ, — პაპუნამ ტასიკოს ილიებში ხელი შეუყო და ფეხზე წამოაყენა... დერეფანში ბნელოდა. ტასიკო ფანჯარასთან მივიდა. პაპუნა უჩინოდან (უნდა იყოს უკანდინან. ჯ. მ.) მიადგა. კისერში აკოცა. მერე ზურგზე სუსტი ზიძგი იგრძნო. გული აჩქარებულ ტაქტში აუფართხალდა. მისვდა, რასაც თხოვდა (უნდა იყოს სთხოვდა. ჯ. მ.) ყურთან მოჩურჩოლე რბილი ხმა. მორჩილად გადაისხარა და გაირინდა. წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია. თვითონაც უნდოდა. ფანჯრის რაფა აჭრიალდა (კედელში ყრულ ჩატარებული და კედელზევე მკვიდრად დაბჯენილი სარკმლის მთლიანი რაფა როგორ უნდა აჭრიალებულიყო?! ჯ. მ.)— აუდიტორიაში მიბრუნებულ ტასიკოს გული უსიამოდ შეეკუმშა. ზურგს უკან კარი გაუახუნდა. ვიღაც კი სირბილით დაეშვა კიბეზე— იატაკზე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), დაცლილ არყის ბოთლებთან ღინღლა გაშლართულიყო და უსტვენდა—“

ყოველივე ამას ტასიკო მერე მოურიდებლად მოუყვება თვოს.

„— აუდიტორიაში რომ შეებრუნდი, თავი მისკდებოდა. არყის ბრალი მე-გონა. კარი რომ გაუახუნდა, მომქვენა-მეთქი, გავიფიქრე. სიგარეტის მოსაწევად იატაკზე ჩავჯექი (იატაკი სავარძელი ან მისთ. ხომ არ არის, ჩამჯდარიყო?! უნდა იყოს დავჯექი. ჯ. მ.). ამასობაში პაპუნაც მოვა-მეთქი, მჯეროდა— ღინღლამ სანთებელა მესროლა. მერე ადგა და კარი შიგნიდან გასაღებით ჩაკეტა. მაშინ მივხვდი, რასაც აპირებდა. ხელი რომ მახლოს, ვიკივლებ-მეთქი. მაგრამ არ ვიცი, რა დამემართა. ზვიდან დამაჯდა და ბინძური ხელი ფეხებზე შემიყო. ფეხი გავიწინე ფეხსაცმელი გამძვრა— მეტი არაფერი მახსოვს. რომ (უნდა იყოს როცა. ჯ. მ.) გამოვფხიზლდი, ჩანთაში ფული აღარ მედო. სუნამოც ამოეღოთ. ხვდები? გამქურდეს კიდევ!— იმ ბნელ აუდიტორიაში მარტო ვიყავი. ბოთლებთან და სიგარეტის ნამწვავებთან ვიწექი— მითხარი, რატომ დამემართა ეს? რატომ?..

— ვენები როდის გადაიჭერი?

— გუშინ... სახლში— ღამით— თავის მოკვლა მინდოდა.

— მერე?

— მერე არაფერი— შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ. მითხარი, რატომ მომატყუა?

— იცი რა, შენი პრობლემა (ოპ, ეს გაცვეთილი პრობლემა! ჯ. მ.) ის არის, რომ ძალიან ადრე დაგემართა ეს. ყველა ქალი გადის ამ ეტაპს. უბრალოდ, შენ ეს ყველაფერი ერთ საღამოს, ერთ აუდიტორიაში შეგემთხვა. ეგ არის და ეგ! მეტი არაფერი! დაგავიწყდება.

– არ დამაიწყდება!

– უნდა დაიფიქრო. ვითომ არაფერი მომხდარა. ეცადე, აპატო. ჯერ პატარა ხარ და კიდევ ბევრი რამე გელის – წარმოიდგინე – შენი ერთი საღამო ყველა ქალის მთელ ცხოვრებაზე ნაწილდება (?! ჯ. მ.). შენ კი რამდენიმე საათში მიიღე გამოცდილება, რასაც ტკივილს და დაღატაკს არქმევენ. ერთი შემთხვევის წყალობით უცებ გაიზარდე. დაიფიქვე. დამიჯერე, ტასიკო, აწი შენ ველარ მოგატყუებენ“.

როგორც ხედავთ, თითებიდან ჰაიჰარად გამონოვილი და ამდენად, ელემენტარულ მხატვრულობას მოკლებული ტასიკოს სექსუალური თავგადასავალი და მერე თეოს ეს „ბრძნული“ შეფასება-დარიგება ყოველგვარ დამაჯერებლობას უქარგავს მოთხრობაში აღწერილ ამბებს, თუმცა აქ რაიმე ისეთი განსაკუთრებული და დაუჯერებელი არაფერი ხდება, მკითხველს რომ ეჭვი შესვლოდა – აბა, როგორ შეიძლებოდა, მსგავსი რამ მომხდარიყო! მაგრამ რას ვიზამთ, ასეთია მხატვრული ლიტერატურის ბუნება, კანონი თუ კაპრიზი – ნაწარმოები ავტორის ნიჭით თუ არ არის ნაპკური, მაშინ ყოველად ჩვეულებრივზე უფრო ჩვეულებრივი ცხოვრებისეული წვრილმანებიც კი მკითხველს დაუჯერებლად ეჩვენება!!! ღმერთმა ნუ ქნას და ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ წერა-კითხვის მცოდნე ნებისმიერი ადამიანიც გახდებოდა მწერალი, თუკი ამას მოიპრიანებდა!!!

მოკლედ, ტასიკოს თავგადასავალი და მასთან კვირაში სამჯერ თითოსათიანი ურთიერთობა ცოტა უცნაურ გავლენას მოახდენს თეოზე: ერთხელაც უცებ წამოაგონდება, რომ ოდესღაც, გათხოვებამდე... სხვა კაცსაც უყვარდა!

„სხვა კაცი თეოს წარსულიდან არც ისე შორს იყო, აქვე, თითქმის მის გვერდით ცხოვრობდა. ჩემად. როგორ გამომეპარაო, შეწუხდა (?! ჯ. მ.). სხვა კაცი არც ეთქმოდა. უცხო ნამდვილად არ იყო. ამ დალოცვილს ენიშნებინა მაინც, იქვე რომ იყო. არა, ხელსაც კი არ ატოკებდა, პირიქით, ყულგამოჭრილი მოზერით ფეხებს ასავსავებდა თეოზე გაბრაზებული თუ გულნატკენი. ამას თეო ხელფასის რიგში მდგარი სხვა კაცის თვალეში ხედავდა, როცა რიგს უხმოდ უთმობდა. მზერას ძირს ხრიდა. წლების წინ, ვთხოვდებო, გამოუცხადა. პირადად მას კი არა, ოთახში შეკრებილ თანამშრომლებს. საშობაო ლიქიორს

წრუპავდნენ. სხვა კაცმა პირთან მიტანილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და სიგარეტის მოსაწევად დერეფანში გავიდა.

მამინ თეოს ეგონა, სიგარეტს მოსწევს და შემობრუნდებო, მაგრამ შავი, გაცვეთილი პალტო პატრონს სვალინდელ დილაძე ელოდა“.

აი, ასე! ალაღბედზე შეკონინებული ამ ციტატიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი თავისი პერსონაჟი ქალის ფსიქიკაში ჩახედვასა და გარკვევას, ან თუგინდ მისი სულიერი სამყაროს დამაჯერებელი მოდელის შექმნას კი არ ცდილობს, არამედ ალაღბედზე, დილეთანტური უდარდელ-უპასუხისმგებლობით პრიმიტიულად ბლანდავს ნაწარმოებს. ხოლო სიყვარულისადმი ასე დაუფიქრებლად ნამოყრანტალებული ეს აბსურდულ-შეუფერებელი ფრაზა „როგორ გამოიმეპარაო“ ხომ ყველაფერს ფარდას ხდის!

ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი ავტორს სრულიად საკმარისი ჰგონია, თავის პერსონაჟს გადამწყვეტი ნაბიჯი რომ გადაადგმევინოს. მაშ, ახლა თვითონ მწერალს მოუსმინეთ და თან მხედველობაში იქონიეთ — მოთხრობაც ამითვე მთავრდება.

„ხანდახან რა სწორად ვიქცევით, გაიფიქრა სადარბაზოდან გამოსულმა თეომ და მხარზე ჩამოცურებული ხელჩანთა შეისწორა. ნაბიჯი შეანელა. ცოტა ხნით ქუჩაში დგომა და ბავშვების ცქერა მოუნდა. თუმცა სად უცალა! ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში უნდა წასულიყო. წინ გრძელი გზა ედო. ტაქსი გააჩერა. უკანა სავარძელზე ფრთხილად დაჯდა, კაბა არ დამეჭმუჭნოსო.

სახლს ადვილად მიაგნო. კართან წამით შეისვენა. ყურებზე თმა გადაიწია. კაბაზე ხელისგულები ჩამოსვლა, ნაოჭები ჩაასწორა. სანამ ზარის ღილაკს თითს დააჭერდა, იქნებ აქამდე არც მიცხოვრიაო, გაიფიქრა.

— ახლავე, — კარის ვაღებამდე დამარცვლული სიტყვა გაშრიალდა და თეომ რაღაც სხვანაირი სიმსუბუქე იგრძნო.

— დილაობით ყავას ხომ მომიხარშავ ხოლმე? — ჰკითხა თეომ სხვა კაცს და დავიწროებულ გუგებში ჩახედა. ჩახედა ღრმად, ძალიან ღრმად, რადგან იქ, იმ დავიწროებულ გუგებში, აწი ბევრი რამის წაკითხვა უნდა ესწავლა. მერე კი პასუხსაც არ დალოდებია, სხვაგან არსად წამსვლელის მშვიდი იერით გადააბიჯა სხვა კაცის ბინის ზღურბლს“.

ესეც ასე! უკეთეს დასასრულს ვერც იწინასწარმეტყველებდით! თანაც რა დამატყვევებელი „მხატვრობაა!“ კიდევ კარ-

გი, იმ „სხვა კაცის“ სიყვარული თეოს სამუდამოდ კი არა, თურმე დროებით „გამოჰპარვოდა“, ხოლო როცა ტასიკოს წამხედურობით თუ ზეგავლენით ქალური გრძნობები აუჩუჩუნდა, უმალ გაიხსენა კიდეც, თორემ ეს ნაქმრევი ქალი ამდენი ხნის შემდეგ პირის უკითხავად, ასე უცერემონიოდ ხომ ვერ დაუსკუპდებოდა ცოლად!!!

მოკლედ, აქ გველაპარაკება არა ქალი-მწერალი, ან თუგინდ ქალი-დებიუტანტი, არამედ მწერლობიდან სრულიად შორს მდგომი, პრიმიტიულ-მდედრულ ინსტინქტსა და განცდებში ჩაფლული და რალაცით საბედისწეროდ იმედმიცემული ქალი, რომელსაც თავგასართობად რალაც საოცნებო იდეა თუ გეგმა აუკვიატებია და მას მთელი თავდავინყებით ეკეკლუცება, შესტრფის, ესიამოვნება!

თავიდან ბოლომდე თვითმიზნურ, ელემენტარულ მხატვრულ-დამაჯერებლობას მოკლებულ ციტატას პირდაპირ შუბლზე აწერიან: ყოველივე ამას ავტორი იმიტომ კი არ მოგვითხრობს, რომ თვითონ მაინც მართლა ასე სწამს, არამედ, როგორც მანდილოსანს, ასე სურს, ასე უნდა, რომ იყოს! ხოლო თუ მანდილოსანმა რალაც აიჟინა, მერე მორჩა: მას ცხრაუღელა ხარ-კამეჩიც ველარ აჯობებს – ის თავისას მაინც იტყვის ან იზამს!!! მაგრამ ეს არაფერი – მსგავსი ნაკლი ხშირი მოვლენაა მხატვრულ ლიტერატურაში. ადამიანის შემადრწუნებელი აქ სხვა რამეა!

ცამონმენდილზე მეხის დაქუხებასავით აღიქმება ავტორის მიერ მოულოდნელად ქ-ნ თეოს ამგვარი დახასიათება.

„ამას წინათ სავესებით მშვიდად უყურა საგანგებო რეპორტაჟს ბინძური ტუალეტურიდან. ნერვიც არ შეტოკებია (უნდა იყოს შესტოკებია. ჯ. მ.) აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში დედისაგან ჩატოვებული და მერე ვილაც არამკითხე მეტიჩარას (არამკითხე და მეტიჩარა ხომ ერთი და იგივეა! ჯ. მ.) მიერ ამოყვანილი აჩხავლებული ახალშობილის ვარდისფერი სხეულის დანახვისას. თხუნელასავით კანგადაკრული თვალები (?! ჯ. მ.) და წითელი ქუთუთოები ჰქონდა. სიცოცხლის უფლება ყველა ბავშვს აქესო, იჭაჭებოდა თეთრხალათიანი...“

ნაიკითხავთ ამ ზღვარდაუდებელი, გამომწვევი სადიზმითა და პათოლოგიური კაცთმოძულეობის უტიფრული პროპაგან-

დით დატენილ აბზაცს და შეძრწუნება იმდენად უსაზომოა, რომ გენოციდის იდეოლოგიები, ორგანიზატორები და უშუალო შემსრულებელი ფაშისტი დამნაშავენიც კი შეიძლება უცებ უფრო ადამიანურად მოგეჩვენოთ, რამეთუ სისხლიანი ბატალიებისა და მასობრივი დახვრეტა-კრემაციის ცქერისას თურმე გული მისდით ადოლფ ჰიტლერს, ჰაინრიხ ჰიმლერს და მესამე რაიხის სხვა მაღალჩინოსნებს! ამ მოთხრობის პერსონაჟი, ქართველი მანდილოსანი კი ცოდვილი დედისგან სასიკვდილოდ გამეტებული უმწეო, სრულიად უდანაშაულო და უცოდველი ჩვილისადმი არამცთუ იოტისოდენა თანაგრძნობა-სიბრაღურს არ იმეტებს, არამედ ყელსაც კი იღერებს მისდამი ჯიბრიანი გულქვაობით და წარბშეუხრელობით!!! კი მაგრამ, რატომ, რა მიზეზით? ისეთი რა დაუშავა ამ უმწეო ჩვილმა?! ეს კიდევ არაფერი! მთავარი პერსონაჟი აშალარული თავანყვეტილობით საერთოდ აბუჩად იგდებს, ცინიკურად დასცინის მთელ იმ ჰუმანურ ღირებულებებს, რაც კი კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე დიდი ტანჯვა-წამების ფასად დაუმკვიდრებია: სასიკვდილო საფრთხეში ჩავარდნილი მოყვასის – ადამიანებო, თანაც უმწეო ჩვილის! – გადამრჩენ ღვთის შვილს „არამკითხე მეტიჩარას“ უწოდებს!!!

189

მაშ, ქ-ნ თეოს აზრით, აბა, როგორ უნდა მოქცეულიყო ის „არამკითხე მეტიჩარა“?! როგორ და, გვერდზე გულგრილად ჩაევილო, უმწეო ჩვილი კი „აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში“ ჩახრუკულიყო!!! რა არის ეს ყოველივე?!

სადიზმის პროპაგანდით აღტკინებული, აყალყული ჩხრიალა გველივით გამძვინვარებული მთავარი პერსონაჟი ამასაც არა სჯერდება და უფრო შორს მიდის! „აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში დედისაგან ჩატოვებული“ განწირული ჩვილების რიცხვი გეომეტრიული პროგრესით რომ გაზარდოს, ამის გამბედავ ცოდვილებს ეს ჩვეულებრივ პროფესიად უქციოს, ხოლო უმნიკვლო ქალიშვილები ავხორცული ინსტინქტების გაღვიძებით მსგავსი ბოროტების ჩასადენად წააქეზ-ნაიცდინოს, დასასრულ, ყველა მათგანის ამ საზარელ დანაშაულებრივ ქმედებას „გამართლება“ მოუნახოს და მტკიცე „მორალური“ საფუძველი შეუქმნას, აგერ, ახლა რას გაიძახის.

„ბავშვი მისია და უნდა ვედროში ჩააგდებს და ცეცხლს წაუკიდებს და, თუ მოუნდება, ცოტას დააცდის, წამოიზარდოს, რომ (უნდა იყოს რათა. ვ. მ.) თავი კვლელზე არტყევიწინოს, ტვინი გაასხმევიწინოს და უარყოფითი ენერჯისაგან, დეპრესიისგან გათავისუფლდეს“.

ჩვენი საზოგადოება უკვე რამდენჯერ შეაძრწუნა სანაგვეებზე ნაპოვნი უპატრონო ჩვილის უბედურებამ და სევდიანმა ისტორიამ!

ვინ იცის, ამის გამო რამდენ მოქალაქეს დასჩემდა აკვიატება: სანაგვეზე ან სადმე ბნელ კუნჭულში ვირთავვამაც რომ გაიფაჩუნოს, სასიკვდილოდ მიგდებული ჩვილი ჰგონიათ და სანამ არ გაერკვევიან, ვერ ისვენებენ!..

ქვეყანა თავზე გვექცევა, შობადობა კლებულობს, გენოფონდი გვეწრიტება, ერს ყოფნა-არყოფნის ჟამტიალი უდგას, შესანიშნავი სამაია-სამეული კი სადისტური ყელმოღერებით აღიზიანებს საზოგადოებას, ცინიკურად დასცინის ჩვილსაც, დედობასაც, სიცოცხლის უფლებასაც, მადლსაც!.. აღვირახსნილი დანაშაულისკენ უბიძგებენ მერყევ, ლატაკ, გამოუცდელ, უპატრონო თუ ეროტომანით შეპყრობილ მანდილოსნებს – „ბავშვი მისია და უნდა ვედროში ჩააგდებს და ცეცხლს წაუკიდებს და, თუ მოუნდება...“

ვინ იცის, ევა ლაღანიძის, თამარ მამაცაშვილისა და მანანა ჯანელიძის რჩევა-ნაქეზებით კიდევ რა შეიძლება მოუნდეთ ჩვილის გამწირავ დედებს!!!

ამ საზარელ აბზაცებს, ცხადია, საერთოდ გავუჩუმდებოდი, მხატვრული დამაჯერებლობა-აუცილებლობით რომ იყოს ჩანწული მოთხრობის იდეასა, მხატვრულ ფორმასა და სიუჟეტში, მთელი ეს დემონსტრაციული გულქვაობა და პლაკატური საღიზიმი ბუნებრივად რომ მომდინარეობდეს თვით მთავარი პერსონაჟის ნატურიდან. მაშინ მკითხველს ამ ზომამდე მისული ან მიყვანილი ქალისადმი დაეუფლებოდა სიბრალური-თანაგრძნობა და არა აღმფოთება, როგორც ახლა!

სამწუხაროდ და სავალალოდ, „აგიზგიზებულ ნავის ვედროში“ დასალუპავად ჩაგდებული ჩვილისადმი გამოჩენილი ეს შემადრწუნებელი სისასტიკე ეკუთვნის არა მართლა მთავარ პერსონაჟს, ქ-ნ თეოს, არამედ თვით... მოთხრობის ავტორს,

ეკა ღალანიძეს და მასთან ერთად კიდევ ორ სხვა მანდილოსანს – „ლიტერატურული პალიტრის“ მთავარ რედაქტორს, თამარ მამაცაშვილს და მის მოადგილეს, პროზის მეუფეს, მანანა ჯანელიძეს, რომლებმაც შეგნებულად თუ თავიანთი არაპროფესიული სიბეცით არამცთუ დაბეჭდეს ეს ყოველგვარ მხატვრობასა და ზნეობას მოკლებული, გრაფომანულ-მავნებლური ნაბოდვარი, არამედ თუგინდ იმის მდედრული ინსტინქტი და გულმონყალეობაც კი არ აღმოაჩნდათ, რომ ეს თვითმიზნურად ჩაკერებული სადისტური აბზაცები მაინც ამოეყარათ!

მე ამ სამი მანდილოსნის პირად ცხოვრებას არ ვიცნობ და არ ვიცი, მათ ჰყავთ თუ არა შვილები, შვილიშვილები; სურდათ, ანდა შეეძლოთ თუ არა შვილიერება, მაგრამ ეს კი ნათელია: ნარმოუდგენელია მათ სამეზობლოსა და ნაცნობ-ნათესაობაში ჟამ-ჟამად არვის ეყოლოს ხოლმე ბაია, რომელსაც „თხუნელასავით კანგადაკრული თვალები და წითელი ქუთუთოები“ ექნება! ჰოდა, მათ მაგიერ მე ვინვები სირცხვილითა და უხერხულობით: ამგვარი სადისტურ-პათოლოგიური პროპაგანდის შემდეგ რანაირად აპირებენ მილოცვას, რაღა პირით უნდა მიუახლოვდნენ და დახედონ ან შეეხონ ვისიმე უმანკო ჩვილს?! არ ვიცი, არ ვიცი!.. ღმერთო, შენ მოხედე ყველა გზაკვალარეულსა და გაბოროტებულს!..

191

ადვილი მოსალოდნელია, ახალბედა მკითხველებმა ან მწერლობაზე მეოცნებე ყმანვილებმა მეტად „ძნელი“ კითხვა შემომამაგებონ: კი მაგრამ, მე საიდან ვასკენი, რომ მოყვანილი აბზაცებიდან ნაშხეფ-ნაჟონი ცინიზმი და კაცთმოძულეობა მთავარ პერსონაჟს, ქ-ნ თეოს კი არა, სწორედ მოთხრობის ავტორს, ეკა ღალანიძეს ეკუთვნის? მაგაზე ადვილი მისახვედრი რა უნდა იყოს, ჩემო კარგებო! მოდი, თანამიმდევრულად მივყვეთ პერსონაჟის ავტორისეულ დახასიათებას და დასასრულს ფრჩხილები თავისთავად გაიხსნება – შეიძლებოდა თუ არა ქ-ნი თეო ყოფილიყო ჩვილის მიმართ მსგავსი ზიზლ-მძულვარების მატარებელი და მით უმეტეს, ასე უტიფრულად გადმომფრქვეველი!

„ვისთვისაც უნდა გეკითხათ, თეო მშვიდი, სანდომიანი, გაწონასწორებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანიაო, ამბობდნენ მასზე... იცოდა, რომ უბედური მაშინ ხარ, როცა ყველაფერს დიდ



მნიშვნელობას ანიჭებ. ასე რომ, არც ადამიანებზე ბრალდება და არც მოვლენებზე. სხვებივით არ ბუზღუნებდა. არც ფასების მომატება და არც ამინდის უკუღმართობა არისებდა. აღმოსავლეთის ვენახები რომ ისეტყვებოდა და დასავლეთის მთიან სოფლებს მეწყერი რეცხავდა, ესეც კიდა... არც სისხლიანი ფეიერვერკი აღლევებდა. ცხოვრობდა მშვიდად, ღიმილით... ასეთი იყო თუო და არც გაკვირვებია, როცა საკუთარ საწოლში მობუქნავე ქმარსა და მის პარტნიორს წაადგა თავზე. კარი მაინც ჩაგეკეტათო, ისე, უბრალოდ, აუღელვებლად თქვა... სექსის მოყვარული არ გახლდათ... ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდა, წყნარად... თმა მოკლედ აიჭრა, ყვითლად შეიღება, ერთი-ორი ახალი კაბაც იყიდა. ასე იქცევიან ქალები გაყრის შემდეგო, ჟურნალში წაიკითხა და დამშვიდდა... ადრე საკვებში არსებული ნახშირწყლების, კალორიების რაოდენობას კალკულატორზე ითვლიდა. ახლა კი საკუთარი წონის რეგულაცია ფეხებზე დაიკიდა. ათასნაირ დიეტებზე გაფაციცებული ყურადღება მოადუნა, მოეშვა და თვითკმაყოფილი სრულ ნეტარებაში ჩაეფლო. პრესის ვარჯიშით კუნთებს აღარ იტკივებდა... ერთი-ორი კილოგრამი მოიმატა. მერე რა!.. საღამოს შვიდი საათის მერეც მაღიანად მიირთმევდა. ღიმილით, ნეტარებით. კაი ჭამის შემეცნებელი და დამფასებელი.

192

თუოს ერთ რამეზე სწყდებოდა გული – დილაობით, სამწუხაროდ, აღარა-ვინ უხარმავედა ყავას. სულ ეგ იყო. სხვა მხრივ კი რა ჰქონდა საჭირვეულო?! შეიძლება ითქვას, საუკეთესო მეგობრებიც ჰყავდა და მაღალანაზღაურებადი სამუშაოც არ ელეოდა... წელში გამართული იჯდა კომპიუტერთან და ინტერნეტიდან ამოკრეფილ მასალებს საჭიროებისამებრ ანაწილებდა სასწავლო პროგრამაში“.

ახლა ყველა ოფიციალურმა და მოხალისე ოპონენტმა პირუთვნელად განსაჯოს: აი, ამნაირად დახასიათებული, მით უმეტეს, ჯანსაღი ფსიქიკის მანდილოსანი შეიძლება ამავე დროს ყოფილიყო ჩვილ ბავშვთა ისეთი სადისტური მოძულეც, როგორადაც სრულიად მოულოდნელად და დაუსაბუთებლად წარმოგვიდგინა მწერალმა?!

გრაფომანი ავტორი სრულებით ვერ ახდენს თავისივე ფრაზა-შტრიხების კოორდინირებას და არაფერს არ უკვირდება: თუოს ხომ ბავშვები უყვარს! გაიხსენეთ წელანდელი ერთ-ერთი აბზაცი, როცა გადანყვეტილებამიღებული თეო „სხვა კაცთან“ მიდის, რათა ცოლად დაუჯდეს.

„ნაბიჯი შეანელა. ცოტა ხნით ქუჩაში დგომა და ბავშვების ცქერა მოუნდა“.

საჭიროა კომენტარი? ეს კიდევ ცოტაა! „აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში ჩატოვებულნი“ უმნეო ჩვილის დანახვაზე წარბი არ შეუტოკდება კი არა, თეო ერთგან ისეთ გულმონყალეებასა და მიმტვევებლობას იჩენს, ორთოდოქს ქრისტიანსაც კი აჭარბებს. გაიხსენეთ ციტატის ის ადგილი, როცა პაპუნას მიერ სულში ჩაფურთხებულ ტასიკოს თეო ქურუმისებური დიდსულოვნებით მოძღვრავს.

„ვითომ არაფერი მომხდარა. ეცადე, აპატიო“.

არადა, ხომ გახსოვთ, რაც ჩაიდინა პაპუნამ? თავის პატარა ბანდასთან ერთად ეს აცუნდრუკებული ტასიკო ინსტიტუტის ერთ-ერთ აუდიტორიაში აიტყუა, არყით გამოობრუყა, ნარკოტიკით გააბრუა, მერე ბნელ დერეფანში სარკმლის რაფაზე წაკუზა და ნამუსი ახადა, ბოლოს კი ხელჩანთიდან ფული და ფრანგული სუნამო ამოართვა და აეთესა, ხოლო დარეტიანებულ-დამცი-რებული გოგონა თავის ერთ-ერთ ძმაკაცს შეატოვა ხელში და გააუპატიურებინა!!!

193

ქ-ნი თეო ტასიკოს აი, რამდენი დამცირების დავინწყებისა და მიტვევებისკენ მოუნოდებს! ღმერთო მაღალო, რა სანიმუშო სულმაღლობა და კაცთმოყვარეობაა თეოს მხრიდან! და თუკი ვილაც გარენარ პაპუნას, თეოს რწმენით, ამდენი ბოროტი დანაშაული უნდა ეპატიოს, მაშინ „აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში დედისაგან“ ჩატოვებულ უმნეო ჩვილს რალატომ გესლავს სამეფო კობრასავით?! რას ერჩის იმ საცოდავ ბაიას, რომლის ერთადერთი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ამქვეყნად მოავლინეს და როგორც ავტორი გაიძახის სადისტურ-ცინიკური ტკობა-ნეტარებით, „სიცოცხლის უფლება ყველა ბავშვს აქვსო, იჭაჭებოდა თეთრხალათიანი“. გასაკვირია, აქ ასე უცებ რატომ ქრება თეოს წელანდელი ღვთაებრივი გულმონყალეება, თუკი ეს მართლაც მისი ბუნებრივი თვისებაა და არა შატაბუტა ავტორის მიერ რომელიღაც პასაჟში იაფფასიანი ეფექტის მოსახდენად თვითმიზნურად გარედან მიმაგრებული პლასტმასის ბრჭყვიალა სამკაული?!

რა ვქნა, თქვენი ჭირიმი, რაც გნებავთ, ის მიბრძანეთ, მაგრამ საერთო დახასიათების მიხედვით ეს ქ-ნი თეო არ არის და არც შეიძლება იყოს იმისთანა ნარბშეუხრელი სადისტი, როგორც ამას ავტორი გვიხატავს უმწეო ჩვილის მიმართ! ხოლო თუ სრული სიმართლე გწყურიათ, მაშინ პირდაპირ განვაცხადებ: ეს თეო არც სადისტია, არც ბოროტი, არც კეთილი, არც სათნო, არც...

„ბიჭოს! - აღმოხდება და ახლა კი სულ გახეტდება გამოუცდელი მკითხველი, - მაშ, ვინ არის?“ ვინ არის და ლაგამ-მიშვებულ გრაფომან-ეპიგონების მიერ თანამედროვე ქართულ პროზაში ნახირივით შემორეკილი სქემატური, უსისხლო თითებიდან გამონოვლი პერსონაჟების ერთ-ერთი ტიპიური ნარმომადგენელი! მოთხრობის ავტორი აქ ნება-უნებურად ემსგავსება სულწასულ მოსწავლე გოგონას, რომელსაც პლაჟზე საბანაოკსტუმიანი თანატოლი დაუხატავს და თავმომწონედ გვიჩვენებს - „აი, ზანგი ბიჭუნა!“ კი მაგრამ, ეს რანაირი ზანგია, როცა მარჯვენა მკლავი თერთი აქვს, მარცხენა - ყვითელი, ცალი ფეხი კი წითელი! დამწყებმა მხატვარმა, ან თუგინდ სრულიად მოხალისე დილეტანტმა, ხატვისას შეიძლება ვერ დაიცვას ბიჭუნას ფიგურისა და კიდურების ანატომიური ან მხატვრულ-აბსტრაქტული პროპორციულობა, მაგრამ თუკი მართლა მობანავე ზანგი ბიჭუნას დახატვა სურს, მაშინ იმდენი ხომ უნდა ესმოდეს და შეძლოს, რომ მთელი მისი აგებულება შავად მაინც მითხუპნ-მოთხუპნოს?!

ხშირად ზუსტად იგივე ხდება მიმდინარე ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაშიც. რომელიმე ავტორი დიდი ამბით შეუდგება ნანარმოების წერას და უნიჭობის, გამოუცდელობის თუ სულწასულობის გამო თავისი პერსონაჟ(ებ)ის შინაგანი პორტრეტის ძერწვისას მოულოდნელად ისეთ დაუჯერებელ და ურთიერთსაწინააღმდეგო შტრიხებს გამოატყვერენს ხოლმე, რომ ხელში შეგვრჩება არა თუგინდ სუსტი, მაგრამ მაინც თანაბარი, რამედ ღირებული და მით უმეტეს, ქართული სულისა და ხასიათის მატარებელი ცოცხალი ტიპაჟი, არამედ რალაც ფანტასტიკური საფრთხობელა, რომლის გარჩევა-შეფასება მერე

მკითხველსა თუ კრიტიკოსს სისხლს უშრობს ხოლმე, როგორც ამ შემთხვევაში.

მოკლედ, სრულიად დამშვიდებული სინდისით შემიძლია განვაცხადო, რომ „აგიზგიზებულ ნაგვის ვედროში დედისაგან ჩატოვებული და მერე ვილაც არამკითხე მეტიჩარას მიერ ამოყვანილი აჩხაველებული ახალშობილის“ მიმართ გადმოფრქვეული ის ამაზრზენი სადიზმი და სიძულვილი ეკუთვნის არა მართლა მთავარ პერსონაჟს, ქ-ნ თეოს, არამედ მოთხრობის ავტორს, ეკა ლალანიძეს და ასევე ყველა იმათ, ვინც ეს ლეთის საგმობი, კაცთმოძულებრივი ტექსტი ჯერ ლიტერატურულ ყურნალში დაბეჭდა, მერე კი 2005 წლის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობად გამოაცხადა!

მოთხრობის ავტორისადმი ამგვარი პირუთვნელი განაჩენის გამოტანა თავისთავად მავალდებულებს, პასუხი გავცე იმ კითხვასაც, მკითხველებს უეჭველად რომ დაებადებათ: სასიკვდილოდ განწირული უმანკო ჩვილისადმი გადმოხეთქილი ამგვარი დემონსტრაციული სადიზმი და მძულვარება თუ მართლა ავტორისეულია, რაში დასჭირდა მისი ასე გამომწვევად გადმოფრქვევა – ნუთუ არ ანალვლებდა თავისი მწერლური ან მანდილოსნური ღირსება?

195

მოთხრობის ავტორს, ეკა ლალანიძეს პირადად არ ვიცნობ, ცხოვრებაში თვალიც კი არ მომიკრავს. არც მის ასაკზე, ხასიათზე, ბიოგრაფიაზე, ბუნებაზე, მრწამსსა თუ სხვა ადამიანურ თვისებებზე მსმენია რამე და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ხოლო თუ მოთხრობის ღონის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩემი აზრი ასეთია: მან არ იცის, რა არის მოთხრობა, როგორ უნდა დაინეროს მოთხრობა და გრაფომანული სისინით ალტკინებულს, ამაზრზენი ამბებით მკითხველების თვითმიზნური შეძრწუნება მწერლობა ჰგონია.

\* \* \*

ახლა კი უნდა შევწყვიტო მოთხრობის ავტორის კრიტიკა, ვინაიდან რაც საჭირო იყო, ითქვა. ეგეც არ იყოს, მეც ერთი რიგითი პროზაიკოსი ვარ და, ბოლოს და ბოლოს, რა ჩვენი ბრა-

ლია, თუკი ღმერთს უკეთესის დანერის შნო და ნიჭი არ მოუ-  
მაღლებია ჩვენთვის – ნუ დაგვიბეჭდავდნენ და ეგ იქნებოდა!  
თუ არ გვივარგოდა ნაწარმოები, სად იყურებოდნენ რედაქციის  
მესვეურები?! აქ კი კრიტიკის კომპასის ლურჯი ისარი თავის-  
ით იხრება და ემიზნება ჟურნალის მთავარ რედაქტორსა და  
მის მოადგილეს – რატომ ბეჭდავენ ამისთანა... თუმც რა აზრი  
აქვს არამწერალ, შემოქმედებითი იდუმალებისაგან სრულიად  
შორს მდგარ, შემთხვევით თუ პროტექციით აღზევებულ ჩინო-  
სან ქალებთან წმინდა ლიტერატურულ ღირებულებებზე პირუთ-  
ვნელ მსჯელობას?! აქ აშკარად ვგრძნობ საკუთარ უიმედო მდ-  
გომარეობას და იძულებული ვხდები, როგორც წყალწალეხული  
ხავსს, მეც ისე ჩავეჭიდო ბელინსკის ცნობილ ფრაზას.

“Разве можно с слепыми рассуждать о цветах, а с глу-  
хими о музыке?”

კრებულში შეტანილი ნაწარმოებებიდან ყველაზე პატარა, ნუგზარ შატაიძის ორფურცლიანი მოთხრობაც „ტრეფიკინგი“ ჟურნალში „ლიტერატურული პალიტრა“ დაიბეჭდა.

„ტრეფიკინგი“ კარგი მოთხრობაა. იგი იმდენად კარგია, რომ ახალბედა ან კონსერვატორ მკითხველს შეიძლება სუსტიც კი მოეჩვენოს! მაგრამ ეს ასე არ არის.

მართალია, მოთხრობის სათაურად სულ ახლახან შემოსული უცხო სიტყვაა აღებული, მაგრამ აქ საკითხი ეხება საქართველოს ერთ-ერთ უძველეს სოციალურ სატიკვარს – ტყვეთა გატაცება-ვაჭრობას. ოღონდ მოთხრობაში არ არის ის ტრადიციული მუხანათურად ჩასაფრება, თვალდადგმული ცქვიტი ყმანვილის ნაბადში შეკვრა, სოფელელთა ნიოკი, მდევარი, ცხენთა ფლოქვების თქარათქური, თოფ-დამბაჩების ბათქიბუთქი, სახეჩამო-კოხილი, თმაგანენილი უბედური დედა!.. არა, მოთხრობაში მსგავსს ვერაფერს იპოვით! იქ ყველაფერი ხდება მშვიდად, წყნარად, კონვეირული თანმიმდევრობით და ლამის ბიუროკრატიული გულგრილობით! მაგრამ მწერლის ოსტატობას საგანი ისეთ მხატვრულ სიმალლეზე აჰყავს, რომ შეგზარავთ!

გალატაკებული, დამშეული ოჯახის წვრილშვილი მამა ცხრა წლის კრინტჩანყვეტილ, თავის სვეკრულობას წინასწარვე შეგუებულ ანგელოზივით გოგონას ღამით თავისი ფეხით მიჰკვრის ტყეში დაბუნაგებულ თურქს და ისე ევაჭრება, თითქო ღვიძლ შვილს კი არა, ზედადგარს ან სპილენძის ფეშხვიან ქვაბს ყიდდეს! თანაც ეს ტყვეებით მოვაჭრე მართლა თურქი ოსმანა როდია – თანამოძმეების გასაბრიყვებლად, ყასიდად შემოუხვევია ჩალმა, თორემ სინამდვილეში ქრისტიანია, ქართველი, ბეჟანა! და ეს კარგად იცის გაყიდული გოგონას მამამ, გიგილომაც!..

მოთხრობაში არაფერია ზედმეტი, საჭოჭმანო, ყალბი, გატყლარჭული... მკითხველის შეურაცხმყოფელი, გამაღიზიანებელი, მოთმინებიდან გამომყვანი. ნაწარმოების იდეა და მხატვრული

ფორმა ერთმანეთს უნაკლოდ ეხამება, მწერალი უშეცდომოდ გრძნობს, ერთიმეორეს როდის შეუნაცვლოს ავტორისეული თხრობა და დიალოგი. მოკლედ, „ტრეფიკინგი“ დასრულებული ოსტატის ხელიდან გამოსული ნაწარმოებია. თუმც არ ვიცი, ჩემზე უკეთესმა ლიტერატორმა შეიძლება რაიმე ნაკლიც აღმოუჩინოს, მაგრამ მოთხრობა იმდენად მშვენიერი მეჩვენება, რომ აქ უნებურად მაგონდება ფრანგის მიერ ალბიონზე ნათქვამი ფრაზა: „ინგლისში ცუდიც კი დიდებულა!“

ყოველივე ამის მიუხედავად, მოთხრობას მაინც გაჩნია ერთი საჩოთირო „ნაკლი“: ამ შემთხვევაში თავის ადგილას არ ზის! აქ იგი აღიქმება არა როგორც ღირსეული ღირსეულთა შორის, არამედ თითქო საპატიო მძევლის როლს ასრულებინებენ! სხვანაირად რომ ვთქვათ, გამომცემლობას ეს გამორჩეული მოთხრობა თავის პრეტენზიულ კრებულში მაინცდამაინც იმიტომ კი არ შეუტანია, ღირსეული ავტორის ან სამართლიანობის დარდი ჰქონდა, არამედ თავიანთი ტენდენციურ-სპეკულაციური შერჩევისთვის ობიექტურობის ელფერი რომ მიეცათ! ეს თუ მარალა ასე იყო, მაშინ გამომცემლობას კოვზი ნაცარში ჩავარდნია, რადგან ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „ტრეფიკინგი“ დანარჩენ მდარე-მდარე ტექსტებზე იმდენად მაღლა დგას ყველა მხატვრული პარამეტრით, მათ შორის სხვაობა იმდენად დიდია და აღმაშფოთებელი, რომ ეს უფრო ნათელს ჰფენს ამ შერჩევის ამკარად ტენდენციურ ხასიათს!!!

პაატა ბერიკაშვილის მოთხრობა „არ იპარო!“ დაიბეჭდა გაზეთში „ნიკნები“ (მთ. რედაქტორი მალხაზ ხარბედია).

როგორც ნებისმიერ შენობას, ისე ნებისმიერ პროზაულ ნაწარმოებსაც სჭირდება თავისი მკვიდრი საძირკველი. წინააღმდეგ შემთხვევაში რაზე გინდათ დააფუძნოთ მხატვრული ნაწარმოები-შენობა?!

პაატა ბერიკაშვილის ეს მოთხრობა კი წააგავს უცაბედად მთლიანად ჩამონგრეულ შენობას, სადაც ყველაფერი ერთმანეთშია ალუფხული, ხოლო ნიჩაბმომარჯვებული მკითხველი, ჩამონგრევის მიზეზის დადგენა რომ განუზრახავს, გამწარებით ეძებს საძირკველს! მაგრამ რას იპოვის ის სანყალი, როცა უთავბოლო მოთხრობა უსაძირკველად, თანაც ქვიშნარზე ყოფილა აშენებული!

ავტორი ჯერ ვერ ფლობს მოთხრობის აგების ელემენტარულ ხელოვნებას. მას არ ძალუძს მთავარი სათქმელის გამოყოფა და მისი მხატვრული ხაზგასმა. ამიტომ შედეგი სავალალოა: ჩაფიქრებულ მოთხრობასთან დაკავშირებით წარმოსახვაში რაც კი რამ წამოსტივტივებია, მიუყოლებია და პედანტური თანამიმდევრობით ჩაუნერია, როგორც ეს საბჭოთა რეჟიმისას პარტიული თუ პროფკავშირული კრების მდივანს ევალებოდა!

მწერალი სრულიად უხელოვნოდ, მოურიდებელი თვითმიზნურობით და ძილის მომგვერლი გაჭიანურებით მოგვითხრობს სადღაც სოფელში, ვილაცის ოჯახში შემთხვევით მიზღვავებული რაგინდარა სტუმრების რამდენიმედღიან მუცლაობასა და ღრეობა-ხორხოცს, მათ თავმომბებზრებელ რატრატს, ერთმანეთში ტლანქ არშიყობა-უხამსობას, უკბილო ხუმრობას, უწმანურ მინიშნებებს, ეზოს ქოფაკის ვრცელ ბიოგრაფიას... ცხვრის ქურდობას, ძაღლისგან ვილაცის დაკბილვას, მის საავადმყოფოში მოხვედრას... მაგრამ სულ უშედეგოდ – თავი ბოლოს არ ებმის, სახარებიდან ამოღებული სათაური შინაარსს ბუნებრივად არ ეხამება, არსაიდან მოჟონავს მხატვრულობის ნებო, რომ ეს ამბები და სცენები ერთმანეთს სისხლხორცეულად დააკავშიროს! სტილი მძიმეა და ბლაგვი. მოკლედ, მოთხრობა ვერ იძერწება, თემა



ვერ იკვეთება, იდეა და მხატვრული ფორმა ერთმანეთს ვერა და ვერ პოულობენ, ჯაბახანა კომპოზიციაც კი არ ილანდება! ის კი არა, ეტყობა, ავტორმა არც იცის, რა არის კომპოზიცია და მას რა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოებისთვის, თორემ რომ სცოდნოდა, მაშინ ამგვარ უთავბოლო ტექსტს რა მიატანიხებდა რედაქციაში?! ყველა ეს ნაკლი იმდენად დამთრგუნველია, რომ ბასრი კრიტიკული პაექრობის ერთ-ერთი ტრადიციული იარაღის, ცოცხალი ციტატების მოყვანასაც კი აზრი ეკარგება – მხოლოდ მოთხრობის თავიდან ბოლომდე ნაკითხვა შეგიქმნით სრულ სურათს! ყოველივე აქედან გამომდინარე, შედეგი სავალალო, თუმც სრულიად ბუნებრივია – განბილებული მკითხველის გულსა და გემოვნებას არაფერი ეკარება, ვერაფერი აღელვებს! უფრო მეტიც! ამ ჩვიდმეტგვერდიანი გრაფომანული ბარდნარიდან თავდაღწეულ მკითხველს მგლის ხაფანგში მოხვედრილი, მერე კი თათგადაღრღნილი და სამშვიდობოს ხანხალ-ხანხალით გასული დასახიჩრებული ნადირის გეშ-აღლო უჩნდება: არ შეიძლება ასე ბრმად მიენდო მჭადივით სახელდახელოდ შეხანხლულ ყდაკრიალა ლიტერატურულ ჟურნალებსა და აღმანახებს, თვალმახარ წიგნებს, შემთხვევით აღზევებულ რედაქტორებს, წრეობრივი პათეტიკით ხოტბაშესხმულ ავტორებს, ლიტერატურულ კაფე-სარდაფებში მოჭიკჭიკე მოსყიდულ აგიტატორებს, უკადრისი მოსაზრებით გამართულ წარამარა ლიტერატურულ კონკურსებს, ერთმანეთის გასატანად დაკომპლექტებული ჟიურის გადანყვეტილებებს და ყველა ნაწარმოებს მთელი გატაცებით ჩაუჯდე, თავი გაასულელებინო, დრო დააკარგვინო, მხატვრული გემოვნება აამღვრევიანო – მეტი წინდახედულება და სიფრთხილეა საჭირო!!!

არ ვიცი, გაზეთის „წიგნებში“ მთავარი რედაქტორის ლიტერატურული გემოვნება შემდეგში რა გზით და როგორ წარიმართება, მაგრამ თუ მხოლოდ ამ მოთხრობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მან საკუთარ თავს მკაცრი, თუმც ვაჟკაცური განაჩენი გამოუტანა – რედაქტორობა არ არის მისი საქმე!

არავინ იფიქროს, საკუთარ შეფასებას უკანასკნელ ჭეშმარიტებად მივიჩნევდე – ღმერთმა დამიფაროს! ჩემი დასკვნების გასაბათილებლად ოპონენტები თუკი ამ მოთხრობის საჯაროდ ნაკითხვა-განხილვას მოისურვებენ, მეც სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას.

ასევე გაზეთში „ნიგნები“ დაიბეჭდა ზაალ სამადაშვილის ორფურცელნახევრიანი მოთხრობაც „სანდრო კანდელაკის ჩექმები“. არ დავმაღლავ: ამ თავისთავად კარგმა მოთხრობამ გული დამწყვიტა, რადგან ის გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ავტორს ცოტა მეტი – ალარ ვიცი, აქ რომელი სიტყვა უფრო ზედგამოჭრილი იქნებოდა – ნიჭი, ოსტატობა თუ ფანტაზია რომ გამოეჩინა.

ნანარმოების მოკლე შინაარსი ასეთია. თავწვერა ძმებისაგან შევიწროებული ერთი ქართველი გლეხკაცი XX საუკუნის ათიანი წლების მიწურულს ქვემო ქართლის პატარა სოფლიდან აყრილა, თბილისისაკენ გამოუწვევია და ნაძალადევაში დასახლკარებულა. პირველი ვაჟი 1920 წელს შესძენია, ტყუპი ქალ-ვაჟი – 1925 წელს. პოდა, ბავშვობისდროინდელ ერთ-ერთ ამბავს ეს ტყუპისცალი ბიჭუნა მერე თურმე ხშირად უყვებოდა თავის შვილსა და შვილიშვილს.

201

ამ პატიოსანი დურგლის ოჯახი ხშირსტუმრიანი ყოფილა. სიყრმის მეგობარს ერთი ისეთი სახელგაყარდნილი კაციც სტუმრობს ხოლმე, მკითხველებს ბევრიც რომ გვემისნა, ალბათ, მაინც ვერ მივხვდებოდით: თვით „ქართველ გოლიათად“ ნოდებული სანდრო კანდელაკი!!!

დუნიაზე განთქმულ ფალავანს მეგობრის ბავშვები, და განსაკუთრებით ეს ტყუპისცალი ბიჭუნა, მომავალი მთხრობელი, მეტისმეტად მოუხიბლავს. მაგრამ არ იკითხავთ, რით?

ერთ ჟღმურტლიან დღეს სანდრო კანდელაკი კიდევ სწვევია მეგობრის ოჯახს. თავის ჩვეულებისამებრ, ჩექმები გაუხდია, გარეთ დაუტოვებია და შინ წინდების ამარა შესულა ხელდამშვენებული სტუმარი: ღვინით სავსე ხელკასრი, ხორცი, კანფეტები...

ყველანი ერთად გემოზე რომ ისადილებენ, სუფრას შემორჩენილი სიყრმის მეგობრები ბახუსთან მუსაიფს განაგრძობენ,

ბავშვებს კი მობეზრდებათ მოგუზგუზე ლუმელთან ყურყუტი და გადანყვეტენ, დამალობანა ითამაშონ. გაითვლებიან და

„დახუჭვა დაიკოს ვარგუნეთ. უჩუმრად, კარის გაუჭირალებლად გავედით გარეთ. ჩემმა ძმამ წელში მოსრილმა გადაირბინა ეზო (სინტაქსს დააკვირდით! ჯ. მ.) და ონკანის ყორეს ამოეფარა. მე მივიხედ-მოვიხედე და მოულოდნელად ისეთი დასაძალი ადგილი აღმოვაჩინე, შენი მოწონებული. (აქ წერტილი კი არა, ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ. მ.)! ჩაძრომა და მოყურება კი გამიჭირდა, მაგრამ ეს აღმოჩნდა ისე მომეწონა, გაჭირვებას აღარ დავეძებდი. ვარაუდი, რომ ვერავინ მიპოვიდა, გამართლდა. ჩემმა გალეულმა და მართლა კნუტივით მობორიალე ტყუპისცალმა კი არა, სიყორალით გამორჩეულმა ძმამაც ვერ მიპოვა. რომ არ გამოვჩნდი, შეშინდნენ და დედას უთხრეს. გამოვიდა დედა, დაიარა მეზობლები, შეიხედა კიბისქვეშ (უნდა იყოს კიბის ქვეშ. ჯ. მ.), ჩაიხედა სარდაფებში და ვერ მიაგნო ჩემს კვალს.

კაცებს რომ მოუხმომო საშველად და ქუჩაში გასვლა დააპირა (კაცებს რაკი საშველად მოუხმომო, მაშინ უნდა იყოს დააპირეს და არა დააპირა. ჯ. მ.), ვიკადრე თავის ამოყოფა. თავი კი ამოვყავი, მაგრამ ტანის ამოზიდვა ვეღარ მოვახერხე და დავიწყე ტირილი. ჩემს (უნდა იყოს ჩემ. ჯ. მ.) დანახვაზე უფროსებს ჯერ თვალეები გაუდიდდათ და მერე სიცილი აუტყდათ. ყველაზე გულთანად დიდი კაცი იცინოდა – დახეთ ერთი, საღ ჩამძვრალა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ეს მამაძაღლიო!

მის ჩექმაში ვიჯექი, წითლად შეღებილი საწვიმარი მილის გვერდით რომ იდო. ჩექმის ყელი, საწვიმარ მილთან შედარებით, სამჯერ განიერი იქნებოდა“.

ახლა ნუ გამოვუდგებით იმის განსჯას, ბიჭუნა ჩექმაში როგორ ჩაეტეოდა და თან შიგ ჩაიმაღლებოდა კიდევ! ან ეს ჩექმა სანვიმრის მილთან შედარებით მართლა სამჯერ განიერი იქნებოდა თუ ვერა! მაგრამ რაკი ავტორი ასე ამბობს, ალბათ, მართლა იყო და ჩვენც უსიტყვოდ უნდა დავუჯეროთ. ხოლო თუ არ იყო და ცოტა გააზვიადა, არც ამით დაშავებულა რამე – მსგავსი ხერხი მხატვრულ ლიტერატურაში დასაშვებია.

მოკლედ, ავტორს ვერ დავუკარგავ მონადინებას: აქა-იქ გაპარული ლაფსუსების მიუხედავად, ეს სცენა ბუნებრივად, საინტერესოდ და დამაჯერებლად აქვს დახატული.

„მამ, გული რაღამ დაგწყვიტა?“ – დაინტერესდება მკითხველი.

თომას მანს თავის რომანში „ლოტე ვაიმარში“ გამოყვანილი ჰყავს ერთი ინგლისელი მხატვარი ქალი, მის კაზლი, რომელსაც სადღა არ უმოგზაურია და სხვადასხვა დროს ჩაუხატავს არკოლეს ხიდი, ათენის აკროპოლისი, კანტის სახლი, ნაპოლეონი, ველინგტონი, მეტერნიხი, ტალეირანი... ახლა კი, ვაიმარის ერთ-ერთ სასტუმროში მყოფი რომ შეიტყობს, იმავე სართულზე დაბინავდაო ხანშიშესული მანდილოსანი – კარის მრჩეველის ქვრივი, ქალბატონი შარლოტე ფონ კესტნერი, ქალიშვილობაში ბუფი, პირდაპირ თავს დაესხმება და გასაქანს აღარ მისცემს, სანამ მის პორტრეტს არ ჩაიხატავს!

კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ეს ქალბატონი?! როგორ თუ რატომ – ახალგაზრდობაში თურმე ჭაბუკ გოეთეს გატაცება და მის შედეგში „ვერთერის ვნებანი“ გამოყვანილი ლოტეს პროტოტიპი ყოფილა!!!

მეტი სენსაციალა გინდათ?!

და აი, აქ თომას მანი როგორ ახასიათებს მხატვარს.

„მოგზაურობდა და თან სატავდა, ამასთან მიზანსა და საშუალებაში ადვილად ვერ ერკვეოდა. ჩანს, იმდენად ნიჭიერიც ვერ ბრძანდებოდა, რომ საგნის სენსაციურ მნიშვნელობას შელეოდა“.

203

ო, რა გენიალური ფრაზაა შემოქმედის გასაგონად – საგნის სენსაციურ მნიშვნელობას შელეოდა! ეს ოთხად ოთხი სიტყვა ათასი ჯურის სპეციალისტების მიერ მწერლურ დაოსტატებაზე მთელი წლის განმავლობაში ნაკითხულ ლექციათა ციკლებს გადაიწონის!!! იგი პირდაპირ ოქროს მსხვილი ასოებით უნდა ჩამოისხას და რედაქციებისა და ლიტერატორთა სახლის დერეფნებში მიმაგრდეს, როგორც მარადიული შეხსენება და გაფრთხილება!

დიახ, ნამდვილი შემოქმედი ნათლად უნდა ერკვეოდეს მიზანსა და საშუალებაში, და რაც მთავარია, იმდენი ნიჭი და გემოვნება გააჩნდეს, რომ საგნის სენსაციურ მნიშვნელობას შეელიოს. ერთი დააკვირდით, თავისი ირონიის მიუხედავად, დიდი მწერალი თან მაინც როგორი სამართლიანია: იგი იმას კი არ ამბობს – ეს მხატვარი უნიჭო იყო. არა! ნიჭს კი უღიარებს, ოღონდ ამაზე ნუხს, რომ „იმდენად ნიჭიერიც ვერ ბრძანდებო-

დაო". მოკლედ, ამ ფრაზის ამოხსნა უკვე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს: შემოქმედი „იმდენად ნიჭიერი“ უნდა იყოს, რომ მთავარი და არსებითი იაფფასიან სენსაციას არ მიაჩქმალინოს.

ჩემი ნუხილის მიზეზიც ეს არის: თავისი სანიმუშო ეროვნული ნიშან-თვისებებითა და შინაგანი ღირსებებით უხვად დაჯილდოებულ, ლამის ქართული ხალხური ეპოსის გმირის სადარ სანდრო კანდელაკს მწერალმა ყმანვილების აღტაცების მომგვრელი და მისაბაძი რაიმე ადამიანურ-რაინდული ღირსება-თვისება ვერ აღმოუჩინა და მისი უზარმაზარი ჩექმის სენსაციურობას გამოეკიდა!

მერე რა, რომ სანდრო კანდელაკს მეტისმეტად დიდი ზომის ჩექმები სცმია?! აბა, ერთი მიმოვიხედოთ, ქვეყნად რამდენი ურგები დეკაკაცი ამძიმებს დედამინას, განცვიფრებაში რომ მოგიყვანთ მის ტერფი, ბარძაყი, კოსტუმი, თავი, პალტო, ცხვირი, ფაშვი, მაჯა, მხარბეჭი, ქუდი, გავა, სარტყელი, ყანყრატო, ცერები, მადა, კისერი, ხვრინვა, წონა, სასმლის ყლურწვა თუ ლუკმა, მაგრამ რად გინდათ: მუქთაყლაპია და ხელუყრელი, უმი და ლუყურტი! არც თავის თავს არგია, არც – სოფელ-ქვეყანას! აქ ცოცხლებს აკლია, იქ – მკვდრებს! ჰოდა, მოდგნენ ახლა და აღცატებაში მოვიდნენ ამნაირი უოფლო და უნალღლელი გვამის ვეებერთელა ფაჩურებით, ფართხუნა ხალათით თუ ცხენის ნესტოებით – ეს რა სანიმუშო მაგალითს მისცემს რაინდულ იდეალებზე თვალგულგაფაცვიცებულ ყმანვილებს?!

ცხადია, მწერლის შემოქმედებით თავისუფლებაში ჩარევის უფლება არავის აქვს და ჩვენს ატორსაც თავისუფლად შეეძლო თავის ამ მოთხრობაში იმ ვეებერთელა ჩექმა-სამალავის გათამაშებაც, მაგრამ დასანანი ის არის, რომ ამ ლეგენდარული ქართველი კაცის მართლაც ზღაპრად გაგონილმა ვერც ერთმა რომელიმე შინაგანმა თვისება-ღირსებამ ვერ გაიბრწყინა და ოფლისაგან აყროლებულ ტლანქ ჩექმას ებოძა გაბატონებული მდგომარეობა: ვეებერთელა ჩექმა გახდა სანდრო კანდელაკის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშან-თვისება, ბავშვების აღტაცებისა და გართობის საგანი, მოთხრობის მთავარი თემა, მოთხრობის სათაური!

ავტორმა ესეც არ იკმარა და ამას წინათ გამოცემული თავისი მოთხრობების მორიგი ნიგნიც იგივე სენსაციური ჩექმით „შეამკო“ – „სანდრო კანდელაკის ჩექმა“. ფერადი ნიგნის მთელი ყდიდანაც ვეებერთელა, ტლანქი, სენსაციური ჩექმა გადმოგვცქერის, ჩექმა, ჩვენი უბედური ერის ცნობიერებაში ამავე დროს ორასწლოვან ბარბაროსულ კოლონიურ ჩაგვრასთან რომ ასოცირდება.

მოკლედ, მხატვრულ ნაწარმოებში მკითხველს პირველ რიგში აინტერესებს პერსონაჟის შინაგანი სამყარო და თვისებები, მისი ეროვნული ხასიათი, ღირსებები და ნაკლოვანებები და არა ამ პერსონაჟის ჩექმები, კაბა, ახალუხი, სამკაული, თოფის ფირმა თუ მანქანის მარკა...

\* \* \*

ამ პანია მოთხრობამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ჩვენს რედაქციებსა და გამომცემლობებში მეტისმეტად მოიკოჭლებს ნაწარმოებების რედაქტირება. ოღონდ ცოტა ძნელი სათქმელია, რა არის ამის მთავარი მიზეზი: უპასუხისმგებლობა თუ უვიცობა.

205

მოთხრობის მიხედვით, ოჯახისთავი და სანდრო კანდელაკი სიყრმის მეგობრები არიან. ერთად უვლიათ საქონელში და თერთმეტიოდე წლის ბიჭუკელებსაც ერთად უცდიათ ხამი ულაყის დაურვება.

ცნობილია, რომ სანდრო კანდელაკი დაიბადა მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისში, ყმანვილობისას იქვე მოჯამაგირეობდა, მერე კი მდინარე ქსანზე მებორნედ მუშაობდა. მოხრობელი კი დასაწყისშივე გვეუბნება: მამაჩემი ძმებს წაეჩხუბა, ქვემო ქართლის ერთი პატარა სოფლიდან თბილისისკენ გამოსწია და ჩვენმა ოჯახმა ნაძალადევში დაიდო ბინაო.

აქედან: მოთხრობაში ნახსენები ოჯახისთავი და სანდრო კანდელაკი ვერანაირად ვერ იქნებოდნენ სიყრმის მეგობრები და მწერალი, უბრალოდ, „გვატყუებს“, ანდა მართლა იყვნენ, მაგრამ ავტორსაცა და მოთხრობის შემფასებლებსაც მცხეთის რაიონი თვითნებურად ქვემო ქართლის ფარგლებში გადააქვთ! არადა,

ქვემო ქართლს მიეკუთვნება მხოლოდ ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, გარდაბნისა და მარნეულის რაიონები.

ოჯახისთავი და სანდრო კანდელაკი

„თერთმეტ-თორმეტი წლისანი ყოფილან, თეთრი ულაცისთვის დაუდგამთ თვალი. მამაჩემი წინიდან მისულა, დიდი კაცი – უკნიდან, კული დაუჭერია. კულის დაჭერა ეგრე არ უნდაო, უყრია ცხენს ტლინკები“.

ჯერ ერთი, უნდა იყოს უკანიდან – ამ სიტყვაში პირველი „ა“ არც იკუმშება, არც იკვეცება. მეორეც, ავტორს რაღაც ფანტასტიკური ცხენი გამოსდის – ცხენი ძროხაა, ლომი, მელა, ძაღლი, ლორი თუ კატა, კული ჰქონდეს?! ცხენს აქვს ძუა და არა კული.

„ჩენი ბინა, რომელიც შეღებოდა ერთი უფანჯრო ოთახისაგან და ამ ოთახზე მიდგმული შუშაბანდისაგან, იყო მიწისპირის“.

ავტორს არ შეუძლია ნათლად წერა, ანდა ზოგ-ზოგივით ქრონიკული შიში სჭირს: თუ არ დავუღეჭე, ვაითუ ყყყერმა მკითხველებმა ვერაფერი გაიგონო. აბა, რას იძლევა აქ სრულად უსარგებლოდ ჩაჩხირული ეს „და ამ ოთახზე მოდგმული?“ თუკი შუშაბანდიანი ოთახი იყო, თავისთავადაც ცხადია, შუშაბანდიც ამავე ოთახზე იქნებოდა „მოდგმული“ – აბა, ნარიყალაზე, მამადავითზე, მეტეხსა თუ დარეჯან დედოფლის სასახლეზე ხომ არ იქნებოდა „მოდგმული?“

სრულიად თავგზა ამიბნია ციტატის ბოლო სიტყვამ „მინისპირის“.

ჯერ ერთი, არ არსებობს ასეთი სიტყვა „მინისპირი“. მეორეც, გაუგებარია, ავტორს რისი თქმა სურს: ეს ერთი უსარკმლო ოთახი იყო „მინისპირის?“ მაშინ გამოდის, რომ ის ოთახი კი არ ყოფილა, არამედ მინური ანუ მინაში გაკეთებული სადგომი! მაგრამ შუშაბანდი? რა არის შუშაბანდი? შემინული აივანი! არაფერი მესმის და ვის შეუძლია გამარკვიოს, როგორი უნდა ნარმოვიდგინო „მინისპირის“ შუშაბანდიანი უსარკმლო ოთახი და საერთოდ, აქ რა ფუნქცია აკისრია ამ ხელოვნურ სიტყვას „მინისპირის?“

ავტორს უნერია: კამოდები, წინდებისამარა, „ბაჩონკით“, კიბისქვეშ, დაუღია...

უნდა იყოს: კომოდები, წინდების ამარა, ხელკასრით, კიბის ქვეშ, დაუღვია...

დასასრულ, მწერალმა ერთი მომენტით კი ყველა ღირსეულ ქართველს გული მოფხანა. ეტყობა, საბჭოთა საქართველოს ოფიციალური „უფროსი“ ძმის შიშით თუ ხატრით ორი გოლიათის – ქართველისა და რუსის – შერკინების შედეგებს ჩქმალავდა.

„სანდრო კანდელაკი... რამდენჯერმე შეხვდა რუსეთის უძლიერეს მოჭიდავეს ი. პოდდუბნის. მათი შეხვედრები თითქმის ყოველთვის ფრედ მთავრდებოდა“. – ასე გვარნმუნებს ქართული ენციკლოპედია.

ზაალ სამადაშვილის ამ მოთხრობის პერსონაჟმა კი ბოლოს და ბოლოს, ფარდა ახადა სიმართლეს.

„ქალაქ ბაქოში მან (სანდრო კანდელაკმა. ჯ. მ.) დაამარცხა რუსების ყველა დროის ფალაფანი, უღვაშებაწყობილი გოლიათი ივან პოდდუბნი“.



ირმა ტაველიძის ტექსტიც „კონფლიქტის ზონა“ გაზეთმა „ნიგნები“ შემოგვეთავაზა. ამ ნაწარმოებს ტექსტს იმიტომ ვუნოდებ, რომ მკითხველი ერთგვარ გაუგებრობას აწყდება. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ დასტამბულ იმ კრებულს ჰქვია „2005 წლის 15 საუკეთესო ქართული მოთხრობა“, ირმა ტაველიძე კი ბოლო აბზაცში ერთგან პირდაპირ აცხადებს.

„ამ ნოველის ავტორმა არჩია, დაუმთავრებელი ტექსტი შეეთავაზებინა მკითხველისთვის“.

ეს ტექსტი, თანაც დაუმთავრებელი(!) თუ მართლა ნოველაა, მაშინ გამომცემლობა ერთმანეთისაგან ხომ უნდა ანსხვავებდეს მოთხრობასა და ნოველას?! მოთხრობა – მოთხრობაა, ნოველა – ნოველა! ან „დაუმთავრებელი ტექსტი“, როგორც თავად ავტორი აღიარებს, როგორ, რანაირად შეიძლება იყოს დასრულებული ნოველა და მით უმეტეს, წლის ერთ-ერთი საუკეთესო?! ანდა, რაღაც „დაუმთავრებელი ტექსტი“ რითი სჯობია ოსტატურად დამთავრებულ რომელიმე მხატვრული ჟანრის ნაწარმოებს?!

აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა დღეში ჩავარდება მხატვრული ლიტერატურა, კალმოსნებმა თავ-თავიანთ ქეიფზე ოსტატურად დასრულებული მოთხრობების, ნოველების, რომანების, პოემების, დრამების თუ კომედიების ნაცვლად რაღაც „დაუმთავრებელი ტექსტები“ რომ აცხონ და აცხონ მჭადივით!

მოკლედ, მე პირადად ამ „დაუმთავრებელ ტექსტს“ „კონფლიქტის ზონა“ თავ-ბოლო ვერ გავუგე და ამიტომ მასზე ვერც ვერაფერს ვიტყვი.

არავის ეგონოს, საქმეს ვაფუჩჩებდე. მკითხველისა და „დაუმთავრებელი ტექსტის“ ავტორის პიროვნული პატივისცემის ნიშნად მთლიანად მომყავს იგი – იქნებ სხვებმა გაუგონ რამე.

## კონფლიქტის ზონა

თავი პირველი, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა ის კითხვა, რომელიც ირაკლი ტ-მ საკუთარი მანქანის სარკეს დაუსვა (თანმიმდევრობა დაცულია).

რატომ გაუღიმა ცისფერმაისურიანმა ქალმა, სანამ პირზე ხელს ააფარებდნენ?

რატომ არ გამოიყენა დარჩენილი წამები კვილისთვის, რაც ამ სიტუაციაში ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა?

რატომ არ გაუწია მცირე წინააღმდეგობაც კი თავდამსხმელებს, რომლებიც, ერთი შესხედვით, შეიარაღებულები არ ჩანდნენ?

როგორ ვერ შენიშნეს გამტაცებლებმა იქვე, ორ ნაბიჯში, ასკილის ბუჩქს ამოფარებული შიშველი კაცი?

საერთოდ, საიდან გაჩნდა ეს ფოტოაპარატის ქალი?

რა დროს ჩამოვარდა ციდან?

რას აკეთებდა იმ მივარდნილ ადგილას, სადაც ერთ მენახირესაც ვერ ნახავ და ვერც მაწანწალა ძაღლებს?

თუ მდინარეში ბანაობას აპირებდა და უცნობი კაცის დანახვამ განზრახვაზე ხელი ააღებინა, რატომ მაშინვე არ გაბრუნდა?

სურათების გადაღებას მოასწრებდა?

წესიერი ქალი შიშველი უცნობის შემჩნევისთანავე იქიდან გაქრებოდა, მაგრამ ასეთი მსჯელობა საით მიდის – ეს უწყსო იყო?!

არც თავზეხელაღებულ ჟურნალისტს ჰგავდა და თანაც, მდინარეში თუ მდინარის ნაპირზე საინტერესო რომ არაფერი ხდებოდა?

როგორ მოხვდა მისი ჩანთა ასკილის ბუჩქთან?

როდის შეინახა სათვალე და ფოტოაპარატი, რომელიც კისერზე ეკიდა?

რა დააშავა, რის გამო ეძებდნენ?

იქნებ გამტაცებლები სულაც არ იცნობდნენ და, უბრალოდ, ვინმეს მძევლად აყვანა ჰქონდათ გადაწყვეტილი? თუ ასეა-

მინც რატომ არ იკივლა?

პირადობის მოწმობა და სხვა საბუთები ხომ ექნება ჩანთაში? იქნებ სიგარეტიც- იქნებ კარგი სიგარეტი-

თავი მეორე, რომელშიც დასახელებულია ყველა ის ნივთი, რომელიც ირაკლი ტ-მ უცნობი ქალის ჩანთაში იპოვა.

1 შავი ფერის კალამი.

2. ქალაქის ერთჯერადი ცხვირსახოცები, შვიდი ცალი – მარწყვის მძაფრი სუნით.

3. ორი პიგიენური პაკეტი (ცნობილი ფირმის, რომლის სარეკლამო რგოლის ნაწყვეტებს ხანდახან სიზმარში ხედავს ხოლმე).

4. ტყავის საფულე, რომელშიც მხოლოდ ოცი ლარი აღმოჩნდა. გარდა ამისა, აქვე დევს ვერცხლისფერი პაწაწინა ვარსკვლავი, რომელიც საყურის დეტალი უნდა იყოს.

5. უბის წიგნაკი, პირველ გვერდზე 2005 წლის იანვრით დათარიღებული ჩანაწერით.

6. რამდენიმე ქსეროასლი რუსული ტექსტით (ვიღაც მარინას წერილები ბორისისადმი).

7. გამჭვირვალე სითხით სავსე დეოდორანტი (რომლის რეკლამაშიც ყირაზე გადადის ის გოგო, აი, ის ზომ იცით...).

8. რომელიღაც წამლის ფლაკონი ფრანგული წარწერით (სავარაუდოდ, საძილე საშუალება). გაუხსნელი.

9. წიგნი – ორაასორმოცდაათგვერდიანი, თხელყდიანი, ინგლისურ ენაზე. გარკვეულად გამოსახულია ქალი, რომელსაც შავი ცრემლები ჩამოსდის.

10. მუქჩარჩოიანი სათვალე.

11. ციფრული ფოტოაპარატი, კარგ მდგომარეობაში.

12. რგოლზე აცემული გასაღები – ბინის, სტანდარტული. იმავე რგოლზე ჰკიდია მინიატურული სათამაშო კრავი.

13. ავტობუსის ბილეთი, თბილისი – გორი, ფასი 3 ლარი. გასვლის დროს 13. 00.

თავი მესამე, რომელშიც აღწერილია ყველა ის კადრი, რომელიც ცისფერმაისურიანი ქალის ციფრულმა ფოტოაპარატმა შემოინახა.

დასლზე დაყრდნობილ კაცს ხელში ნახევრად გაფუცქენილი ბანანი უჭირავს, ყურადღებით აკვირდება. მრგვალ სახეზე სისხარულის ღიმილი აფენია. იქვე ლურჯწინსაფრიანი გამყიდველი დგას და ყვავილოვან კომბოსტოს წონის.

ხანშიშესულ ქალს შავად შეღებილი თმიდან სარჭები მოოქანს, მომჭკნარ ტუჩებზე მყვირალა ალისფერი წაუსევამს. უკმაყოფილოა. გამყიდველი ბრიყველი იერით უყურებს, ცალ ხელს მოწითალო კარტოფილისკენ იშვერს.

დახლის სიახლოვეს პატარა ბიჭი დახრილა, რომლის ფეხებთანაც ყვავილივით გადაშლილი ბანანის ქერქი გდია.

სრულიად მოულოდნელად, შემდეგი კადრი ქალის მკერდს წარმოგვიდგენს. მას მუქი მწვანე პულოვერი აცვია, მსხვილი თვლებით ნაქსოვი, სადა.

ჩანთაწამოკიდებული ბიჭი მის ფეხებთან მოსეირნე მტრედებს დაჰყურებს, მარცხენა ხელში ფენოვანი ხაჭაპური უჭირავს. იჭყანება.

ეს შედარებით ბუნდოვანი კადრია, დაკვირვებას ითხოვს. ხილ-ბოსტნეულის დახლთან მდგარ უცნობს თვალეზზე ხელები აუფარებია. ირგულივ სრული სიბნელეა.

რომელიღაც ცნობისმოყვარე გამელელი ტროტუარზე დაგდებულ, ვაფლ-მოციცქნინილ, გამლღვალ ნაყინს ათვალიერებს. დამდნარი მასის სიახლოვეს კრაზანების გუნდი ირევა.

მხოლოდ თვალეზი, ალბათ, იმავე ქალის. უცნაური, უსახელო ფერი – ერთმანეთში გარდამავალი თაფლისფერის და ჭაობისფერის რამდენიმე ტონი.

დახლზე მომცრო გორაკებად წამომართული ხილი – მსხალი, ატამი, რამდენიმე ვიშის ვაშლი, შავი ქლიავი.

აქ ცარიელი ქუჩაა, ალვის ხეებით და ძირს მოფენილი ფოთლებით.

შენობის ახლადშეღებილი ფასადი და წარწერა მსხვილი ასოებით: „გორის ცენტრალური ბაზარი“.

თეთრი მიკროავტომობილები, საქარე მინაზე აბრებით: „ერედვი“, „აჩაბეთი“, „ქუჩოთა“, „ქვეში“, „არბო“, „ავნევი“, „ნიქოზი“, „ლიცი“, „კეჭვი“, „ერგნეთი“.

მინდვრის ყვავილები.

მინდვრის ყვავილები.

მინდვრის ყვავილები.

თავი მეოთხე, რომელიც მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა ამოიკითხა ირაკლი ტ-მ უბის წიგნაკში, სანამ საფეთქლებს დაიხეულდა და ნაპოვნ ნივთს ჩანთაში ჩააბრუნებდა.

პირველ გვერდზე:

ოთხი იანვრით დათარიღებული ჩანაწერი – „ყველაფრის თავიდან დაწყების მეშინია. დაბნეულობისგან შეცდომას შეცდომაზე ვუშვებ და ყველაფერი

უსამველოდ რთულდება. გაუფლვებ. ცხერებს დავითელი და ტკივილის ხსოვნა ნალ-ნელა გაქრება. შიში ჩემთან ერთად დაიძინებს“.

მესამე გვერდზე:

ელ-ფოსტის მისამართი: tavelix@yahoo.fr

მეშვიდე გვერდზე:

„ცხერის ნეკნები ბრეტონულად“ – მასალად საჭიროა: 4 ნეკნი, 1 კგ თეთრი ლობიო, 2 თავი ხახვი, 5 კბილი ნიორი, 75 გრამი კარაქი, 2 სუფრის კოვზი ტომატპასტა, მარილი, პილპილი (ირაკლი ტ-ს კერძის მომზადების წესის წაკითხვის სურვილი აღარ გაუჩნდა)..

მერვე და მეცხრე გვერდებზე:

რამდენიმე ლექსი, რომლებიც, შესაძლოა, სულაც არ იყო ლექსები ან სულაც არ იყო ამ ქალის.

მეცამეტე გვერდზე:

შესაძენი ნივთების სია: სურათების ალბომი, ჰიგიენური პაკეტები, გასაღების რგოლზე ჩამოსაკიდი სათამაშო, კალამი, დასაკეცი ქოლგა, საღვჯი რეზინა მარწყვის არომატით, იოდი და ბამბა.

მეჩვიდმეტე გვერდზე:

ივლისის შუა რიცხვებით დათარიღებული ჩანაწერი – „მეშინია მომდევნო რეპორტაჟის მომზადების, უხარისხო სურათების გადაღების, ჩემი შიშის, დაბნეულობის, არასწორად გადადგმული ნაბიჯების, შეცდომით არჩეული მიმართულების, უცხო ენების რთული გრამატიკის, აგრესიული უცნობების, თვითმკვლელობის, „პო“-ს ნაცვლად „არა“-ს თქმის, საკუთარი წინდაუხედაობის, დიდი სისწრაფით მოძრაე მანქანების, მდინარეების, სიზმრებიდან ამომხტარი თევზების..“ („ცოტა წაიპოტებს“, გაიფიქრა ირაკლი ტ-მ და მოულოდნელად იგრძნო, რომ ამ ყველაფერმა საკმაოდ დაღალა).

მეთვრამეტე – ოცდამერვე გვერდებზე:

ნოველა „კონფლიქტის ზონა“ (დაუმთავრებელი).

ოცდამეათე გვერდზე:

ბოლოს წინა ჩანაწერი: „დამესიზმრა, რომ ჩემს სოფელში მდინარე დაშრა და ქვიან ფსკერზე ის ბოთლი აღმოაჩინეს, ბავშვობისას რომ გაუფლვი წყალში. შორს არ წასულა, იქვე ჩაძირულა. არ მახსოვდა, წერილში რა დაეწერე, სანამ დაგვეცავდი და ბოთლის ყელში ჩავაცურებდი. სირცხვილით ვიწვოდი – ნეტა ისეთი ხომ არაფერი წერია, რის გამოც მკაცრად დამსჯიან-მეთქი. თვალებს ეჭუჭავი და ყურებზე ხელებს ვიფარებდი, როგორც მაშინ, ათი წლის რომ ვიყავი და საკუთარი ჩრდილიც მაშინებდა.. ამ შიშის გადალახვა როგორმე უნდა მოვახერხო. სვალს სოფელში მივიღივარ“.

თავი მესხეთე, რომელშიც ჩამოთვლილია ყველა ის კითხვა, რომელიც ირაკლი ტ-მ უბის წიგნაკის ოცდამეთერთმეტე გვერდზე ამოიკითხა (თანმიმდევრობა ამ შემთხვევაშიც დაცულია).

რამდენი წელია, რაც ეს მდინარე არ მინახავს?

ყოველთვის ასეთი მშვენიერი იყო თუ ახლა, ამდენი წლის შემდეგ მჩვენება ასეთი?

როდიდან დაიწყეს კაცებმა მდინარეში ბანაობის წინ ტრუსების გახდა?

რატომ ჰგონიათ, რომ ყველაფრის უფლება აქვთ?

შეიძლება, რომ მანიაკი ასე მომხიბვლელად გამოიყურებოდეს და ასეთი დამაბნეველი ღიმილი ჰქონდეს?

რატომ აქამდე ვერ მივხვდი, რომ ვერასდროს გავხდებოდი კარგი ჟურნალისტი და პროფესია დროზე უნდა შემეცვალა?

იქნებ ჯობდა, ისევ იქ დაგბრუნებულიყავი, საიდანაც დაეიწყე – ჩემს სიზმრებთან?

მათი ენა ხომ არ მესწავლა?

რა ფუჟო ამ გაცნობიერებულ და გულმოდგინედ გაანალიზებულ შიშს?

ამ კაცს რომ შეეუყვარდე, ნეტა თავის მეგობრებს და ახლობლებს თუ მოუყვება, რა ვითარებაში გაეიცანით ერთმანეთი?

საინტერესოა, თუ მისვდა, რომ თვითმკვლელობას ეპირებ და მდინარიდან მის ამოსვლას ველოდები?

გამუდმებით რატომ ვატყუებ საკუთარ თავს?

იქნებ ამ სოფელში დავსახლდე და რომანების წერა დაეიწყო?

წყლიდან ამოსვლას რატომ არ ჩქარობს, ჩემი ურიდება? სასაცილოა, ჩვენ ხომ სხვადასხვა განზომილებებში ვცხოვრობთ...

კონფლიქტის მთავარი მიზეზიც ეს არის – განა მინიმალური კომუნიკაციის ფონზე გაუგებრობების ხე მრავალმხრივ არ იტოტება და ყვეალობის შემდეგ უამრავ ცრუ ნაყოფს არ გამოიბამს?

სხვას რომ დაეწერა წინა სტრიქონები, ხომ ვიტყვოდი, წაიბოუტებს-მეთქი?

ნეტა ცხერის ხორცს თუ ჭამს?

ვინ იცის, იქნებ ჩემსავით თავგზაბნეული ჟურნალისტია?

ყვეალები ხომ არ დამეკრიფა, სანამ ბანაობას მორჩება და გამოძვალაპარაკება?

ჩემი შიში რით იკვებება, ცუდი წინათგობით თუ ცრურწმენით?

არ გადამარჩენს?

გადამარჩენს?

თავი მეექვსე, რომელიც არასრულად გვთავაზობს იმ ინფორმაციას, რომელიც ტელეკომპანია „ქართლი 2“-ის ეთერში მოის- მინა იმავე დღეს რეგიონის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა.

„დღეს დაახლოებით ცამეტ საათზე... კონფლიქტის ზონის ერთ-ერთი ქარ- თული სოფლიდან... ჟურნალისტი, რომლის ვინაობა ამ დროისთვის დგინდება... უცნობია იმ დაჯგუფების... უშუალოდ მონაწილეობდა ამ გატაცებაში... სამ- წუხაროდ, ვერც იმ თვითმხილველის... რომელიმე აღნიშნულ ფაქტს შეესწრო... სამართალდამცავების ცნობით... დენა ამ წუთებში მიმდინარეობს... ოპერაცი- ის წარმატებით დასრულების შესაძლებლობა... გვესაუბრება შიდა ქართლის პოლიციის... თქვენი ინფორმაციით, რომელ საათზე... მოგვიანებით... რა იცით გატაცებული ჟურნალისტის... მოგვიანებით მართალია, რომ ბავშვობა იმავე სოფელში... მოგვიანებით... როგორც დიდი ლიხვის სეზონის ამ სოფლის მო- სახლეობა... მოგვიანებით... დიდი მადლობა... ინტერვიუ შიდა ქართლის... უახლესი ინფორმაციით გვერთვება ჩვენი კორესპონდენტი... პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა ერთადერთი თვითმხილველი... უკაცრავად, აღელვებისგან ენა... ეს სწორედ ტელეკომპანია „ქართლი 2“-ის კორესპონდენტი ირაკლი ტ... სენსაცი- ური განცხადებით... უამრავი ახალი ფაქტი აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირე- ბით... გამტაცებლების მანქანის ნომერი „VAT 987“, რომლის დამახსოვრებაც თვითმხილველს... მაყურებელი უშუალოდ... და აი შესაძლებლობა გვაქვს... რო- გორც კადრში ხედავთ... გათავისუფლებული მძევალი იღიმიება... „ქართლი 2“-ის კორესპონდენტს, რომლის დროული დახმარების გარეშე... დაჯგუფების წევრებ- მა მიმალვა მოასწრეს... საყარაულოდ, მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით... უკაცრავად, ეს ოპერატორის შეცდომა... ყოფილი მძევალი ისევ იღიმიება... წინა კადრში მხოლოდ მისი თვალები... მარცხენა ხელი... საღამოს ეთერში შემოგთავა- ზებთ ინტერვიუს... ირაკლი ტ. ამ ამბავებზე... დროებით გეპშვიდობებით და სარეკლამო პაუზის შემდეგ...“

თავი მეშვიდე, რომელშიც წაიკითხავდით იმ ინტერვიუს ჩანაწერს, რომელიც ორ საათს გრძელდებოდა „ქართლი 2“-ის პირდაპირ ეთერში. მაგრამ ამ ნოველის ავტორმა არჩია, დაუმთავრებელი ტექსტი შეეთავა- ზებინა მკითხველისთვის – ღიად დარჩენილი კითხვებით, შეუკრავი წრით და გაწყვეტილი ჯაჭვით.

P. S. კონფლიქტის ზონას საზღვრები არ აქვს. მიუხედავად ამისა, მათი გადალახვა მანც შეიძლება.

214

ირმა მაღალციქიძის თორმეტგვერდიანი მოთხრობა „მაკოს მზითევი“ დაბეჭდა გაზეთმა „პარნასი“ (მთ. რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე).

ვინც ამ წყალწყალა, სქემატურ ტექსტს ბოლომდე ნაიკითხავს, მისთვის პირველ რიგში ცხადი გახდება: ავტორმა თავის ე. წ. მოთხრობას არამცთუ ვერ მოუნახა ოდნავ მაინც მისადაგებული სათაური, არამედ ქართველ მანდილოსანს ისიც კი არა სცოდნია, საერთოდ, რა არის მზითევი, რა მიიჩნევა მზითვად.

მეც მეტი ჩარა არა მაქვს – ნუცას სკოლა უნდა დაეაარსო, ოლონდ, ცხადია, უფასო.

რა არის მზითევი? (ეთნოგრ. ისტ.) – ქონება, რომელსაც ქალს მისი ოჯახი (მშობლები, ნათესავეები) გათხოვებისას ატანდა ქმრის ოჯახში.

ახლა ვნახოთ, მანდილოსან ავტორს რა ჰგონია მზითევი.

215

„...მიადგა მზითევს. ჯერ საქორწილო ღამისთვის საგანგებოდ შერჩეული თეთრეული – მოქარგული ბალომისპირები, კონვერტები, მისი ქალწულობის დასასრულის არშემდგარი მოწმე – ზეწრები გაუყენა მშრალი ხიდის გზას. მერე პირსახოცები, ხალათები, ქოშები...“

სად გაგონილა, მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის განკუთვნილ, თანაც ისეთ უკიდურესად ინტიმურ საგნებს, როგორცაა, მაგალითად, ქვეშაგების თეთრეული, პირსახოცები, ცხვირსახოცები, ხალათები, წინდები, საცვლები, ქოშები და მისთანანი, მზითევი ვუნდოთ?! სილარიბის გამო ვინ იცის, ქმრის ოჯახში რამდენი პატიოსანი ქალი შესულა უმზითვოდ! ჰოდა, რაკი ჩვენს ავტორს აქ ჩამოთვლილი საგნები მზითევი ჰგონია, ნუთუ მართლა ასე სჯერა: ასეთ უმზითვო ქალს ერთი ხელი ტანსაცემელ-ფეხსაცემელიც არ ექნებოდა და პირდაპირ დედაშობილა შეჰყავდათ ქმრის ოჯახში?! მაგრამ კმარა ანაბანა! აქ იმდენად დასანანი ის კი არ არის, ავტორს ნათლად რომ არა აქვს წარმოდგენილი, რა არის მზითევი, არამედ თვით სათაური



„მაკოს მზითვევი“, არანაირად რომ არ ესადაგება მოთხრობის თემას, იდეას, შინაარსს, შინაბერას პიროვნულ ტრაგედიას. ამიტომ ნაწარმოებისთვის ალაღბედზე მიტყუებული ეს სათაური დაახლოებით იგივეა, მაგალითად, სტალინგრადის ალყისას ტყვიისა და ჭურვის ნამსხვრევების წვიმის ქვეშ მებრძოლი ვერმანხტის გრენადერებისთვის რკინის მუზარადების მაგიერ მექსიკური სომბრეროები რომ მიეკოსებინათ!

ვინ არის, რას წარმოადგენს ერთადერთი მთავარი პერსონაჟი მაკო?

„სტუდენტობის შემდეგ პარტიული მწვერვალის დაპყრობა განიზრახა და კომკავშირში ამოყო თავი. დადიოდა ყრილობებზე, სესიებზე, სხდომებზე“.

ავტორს „პარტიული მწვერვალები“ რომ ეხმარა, კიდევ ჯანდაბას – გაკვირვებული მკითხველი ერთ-ერთ რომელიმე პარტიულ „მწვერვალ“-თანამდებობას ივარაუდებდა და მკითხაობაც მაგით ამოინურებოდა! მაგრამ მხოლოდითი რიცხვით ნახმარ ამ „პარტიულ მწვერვალში“ ავტორი რას გულისხმობს, მაკოს მაინც რომელი მწვერვალი აოცნებებდა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობა თუ სტალინივით სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად გახდომა სურდა?! თუმცა ამ ორიდან ერთ-ერთი „პარტიული მწვერვალის“ დაპყრობას სულ სხვანაირი ბრძოლა და ცხოვრების წესი სჭირდებოდა და არა ისეთი, როგორსაც მაკო მისდევდა.

„ოო, თან რა დრო იყო – მაკოს ცხოვრების ოქროს ხანა: უფასო საგზურები სოჩაში (უნდა იყოს სოჭში. ვ. მ.), „პაეზდკები“ საზღვარგარეთ და „საიუზში“ (რაკი აღარ დაუშლია ავტორს, მაშინ უნდა იყოს „პოეზდკები“ და „სოიუზში“. ვ. მ.), ებრაელებში ნაყიდი „ლევისის“ ჯინსები და „მონტანას“ ველეტის შარვლები...“

ცხადია, ამნაირი წერილმანებით გატაცებულ რიგით ფუნქციონერ ქალს „პარტიულ მწვერვალზე“ კი არა, მოკრძალებულ „გორაკზეც“ არ მიასუნინებდნენ! თუმცა „მწვერვალებს“ ვილა დაეძებდა – მალე კომუნისტურ-ტოტალიტარული იმპერიაც დაიმსხვრევა და ეს სანყალი მაკო სულაც ჰაერში გამოკიდებული და გარიყული აღმოჩნდება!

მაკოს საოცნებო „პარტიული მწვერვალის“ დაზუსტება თუ არ მოხერხდა, მოდი, ეს მაინც გავარკვიოთ, ეს მელანქოლიური შინაბერა რა ხნისაა.

რაკი ავტორს არ ძალუძს, ანდა სულაც არ იცის, რომ მხატვრული ნაწარმოების შექმნას სჭირდება გამოკვეთილი, მწერლური მარტენის ლუმელში ნაწრთობი იდეა, მისი გამომხატველი მხატვრული ფორმა, მკვიდრი კომპოზიცია, ენის ფლობა და დამაჯერებელი თხრობის დახვეწილი სტილი, ამიტომ თავს უფლებას აძლევს მთელი მოთხრობის მანძილზე მკითხველი ხალვათი ლაზღანდარობით შეიყოლიოს.

„წარსულით ცხოვრობდა მაკო. წარსული კი (მოდი, პირობითად ხუთწლედებად დავეყოთ) სულ ცხრა ხუთწლედს მოიცავდა. უფრო სწორად, უკვე ცხრა ხუთწლედს“.

გასაკვირია: ამ ფრაზამ „უფრო სწორად“, აბა, რაღა გვითხრა უფრო ზუსტად და უფრო სწორად?! ეს ორივე წინადადება – „სულ ცხრა ხუთწლედს მოიცავდა“. და „უკვე ცხრა ხუთწლედს“. – განა ერთსა და იმავე აზრს არ გამოხატავს?! თუმცა რაკი ავტორი სათქმელს მოკლედ და გასაგებად არ გვიმხელს და ხუთწლედების ფარგლებში მათემატიკური ვარჯიში მოგვისაჯა, აბა, რაღას ვიზამთ – თავს ზევით ღონე აღარ არის!

როგორც თვით სახელწოდება „ხუთწლედი“ გვეუბნება, ყოველი ეს პერიოდი ხუთ წელს მოიცავს! მაკოს ასაკი კი თურმე ცხრა ხუთწლედით განისაზღვრება. ამოცანა გვეკითხება: როგორ გავიგოთ მაკოს წლოვანება? ამისთვის საჭიროა, ცხრა ხუთწლედი გადავამრავლოთ ხუთზე და მივიღებთ 45 მაკოს ასაკს. ცხრა რომ ხუთზე გავამრავლოთ, რამდენი იქნება? რომ არ შევცდეთ, მოდი, მაინც ჩავიჭვრიტოთ გამრავლების ტაბულაში! ცხრაჯერ ხუთი უდრის ორმოცდახუთს! მაშასადამე, ჩვენი მაყვალ... მაპატიეთ, ჩვენი მაკო ყოფილა ნახევარ საუკუნეზე ხუთი წლით ნაკლები, უფრო სწორად, ორმოცდახუთი წლის!

როგორ დავიჯეროთ, მაკოს თაყვანისმცემლები არ ეყოლებოდნენ?

„მამინ უფრო ახალგაზრდა იყო, უფრო ლამაზიც. თაყვანისმცემლებიც – ვედრო მანეთად“.

ეგეც თქვენ! აბა, მანდილოსანი თავისი მოთაყვანე მამაკაცებიდან არჩევანს რომ ვერავისზე შეაჩერებს და ყველა მათგანი დამჭკნარი ბადრიჯანივით ცინიკურად „ვედრო მანეთად“ შეფასდება, ცხადია, შინაბერობას ვერ აიცდენს! მაგრამ ამას თავი დავანებოთ, რადგან ჩვენ ველარაფერს ვუშველით და ერთი ესეც ვიკითხოთ – რატომ დარჩა გარიყული?

უნაღვლეელ ავტორს აქაც მზადა აქვს კინტოური პასუხი.

„ახალ ცხოვრებას მულამი ვერ დაუჭირა“.

აბა, საქართველოს მანანებო, თუ გსურთ დაქმარშვილიანდეთ და ამ საზოგადოებაშიც რალაცას წარმოადგენდეთ, აქედანვე ეცადეთ, ცხოვრებას მულამი დაუჭიროთ, თორემ თუ ცხოვრებას მულამს ვერ დაუჭერთ, მერე ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეთ!

მაკო მარტო თაყვანისმცემლებს კი არა, თავისი ნათლობის სახელსაც კი ამრეზით უყურებდა.

218 „მაკო, (რა საჭირო იყო აქ მძიმე?! ჯ. მ.) ვიდრე მეტრიკას გადაიკეთებდა, ყველა დოკუმენტში (უნდა იყოს საბუთში. ჯ. მ.) მაყვალად მოიხსენიებოდა. უტყუებოდა, რა თქმა უნდა“.

გაუტყუებოდა, აბა, რა – მაყვალა რა სახელია! მაკა არა სჯობია?!

მერე „ვისაც როგორ მოეწონებოდა, ისე ეძახდა – ვინ მაკას, ვინ მაკის, ვინ მაკუმას და ვინ – მაკუნას“.

მოკლედ, ავტორს ვერ მიუგვნია თავისი პერსონაჟის ხასიათის კალაპოტის და შინაგანი სამყაროს ლაბირინთებისთვის, ვერც მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და მეტყველების მანერა შეურჩევია, რის გამოც ლაპარაკობს არა ყოფილი პარტიული ფენქციონერი, თავისებურად დახვეწილი ინტელიგენტი, ნახევარ საუკუნეს მიტანებული წესიერი მანდილოსანი, არამედ ქუჩის კაცების საზოგადოებაში ნატრიალები ტუჩმობეული ახტაჯანა.

სწორედ ეს არის მიზეზი, რომ მაკოს თავისი ნათლობის სახელის გამო „უტყუებოდა“. თაყვანისმცემლები? ეჰ, რამდენ-

იც გინდოდათ - „ვედრო მანეთად“. რატომ გაირიყა? „ახალ ცხოვრებას მულამი ვერ დაუჭირა“. საკუთარ თავს თუ არ მოუარე, მისი აზრით, „სხვები ფეხებზე დაგიკიდებენ!“ თავისი საყვარელი სიგარეტი? „როგორ გააბანძეს ეს სიგარეტი“. საიდ-ან აქვს ეს მარაო? „პიცუნდაში (უნდა იყოს ბიჭვინთაში. ჯ. მ.) ვიყიდე“. მაკოს თავის მოგზაურობებს იხსენებს. „ცდილობს (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), თავი ისევ იქ, ძალიან ჩეხურ პრალაში (ნეტავი როგორია, ანდა თუ არსებობს არაჩეხური პრალა და მით უმეტეს, ძალიან არაჩეხური პრალა?! ჯ. მ.) და არანაკლებ ბულგარულ სოფიაში... წარმოიდგინოს“.

საინტერესოა, მაკოს ერთ-ერთ თაყვანისმცემელს, ლექსოს, მუზეუმები და მხატვრობა უყვარდა? აი, ქალის პასუხი: „მხატვრობა არა, ტოროლა!“ მაკო ერთ-ერთ დაქალს თავს არიდებს, რადგან „პოლიტიკაზე აქვს გარეკილი“ და ა. შ.

ახლა ვნახოთ, როგორ იწყება მოთხრობა (ერთგან უადგილოდ ნახმარი მრავალწერტილი ავტორისეულია).

„წარსული სილამაზის ნარჩენებშერჩენილი, წამწამებაპრეხილი, ისევ ახალგაზრდულად მფეთქავი გულის პატრონი სავარძელში ჩაფლულა და ყავას წრუპავს. მარცხენა ხელის საჩვენებელი და ცერა თითების კომბინაციით სათითისხელა (უნდა იყოს სათითისოდენა. ჯ. მ.) ფინჯანი მიაქვს ყოლოსფრად შეღებილ ტუჩებთან“.

აბა, ერთი რომელიმე ძველი, ქართული ენისა და მწერლობის მოჭირნახულე რედაქტორისთვის მიეტანათ „საჩვენებელი და ცერა თითების კომბინაციით“ „შემკული“ ნაწარმოები! არ ვიცი, მანდილოსანს როგორ მოექცეოდნენ, გამართული ქართულით აზროვნება-წერის უნარმოკლებულ დებიუტანტ ჭაბუკს კი თავზე გადააფხრენდნენ ამგვარ გრაფომანულ ნაცოდვილარს, ერთი გემოზე გაჯორავდნენ და კაბინეტიდან უბოდიშოდ გამოაგდებდნენ პირუთვნელი რჩევა-დარიგებით: მწერლობა მისი საქმე არ იყო და ერჩივნა, რამე სხვა ხელობას შესდგომოდა! ის

შერცხვენილ-გაჯორილი ჭაბუკი ან მართლა რამედ ღირებუ-ლი მომავალი მწერალი უნდა ყოფილიყო, ანდა პიტალო იდიო-

ტი, რომ იმ რედაქციის კარის სახელურს კიდევ შეხებოდა, ისიც წლების მერე!!!

აი, ასე ხდებოდა ხოლმე წინათ, ახლა კი...

ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ახალგაზრდა, დებიუტანტმა პროზაიკოსმა, რომელსაც ჯერ არც რაიმე ლირებული შეუქმნია ქართულ მწერლობაში და თან არც საკმარისი ცოდნა-გამოცდილება უმძიმებს მხრებს, რის იმედით წამოიკიდა ლიტერატურული ორგანოს მთავარი რედაქტორის ტვირთი?!

ი. ჯავახიძე ნუთუ იმიტომ გახდა რედაქტორი, რომ ვილაც ფეხის ხმასაყოლილ ეპიგონ-გრაფომანებს წიხლით ათელინოს ქართული ენის ღვთაებრივი მშვენიერება, ბუნება, მოქნილობა, შნო და ლაზათი?! რა შუაშია აქ ლათინური სიტყვა „კომბინაცია?!“ მშობლიურ ენაში ასეთი შეუპოვარი ძალმომრეობით რატომ ამკვიდრებენ აზრის გადმოცემის გაუკულმართებულ, ხორკლიან ფორმებს?! ქართველ მკითხველს რა მიზეზით უკლავენ მშობლიურ ენაზე ბუნებრივი აზროვნების უნარს და მის მაგიერ მახინჯ ხერხებს აჩვენენ?!

აბა, რედაქტორი რილას მოხელეა, თუკი მსგავსი ლაფსუსებით დაჩირქებულ ტექსტს ავტორს უკანვე არ მიუგდებს, ანდა არ ჩაასწორებინებს მაინც?!

რა გამოდის? მაშინ უნდა მივაყოლოთ და ვწეროთ: „გიორგი სააკაძემ ხუთი თითის ელვისებური კომბინაციით (ანუ შეერთებით!) ხმალი ჩაბლუჯა“. „მოძღვარმა სამი თითის კომბინაციით პირჯვარი გადამსახა“. „ჭაბუკმა ოთხი თითის კომბინაციით გოგონას კისერზე მიუალერსა“. „მონადირემ მარჯვენა ხელის თითების კომბინაციით პეშვი გაიკეთა და წყალს შეუშვირა“. და ა. შ.

კარგი მაგრამ, სანამ ირმა მალაციძე მხატვრულ აზროვნებას არ „გაგვიმდიდრებდა“ ამ უცხო სიტყვით, ნუთუ მანამდე ლიტერატურასა და ყოველდღიურ ყოფა-მეტყველებაში საკუთარ თითებს ვერ ვამოძრავებდით და საჭიროებისამებრ ვერ ვიყენებდით ამ „კომბინაციის“ გარეშე?!

აქ მარტო ეს „კომბინაცია“ რომ იყოს ჩაჩრილი, კიდევ რა უშავდა: ამ ე. წ. მოთხრობაში ყოველ ნაბიჯზე მოშლილი ტრაქტორებივით რახრახებენ მშობლიური ენის უცოდინარი ავტორის მიერ უნაგარიშოდ წამოსროლილი უცხო-უცხო სიტყვები.

„გარდა ამ ოპერაციისა... აქტიურად მონაწილეობს... პრესტი-  
ჟული სამსახურიც... თავისი პრივილეგიებით... დუბლიორის  
დროც დგება... მაკიაჟს რატო არ იკეთებ?... პრინციპში იგივეა...  
შეგრძნებათა მთელი ბუკეტი... მისი შანსი... პერსპექტივის გა-  
რეშე... ხელოვნური ინტელექტი... ინტელექტის ტრანსპლანტა-  
ცია... ამას არ აკონკრეტებს... ყვაველების ბუკეტიც იცვლე-  
ბოდა... იმ კიკიმორა ცოლთან ერთად... შერჩა ამ ნუთისოფელს  
– უფუნქციოდ... პომპონიანი ქოშები... ერთი ვარიანტია... თა-  
ვის პრობლემებზე ფიქრში“ და ა. შ.

ავტორს და თავისთავად ცხადია, ყველა იმათ, ვის ხელშიც  
ამ მოთხრობამ გაიარა, არ გააჩნიათ მშობლიური ფრაზის მუსი-  
კალობის აღქმის უნარი, ვერ ხვდებიან, ამა თუ იმ წინადადებაში  
სიტყვების გადანაცვლებით მოკრუნჩხული სინტაქსი წელში რომ  
გაიმართება, წინადადებაცა და მკითხველებიც თავისუფლად  
ამოისუნთქავენ, აზრი სრულყოფილი გახდება. აი, ამის ერთი  
მაგალითი.

მაკო და მისი დაქალი, რუსიკო, მაკოს ძველისძველ თაყ-  
ვანისმცემლებს იხსენებენ. ერთ-ერთ მათგანზე, ლექსოზე მაკო  
რუსიკოს ეუბნება: მიუხედავად იმისა, ჩემზე ჭკუა „ეკეტებოდა“,  
იმას მაინც ვერ გავყვებოდიო. აი, აქ როგორ უღერს ავტორი-  
სეული პირველი წინადადება.

„– აი, ხო ჭკუა ეკეტებოდა არა ჩემზე?“

აბა, რანაირია სინტაქსი, ანდა რა აზრია ამ ყაჭივით გაბმულ  
ფრაზაში.

„ხო ჭკუა ეკეტებოდა არა ჩემზე?“

ავტორს ასე მაინც დაეწერა, ანდა მერე გადაეკეთებინა  
ვინმეს.

„არა, ხო ჭკუა ეკეტებოდა ჩემზე?“

ან

„ხო ჭკუა ეკეტებოდა ჩემზე, არა?!“

მაგრამ არა! მაინცდამაინც ეს სულისშემგუბებელი მახიჯნი  
ფორმა.

„ხო ჭკუა ეკეტებოდა არა ჩემზე?“

მერედა, ტექსტში რამდენია მსგავსი წინადადებები!..

ქმარშვილიანი რუსიკო თავის შინაბერა დაქალს აგულიანებს, რომ ეგებ მოეშვას წუნიობას და ბოლოს და ბოლოს, ვინმეს მისთხოვდეს. თან სიყვარულის, დაოჯახებისა და ცოლქმრული ურთიერთობის საიდუმლოებებსაც უშურველად უმხელს (ყველა მრავალწერტილი ავტორისეულია).

„ზაზას მანც უნდა გაყოლოდი (უნდა იყოს გაყოლოდი. ჯ. მ.).

– არ მიყვარდა...

– შეგიყვარდებოდა – შენ რა, გგონია, მიყვარდა თენგო? მთავარი შეჩვევაა, მერე ბავშვები – ზრუნვა და... აბა, სხვა კი არაფერია სიყვარული...

– კაი რაა. (აქ წერტილი კი არა, ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ. მ.)! ზაზასთვის გემეტებოდი?

– მე შენ მარტოობისთვის არ მემეტებოდი...“

ამგვარ ლაპარაკ-ლაპარაკში რუსიკო მთავარ სათქმელსაც შეაპარებს — ყველა მრავალწერტილი აქაც ავტორისეულია.

„ერთი ვარიანტია... ვიცი, შენ მეტი შეგეფერება, მარა... რა ვიცი, სულ მარტო ყოფნას... სოფლიდან ჩამოსული ბიჭია. თუმცა რაღა ბიჭი – ცოლს გაეყარა და... მოკლედ, ბინიანი ქალის შერთვა უნდა – ვიფიქრე, იქნებ – კარგი ხელობა აქვს, პურის ფულს მანც შემოიტანს... ჰა, რას იტყვი?

ორივე ჩაყურდა“.

ეს ჩაყურება კარგა ხანს გასტანს.

„თავთავიანთ (უნდა იყოს თავ-თავიანთ. ჯ. მ.) ფიქრებში ჩაფლენ (უნდა იყოს ჩაფლენენ. ჯ. მ.): მაკო – თავის განუხორციელებელ ოცნებებში, რუსო – თავის პრობლემებზე ფიქრში.

მერე მაკომ ხელი აიქნია, თითქო ამ ფიქრების გაფანტვა უნდაო, ხმამალა დაახველა და:

– მოიყვანე და ვნახოთ! – თქვა ხმამალა“.

მოთხრობაც აქვე მთავრდება და აღარ ჩანს, რუსიკო შესახებ ელებულ სასიძოს მიჰგვრის თუ არა მაკოს და რით გათავდება მათი ამბავი.

სამწუხაროდ, მოთხრობა თავიდან ბოლომდე ისე სქემატურად და უხელოვნოდ არის შეთითხნილი, მკითხველს ეს აღარც აინტერესებს.

გელა ჩქვანავას მოთხრობაც „ბრილიანტი“ „პარნასმა“ გამოაქვეყნა.

ჭაბუკი მოთხრობელი ერთგან აი, რას გვეუბნება.

„მამაჩემმა ისე შემომხედა, როგორც ლენინი უყურებდა ბურჟუაზიას“.

ამ ფრაზამ სევდისმომგვრელად გამახსენა ის ძველი „კარგი“ დრო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნებთან შეხუმრებული ნოდარ დუმბაძე სატირულიუმორისტულ ჟურნალში „ნიანგი“ და თავის რომანებში მსგავსი „მწვავე“ პოლიტიკური მინიშნებებით დამუხტულ ნკიპურტებს რომ უთავაზებდა ხოლმე კომუნისტურ პარტიასა და მთავრობას, საერთოდ, საბჭოთა წყობილებას, ობივაციული მკითხველი და მაყურებელი კი ალტაცებაში მოდიოდა – ეგ როგორ მოიფიქრა, ანდა რამ გააბედვინა მაგის თქმამო!!!

223

ეს ყოველივე სტუდენტულმა, 3<sup>ა</sup>-კორპუსის 39-ე ოთახში 1967 წლის 16 აპრილის კვირადღეს, სტუდენტთა შორის ჩამოვარდნილ ლიტერატურულ კამათს მახსენებს. კარგად მახსოვს, მაშინ ერთი მოკამათეგანი გადაჭრით ილაშქრებდა მხატვრულ ნაწარმოებში იუმორისტული ელემენტებით იაფფასიანი მანიპულირების წინააღმდეგ და ირწმუნებოდა – არ შეიძლება მწერალი-პროზაიკოსი საჭირბოროტო თემებზე დანერილი იუმორესკების ავტორს გაუთანაბრდეს და მხატვრული ტილო იუმორისტული ციციანათელებით გაავსოსო.

ამნაირი მსჯელობით გაკვირვებული და აღშფოთებული მსმენელები მას ერთხმად მიესივნენ იქით-აქედან და უმალ პირში ბურთი ჩასჩარეს: შენ ლიტერატურისა არაფერი გცოდნიაო! ნოდარ დუმბაძის მხატვრული ნაწარმოების მთავარი ღირსებაც სწორედ ეგ არის, ცინცხალი გურული იუმორით პარტიასა და მთავრობას რომ კენწლავს და გულიანად გვაცინებსო!!!



იმ მოკამათესაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, ხმა ჩაეკმინდა და სუფთა ჰაერის ჩასაყლაპავად სასიერნოდ წასულიყო. ოღონდ დანარჩენებისთვის გაუგებარი დარჩა: მონინა აღმდეგეთა აზრი გაიზიარა თუ შინაგანად ისევ იმ თავის შეხედულებაზე დარჩა.

ამ ამბიდან გაივლის 16 წელიწადი, პაატა და როსტომ ჩხეიძეები 1983 წელს ინგლისურიდან ქართულად თარგმნიან ცნობილი ინგლისელი მწერალი ქალის, ვირჯინია ვულფის (1882-1941) მშვენიერი ესეების წიგნს და აღმოჩნდება, რომ ეს რომანისტიც მკვეთრ ზღვარს ავლებს ნამდვილ მწერალსა და საგაზეთო იუმორესკების ავტორს შორის. თავის დასაბუთებულ მსჯელობას იგი ნიშანდობლივ ფრაზას გამოუჩენს. „მწერალი გონება მახვილი უნდა იყოს და არა იუმორისტი“. (გვ. 23).

ყოველივე ამის მიუხედავად, იუმორისტულ სტილში შეფუთულ ნოდარ დუმბაძისეულ იმ პოლიტიკურ წიკურტებს ერთგვარი გამართლება და მნიშვნელობა მაინც ჰქონდა. ჯერ ერთი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ერთგვარ რისკთან იყო დაკავშირებული: ნებისმიერ მსგავს მხატვრულ „გამოხდომას“, რომელსაც, ალაჰმა უწყის, რა თვალით შეხედავდა გაგოროზებული პარტიული ელიტა, სულ ადვილი შესაძლებელია, მწერლის მიმართ რეჟიმისთვის დამახასიათებელი უსიამოვნებანი და რალაც სანქციები მოჰყოლოდა. და რაც მთავარია, მაშინ ჯერ კიდევ სისხლიანი რეჟიმის თავდაჯერებული ზეობის დრო იდგა და მხატვრულ ნაწარმოებში თუგინდ თვითმიზნურად ჩაკერებული პოლიტიკური წიკურტები ხალხს მართლაც ამხიარულებდა და თვალს უხელდა, უფრო აშკარას ხდიდა კომუნისტური ბელადებისა და თვით ტოტალიტარული სისტემის მთელ აბსურდულობას და დრომოჭმულობას.

მაგრამ დღეს, როცა ტოტალიტარული რეჟიმი უკვე დაინგრა და ლენინიზმი ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა, დღეს, როცა გლობალიზაციისა და ტერორიზმის აბლაბუდაში გახლართულ და გადაქანცულ კაცობრიობას უმძიმესი გამოცდების ჩაბარება მოუწევს ეკონომიკური, სოციალური, ზნეობრივი, ეკოლოგიური თუ კლიმატური საფრთხის წინაშე, და რაც მთავარია, როცა თანამედროვე ადამიანის ფსიქიკა და გემოვნება მწერლისაგან

დღევანდელი სინამდვილის ასახვის სულ ახალ-ახალ თემებს, მხატვრულ ფორმებსა და ხერხებს მოითხოვს, ამ დროს სრული დილექტანტური გულუბრყვილობაა, ორმოციოდე წლის წინანდელი „ნიანგის“ გაუქმებული არსენალიდან იაფფასიანი პოლიტიკური ელფერის იუმორესკების გამოსანკეპი დაუანგული ინსტრუმენტ-მეთოდები გამოიტანო თანამედროვე პროზის შესაქმნელად და მკითხველებზე სასურველი შთაბეჭდილების მოსახდენად.

„მამაჩემმა ისე შემომხედა, როგორც ლენინი უყურებდა ბურჟუაზიას“.

რალადროს ლენინი და ბურჟუაზიაა, თუ ღმერთი ვნამთ?! ვის რალაში აინტერესებს, ანდა იმ ყმანვილმა რა იცის, ლენინი როგორ უყურებდა ბურჟუაზიას, როცა... მაგრამ ავტორი თუ აღარ დაიშლიდა და მაინცდამაინც სწორედ ამ ფრაზის ჩართვა სურდა, მაშინ იგი ნანარმოების მხატვრულ ქსოვილსა და თხრობის სტილში ბუნებრივად უნდა ყოფილიყო ჩაგვირისტებული და არა ვილაც მამლაცინნას მიერ უალოო ალოზე პოზიორული სულნასულობით ნამოსროლილი, რაც თორმეტგვერდიან „ბრილიანტს“ მხატვრული ნანარმოების პრეტენზიას უფერმკრთა- 225

\* \* \*

ახლა უშუალოდ მთლიან მოთხრობაზე.

მხატვრული ნანარმოები – ამ შემთხვევაში კი მოთხრობა – და საათი ერთმანეთს ჰგვანან: როგორც დიდი სიზუსტით ცალ-ცალკე დამზადებული ნებისმიერი ფირმისა და ფორმის საათის თითოეული ნაწილი მერე ერთმანეთს უნაკლოდ უნდა მიუდგეს, საათად იქცეს და დაქოქვის შემდეგ ნიკნიკით დაიწყოს მუშაობა, დაახლოებით იგივე მოეთხოვება და ემართება ნამდვილ მოთხრობასაც! ჭეშმარიტი პროზაიკოსის მიერ დახატული ცალკეული პასაჟები, ადგილები, სცენები, ტიპაჟი მერე ერთმანეთს უნდა მიუდგეს, შეეხამოს, მოთხრობა-საათად იქცეს და „ანიკნიკდეს“ ანუ მკითხველმა იგრძნოს მისი გამართულობა, მხატვრული სითანაბრე, დამაჯერებლობა, მიიღოს ესთეტიკური სიამოვნება, გაერკვეს, ავტორს რა ანუხებდა, რას გვთავაზობს,

რის თქმას ლამობს, რისთვის შექმნა ნანარმოები ანუ რას „ნიკ-ნიკებს“ ეს მოთხრობა-საათი!

„ბრილიანტი“? აქ მის ამუშავება-„ანიკნიკებას“ ვინ დაეძებს – ყველა პასაჟი და ამბავი იმდენად უხელოვნოდ და ერთმანეთთან დაუკავშირებლად არის გამორჩორკნილი, რომ მოთხრობა-საათის აწყობაც კი არ ხერხდება!

მოთხრობა ამჟამად ცუდით ნამუშევარია და არ გააჩნია გამოკვეთილი იდეა და მხატვრული ფორმა, პატარა მოთხრობის შესაფერისი კოპნია, მკვიდრი კომპოზიცია, მთავარი სათქმელის დროული ხაზგასმა და ოსტატური გამოკვეთა, მხატვრული სითანაბრე და ნათელი, ოდნავ მაინც შალაშინგაკრული სტილი. ამიტომ შედეგიც სავალალოა: არ ჩანს, რა სურს, რისთვის წვალობს ავტორი!

გულდასმით იწყებთ ნანარმოების კითხვას, უკან მოიტოვებთ ორ-სამ გვერდს, რამე ხელჩასაჭიდი არაფერი ისახება და იბნევიტ, რადგან ველარ გარკვეულხართ: გამოუცდელი ავტორი უაზრო თხრობამ გაიტაცა და უნებლიედ გადასცდა თუგინდ სავარაუდო კომპოზიციის ფარგლებს, თუ ამგვარ „წვრილმანებზე“ წარმოდგენაც კი არა აქვს და ჰგონია, რომ ასე გზადაგზა, სტიქიურად, ერთმანეთის მიყოლებით რასაც მიაბ-მოაბამს, ბოლოს თავისთავად ის იქცევა ნამდვილ მოთხრობად!

არ გჯერათ? აჰა, თავად დარწმუნდით.

„ტანადი კაცი იყო ლავრენტი თოდუა, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). სადღეგრძელოს წარმოთქმისას ჭიქას რომ აწვედა (უნდა იყოს ასწვედა. ჯ. მ.), ერთ შეხედვად ღირდა (ფოტოგენურიც განხლდათ და ყველა სურათში ჭიქით ხელში იყო გამოსახული, რასაც ისე მიეჩვია, რომ ფოტოაპარატის დანახვისას მაშინათვე (უნდა იყოს მაშინვე. ჯ. მ.) ჭიქისკენ იწვედა). თავის ძაღლს, „გრადსაც“ ძალიან კობტად უბაკუნებდა ფეხებს, როცა უწყრებოდა, მაგრამ უღვაშები სრულიად უვარგისი ჰქონდა – რალაცნაირი მოდუნებული, ბებერი ქალის ძუძუებივით ჩამოდლღუზილი, თითქოს ეზარებოდა იმ მისიის შესრულება, რისთვისაც გაზარდეს, ანუ პატრონის სქელი ტუჩების დაფარვა.

მაღალი კაცი იყო ლავრენტი, თავის უფროს ბიჭზეც ერთი თავით მაღალი, რომელიც, თავის მხრივ, ნახევარი თავით მაღალი იყო თავის უმცროს ძმაზე, რომელსაც, იქიდან გამომდინარე თუ როგორ ეძახდა თავის ნახევარი თავით

მაღალ ძმას, მივაკრე მეტსახელი, მერე (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ჩემდა მოულოდნელად (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ძლიან პოპულარული რომ გახდა მთელს (უნდა იყოს მთელ. ჯ. მ.-) ჩვენს ქუჩაზე, ანუ „ბრატანკოტე“ (თან ბრატანკოტეს, როცა თავის უფროს ძმას „ბრატან მოი კოტეს“ ეძახდა, ვერ შეატყობდი (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ირონიული იყო ამ დროს თუ ზომიერად აღერსიანი). ხოლო თვითონ კოტე – ისიც უღვაშა, როგორც მამამისი და უმცროსი ძმა, ბრატანკოტე – მაგარი მექალთანე გახლდათ, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდა. ჯ. მ.). კარგი ქალის დანახვაზე, შეიძლება ითქვას, რომ, (რა საჭიროა აქ მძიმე!) ჯ. მ.) თავს კარგავდა, შეხედვა არ მოგიწოდებოდა. ისე კი კარგი კაცი იყო, უცოლო (როგორც მისი უმცროსი ძმა) და ამასთანავე განათლებულიც, (აქ მძიმის მაგიერ წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). ქალაქის ბანკში მსახურობდა, თეთრ შარვლებს ატარებდა, თეთრ პერანგებზე უცნაურად მოხატულ პალსტუხებს იკეთებდა, რომლებსაც მე „მწვავესიუეტტიანებს“ ვუწოდებდი, ხოლო რაც შეეხება მის ცხვირაპრეტილ თეთრ მაკასინებს (უნდა იყოს მოკასინებს. ჯ. მ.), ლაფრენტიმ მათი (უნდა იყოს მათ. ჯ. მ.) „ნე ვეში ნოსა“ და „ზადირაი ნოს“-ი შეარქვა.

ლაფრენტი თავის შეილებზე ამბობდა, ჩემი ცუდი კარიკატურები არიანო, (აქ მძიმე კი არა, წერტილია საჭირო. ჯ. მ.). შეილებმა კი საპასუხოდ, იმის გათვალისწინებით, რომ მათი დედა ლაფრენტის ბიბლიური სახელით, იროდით მოიხსენიებდა, მამას „ირორდი“ შეარქვეს, რაც მეგრულად „შენ ყოველთვის იყავის“ ნიშნავს. ისე კი სამივენი – მამაცა და მისი ვაჟებიც კარგები იყვნენ. მამაჩემი ამბობდა, ირორდი და მაგის ბიჭები რობინზონ კრუზოსავით დაუსახლებელ კუნძულზე რომ მოხვდნენ, საკვებსა და სასმელ წყალზე ადრე ქალების ძებნას დაიწყებენ და დარწმუნებული ვარ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), იპოვნიან, თუ მაშინვე არა, (უნდა იყოს ვერა. ჯ. მ.), მომავალ პარასკევს მაინცო. მე კი მიმანდა, რომ თოდლები იმიტომ იყვნენ კარგები, რომ ჩემთან მეგობრობას არ უკადრისობდნენ, და ეს მაშინ, როცა მე მთელი ჩვიდმეტი წლით ვიყავი უმცროსი ირორდის უმცროს ბიჭზე და ორმოცდაექვსი წლით თვითონ ირორდიზე.

ჩვენს ქუჩაზე ვასოც ცხოვრობდა, არც თუ (უნდა იყოს არცთუ. ჯ. მ.) უსათუძვლოდ თავდაჯერებული კაცი, დაახლოებით ორმოცი წლის, და ირორდის ბიჭებისაგან განსხვავებით (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ცოლიანი გახლდათ, მაგრამ ეს სულ არ უშლიდა ხელს „ირორდივიზების“ მსგავსად, ქალებში ველო. იმდენად, რამდენადაც ჩვენი განუმეორებელი (ამას ყოველგვარი ირონიის გარეშე ვაცხადებ) და დაუფიწყარი ვასო არა მარტო გულიანი, არამედ ფულიანი

კაციც იყო. სანამ სამსახური არ დაკარგა, მისთვის ქალების მოხიზვლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ იმ წელს ვასოს ერთბაშად ორი უბედურება შეემთხვა – სამსახურიდან დაითხოვეს, ხოლო ერთ-ერთმა მისმა ქალთაგანმა საშუალო სიმწვავის ვენერული დაავადებით „დაასაჩუქრა“.

ქალები ჩვენთვის, ზღვისპირელთათვის, ორ ტიპად (არადა, მთელი შემდგომი აღწერა მოწმობს, რომ უნდა იყოს ფენად ან კატეგორიად და არამც და არამც ტიპად. ჯ. მ.) იყოფიან: 1 – სარაფნიანი ტურისტები, რომელთაც სარაფნისა და ლიფის ბრეტელებს ქვემოდან (უნდა იყოს ქვეშიდან. ჯ. მ.) გაურუჯავი და ისეთი თავბრუდამხვევად თეთრი კანი მოუჩანთ, რომ ყოველი ზღვისპირელი (მანდილოსანიც?! ჯ. მ.) თავს ვალდებულად თვლის, მას საკუთარი ხელით შეეხოს და, 2 – ყველა დანარჩენი. ტურისტი ქალებიც ორ ტიპად (ო, ისევე ეს ტიპი! ავტორსა და რედაქცია-გამომცემლობას არ ესმით, რომ ტიპი ბიოლოგიაში უმაღლესი ტაქსონომიური კატეგორიაა ცხოველთა სისტემატიკაში, რომელიც ნათესაურ კლასებს აერთიანებს! ჯ. მ.) იყოფიან: პირველები გამოუცდელიობის გამო ზღვისპირა ქალაქში ჩამოსვლის პირველსავე დღეს მზის აბაზანების გადაჭარბებული დოზით (უნდა იყოს დოზის. ჯ. მ.) მიღების გამო პამიდვრებივით წითლდებიან, კანი წყლიანი ბუშტუკებით ეფარებათ და ადგილობრივების რჩევით ტანზე ორმოც კაბიკად ნაყიდ მაწონს ისვამენ: ხოლო მეორენი, (აქ ზედმეტია მძიმე. ჯ. მ.) მზის აბაზანების მიღებისას ზომიერებას იჩინენ და ცხვირზეც კი გაზეთის ნაჭერს იფარებენ, რომ (უნდა იყოს რათა. ჯ. მ.) არ აექერცლოთ და ორმოცკაბიკიან მაწონს მხოლოდ დანიშნულებისამებრ ხმარობენ, ანუ შაქარს აყრიან და ისე ჭამენ. რაც შეეხება ზღვისპირელ მამაკაცებს, ისინიც ექვემდებარებიან გარკვეულ კლასიფიკაციას და ორ ტიპად (ო, ღმერთო!.. ჯ. მ.) იყოფიან: პირველები, ანუ ახალგაზრდები, უპირატესობას ანიჭებენ გამოცდილ ტურისტ ქალებს, გაზეთისაგან კონტად გამოჭრილ სამკუთხედებს რომ იმაგრებენ სათვალეზე ცხვირების დასაცავად (რანაირია სინტაქსი და აზრი – ერთი სათვალე მაინც რამდენ ცხვირებზე იქნება დასკუბებული?! ჯ. მ.); ზღვისპირელ მამაკაცთა მეორე ტიპს (... ჯ. მ.), ანუ ასაკონებს, ძალიან სიამოვნებთ თავიანთი ბანჯგვლიანი მკერდის გამოუცდელი ტურისტი ქალების სხეულზე წასმული მაწონით გასვრა (როგორ მოგწონთ სინტაქსი? ჯ. მ.). ჩვენი ვასო ზღვისპირელ მამაკაცთა მეორე კატეგორიას (მადლობა უფალს, რომ არა ტიპს! ჯ. მ.) განეკუთვნებოდა და იმდენად, რამდენადაც საქმე გამოუცდელ ქალებთან კჰონდა, დიდად არ იწუხებდა თავს უსაფრთხოების ზომების მისაღებად, ანუ რეზინის „კომბინიზონებს“ (უნდა იყოს „კომბინეზონებს“. ჯ. მ.) არ ხმარობდა.

228

ტურისტები ქალები სიცოცხლის მოყვარული და მზიარული ხალხია – ეჩვენებთ, რომ ზღვისპირული ცხოვრება მზიარული რამაა და თანაც უბრალო. ამ ბოზენ, დიდი ქალაქების დაძაბულმა რიტმმა დაგვალა და სმოვით მოგვეწამლა, სიმშვიდე და ყველაფერი ნატურალური მოგვანატრაო და რატომღაც ფეხებს (უნდა იყოს წვივებს. ვ. მ.) არ იპარსავენ, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდა. ვ. მ.). მართლა სვერათ, რომ ტრიფოლიატის პატარა, ყვითელი ნაყოფი ველური ლიმონია, რომ ამ ქალაქში მართლა (აქ საჭიროა სიტყვა „კიდევ“ ვ. მ.) დაბრუნდებიან, თუ წასვლის წინ ზღვაში მონეტას ჩაადგებენ, რომ, (აქ ზედმეტია მძიმე. ვ. მ.) მართლა დედოფლებს თუ არა (აქ მძიმე იყო საჭირო. ვ. მ.), მაპარაჯების რჩეულებს მანაც გვანან (უნდა იყოს ჰგვანან. ვ. მ.), როგორც მათ უღვაშა ფოტოგრაფი არწმუნებს, სანატორიუმში კაცის სიმაღლე ჭადრაკის ფიგურებით თამაშისას რომ იღებს და, რომ მექსიკისბორბლე ქარაფშუტული სიტყვაწარმოება! თან აქ მძიმეც უნდა. ვ. მ.), ასევე უღვაშა ძიას, მკლავზე სვირინგი რომ აქვს „ნე ზაბუღე მატ როდნუიუ“, მართლა ძალიან უყვარდა დედა, რომლის სიკვდილიც სინამდვილეში მანვე დააჩქარა იმით, რომ ახალგაზრდობის ნახევარი ციხეში გაატარა.

ტურისტ ქალებს ძალიან უყვართ მწვადები, შამფურზე შემწვარი წიწილები, ბუნების წიაღში, გუმისთის პირას მამანურის წრუტვა და ისიც, რომ ადგილობრივი მამაკაცები მათ „მოი ციპლონიორიეს“ ეძახიან, სახლებში (ასწილ აუჯობებდა შინ. ვ. მ.) დაბრუნების წინ როცა თავიანთ ადგილობრივ კავალრებს მისამართს უტოვებენ მათგან წერილების მისაღებად (აქ წერტილი ან მეერთე-ბელი კავშირი უნდოდა, თორემ რა გამოდის?! ვ. მ.) რატომღაც იმ სართულ-საც უთითებენ, რომელზეც ცხოვრობენ (მერე, აქ რა არის გასაკვირი?! ვ. მ.) და იმასაც, მათი ბინა ლიფტიდან ხელმარჯენივით თუ ხელმარცხნივ. გარდა ამისა (აქ მძიმეა საჭირო. ვ. მ.), ზოგჯერ თავიანთ ზღვისპირულ საყვარლებს მოსაგონრად რესტორნებში დაგროვულ ვალებს გარდა უფრო მნიშვნელოვანსა და ღირსსახსოვარ რამეს უტოვებენ – ვენერულ დაავადებებს.

ზღვისპირელი მამაკაცები კი ზოგჯერ იმდენად გაუფრთხილებლად იქცევიან, რომ აღნიშნულ დაავადებებს თავიანთ ცოლებსაც გადასდებენ ხოლმე, ეს უკანასკნელი კი რატომღაც ერთსა და იმავეს ამბობენ.

– ქმარმა წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მომაყენა! – ამბობენ თვალცრემლიანი ზღვისპირელი ცოლები. „წარმოუდგენელი შეურაცხყოფა“ ზღვისპირულ ქალურ ენაზე ქმრისაგან გადადებულ ვენერულ დაავადებას ნიშნავს.

ვასოს ცოლმაც, იაშხემაც, მკლავზე ბავშვობისდროინდელი აცრების ორი კი არა, სამი, ჩვეულებრივზე ღრმა ნაკვალევები (უნდა იყოს ნაკვალევი. ვ. მ.)

რომ აწდა ორმოებივით (?! ჯ. მ.), „ქმარმა წარმოუდგენელი შურაცხყოფა მომაყენას“ შემდეგ წარმოსათქმელი მეორე ტრადიციული ფრაზაც მოაყოლა, რომელსაც ჩვეულებრივ მაღალინტელექტუალური და გოგოლწაკითხული (?! ჯ. მ.) ქალები ამბობდნენ.

– ჩემმა ქმარმა ცოცხლად დამმარხა! – განაცხადა იამზემ, – მე ახლა გულმოკლული მთარული გვამი ვარ!“

ახლა ნებისმიერმა ოპონენტმა გულახდილად განაცხადოს: ამგვარი ღარიბული ლექსიკით, არაქართული სინტაქსითა და დაუხვეწავი, ჩლუნგ-ბუნდოვანი კანცელარიული სტილით შესაძლებელი იქნება რამედ ღირებული პროზაული ნაწარმოების და, მით უმეტეს, მცირე მოცულობის მოთხრობის შექმნა? ანდა, ამხელა დასაწყისიდან მიჩვენეთ თუგინდ ერთადერთი სტრიქონი, სადაც მწერლური ჭკრეტის ნიმუში კრთოდეს – თავიდან ბოლომდე წყლის ნაყვა, ულოგიკო და უსარგებლო გადასვლა-გადმოსვლები!

230 მოყვანილი ციტატის მეორე და უმთავრეს ნაკლს მხოლოდ ის დაინახავს, ვინც მოთხრობას ბოლომდე წაიკითხავს: ეს სამგვერდიანი, თანაც ნარკვევის სტილით უგემოვნოდ დანერილი შესავალი სრულიად ზედმეტია, მომაკვდინებელ ბალასტად აწევს მოთხრობას და სრულებით ვერაფერს მატებს მთავარ სათქმელს. მწერლის მთავარი სათქმელი კი აი, რა არის: როგორც მოყვანილი ციტატის ბოლოდან ვიგებთ (ოთხიოდე ოსტატური წინადადების შემდეგ მოთხრობაც სწორედ აქედან და ამით უნდა დაწყებულიყო!!!), ვიღაც ტურისტის ქალი ვასოს ვენერულ სენს გადასვლებს, ვასო კი თავის უშვილო მეუღლეს, იამზეს. ამ მხარეში თურმე ასეთი წესი ჰქონიათ: კაცმა ამგვარად შეურაცხყოფილი მეუღლე ბრილიანტის სამკაულ(ებ)ით უნდა შემოირიგოს! რაკი ვასოს საკმაო ფული აღარ აბადია, საძმოში მოგროვილი 190 მანეთით მოპარული სამკაულების გადამყიდველისაგან იყიდის ბრილიანტის საყურეებს და ამგვარ შუამავლობაში გამოქექილი ლავრენტი თოდუა გამწყრალ იამზეს რის ვაი-ვაგლახით მიაღებინებს ქმრის მიძღვნილ საჩუქარს. გავა დრო და ბრილიანტი ყალბი აღმოჩნდება! ახლა ამაზე აფორიაქდებიან სქემატური მოთხრობის საშინლად სქემატური, საქმეგამოლეული ამოდენა

პერსონაჟები! ერთი მათგანი, რამაზო დაიტრაბახებს: ამ ყალბ საყურეებს საიუფილერო მალაზიაში ნამდვილით შეეცვლიო. მაგრამ არ გამოუვა. „სამაგიეროდ ვასოს ოთხას სამოცი მანეთი ასესხებინა“ ნამდვილი ბრილიანტის საყურეების საყიდლად! „ვასომ მადლიერების ნიშნად რამაზოს ყალბი ბრილიანტის საყურეები აჩუქა, (აქ მძიმე კი არა, წერტილი უნდოდა. ჯ. მ.). ჰოდა, რამაზომ მათი გაყიდვა სცადა, რა დროსაც დაიჭირეს და ყალბი ბრილიანტებით იმ მოვაჭრის ცოდვებიც აპკიდეს, ვისგანაც ვასომ ყალბბრილიანტიანი საყურეები იყიდა. რამაზოს ციხიდან დახსნაში თითქმის ყველა მეზობელმა მიიღო ფულადი მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არავის სჯეროდა რამაზოს ნათქვამის, „ყალბი ბრილიანტის გაყიდვით მიღებული ორასი მანეთიდან ას ორმოცდაათის მიცემას ვასოსთვის ვაპირებდიო“. ამის შემდეგ... თუმცა რა აზრი აქვს გაგრძელებას!..

მოკლედ, ეს ყველაფერი ისეთი გულზბრყვილო და კუსტარულ-პრიმიტიული ხერხითა და გაჭირვება-გაჭიანურებითაა მიგლესილ-მოგლესილი, დამიჯერეთ ადამიანურად, პირდაპირ გული შეგიღონდებათ – ახალბედა რედაქტორებმა რა ზომამდე გააპარტახეს და გაათახსირეს ქართული პროზა!

231

თუმცა ეს მთავარი სათქმელი გენიალურადაც რომ იყოს გადმოცემული, მკითხველი მაინც გაკვირვებული და გულნაკლული რჩება: რა საჭირო იყო, რას იძლევა დასაწყისშივე მკითხველისთვის გზა-კვალის აბნევა თოდუების განელილი ისტორიით?! ეს ყველაფერი ხომ მთავარ სათქმელს თხრობის პროცესში უნდა ჩასწვწვნიონდა, ისიც ორიოდ სიტყვით!!! ანდა, რაკი ვასო ტურისტმა ქალმა დაასნებოვანა, ნუთუ ამიტომ საკურორტო ცხოვრების ამხელა მდარე მიმოხილვა-ნარკვევი უნდა წამძღვარებოდა მოთხრობას?! გასაოცარია, ღმერთმანი! მაშინ რა გამოდის? ამ ყაიდის პატარა მოთხრობაში, მაგალითად, ალპინისტთან ან ოლიმპიურ ჩემპიონთან დაკავშირებული რაიმე ამბის მოყოლა რომ მსურდეს, უნდა მივყოლო და ნაწარმოების შესავალი ჯერ ალიპინიზმის ისტორიით ან ოლიმპიური მოძრაობის ამსახველი სამ-ოთხგვერდიანი თავშესაწყენი ნარკვევით დავამძიმო?!



ამასაც რომ თავი დავენებოთ - არადა, რომელ ერთს დავანებოთ თავი! - ავტორს ჯერ არ გააჩნია სათქმელის არამცთუ მხატვრულად, არამედ ქართულ ენაზე ბუნებრივად და ნათლად გადმოცემის ელემენტარული კულტურა. აღარაფერს ვამბობ საერთოდ, მხატვრული პროზის და, მით უმეტეს, მცირე მოცულობის მოთხრობის შესაქმნელად საჭირო დახვეწილ, ნათელ, ლაკონურსა და ტევად სტილზე.

საძმო ვასოს ფულს უგროვებს ბრილიანტის სამკაულების საყიდლად.

„რორდომ თქვა, რომ ოცდაათი მანეთის სესხება შეეძლო, ოღონდ ერთი კვირის შემდეგ, როცა პონორარს აიღებდა თავისი სტატიისათვის სათაურით, „კოლმეურნეობაში მხოლოდ მოწინავეები მუშაობენ“, რომელიც საქალაქო გაზეთში დაიბეჭდა, სადაც ის სოფლის მეურნეობის (აქ აკლია სიტყვა „განყოფილების“. ჯ. მ.) კორესპონდენტად მუშაობდა. ბრატანკოტემ კი განაცხადა, დარწმუნებული ვარ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ჩემი ძამიკო კოტე ამ საქმისთვის ორმოცდაათი მანეთის სესხებაზეც კი არ იტყვის უარს, რომლის ნახევარს, ანუ ოცდახუთ მანეთს ჩემს (უნდა იყოს ჩემ. ჯ. მ.) მაგივრად ჩამოვა და შენც, ჩემო ვასო, მე დამიბრუნებ ჩემს წილ ვალსო“.

ეს არის მხატვრული პროზა, ანდა, საერთოდ, ქართული?

მოთხრობის ერთ-ერთ პერსონაჟს, ნიკოლაი ლუცენკოს თავისი ჯაბახანა „მოსკვიჩი“ თხრილში ჩაუვარდება.

„გოგიტა შეროზიამ კი თქვა, ნიკოლაი ლუცენკოს „მოსკვიჩის“ გაბზარული კარტერიდან გამოდენილი ზეთის ნაკვალევი, რომელიც მანქანის სასლში ბუქსირით მითრევის შემდეგ დარჩა, კიდევ დიდხანს დარჩება ასფალტზეო“.

წარმოგიდგენიათ?! მართლა მაგარი ყოფილა ის გოგიტა შეროზია: ამას როგორ მიხვდა, რომ გაბზარული კარტერიდან დაღვრილი თუ ნაჟონი ზეთის ნაკვალევი, მანქანის შინ მითრევისას რომ დარჩა, მერე კიდევ დიდხანს დარჩებოდა ასფალტზე! ყოჩაღ, გოგიტა!!!

ბრილიანტის საყურეებით აცუნდრუკებული იამზე უცხო კაცებს ეპრანჭება და... საქმე იქამდე მიდის, ძმაკაცები დრტვინვას იწყებენ - დროა, ვასოს თვალები აეხილოსო.

„ვასოს არც მაშინ ახელია თვალები, როცა თავისი ავტომანქანის გაფუჭებული კარტერისა და პატრონის აკარდენივით (უნდა იყოს აკორდენივით. ჯ. მ.) დაჭყლეტილი ფრთის გამო ბოლმად ქცეული ნიკოლაი ლუცენკო ყოველი დათრობის შემდეგ ხელში აკარდენს (უნდა იყოს აკორდენს. ჯ. მ.) იღებდა, ანუ ყოველ საღამოს მთელი ხმით ბლაოდა, მაშინ ძალზე მოდურ ალა პუგაჩოვას სიმღერის “Без меня тебе, любимый мой, лететь одним крылом...”-ს.

ამხელა აბზაცს რა სცხია მხატვრული პროზის?

„იამზემ... მდუმარედ მოისმინა მისგან ცნობა იმის შესახებ, რომ...”

„მთელ ჩვენს ქუჩასაც ვამცნე იმის შესახებ, რომ...”

რა არის ეს აკვიატებული „იმის შესახებ, იმის შესახებ“ – ბოლოს და ბოლოს, მხატვრულ პროზას ვკითხულობთ თუ პარტიული კრების მტვერნაყრილ ოქმებს?!

ხმა გავარდება, იამზეს ბრლიანტები ყალბი ყოფილაო.

„ნიკოლაი ლუცენკომ იგივე რამდენჯერმე გაიმეორა, ხოლო იამზემ, დარწმუნებული იმაში, რომ მისი საყურეების ბრლიანტები ნამდვილი იყო, ნატალია შეროზისთან კაბის შესაკერად ნაჭერს რომ ყოღულობდა მელარიოკე (უნდა იყოს მეფარდულე. ჯ. მ.) ნაირას გოგოსთან ერთად ვასოს საჩუქარი ოვეილერს შეამოწმებინა“.

233

პატივცემულო მკითხველებო, არ გეგონოთ, გადმოწერისას რაიმე შეცდომა მომივიდა – ციტატა ზუსტია! „ნიგნების“ რედაქტორსა და „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ აი, რა ჰგონიათ მხატვრული პროზა! მაგრამ შეიძლება არცაა ჰგონიათ, მაგრამ მაინც ბარბაროსულად გვაძალებენ, ვინაიდან მათ ასე სურთ!!!

შეწყვიტო ციტატების მოყვანა, თუ ასე ნაწილ-ნაწილ მთელი მოთხრობა გადმოვიწერო?!

\* \* \*

გელა ჩქვანავას ეს მოთხრობა თავიდან ბოლომდე გამართული ქართულითა და სანიმუშო სტილითაც რომ იყოს დანერგილი, ვერც ეს გაიყვანდა ფონს, ვინაიდან ნაწარმოებს არ გააჩნია იდეის, მხატვრული ფორმისა და აქედან გამომდინარე, ბუნებრი-

ვი მოცულობის ზღვარდამდები კომპოზიცია, რის გამოც მასში ნოყიერი საბალახო ჰპოვა ამდენმა ზედმეტმა პასაჟმა და წვრილმანმა. მოთხრობა სწორედ ამ მიზეზით გახდა განელილ-გაჭიანურებული, გადატვირთული, ბუნდოვანი, უფორმო, დაშლილი. უფრო გასაგებად და ცოტა უხეშად რომ ვთქვათ, იგი ნააგავს აჭრილ-აშრატებულ მანონს – ქილა ოდნავაც რომ გადავხაროთ გვერდზე, მაშინვე შრავი ეღვრება! ნამდვილი მოთხრობა კი კარგად ჩატალებულ მანონს უნდა ჰგავდეს – ქილა წალმა-უკუღმაც რომ ატრიალ-აქანაონ, ნვეთი არ უნდა გავარდეს!!!

მანონმა ერთი ძველი, ბავშობისდროინდელი ამბავი გამახსენა. ერთ ზაფხულს ჩვენს სოფელ ოზაანში თავის ნათესავთან თბილისიდან ბავშვებიანი ქალბატონი ჩამოვიდა დასასვენებლად. ეს ქალბატონი ჩვენი მეზობელი დედაკაცისაგან დღეჩაგდებით ყიდულობდა რძე-მანონს. როცა დაინახა, მანონი რძეზე ოთხი შაურით ძვირი ღირდა, გადანყვიტა, მხოლოდ რძე ეყიდა ხოლმე, მანონი კი თვითონ ჩაედებინა. რამდენჯერმე ეცაღნა, მაგრამ რაკი არ ჩასდებოდა, ძროხის პატრონს აუშარიანდა – წყალდაკრულ რძეს მატანო! ცილდანამებულმა დედაკაცმა წყევლით ქმარ-შვილი მინაში ჩაიწვინა – მაგას როგო ვიზამდიო! ქალაქელ ქალბატონს ვერც შემდეგ დღეებში ჩაუდებდა მანონი და დედაკაცს გაუგონარი უნდობლობა გამოუცხადა: წველას რომ დააპირებ, დამიძახე და ჩემი თვალით უნდა ვუყურო, რას მატანო!

გამრა დედაკაცი, განცვიფრდნენ მეზობლები, ფეხზე დადგა უბანი!

სალამოთი ნახირს რომ მორეკავდნენ და ფურს მოსაწველად დააბამდა, ეს დედაკაცი შვილიშვილს გააქცევდა ხოლმე ქალაქელი ქალბატონის დასაძახებლად. ისიც მაშინვე გამოჩნდებოდა მინანქრის ვარდისფერი სარძევეთ. წველას თავისი თვალით უყურებდა, რამდენსაც მოისურვებდა, იქვე ჩაასხმევიანებდა და მიჰქონდა. მაგრამ თქვენ ნუ მომიკვდებით – იმან მანონი ვერ ჩაიდებდა!!!

ნირნამხდარი ქალაქელი ქალბატონი სრულიად ბუნებრივმა ფორიაქ-ნერვიულობამ მოიცვა: თუკი იმ დედაკაცს უდებდებო, მე რატომ ვერ ჩამიდებოია – მეც ხომ ვიცი მანონის ჩადეღებაო?!

234

მართლაცდა, გასაჩხრეკი ამბავია! რძე ერთი და იგივე იყო, კლიმატური გარემოც იგივე. ჰოდა, თუკი იმ სოფელს დედაკაცს ჩატალებული მანონი გამოსდიოდა, ამ ქალაქელ ქალბატონს რალატომ ეჭრებოდა – ამანაც ხომ იცოდა მანვნის ჩადელება?!

რა ხდება, სად მარხია ძალღის თავი?

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, ამ ქალაქელმა ქალბატონმაც იცოდა, მაგრამ მან ყურმოკვერით იცოდა მანვნის ჩადელების მხოლოდ ძირითადი ეტაპები!!! ანუ: ადულებული რძე უნდა შევაციოთ, ჩავასხათ ქილებში, მოვურიოთ სადელი, დავახუროთ საფარებლები, საიმედოდ შევფუთოდ და აღარ შევეხოთ! გარკვეული დროის შემდეგ – წლის დროისა და სათავსოს ტემპერატურის გათვალისწინებით – მოვაშორეთ შესაფუთავი, რათა ქილებს სიგრილემ დაჰკრას და მალე ჩატალებული მანონიც მზად გვექნება!

რა თქმა უნდა, ამ ძირითადი ეტაპების ცოდნა აუცილებელია!

რა თქმა უნდა, ამ ძირითადი ეტაპების თანამიმდევრული დაცვის გარეშე მანონს ვერ ჩავადელებთ!

235

რა თქმა უნდა, ამ ძირითადი ეტაპების ცოდნა და შესრულება ყველას მოეთხოვება, ვინც კი მანვნის ჩადელებას მოისურვებს!

რა თქმა უნდა, ამ ძირითადი ეტაპების დამახსოვრებასა და მათ თანამიმდევრულ შესრულებაზე ადვილი არაფერია, მაგრამ მანვნის ჩადელების უმთავრესი საიდუმლო, ცოდნა, გამოცდილება, დაკვირვება, სიფაქიზე, ოსტატობა თუ ჯადოსნობა ამ ძირითად ეტაპებს შორის არის ჩამალული!!! ანუ: ჩასადელებელი რძე საჭიროზე ოდნავ ცხელიც რომ მოგვივიდეს, აიჭრება და არ ჩადელებს; თუ გაგვიცივდა, იგივე დაემართება! სადელი თუ მეტი მივეცით, რძეს აამჟავ-ააშრატებს, თუ დააკლდა, მაშინ ვერ შეადელებს! ქილები თუ მეტისმეტად სქლად შევფუთედ, რძე ჩახურდება და აშრატდება, თუ თბლად შეფუთული იქნება – გაცივდება და საერთოდ არ ჩავვიდებ! ქილებს შესაფუთავი თუ ძალიან ნაადრევად მოვაშორეთ, ეს ჩამანვნების დაგვირგვინებას შეუშლის ხელს და მანონი ნყალნყალა გამოვა, ხოლო თუ შესაფუთავის მოშორება დაგვაინწყდა ან დაუვგვი-

ანეთ, ქილებს საჭირო სიგრილე ველარ დაჰკრავს, ჩახურდება და მანონი აჭრილ-აშრატებული გამოვა!!!

აი, მანვნის ჩადედების იმ მარტივ, ყველასათვის ადვილად გასაგებ და დასამახსოვრებელ ძირითად ეტაპებს გარდა კიდევ რამდენი აუცილებელი პირობის ცოდნა და ზუსტად შესრულება ყოფილა საჭირო!!!

ახლა, ალბათ, ყველა მიხვდება: ამ პირობებიდან ერთიც რომ გამოგვეპაროს, ან ოსტატურად ვერ შევასრულოთ, მაშინ მანვნის ჩადედების მარტო ძირითადი ეტაპების ზერელე ცოდნა ვერ გვიშველის და მარცხიც გარდაუვალი იქნება!!!

განსაცვიფრებელი იდენტურობით თითქმის იგივე ხდება მხატვრულ ლიტერატურაშიც!!!

ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოების და, ცხადია, მათ შორის მოთხრობის „ჩადედების“ ძირითადი ეტაპები, ღვთის წყალობა, ყველამ იცის, უფრო სწორად, ყველას შეუძლია დაისწავლოს, ვინც კი მოიგუნებებს! მოთხრობის „ჩადედებას“ რა დიდი რამე უნდა, არაფერი: სათაური, პროლოგი, რაიმე ამბის მიბლანდვ-  
236 მობლანდვა, ავტორისეული ლაყაფი, დიალოგები, მკითხველის გასამხიარულებელ-გასაცინებელი ენაკვიმატობა, კვანძის გახსნა, რაიმე ინტრიგა, კულმინაცია, პროლოგი და ეგ არის – მოთხრობაც „ჩადედებულია!!!“ მაგრამ მწერლის სახელის შოვნის ყველა მსურველი ხვდება, ანდა სურს თუ არა, მიხვდეს: მხატვრული ნაწარმოების „ჩადედების“ საყოველთაოდ ცნობილ, ამ ძირითად საქრესტომათიო ეტაპებს შორის რანაირი პირობები და მოთხოვნილებებია განაბული მძვინვარე გველგესლასავით?!

ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობა „ისტორიული მეხსიერება“ დაბეჭდა ჟურნალმა „ახალი საუკუნე“ (მთ. რედაქტორი რეზო თაბუკაშვილი).

ქალაჩუნური მორცხვობა-მორიდების გარეშე უნდა განვაცხადო: მოთხრობა გადასაგდება! უფრო მეტიც: იგი იმდენად ნყალნყალა, უთავბოლო და უაზროა, რომ „უდანაშაულო“ ავტორთან ლიტერატურული პაექრობის ყოველგვარ სურვილს ძირშივე მისპობს და მინდა, არ მინდა, კრიტიკის საბურველში გახვეული მთელი ჩემი გაოგნება და აღშფოთება ბუნებრივად ჯერ ჟურნალის მთავარი რედაქტორისკენ მიემართება: მას გააჩნია კი საიმისო გენია და გამოცდილება, თანამედროვე ქართული პროზის რჯულმდებლობას რომ კისრულობს?! ჭაბუკური სულწასულობით ძალიან ნაადრევად ხომ არ იკურთხა ლიტერატურული ორგანოს მთავარი რედაქტორის ოქროს გვირგვინი?! ანა კორძაია-სამადაშვილის ამ მოთხრობის გამოქვეყნებით მან ეჭვქვეშ დააყენა არამარტო თავისი რედაქტორული კომპეტენცია, არამედ თავისი მწერლური შესაძლებლობებიც: პროზაიკოსობა არის კი მის შინაგანი მონოდება და ღვიძლი საქმე?!

237

მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ფეხბურთელი, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონი, დასავლეთ გერმანიის ეროვნული ნაკრების კაპიტანი ფრანც ბეკენბაუერი დიდ ფეხბურთს რომ დაემშვიდობა, მაშინვე ხმები დაირხა: კაიზერს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობა სურსო. ამან უკიდურესად გააღიზიანა ქვეყნის სპორტული სამყაროს მესვეურები. ჟურნალისტებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მკაცრი გაფრთხილება დაუწყეს კაიზერს: მსგავსი ოცნება მისთვის ძალიან ნაადრევი იყო, ხოლო თუ მართლა სერიოზულად ფიქრობდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, მაშინ ჯერ რიგითი კონსულტანტობით უნდა დაეწყო, რათა წლების განმავლობაში

უფრო ღრმად ჩაეხედა ეროვნული ნაკრების სამზარეულოში და რიგიანად გარკვეულიყო – შესძლებდა თუ არა მთავარ მწვრთნელობას, ეს გახდებოდა თუ ვერა მისი ცხოვრების მიზანი და ღვიძლი საქმე?!

ასეც მოხდა: ბეკენბაუერმა რიგითი კონსულტანტობით დაიწყო, დიდი ხნის შემდეგლა ჩაიბარა ეროვნული ნაკრები და მსოფლიო ჩემპიონიც გახადა!!! მაგრამ ფეხბურთის გენიის უანგარო სურვილს თავიდან ამგვარი სიფრთხილითა და სიმკაცრით მოეკიდნენ და ძალიან სამართლიანადაც, ვინაიდან ერთია ფეხბურთელის გენიოსობა და სულ სხვა რამეა ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა!!!

რეზო თაბუკაშვილი?! დავდოთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი: მას, როგორც დებიუტანტს, ჯერ რა გაუკეთებია ქართულ პროზაში, ანდა რა ისეთი ბელინსკი-ილიასებური წერილების ციკლით გაგვიმდიდრა ქართული ლიტერატურის კრიტიკული აზროვნება, ამხელა ჟურნალს რომ მოექცა სათავეში და მიმდინარე ლიტერატურული პროცესების მესაჭეობა იკისრა?! ამგვარი გრაფომანული ტექსტების გამოქვეყნებით ჟურნალს ხომ არსებითად ქაოსი შეაქვს როგორც ქართულ მწერლობაში, ისე მკითხველის ცნობიერებასა და გემოვნებაში. ამიტომ როგორც მკითხველი და ერთი რიგითი მწერალი მას უმორჩილესად ვთხოვ: უკიდურესი პრინციპულობით მიუდგეს თავის ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ყველა ნაწარმოებს. მაგრამ ჯერჯერობით საქმარისი ლიტერატურული გემოვნება-გამოცდილება თუ არ მოსდევს, ჟურნალის მთავარი რედაქტორობა კი აღარ ეთმობა, ანდა ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული, ფინანსური, ტექნიკური და სხვა რამე მიზეზით მისი მთავარი რედაქტორობა აუცილებელია, მაშინ, როგორც მსგავსი შემთხვევისას ხდება ხოლმე, მან უნდა მონახოს და რედაქციას დედაბოძივით შეუყენოს ვინმე გამობრძმედილი ბისმარკი-ლიტერატორი, როგორც გერმანიის იმპერატორს, ვილჰელმ I (1797-1888) ჰყავდა კანცლერად თავადი ოტო ედუარდ ლეოპოლდ ფონ ბისმარკი: ღვთივკურთხეული ვილჰელმ I თვითონ ყელმოღერებით იჯდა იმპერატორის ტახტზე და იმპერატორობდა, სახელმწიფოს მთელ საშინაო და საგარეო „შავ სამუშაოს“ კი წარმატებით ასრულებდა „რკინის

238

კანცლერი", რომლის ანდერძის თანახმად მისი საფლავის ქვას ამკობს მოკრძალებული ნარწერა „იმპერატორის მსახური“.

ახლა მივუტრიალდეთ თვითონ მოთხრობას „ისტორიული მეხსიერება“.

ნანარმოებს უკიდურესად პრეტენზიულ-გამომწვევი, ბევრის დამპირებელი სათაური აქვს! ცხადია, თავისთავად ამაში არაფერია მიუღებელი ან დასაძრახი! პირიქით: მაგას რაღა ჯობია, თუკი პრეტენზიული სათაურით აღძრულ იმედს ავტორის ტალანტი გაამართლებს და ინტერესალდრული მკითხველი ერთმანეთთან ოსტატურად შეხამებულ სათაურსა და ნანარმოებს ჩაუჯდება! ოღონდ მწერალმა წინდანინვე კარგად უნდა აწონდაწონოს თავისი შესაძლებლობები და მოთხრობას ზედგამოჭრილი სათაური მოუნახოს, რათა მყვირალა, გამომწვევი თუ გამაღიზიანებელი სახელწოდება მერე საბედისწეროდ არ ექცეს როგორც თვითონ ნანარმოებს, ისე მის წინდაუხედავ ავტორს. ყველას განსაცვიფრებლად ოლიმპიელ სიმაღლეზე მსტომელსაც შეუძლია გაუგონარ სიმაღლეზე ასწიოს თამასა, მაგრამ მარტო ეს რას მოუტანს, თუ უნაკლოდ ვერ გადაეველება, ყოველ ცდაზე უშნო წამოდებით ძირს ჩამოუვარდება თამასა და თამაშს საერთოდ გამოეთიშება!

239

აქაც დაახლოებით იგივე მეორდება და ეს ნანვლები ტექსტი და მისი მრავლისმეტყველი სათაური ემსგავსება თავნაჭრილ მამლაცინას: თავი-სათაური ცალკე რომ გდია, უთავო ტექსტი-ქათამი კი უაზრო ფართხალ-ხტუნვით უფრო და უფრო შორდება გულუბრყვილოდ თვალდაჭყეტილ თავ-სათაურს!

მაინც რა ისტორიული მეხსიერება აწუხებს ავტორს? იდეა და ჩანაფიქრი საინტერესოა, თუმც არ ახალია. მსგავს მოვლენასა და თემას ბევრგან და თუგინდ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანიის ყოფასა და ლიტერატურაშიც ვხვდებით, პატრიოტული თვითშეგნებით აღტკინებული გერმანელი კახპა საქვეყნოდ რომ იფიცება: ფრანგმა ჯარისკაცმა ბევრიც რომ გადამიხადოს, მაინც არ დაუწუნები, ვინაიდან მას ხელი უდანაშაულო გერმანელების სისხლში აქვს გასვრილიო.

აქაც დაახლოებით იგივე ხდება, ოღონდ ცოტა სხვანაირი ფორმით. ერთი ორმოციოდე წლის ბევრის მნახველი ქართველი



მანდილოსანი მეზობელი სახელმწიფოს „იმპერიული წარსულის გამო ერთიანად გულის ამრევ“ ქალაქში თარჯიმნად მოხვდება „კულტურათა დიალოგის“ სემინარზე. სწორედ აქ გაიცნობს მომხიბლავ „აზიატი“ მამაკაცს, რომელიც თავიდან ველური ეგონება, მაგრამ რა ველური, რის ველური – კაცი თურმე „პროფესორია. ოდესღაც ორკესტრში ჩელოზე უკრავდა...“ ახლა კი „ჰაიდეგერს თარგმნიდა“.

ჰოდა, ეს „აზიატი“ ახლა ყოველ ღონეს ხმარობს ახალგაყენობილი ქართველი მანდილოსნის გულის დასაპყრობად. ერთხელაც სადღაც ერთად სადილობენ თუ ვახშობენ. ახლა თავად ავტორს მოვუსმინოთ.

„მივხვდი, რომ არ უნდა დამელა. მე ხომ ვიცი, მთვრალს რაც მომდის ხოლმე, მაიმუნიც ლოურენს ოლივიედ მეჩვენება და ამ ველურთანაც ნაღდად მიეჭარავდი რამეს“.

მოკლედ, მიუხედავად იმისა, ჩვენი გმირი გახეთქილი მთვრალი იყო, მაინც არ „მიქარა“ და საქართველოს ღირსებაც გადაარჩა!

გუნებაში აი, ასე მსჯელობს გაღეშილი ქალი. მერე და მერე კი ისე მოსწონს ეს „აზიატი“, რომ მთვრალმა კი არა, შეიძლება ფხიზელმაც „მიქაროს“ და, ალბათ, „მიქარავდა“ კიდევ, რომ არა ეს დაუძლეველ-გადაუღალავი ფსიქოლოგიური ბარიერი – ისტორიული მეხსიერება!

ჩვენს მთავარ პერსონაჟს, ქართველ ქალბატონს ამ „აზიატის“ პირველივე დანახვისას „აოხრებული სოფლების, ჩახოცილი ბავშვების, გადამწვარი მონასტრების და ნამუსახილი ქალების ისტორიები“ დაუდგება თვალწინ.

ეს სანყალი „აზიატი“ პროფესორი გრძნობს, ქართველ ქალს რომ მოსწონს, ოღონდ იმას კი ვერ ხვდება – ანდა საიდან უნდა მიხვედრილიყო?! – მათ უანგარო ადამიანურ ურთიერთობაში ოსვენციმის ეკლიანი მავთულხლართივით რომ გაჭიმულა სასტიკი ისტორიული წარსული! ჰოდა, იმის მაგიერ, წავიდეს და პასუხი თემურლენგს (1336-1507) მოსთხოვოს, ბაიბურშიც არ არის და ჯენტმენურად მიიწვეს თავისი მიზნისკენ, თუმც ქართველი ქალი დაუკრეფავში გადასვლის მიზეზსა და უფლ-

ბას არ აძლევს, ანუ როგორც უცხო სიტყვათა მოტრფიალენი იტყოდნენ, შანსს არ უტოვებს. „მაგათ ისიც ეყოფათ, დიდი ბებიები რომ დამიბახეს, დამპლებმა, – ბრაზობს თავისთვის და დასკვნაც საკადროსი გამოაქვს, – რატომ უნდა გავაბაღნარო ვილაც მუსლიმი? (უნდა იყოს მუსლიმანი ან მუსულმანი? ჯ. მ.).“

ისტორიული მეხსიერებისადმი პატივისცემისა და ამგვარი სანიმუშო ეროვნული თვითშეგნების გამომჟღავნებისთვის უცილობელ პატივისცემას იმსახურებს პერსონაჟი ქალი, მაგრამ მწერალი ღრმად ცდება, რაკი ჰგონებია, რომ ამ პლაკატური იდეის სისათუთე მოთხრობას თავისთავად გაიყვანდა ლიტერატურის ორბიტაზე და მხატვრული დამაჯერებლობის მისაღწევად აღარ იქნებოდა საჭირო ტვინის ჭყლეტა: ამ იდეის მატარებელი და მისი განმხორციელებელი პერსონაჟის ბუნებრივი პორტრეტის გამოძერწვა.

მკითხველის დასაკვალიანებლად ავტორმა სახელდახელოდ და თანაც ზერელედ კი გადმოსცა ნანარმოების იდეის მიზანი, მაგრამ მარტო ეს არ კმარა – მერე ისე უნდა დაეხატა ეს მთავარი პერსონაჟი, რომ მკითხველიც თავისით, მწერლის მშრალი კარნახ-ჩიჩინის გარეშე დარწმუნებულიყო: ჩვენს უზნეო ეპოქაში ეს სხვებისგან განსხვავებული, ზნემაღალი ქალია და ისტორიული მეხსიერებისადმი ასეთი მონამებრივი ერთგულება მართლა მისი კეთილშობილური ბუნების შინაგანი თვისება-მოთხოვნილება ყოფილა და არა კუდმოკვეცილი მოთხრობის შესახანხლავად გულუბრყვილო დებიუტანტის მიერ თვითმიზნურად გამოგონილი იაფფასიანი ტრიუკი.

მოკლედ, ავტორი სულ არ ცდილობს, ვინ იცის, იქნებ არც ესმის, ანდა ესმის კიდევ, მაგრამ არ მოსდევს იმდენი მხატვრული გემოვნება და საფანელი, რომ ეს ქალი გამოვიდეს, გამოიყვანოს სწორედ ისეთი, როგორც ამას ნანარმოების იდეა მოითხოვს! წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი ნვალემა წყალში ჩაეყრება, რაც ასეც ხდება!

მანც როგორია ეს ქალი?

„ცოტა წადარტყმულო ინტელექტუალის იმიჯის მქონე“.

ჯერ ერთი, რა სიტყვაა წაღარტყმულო? მეორეც, ავტორი ასე რომ დაგვიხასიათებს, მერე მკითხველის თვალში რაღა ფასი დაედება ისტორიული მეხსიერებისადმი მის ერთგულებას?! ანდა, ისევ ის წელანდელი ციტატა გავიხსენოთ.

„მე ხომ ვიცი, მთვრალს რაც მომდის ხოლმე“–

ნასვამი მაინც დაენერა, კიდევ ჯანდაბას! ქალს დათრობა ჩვეულებად რომ აქვს გადაქცეული, თანაც მერე თავს ველარ იმორჩილებს და „მაიმუნიც ლოურენს ოლივიედ“ ეჩვენება, რა შთაბეჭდილებას დატოვებს?

მთავარი გმირი, არსებითად, ჩამოყალიბებული ლოთია.

„ჩამოვჯდებოდი სასტუმროს ბარში– ვადიდებდი გლობალიზაციას, რომლის წყალობითაც აქაც კი ნორმალური სასმელები იღებოდა (აქ რას ნიშნავს ეს ბოლო სიტყვა, ან რის თქმას წვალობს ავტორი? ჯ. მ.)“.

„იმ დამეს ბარში ორნი ვისხედით (თვითონ და თავისივე თანაოთახელი ქალი, კრისტინა. ჯ. მ.) და დილას ენას ძლივს ვატრიალებდი. კრისტინა კი სემენ-არზე (უნდა იყოს სემინარზე. ჯ. მ.) საერთოდ არ გამოცხადებულა“.

„ფანჯრიდან სიცივე, სიბნელე და ნესტი შემოდოდა, ვისკის გარდა ყველაფერი ცუდი იყო“.

„კრისტინა ჩემო, უკეთესს მაინც ვერაფერს იზამ-მეთქი (აქ ზედმეტი გამო-დის ეს „მეთქი“. ჯ. მ.). მეც ჩემსას ვეცდები-მეთქი. ძალიან მთვრალი ვი-ყავი“.

„მთვრალივით მივბარბაცებდი– ქალაქის ქუჩებში– რამე ბარს ვეძებდი– ბოლოს– მაინც მივაგენი– ბერძნული რესტორანი „დიონისე“. ლუდი მომი-ტანეს და მე მოვკვდი! თავზე ის ბარბაროსი (ანუ „აზიატი“. ჯ. მ.) წამომადგა. რამე უფრო მაგარი ხომ არ დაგველიაო.“

სასმელის ბრალი იყო თუ კაცისა, ამ ქალაქსაც არა უშავს-მეთქი“.

„სამუშაოს დაწყებამდე მოზრდილი ულუფა ვისკი ჩავისხნი – რას გავამ-დიდრე სასტუმრო! (რანაირი ქართულია „რას გავამდიდრე სასტუმრო!“ ჯ. მ.).

„თევზი მოგვართვეს და თეთრი ღვინო“.

სინტაქსს დააკვირდით! ხომ არ აჯობებდა, მენიუმდე ან მენიუსთან ერთად ჯერ გრამატიკის სახელმძღვანელო მიეტა-ნათ?!

„მერე, ღამით, ისევ ვისკის მივადექი, – დაუზარლად (უნდა იყოს დაუზარებლად და დაუზარებლივ. ჯ. მ.) შეუვსიათ ჩემი ბარიც და მაცივარიც. რომ მაგრა დავიხარჯო და ვალიც დამედოს – და საბოლოოდ გავეიუბედურე თავი“.

„მერე მითხრა, საღამოს გამოვივლი და ერთი გემრიელად ვჭამოთ“.

„საძაგლად წვიმს და დავსხდეთ ბარშიო? კაი-მეთქი–

სასტუმროს ბარში კრისტინა დაგვხვდა, მაღალ სკამზე შემომჯდარიყო–

– მოიცა, ასე არ დალიო! – კრისტინა ხელში მწვდა, – უნდა მივაჭახუნოთ–

და მერე კაცმა მითხრა (აქედან მთელი აბზაცის სინტაქსსა და სტილს დააკვირდით! ჯ. მ.), რომ ხვალე ადრე ვარ ასადგომი, რომ ის და კრისტინა რა, გამოიძინებენ, მე კი გრძელი გზა მაქვს გასაულებელი, და მე ვუთხარი, მართალი ხარ-მეთქი, და ავედი ნომერში და ისევ ვსვი. მე ფული აღარ ჩამეყვება (სად? ჯ. მ.).

ალიონზე კი, იმის იმედით, რომ აღარაფერს დამხედებოდა, ჩავედი (სად? ჯ. მ.). ისევ იმ მაგიდასთან ისხდნენ“.

„მაშინვე დამეძინა და დიდება ღმერთს (უნდა იყოს მაღლობა ღმერთს ან მაღლობა უფალს. ჯ. მ.), თორემ (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ალბათ (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), გაზს მოვუშვებდი და ასე დამთავრებოდა ყველაფერი და მერე იტყოდნენ: საწყალი გოგო, როგორი კარგი გოგო იყო, ოღონდ ნევროტიკი (უნდა იყოს ნევრასთენიკი. ჯ. მ.). თან სვამდა. ჰო, მაგრად სვამდა. საწყალი“.

მოკლედ, ეს პათოლოგიური გალოთებული პერსონაჟი უკიდურესად სექსმატურია, არადაამაჯერებელი, თვითმიზნურად ვულგარული – საბოლოო ჯამში კი ნანარმოების იდეის მიხედვით მასზე დაკისრებული როლისთვის სასაცილოობამდე შეუფერებელი.

„სინდისის ქენჯნას თავს აღარ ვაფუჭებინებ– სული მაქვს (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ეტყობა (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ასეთი, (აქ კი ზედმეტია მძიმე. ჯ. მ.) წამხდარი“.

აღალბებდა ავტორი ამას აი, ასე ანგარიშმიუცემლად აღიარებინებს თავის გალოთებულ „გმირს“ და სულ აღარ აგონდება, მოთხრობაში იგი რა მისიის შესასრულებლად ჰყავს „მონვეული!“

„მობილურში უშვერად ვიგინებოდი... მაგან (აქ ზედმეტი გამოდის ეს „მაგან“. ჯ. მ.) ვის გაუბედა, მაგ ახვარმა-მეთქი“.

„სრულიად იდიოტურად ვიფიქრე, ნეტავი ქალწული ვყოფილიყავი და ეს კაცი ჩემი ერთადერთი კაცი ყოფილიყო-მეთქი“.

„ლამაზი არ ვარ — ეს თმა, ვინმეს რომ შეიძლება მოეწონოს, შეღებილი მაქვს, კბილებიც ჩამისვეს (უნდა იყოს ჩამისხვეს. ჯ. მ.), ჩემი არაა (აბა, ვისა? სხვანაირად თქმა იყო საჭირო! ჯ. მ.), ჭორფლიანი მკლავები მაქვს და არარსებული მკერდი“.

„პატარა გოგო იყო, ციცქნა, ყველაფერი გახვერეთილი ჰქონდა“.

„საშინელი სანახავი ვარ სპაგეტის ჭამისას“.

„მთვრალივით მივაბიჯებდი შვიდ საათზე ჩამკვდარი ქალაქის ქუჩებში. მოქალაქეები (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ალბათ (აქაც მძიმე უნდოდა. ჯ. მ.) შინ ტელევიზორებს ჩამტერებოდნენ (უნდა იყოს მიშტერებოდნენ. ჯ. მ.) და ბავშვებს საშინაო დაფალებებს უმოწმებდნენ. მე ისინი მძულდნენ“.

რატომ, რა მიზეზით — ისტორიული მეხსიერების უერთ-გულესი ლოთი ქალბატონი რას ერჩის ან იმ უცოდველ ბავშვებს, ან მათ დედებს?!

„ბოლოს მაინც მივაგენი... ამაყი სახელი ჰქონდა: ბერძნული რესტორანი „დიონისე“. ვიფიქრე, მოწვევა თუ აკრძალულია, სარკეს მივაფურთხებ და აკვარიუმში სუპს ჩავასხამ-მეთქი“.

გრაფომანის თითებიდან ზემძლავრი ტუმბოებით გამოწოვილი ეს გულის ამრევი სქემატური პერსონაჟი, წელანდელი ბავშვებისა არ იყოს, რას ემართლება რესტორნის სარკეს ან აკვარიუმის პანია თევზებს — სანამ პოლიციის განყოფილებაში ანდა ფსიქიატრიულ კლინიკაში არ ამოაყოფინებენ თავს, მანამ არ გაჩერდება?!

მთავარი რედაქტორი ამნაირ უთავბოლო აბდაუბდას როგორ ბეჭდავს თავის ყურნალში — მკითხველი საზოგადოება თუ არა, საკუთარი პროფესიული ღირსება მაინც არ ადარდებს?!

„გაირკვა, რომ ველური და კაციჭამია მე ვარ (არადა, უნდა იყოს ვყოფილ-ვარ. ჯ. მ.) და არა ის პროფესორი“.

კიდევ კარგი, ამას მაინც მიხვდა!!!

„მე გავფაჩვარდი და მიუფუგე, შენ ეგ ვიღაც ბურჟუა ნაბიჭვარი ხომ არ გგონია-მეთქი... ისტერიჩკა ვარ... ჩემს ცოლს მაგრად გაუსწორდებო... გადავწყვიტე, ალტერნატიული დამეჭირა... სად წავიდა, (აქ მძიმე კი არა, კითხვის ნიშანი უნდოდა. ჯ. მ.)? – ჩაერთო ჩემი კაცი. ჩემი ბებიანებისაა. მაგრამ მაინც... მე ამასთან არანაირი სექსი არ შექნება, არც კარგი, არც ცუდი... ახლა ვის ჩემს ფეხებს დაუვრუეო?– დელიტქვენისა...“

კითხულობთ ყოველივე ამას და ხვდებით: ავტორმა ამ ნაძალადევად ვულგარულ, კარიკატურულ პერსონაჟს ისტორიული მეხსიერების იდეა თავს ისე ნაძალადევად მოახვია, როგორც თავის დროზე მარქსმა და ენგელსმა კაცობრიობას – მეცნიერული კომუნიზმი!

„შერე, ლამით, ისევე ვისკის მივადექი... და საბოლოოდ გაიუბედურე თავი... დავწოლილიყავი იმ პატიოსან კაცთან (ე. ი. „აზიატთან“. ჯ. მ.), რა ფინელი ყოფილი ცოლი (იმ „აზიატის“ ცოლყოფილი ფინელი ყოფილა. ჯ. მ.) და ეროვნული შუღლი ამიტყდა... ეროვნული და კლასობრივი შუღლები (უნდა იყოს შუღლი. ჯ. მ.) ვაი, ჩემს პატრონს. (აქ წერტილი კი არა, ძახილის ნიშანი უნდოდა. ჯ. მ.)“

245

რა არის ეს? ირონია თუ გროტესკი?! არადა, ტექსტის შინაარსსა და პათოსს მსგავსი არაფერი ეტყობა და ცხადი ხდება: ავტორს ბუნდოვნადაც კი არ აქვს წარმოდგენილი ამ პლაკატურ-სპეკულაციური იდეის არც მხატვრული ფორმა, არც ამ იდეის მატარებელი პერსონაჟი ქალის შესატყვისი ხასიათი, საფიქრალი, ფსიქიკა და ქმედებები. ამიტომ ნაწარმოების ხორცშესხმის მეთოდი და პროცესი სრულიად ლოგიკურია – მოთხრობა დილექტანტურ-მიამიტური ალაღბელობით, გზადაგზა, შემთხვევიდან შემთხვევამდე ნამოტივტივებული ფრაზებით, სცენებითა და სურათებით იჩხლართება.

თუ ამამი ვინმეს კიდევ ეპარება ეჭვი, ეს მაგალითი, ალბათ, ამ ეჭვსაც გაუფანტავს.

„აზიატმა“ ეს ქართველი მანდილოსანი რესტორანში დაპატიჟა და თან გულიც გადაუშალა: მისმა ფინელმა ცოლმა, უნივერსიტეტში სწავლისას რომ გაეცნოთ ერთმანეთი, თურმე ვერც თვითონ ეს კაცი აიტანა, ვერც შუა აზია და ისევე თავის სამშობლოში დაბრუნებულიყო.

მიუხედავად იმისა, ვერც აქ არის დაჭერილი პერსონაჟთა ფსიქოლოგიური ნოტი და დიალოგის ბუნებრიობა, რალაც სინრფელე და ინტიმი მაინც იბადება.

„ამ კაცმა მოთხრა, შენი ტომის ქალების შესახებ ბევრი მსმენია, მაგრამ არც ერთი არ მინახავსო. მე ვუთხარი, ბებია მაინც გეყოლებოდა ქართველი-მეთქი. არაო, გაიცინა, მეტი აღბათობაა, შენ გეყოლებოდაო ჩვენბური ბაბუა. სულ არ მეამა და ისედაც აყრილმა (რა შუაშია აქ ეს „აყრილი?“ თან აქ მძიმეც უნდა! ჯ. მ.), ვუთხარი, გამოძინება მინდა და დროზე მოვრჩეთ-მეთქი“.

მოკლედ, ამგვარი ინილო-ბინილოს შემდეგ, საკუთარ თავში დარწმუნებულ, ვნებამორეულ „აზიატ“ პროფესორს ისტორიული მეხსიერების უერთგულესმა ჩვენმა პატრიოტმა მანდილოსანმა ამჯერადაც უგანა და იმედი გაუცრუა, პირში ჩალა გამოავლო, ყინულზე გააცურა, მშრალზე დატოვა, ხბოს თავი მიართვა, განზრახვა ჩაუფუშა, ცივი წყალი გადაავლო, თავგზა აუბნია, დავთრები აურიო, საგონებელში ჩააგდო, გუნება წაუხდინა, განწყობილება აუმღვრია, სურვილი ჩაუკლა, სულში ჩააფურთხა, მასხარად აიგდო, განზილებული დატოვა, ეს მშვენიერი სალამო გაუფუჭა, წაუხდინა, ჩაამწარა, ჩააშხამა, აუმტუტა...

თუმც ასე მე, ერთი სიტყვაჩლუნგი და მხატვრულ აზროვნებას მოკლებული პროზაიკოსი ვფიქრობ! არ გაინტერესებთ, ყოველივე ამას როგორ აფასებს ქართველი მანდილოსანი (!) მწერლის პერსონაჟი, ისტორიული მეხსიერების ერთგული მოდარაჯე ქართველივე მანდილოსანი? მოუსმინეთ.

„შეიძლება ითქვას, რომ სალამოში ჩაეუკუეკ“.

„– დედა, რა ცუდი სიტყვა თქვა!“ – წარმოდგენილი მაქვს, როგორ აღმოხდება ობივატელს.

ეჰ, ნეტავი ეს მარტო ცუდი სიტყვა იყოს და მეტი არაფერი!

„– კი მაგრამ, მეტი რალა უნდა იყოს?“ – შემომეკითხება, აღბათ, იგივე ობივატელი.

რა და, მხატვრული უტაქტობა, რომელიც სათავეს ავტორის პიტალო უნიჭობიდან იღებს და გამოუცდელი რედაქტორის

მიზეზით თავისუფლად მოტბორავს ომბახიანი სახელწოდების მქონე ლიტერატურული ჟურნალის ფურცლებიდან!

მსოფლიო ლიტერატურა რამდენ კალმოსანს იცნობს, ვინც თავისი პიროვნული უტაქტობით სიცოცხლე სახრჩობელაზე, ბნელ დილეგში, სამუდამო ემიგრაციაში, სილატაკესა თუ დუელში რომ დაასრულა. სამაგიეროდ, დაჯილდოებულნი იყვნენ რა შემოქმედის ხალასი ნიჭით, თავ-თავიანთ ნაწარმოებებში არსად გაჰპარვიათ რაიმე საჩოთირო მხატვრული უტაქტობა!

ანდა, პირიქით: შემოქმედის სახელს ამოფარებული რამდენი პატიოსანი მოქალაქე დაიარება ამქვეყნად, პიროვნულად რომ უაღრესად ზრდილი, სათნო, ნესიერი, კეთილზნიანი, კორექტული და ტაქტიანია, მაგრამ არ მიმადლებიათ რა ხალასი ნიჭის ნატამალი, ნაწარმოებში თავისდა უნებურად გამოატყვერენენ ხოლმე ათასნაირ მხატვრულ უტაქტობას, როგორც ამ შემთხვევაში!!!

ჩვენმა ატვორმა აქ სრულიად უადგილოდ და უტაქტოდ წამოისროლა უწმანური სიტყვა და იმავე წამს დაემსგავსა ლაჩარ ჩხუბისთავს! ასე ჩხუბისთავებმა იციან: საზოგადოების ყურადღების მისაქცევად და თავიანთი ვითომდა ვაჟკაცობის ხაზგასასმელად რომელიმე მამაკაცს პატიოსან მუშტი-კრივში ჩაითრევენ ხოლმე, მაგრამ თუ იგრძნეს, ვმარცხდებიო, მაშინ გულშემატკივრების შესაძრწუნებლად და სირცხვილისაგან თავდასაძვრენად უმაღ ბებუთს გააძრობენ ხოლმე!

ანა კორძაია-სამადაშვილიც ასეთნაირადვე მოგვექცა! მკითხველი საზოგადოება ჯერ დიდი რიხით ჩაითრია ლიტერატურულ ორომტრიალში: ნახეთ, რა მაგარი მწერალი ვარ, ისტორიული მეხსიერების თემაზე არაჩვეულებრივი მოთხრობა უნდა წაგაკითხოთო! მაგრამ როცა თვითონვე დაატყო, წყალს ნაყავდა და არაფერი გამოსდიოდა, მაშინ არიფ მკითხველებზე შთაბეჭდილების მოსახდენად ლაჩარი ჩხუბისთავის ბებუთივით გაგვიძრო ეს უხამს-უწმანური ფრაზა – ეგებ ამან მაინც მომი-სულიეროს მკვდრადმოხილი მოთხრობაო!

ერთი სიტყვით, მიუხედავად იმისა, მთავარმა პერსონაჟმა ბოლომდე უერთგულა თავის ისტორიულ მეხსიერებას და იმ



„აზიატს“ არ შეუნვა ლოგინში, მკითხველი ამას არც უფასებს და საერთოდ, არც არაფერს იჯერებს, ვინაიდან ბოლოს ყველაფერზე თვალი აეხილა და თავი მოტყუებულად იგრძნო! ისტორიული მეხსიერების იდეის მატარებელი და მის განმხორციელებელი – თუნდაც სქემატურად! – ყოფილა არა მართლა ეს ყალბი პერსონაჟი, რომელსაც საერთოდ, არაფერი სცხია ქართველობის, არამედ პრეტენზიული სათაურის მოიმედე ავტორს მოსწონებია ამ ტევად-პლაკატურ ტერმინში ჩაკუმშული მაცდურ-სპეკულაციური იდეა, რომელიც ადვილად დასაძლევია ჰგონებია! მაგრამ მერე მისი მხატვრული ფორმის ჩამოსასხმელად აღარ ჰყოფნია მწერლური საფანელი და ამიტომ გამოსვლია რაღაც ლუგუმი ტექსტი, რომლის მსგავსი „მოთხრობებისა“ და „რომანების“ შიშით აღარ გადაიშლება დღევანდელი ქართული ლიტერატურული პრესა.

\* \* \*

248

ისე, ნეტავი მეც რას ვპოზიორობ, უხეირო მოცეკვავესავით ზედმეტ წრეებს ვუვლი და სათქმელს უფრო ფხიანად არ ვამბობ: რომელი მხატვრული ფორმის ჩამოსხმაზე ვრატრატებ, თუ ღმერთი მნამს, როცა ავტორმა ქართულიც კი არ იცის ხეირიანად! ენის უცოდინარმა რა მხატვრული ფორმა უნდა ჩამოგვისხას, ან საერთოდ, რა უნდა დაწეროს?!

ისედაც სასწაულების ქვეყნად მიჩნეული საქართველო შემთხვევითმა რედაქტორებმა კიდევ ერთი სასწაულით გაამდიდრეს: თავიანთ სასურველ ავტორს სისტემატურად ბეჭდავენ, მწერალს ეძახიან, ამ უკანასკნელმა კი ენა არ იცის – გამართულად ვერც აზროვნებს, ვერც წერს!!!

ამაზე დიდი სასწაულილა გინდათ?!

აბა, დააკვირდით: ორი-სამი წლის წინათ თბილისში ჩამოსული უცხოეთის საელჩოების ზოგიერთი წარმომადგენელი თუ ჩინელი წვრილი მოვაჭრეები ქართულად უფრო გამართულად აზროვნებენ და მეტყველებენ, ვიდრე ზოგიერთი ქართველი დებიუტანტი-მწერალი.

ანა კორძაია-სამადაშვილი აი, როგორ იწყებს თავის მოთხრობას.

„ეს ჩემი გმირი ქალი ერთობ ნაკითხი ქალი იყო. იცოდა, რომ ნიცშე ამას მუსიკაზე წერდა, მაგრამ სიყვარულის მიმართ თავის დამოკიდებულებას მაინც ნიცშეანურს უწოდებდა“.

აქ პირველი წინადადება ნათელი და გასაგებია, მაგრამ მერე მკითხველმა როგორ გაიგოს: ნიცშე რას წერდა მუსიკაზე? ენის უცოდინარი და ბუნებრივი თხრობის ნიჭუქონელი ავტორი ამ „ამას“-ში რას გულისხმობს?! ანდა, მოთხრობის უბედურმა რიგითმა მკითხველმა სად იკვლიოს – როგორია სიყვარულის მიმართ ნიცშეანური დამოკიდებულება?!

საჭირო იყო კი დასაწყისშივე ნიცშეთი ამგვარი მატრაკვე-ცობა?

ეტყობა, ავტორისთვის საჭირო იყო: რაკი თავად არ გააჩნია მოთხრობის შესაქმნელი მასალა და ზუსტი პროექტი, ამიტომ შთაბეჭდილების მოსახდენად და მკითხველის თავისი გავლენის ქვეშ მოსაქცევად ეს მყვირალა ავტორიტეტი დასაწყისშივე ზარბაზანივით დაგვიქუხა!

„უზარმაზარ ლოგინში ვიძინებდი“. – გვეუბნება ავტორი.

თუ არ ვცდები, მთელ მსოფლიოში ჯერჯერობით ისევ სტანდარტული ზომების სანოლები და ლოგინები მზადდება. პოდა, მკითხველმა მაინც როგორი, რანაირი „უზარმაზარი ლოგინი“ წარმოიდგინოს?! ხოლო თუ წყვილისთვის გათვალისწინებული ქვეშაგები იყო, მაშინ ეს სულ სხვანაირად უნდა თქმულიყო.

ჩვენს გალოთებულ პერსონაჟს, ეტყობა, ლოგინებთან პათოლოგიური გართულებები სჭირს. უყურეთ, წელან ნახსენებ იმ „უზარმაზარ ლოგინს“ მწერალი ახლა რას შეადარებს და შიგრა მოხდება.

„სიზმრებს, რომლებიც იმ დამეს დიდგორის ველისხელა (უნდა იყოს ველისოდენა. ვ. მ.) ლოგინში ჩაგდებულს მესიზმრა, ეროტიკული აღარ ჰქვია, მძიმე პორნოგრაფია იყო“.

ჰმ!.. კი მაგრამ, ლოგინთან შესადარებელი – თანაც ამგვარ კონტქსტში! – ავტორმა სხვა რამ ვერაფერი მოიფიქრა, პირდაპირ დიდგორს რომ არ სწვდომოდა?! თუმცა რას ვერჩი – დროის

შესაბამისად იქცევა: რაც უფრო ყველაზე სანუკვარ ეროვნულ სინმინდებებსა და სახსოვარს გაათახსირებ, მით უფრო დიდი მწერლის სახელს დაიგდებ!!!

მე აქ სხვა რამე უფრო მიკლავს გულს: ამგვარი თავანყვეტილი უხამსობა-უტიფრობის შემდეგ ლიტერატურული ჟურნალი ემსგავსება ძვირფას უცხოურ თოჯინას, განებივრებულ ბავშვს სხვების ბაძვით რომ უყიდვინებია მდიდარი მშობლებისთვის!

„სემინარის შემდეგ ჩაიცივი დაკარგული მეგობრის ტაშკენტში მკვდარი ბებიის ნახმარი პალტო“.

რა ხდება, ეს რა არის – შეთქმულებაა ქართული ენისა და ქართულად აზროვნების წინააღმდეგ თუ მკითხველის მახსარად აგდება?! ნუთუ ჟურნალის მთავარი რედაქტორი მართლა ვერ ხვდება, რომ ავტორმა ენა არ იცის, გამართულად ვერ აყალიბებს სათქმელს?! რას ნიშნავს, როგორ გავიგოთ ეს აბსურდული „ტაშკენტში მკვდარი ბებია“: ტაშკენტში გარდაცვლილი ბებია, ტაშკენტში მომაკვდავი ბებია, ტაშკენტში დაღუპული ბებია, ტაშკენტში დასაფლავებული ბებია თუ ტაშკენტში დასვენებული ბებია?! თანაც უნდა იყოს არა „ბებიის ნახმარი პალტო“, არამედ „ბებიის ნაქონი პალტო“.

250

ერთ საღამოსაც გაირკვევა, რომ ამ ქალსა და იმ „აზიატ“ მამაკაცს თურმე ერთი და იგივე ფირმის, ოღონდ სხვადასხვა ფერის ფეხსაცმელები სცმიათ.

„— ოღონდ შენი ცოტა სხვა ფერია. — მიუუგე მე, — თან რომ ბნელა, დიდად ვერ ვხედავ“.

რა გამოთქმაა „დიდად ვერ ვხედავ?!“ სად ნასწავლი ქართულით გველაპარაკება ავტორი?!. ანდა, ერთი მაცოდინა: ჟურნალს „ახალი საუკუნე“ ჰყავს მთავარი რედაქტორის მოადგილე, პროზის განყოფილების გამგე, ან განყოფილების ლიტმუშაკი, სტილისტი, გამობრძმედილი ლიტერატურული კონსულტანტი?.. საერთოდ, ვის კისერზეა ეს ათასგვარი სახის შეცდომა და მხატვრული ნუნნი?

ამ სქემატური მოთხრობის სქემატურ პერსონაჟ ქალს თავის მშობლიურ ქალაქში ერთი სქემატურადვე დახატული, უც-

ნაური საყვარელი ჰყოლია. ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ერთხელ ეს კაცი დაუბარებს: ამაღამ შენთან მოვალო, მაგრამ დროზე აღარ თუ ველარ მიუვა და ლოდინით დაღლილ-დაქანცულ, უკიდურესად გაღიზიანებულ ქალს თავის ბებიასთან ერთად ჩაეძინება.

„ღამის ოთხ საათზე (სალამოს ოთხი საათი შესძის, მაგრამ არსებობს კი ბუნებაში ღამის ოთხი საათი?! თუკი ოთხი საათი იყო, მაშინ ღამის კი არა, უკვე დილის ოთხი საათი უფილა! ჯ. მ.) კარზე მოადგა. ნეტა იქვე შეთქვა, აბა (აქ მძიმე უნდოდა. ჯ. მ.), ახლა იაღლა ჩემი სახლიდან და ცხოვრებიდან-მეთქი“.

სასაცილოა, ღმერთმანი! ჯერ ერთი, უნდა იყოს იაღლა და არა იაღლა. თანაც ეს შორისდებული გამოხატავს აღტაცებას და ამგვარ გამწარებულ ვითარებაში რა შუაში იყო ეს „იაღლა?“

სასტუმროს ორადგილიან ნომერში ჩვენს გმირთან, რომლის სახელი არ გვაღირსა ავტორმა, ცხოვრობს სემინარის კიდევ ერთი მონანილე, მშვენიერი კრისტიანა. ამ კრისტიანას შორეული ქალაქიდან ხშირად ურეკავს (მერე ჩამოაკითხავს კიდევ!) შეყვარებული. აი, ამას როგორ აგვინერს ავტორი.

251

„ის კაცი სულ რეკავდა, ჰაიდა, მიყარხარ, ჰაიდა, მენატრებიო“.

გასაკვირია: რა შუაშია აქ „ჰაიდა?“ რას ნიშნავს ჰაიდა? (შორისდებ.) – იხმარება წასასვლელად ნაქეზებისას.

საჭიროა კომენტარები?!

ავტორის ენის უცოდინარობა და აქედან გამომდინარე მხატვრული აზროვნების უსუსურობა პირდაპირ სანამებელ იარაღად ხდის ამ ისედაც უთავბოლო, მდარე ტექსტს!

იგივე კრისტიანა და ჩვენი გმირი აბანოში ერთად რომ შედიან, კრისტიანა ტელეფონს მიიახლოვებს ხოლმე: შეყვარებულმა რომ დამირეკოს, ვაითუ ვერ გავიგონოო.

ახლა ავტორს მოუსმინეთ.

„ზედ კართან ეღო (უნდა იყოს ეღვა. ჯ. მ.) ტელეფონი. ვაიდა (უნდა იყოს ვაითუ. ჯ. მ.) დაერეკა იმ კაცს და კრისტიანას ვერ გაეგო! (უღა იყოს გაეგონა! ჯ. მ.)“.

ჯერ ერთი, ავტორმა საიდან გამოატყვერინა ეს უცნაური, არარსებული „ვაიდა“, როცა უნდა იყოს „ვაითუ“. გარდა ამისა, კრისტიანას ის კი არ აშინებს: ვაითუ შეყვარებულმა დამირეკოსო, არამედ სულ სხვა რამ: საყვარელმა ადამიანმა რომ დამირეკოს, ვაითუ ვერ გავიგონო ტელეფონის ზარიო. აი, ამიტომ მიიახლოვა ტელეფონი! ავტორს კი ისე გამოსდის, კრისტიანას თითქო შეყვარებულის შეხმიანება აშინებდეს!

„იმან ისევ გამოიცინა – ზოგს რა ჯანსაღი კბილები აქვს, ესეც შენი რასობრივი თეორია“.

სრულიად გაუგებარია, აქ რა შუაშია რასობრივი თეორია?!

„გაღაფწვიტე, ბოლომდე შემერგო ჩემი უმოკლესი რომანსიერო (უნდა იყოს რომანსიერო. ჯ. მ.). ოღონდ ყოველგვარი ფიზიკის გარეშე!“

როგორც მთლიანი ტექსტიდან ჩანს, დაუფიქრებელი ავტორი ამ თავის „რომანსიეროში“ გულისხმობს ხანმოკლე მივლინების დროს ტარებას და იმ „აზიატთან“ ორჭოფული ურთიერთობით თავის გართობას. ამიტომ, წელანდელი არ იყოს, გაუგებარია – რა შუაშია აქ ფიზიკა?! თუმცა, როგორც მოთხრობა შემოგვბლავის ცირკის არენაზე დაჩოქილი, რაღაც ტრიუკის შეუსრულებლობისთვის გაჯოხილი აქლემივით, ავტორს არაფერი ანალვლებს: ის თავისებურად მიიჩქარის და რაც ენის წვერზე მოადგება, ყველაფერს ქალაღდზე ისვრის – ეტყობა, დარწმუნებულია, მაინც დაუბეჭდავენ!

„მშენიერი თევზი იყო, ბეჩავი (რესტორანი და ბეჩავი?! ჯ. მ.) „ღონისესაგან“ ნამდვილად არ ვულოდი. დიდხანს ვდუმდით, ასი სომხის გოგო დაიბადა. ეს ცუდი კაცი მიყურებდა და იღიმებოდა“.

აქ რა შუაშია ასი სომხის გოგოს დაბადება?! ან როდის დაითვალა?! ავტორს სულ არ გააჩნია სიტყვის, ფრაზის, დროის, აზრის გრძნობა – დაიბადებოდაო მაინც დაენერა!

„ასე ელვის სისწრაფით მოგუნებიალება რა მენახა“.

საინტერესოა, სად გაიგონა ან რომელ ლექსიკონში ამოიკითხა ეს „მოგუნებიალება?“

252

ავტორის მხატვრული აზროვნება არის სრულიად უსუსური, უმწეო, უმისამართო, უშედეგო, დუნე, ბუნდოვანი.

„ისე, რა კარგია, დილით რომ გაიღვიძებ და გიხარია და დაძინების წინ რომ იხსენებ, დღის განმავლობაში რა ხდებოდა და ტკბილად რომ გეძინება!“

არ გეგონოთ, ციტატის გადმონერისას რამე შემეშალა – მართლა ასე უნერია!

აი, კიდევ ერთი მთლიანი აბზაცი. სტილი აქაც ხელუხლებელია!

„ახლა რომ ვფიქრობ – ნეტა რას გაურბოდი, რა მეგონა, რო რა? ერთი კია: გავიქეცი და როგორც გავიქეცი, ისევე გამოვიქეცი, იმიტომ, რომ კაცმა მითხრა, ახლავე მოვალო, და აღარ მოვიდა. ვიჯექი მისი ლამაზი ცოლის ლამაზ ლოგინზე და ის არ მოვიდა. იმედია, იქვე, თავის ბინაში დაიძინა საღმე, მაგრამ მე რა ხეირო, რა მკვდარი, რა შინმოუსვლელი“.

ამნაირ ადგილებს რომ გავყვე, მაშინ თითქმის მთელი მოთხრობის გადმონერა მომიხდება, თუმც ერთ პანია ციტატას კიდევ მოვიყვან, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ავტორისთვის სრულიად უცხოა ქართული ენის ბუნება, წინადადების დაუმახინჯებლად აგების ელემენტარული ხელოვნება.

სქემატურ-თვითმიზნურად გალიზიანებული მთავარი გმირი გულცივ საზოგადოებას თუ თავის არარსებულ მტრებს გუნებაში ედიდგულება.

„დედითქვენისა! ჯერ კიდევ მოვასწრებ იმას, რომ გემრიელად ვიცხოვრო“.

ახლა განსაჯეთ მიუდგომლად: კალმოსანს იოტისოდენა რამ მაინც რომ გაეგებოდეს მშობლიური ენის მოქნილობისა, ის აქ რკინის პალოსავით ჩაარჭობდა მიცემითი ბრუნვის ნაცვალსახელს „იმას?“

ერთი იქნებ ამიხსნას ავტორმა: ვილა „იმას“ ან რომელ „ამას?!“ რად უნდა აქ ეს „იმას?!“ რას იძლევა ეს „იმას“, როცა იქვე სახელდება გემრიელად ცხოვრება!!!

მწერალმა კი არა, ნებისმიერმა ჩვეულებრივმა ქართველმა ნუთუ ვერ უნდა გაიაზროს ბუნებრივი ფორმები და იქიდან ერთ-ერთზე შეაჩეროს არჩევანი.

„ჯერ კიდევ მოვასწრებ გემრიელად ცხოვრებას“.

„ჯერ კიდევ მოვასწრებ, გემრიელად ვიცხოვრო“.

„ჯერ კიდევ მოვასწრებ, გემრიელად რომ ვიცხოვრო“.

„ჯერ კიდევ მოვესწრები გემრიელად ცხოვრებას“.

„უფალი ჯერ კიდევ მომასწრებს გემრიელად ცხოვრებას“...

ნუთუ ეს ფორმა უფრო სწორია და ბუნებრივი.

„უფალი ჯერ კიდევ მომასწრებს იმას, რომ გემრიელად ვიცხოვრო“.

\* \* \*

უკიდურესად ლატაკი და ამასთანავე უფერულია მოთხრობის ლექსიკა. ამიტომ მის ანაზღაურებასა თუ მიჩქმალვას ავტორი უცხო სიტყვების მოურიდებელი ხმარებით ლამობს.

„ინტილექტუალური იმიჯის მქონე... კონკრეტულად – ფანჯრიდან... ეგაა პრობლემა... საოცარი კონტრაქტის გამო... მორჩა, რა პრობლემაა?... მდორე შიზოფრენია... სოლარიუმში გასარუჯად... კულტურათა დიალოგი... კარმიული ვალები... ვადიდებდი გლობალიზაციას... ნორმალური სასმელი... რადიკალურად შეცვლა განვიზრახე... ეროტიკული აღარ ჰქვია... მძიმე პორნოგრაფია იყო... კონტრასტული შხაპი... სტრესის გადატანა... თბილი, მაგრამ ასექსუალური... ლაიტმოტივად მისდევედა... იდიოტკა, ო, იდიოტკა!.. ბათინკები ვიყიდე... რა კომპარია... რადიკალურად ენინააღმდეგებოდა... ექს-კაცმა (უნდა იყოს ექსკაცმა. ჯ. მ.) შემომხედა... ისტერიჩკა ვარ... რატომ მაკომპლექსებ-მეთქი... ალტერნატიული დამეჭირა... ცუდი სექსი გვექნება... ცალ თეძოზე ახალი სტრია... ვიცი, პირსინგი... ტემპში დავიბანე... ოლონდ ნევროტიკი... მონსტრია შესახლებული“...

უცხო სიტყვათა ამნაირ დომხალში რა აბოგინებს მშობლიური ენის შნოსა და მშვენებას?! არადა, ამის გარეშე როგორ უნდა შეიქმნას მხატვრული პროზა?

„თეფშზე ვეცადე კონცენტრირებას“. – გვეუბნება ერთგან ავტორი.

254

ჯერ ერთი, თეფშზე როგორ უნდა ეცადოთ კონცენტრირებას?! მეორეც, მწერლობის მოსურნე ამ უმარტივეს ვითარებაში თუგინდ ასეთ უბრალო წინადადებასაც რომ ვერ მოიფიქრებს – „ყურადღების მოსაკრებად (აზრზე, გონზე მოსასვლელად...) თეფშს ჩავაცქერდი (დავაცქერდი, ჩავაშტერდი...)“. – აბა, ის როგორ მივიჩნიო ქართველ მწერლად?! არ მესმის, აქ ავტორს რისთვის დასჭირდა ეს აქა-იქ ნათრევი უცხო სიტყვა „კონცენტრირება“, კალაშნიკოვის ავტომატივით ავად რომ კაკანტატანებს – კვკტტტრრრ! და ამ ადგილზე მეოცნებე ქართულ სიტყვებს მუსრს ავლებს!

„მერე ავდიოდი ჩემს სუიციდალურ ოთახში და უზარმაზარ ლოგინში ვიძინებდი“.

ავტორი თავის მკითხველებს აქ უკვე მატრაკვეცა გოგონასავით ეკენჭავება სადღაც ყურმოკრული ამ უცხო სიტყვით!

რას ნიშნავს ეს ლათინური წარმოშობის სიტყვა სუიციდოლოგია? მეცნიერება, რომელიც შეისწავლის თვითმკვლელობებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და მათი თავიდან აცილების საშუალებებს.

რამედ ღირებულმა მწერალმა უცხო სიტყვებით კი არ უნდა იკოჭაოს, არამედ თავისი სათქმელი თავანკარა მშობლიური ენით გამოხატოს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, მოთხრობაში სრულებით არ იგრძნობა ამ ვინროდარგობრივი სპეციფიკის მქონე სიტყვის ხმარების საჭიროება ან აუცილებლობა. ღმერთი, რჯული – სასტუმროს ამ ოთახში არავის მოუკლავს თავი, არც ახლა აპირებს ვინმე თავის მოკვლას, არც მერე მოხდება თვითმკვლელობა, არც ამ სფეროს მეცნიერები თუ ექსპერტები ჭაჭანებენ ირგვლივ!!! ამიტომ მკითხველისთვის გაუგებარი რჩება: სასტუმროს ამ ერთ-ერთ ჩვეულებრივ ნომერს ავტორი რა საბუთით უნოდებს სუიციდალურს? ან იქნებ ჰგონია, ამ უცხო სიტყვით გაგვაბრუებს, დაგვატყვევებს და ნამდვილ მოთხრობად მივიჩნევთ მის უთავბოლო, წყალწყალა ტექსტს?!

სამწუხაროდ, ამ კრებულში შეყვანილი თხუთმეტი ავტორიდან ორიოდეს გარდა პრინციპში (მაპატიეთ ამ სიტყვის ხმარე-



ბა – მაიძულეს! ჯ. მ.), არავის გააჩნია სიტყვასთან ფაქიზი მიდგომის ნიჭი, ალლო, სურვილი...

„პრინციპში, ხომ ასე გამოდის?“ – ანა კორძაია-სამადაშვილი.

„პრინციპში, ეს ერთი და იგივეა“. – ირმა მალაციძე.

„ქალს... კოცნაც ემარჯვებოდა, პრინციპში“. – მარიანა ნანობაშვილი.

გასაკვირია, ასე უაზროდ და უადგილოდ რას გადაჰკიდებიან ამ უცხო სიტყვას?! აბა, დააკვირდით, ეს „პრინციპი“ რა დღეში აგდებს ენას, სინტაქსს, სტილს, აზრს, მხატვრულობას! „ქალს კოცნაც ემარჯვებოდა“. „უნდა ითქვას, ქალს კოცნაც ემარჯვებოდა“. აბა, ამ წინადადებებს რა აკლდებათ „უპრინციპობით“?!

მაშინ მივაყოლოთ და ვწეროთ ასე: „პრინციპში, მზე უკვე ჩასულიყო“. „პრინციპში, გრაფომანებმა ენა წაახდინეს“. „პრინციპში, დღეს უპრინციპო რედაქტორების მეუფებაა“. „პრინციპში, მწერლობაში წრეობანა ბატონობს“. „პრინციპში, ბავშვს ძალიან მოშიებოდა“...

256

აბა, ახლა განვსაჯოთ – პირველი სიტყვის გარეშე რომელ წინადადებაში შესუსტდებოდა ან დაიკარგებოდა აზრი?

კრებულში შეტანილი უმეტესი მოთხრობებისთვის გამოქვეყნებამდე ავტორები რომ შეგვეცვალა, მერე ერთმანეთში ბანქოსავით აგვერია და ისე წარგვედგინა, მკითხველი საზოგადოება, ალბათ, ვერაფერს მიხვდებოდა, რადგან ამ ნაწარმოებებს ერთმანეთს უსაშველოდ ამსგავსებს საერთო ნაკლი: ერთნაირად ლატაკი ლექსიკა, უცხო სიტყვებისადმი უაზრო ლტოლვა, ერთნაირი ჟარგონი, შეუკრავი სიუჟეტი, მიღრეცილ-მოღრეცილი კომპოზიცია, დამლილი მხატვრული ფორმა, არამწერლური ჭკრეტა და სმენა, უაზრო და უადგილო დეტალების გამოდევნება, არაქართული სინტაქსი, თხრობის უთანაბრობა, უსახური სტილი, ერთმანეთისაგან ნასესხები გაცვეთილი ფრაზები, არაბუნებრივი დიალოგები, მართლწერის აღმამფოთებელი უცოდინარობა... რომელი ერთი დავასახელო?!

პერსონაჟები? მხატვრული ნაწარმოები პირველ რიგში ხომ ცოცხალი პერსონაჟებით ფასობს და ცოცხლობს!!!

ნუგზარ შატაიძის ამ ციციქნა მოთხრობის პერსონაჟები არამცთუ ცოცხალი, არამედ სულით ხორცამდე ქართული პერსონაჟები არიან! აი, აქ უპირველესად რით იხიბლება მკითხველი!

ზაალ სამადაშვილისა და აკა მორჩილაძის მოთხრობებსაც ბევრი ნაკლი გააჩნიათ, მაგრამ ეს ვერაფერს აკლებს მთავარ პერსონაჟებს – მათი მარტო დასახელებაც კი კმარა და მკითხველის წარმოსახვაში თავისთავად იხატებიან. ეხუმრებით – აკაკი წერეთელი, სანდრო კანდელაკი!

დანარჩენი თორმეტი მოთხრობიდან დამისახელებთ თუგინდ ერთი, დამაჯერებლად დახატული და მეტ-ნაკლებად დასრულებული, გამოკვეთილი ქართული ფსიქიკა-ხასიათისა და ბუნებრივი ქცევის მქონე ცოცხალი ტიპი. ყველა მათგანი გრაფომანული ინკუბატორიდან არის ნაჩქარევად და ნაძალადევად გამოჩეკილი – გულშესანუხებლად სქემატური, არაბუნებრივი და აუტანელი. ისინი გაუთავებლად ქაქანებენ, ხმაურობენ, მოქმედებენ, ნვალობენ, იბრძვიან, იღვნიან, მაგრამ არც ავტორებმა და არც თვითონ ჭკვაგარკვევით არ იციან – ვისთვის, რისთვის?..

257

\* \* \*

ერთმანეთს საოცრად ჰგვანან რკინიგზა და მხატვრული ნაწარმოები. როგორც ვაგონები მოძრაობენ მკვიდრად დაგებულ რკინის რელსებზე, ნაწარმოების მხატვრული ფორმისა და შინაარსის „ვაგონებმაც“ ასევე გამართულად უნდა ისრიალონ თავიანთ „რელსებზე“.

მხატვრულ ლიტერატურაში რელსების როლს ნაწარმოების იდეა თამაშობს.

ანა კორძაია-სამადაშვილმა ოსტატურად მიგნებული საინტერესო თემისა და იდეის მეშვეობით პირდაპირ ოქროს „რელსები“ დაუგო თავის მოთხრობას, მაგრამ ნიჭი და გამოცდილება აღარ ეყო, ამ უსათუთესი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკიდურესად რთული თემისთვის ისეთი მისადაგებული და დამაჯერებელი მხატვრული ფორმაც მიეცა, რომ „ვაგონები“ უავარიოდ გაჰყოლოდნენ უნაკლოდ დაგებულ „რელსებს“.

როგორც რაიმე მიზეზით გამოწვეული ავარიისას ნამდვილი მატარებელი ასცდება ხოლმე თავის რელსებს, „ისტორიულ მეხსიერებასაც“ იგივე დაემართა: მხატვრული ფორმა და ამბავი მოთხრობის დაწყების შემდეგ ძალიან მალევე ასცდნენ თავიანთ იდეა-„რელსებს“.

ოღონდ აქ ერთი დიდი განსხვავებაა.

რკინიგზაზე მომხდარი ავარიისას რელსებიდან ასხლეტილი მატარებელი გაივლის ხოლმე რაღაც მანძილს და მერე ფეთქდება, ხანძარი უჩნდება, იღვნება და იშლება, მდინარესა თუ ხევში იჩეხება, გვერდზე წვება ანდა ბორბლებით მიწაში ეფლობა და თავისით ჩერდება.

ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობაში მსგავსი არაფერი ხდება: „რელსებიდან“ ასხლეტილი მოთხრობა შეუპოვარ ავტორს მაინც ჯაყჯაყით მიჰყავს „რელსების“ პარალელურ ოღროჩოღროებზე და მუცელგამოდგვეფილ, თავბედნაწყველ „მგზავრ“-მკითხველებს პატიოსნად მიიყვანს ბოლო გაჩერებამდე. მაგრამ ვაი ამნაირ მიყვანას!

258

\* \* \*

„მერე ძაღლებიც დავიკიდე“. – მოთხრობის დასასრულს ორმოციოდე წლის ქალაპიჭა პერსონაჟი მანდილოსნის მიერ ასე გამომწვევად ნამოსროლილი ფრაზის ბოლო სიტყვამ ლამის გული ამირია და ამდენი ტანჯვა-წვალების შემდეგ რაღაც-რაღაცეების მოსაძებნად „15 საუკეთესო“ კიდევ ერთხელ და თანაც დიდხანს ნაღმა-უკულმა მაფურცვლინა.

ამ შემთხვევაში უშუალოდ ანა კორძაია-სამადაშვილთან აღარაფერი მაქვს საკამათო – მოთხრობა მისია და სადაც რომელი სიტყვა მიუჩნევია საჭიროდ, იმასაც იქ ის სიტყვა უხმარია. ჩემი გულისტკივილის მიზეზი სულ სხვა რამეა: ახალბედა კალმოსანთა ერთმა ჯგუფმა ამ ყოვლად ჩვეულებრივ სიტყვას „დაკიდება“ ნებისმიერი მსურველისთვის მწერლობაში შესვლის ყოვლისშემძლე საშვისა თუ პაროლის ძალმოსილება მიანიჭა!!!

აღარ აქვს მნიშვნელობა, დებიუტანტი წვერულვაშამწვანებული ჭაბუკია თუ დედაბრის ასაკს მიტანებული მანდილოსანი,

აღარც იმას ენევა ანგარიში, მოცემულ პერსონაჟს ანატომიურად მაინც გააჩნია თუ არა რამის დასაკიდებელი ანუ ქალია თუ კაცი! აღარც იმას უფიქრდებიან, პერსონაჟის ასაკი, სოციალური მდგომარეობა, განათლება, თანამდებობა, ხასიათი, იმჟამინდელი მისი გუნება-განწყობილება, ნაწარმოების გარემოება და ვითარება მხატვრულად იხამებს თუ არა ამ ყბადაღებულ „მკიღია-ეკიდას“ – უმრავლესობა თავს მოვალედ თვლის, თავის პერსონაჟს უეჭველად წამოაყრანტალებინოს ან მიანეროს ეს „ეკიდა“, როგორც საკუთარი მწერლური ავტორიტეტის დადასტურება-დაკანონება!!!

მოქანცულო მკითხველო, თუ არ დამზარდებით, კიდევ ერთხელ მივუტრიალდეთ ნიკუშა ანთაძის მოთხრობას „რამდენიმე ერთი გაკვეთილი“.

„– მე შეყვარებული მყავს და– – იბნევა ლიზუნა.

– მკიღია შენი შეყვარებული. – ზუმბიკა გოგონას კედელთან იმწყედვეს და კოცნას უპირებს.

– მე კიდევ დედაშენი მკიღია. – ზუმბიკასა და ლიზუნას ტვიქსა წამოადგა თავს“.

259

რას იტყვით, ხომ „მაღალმხატვრული“ დაკიდებების მონმენი გავხდით?

ახლა გადავინაცვლოთ ეკა ლალანიძის მოთხრობასთან „კვირაში სამჯერ“ და გავიხსენოთ მთავარი პერსონაჟი, თეო – ასაკოვანი, სერიოზული ქალბატონი, ინტერნეტიდან ამოკრეფილ მასალებს საჭიროებისამებრ რომ ანანილებს სასწავლო პროგრამებში(!) და თან მეთერთმეტე კლასელ ტასიკოს ინგლისურ ენაში ამეცადინებს.

„აღმოსავლეთის ვენახები რომ ისეტყუბოდა და დასავლეთის მთიან სოფლებს მეწყერი რეცხავდა (ისე, ჩვენ შორის კი დარჩეს და მეწყერი ღვარცოფი ხომ არ არის – სოფლები როგორ უნდა წარეცხოს?! ჯ. მ.), ესეც კიდა“.

ყოჩაღ, თეო! ქალიც შენა ყოფილხარ და ლეჩაქიც შენა გხურებია: ნახევარი სამშობლო დაგვლუპია, შენ კი ეს ყველაფერი მაინც იმაზე გკიღია!

ჰმ!.. ამისთანა ქალბატონი აღმოსავლეთის დასეტყვილ ვენახებსა და დასავლეთის წარეცხილ (უფრო სწორედ, დამენყრილ) სოფლებს ასე უსულგულოდ რომ დაიკიდებს, აბა, დანარჩენ ქართველ მანდილოსნებს რაღა უნდა მოვთხოვოთ – იმათ კიდევ, ალბათ, მთელი საქართველო ჰკიდიათ! ისე კი, ბოდიში მომითხოვია და, შეიძლება ეჭვიც შეგივიდეთ: როგორ შეიძლება, თეოსთანა დარბაისელსა და ჭკუადამჯდარ ქალს ნახევარი საქართველო ასეთი სადისტური გულგრილობით ეკიდოს?! ეს მხატვრულად რამდენად დამაჯერებელია?!

მხატვრულობას ვინ დაგიდევთ, თუ ღმერთი გნამთ – იაფფასიან ჟარგონულ მოდას ბრმად გამოდევნებული გრაფომანი ავტორი აკიდებიანებს და ძალაა?!

ბარემ ბესო ხვედელიძის მოთხრობაც გავიხსენოთ „სოფელი პატივა“. მთავარი პერსონაჟია მამაკაცი, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს კონტრაქტით მთის სოფელში ექვსი თვით მივლინებული ექიმი.

„ამ წერილს რომ ვწერ, ფანჯარასთან ვზივარ – სულ მთლად გალუმპული ვარ (ოფლისგან. ვ. მ.). ვყარვარ მეც ბოლომდე, მაგრამ შკიდია“.

ამ სოლიდურ კაცს კიდევ საკუთარი პიროვნება და ღირსება ჰკიდია თუ აკიდებიანებენ – ნადით ახლა და უჩივლეთ ან ავტორს, ან თვითონ პერსონაჟს!

მოკლედ, ამ „დაკიდებით“ მხატვრული ნაწარმოების შექმნის „გენიალური“ მეთოდი აღმოჩენილი და დანერგილია!..

„დაკიდებას“ მწვანე შუქი უნთია!...

ლიტერატურულ სიმაღლეთა თამასა ძირს უგდია!..

მწერლად გახდომის მსურველებო, მაშ, დროს ფუჭად ნულარ დაკარგავთ, ამწუთიდანვე შეუდექით საქმეს და კარგად გახსოვდეთ: არა აქვს მნიშვნელობა, რას ან როგორ წერთ – მთავარია, თქვენს პერსონაჟებს უეჭველად ეკიდოთ! ეგ არის და ეგ!!!

## ბოლოთქმა

ამ წიგნისა და მასთან დაკავშირებულმა ჩემი ტანჯვა-წამების დასრულებამ შეებით კი არ ამომასუნთქა, როგორც მსგავს შემთხვევაში ხდება ხოლმე, არამედ სინანულისა და უკმარისობის განცდა დამიტოვა, ვინაიდან იგი როგორი მწვავე კრიტიკულიც უნდა იყოს, ამგვარ ვითარებაში ეს მაინც საქმის ნახევარია!

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ლიტერატურულ უგემოვნობასა თუ მის მიერ ჩადენილ უსამართლობა-ძალმობრეობაზე მკითხველებს მხოლოდ მაშინ შეექმნებოდათ სრული წარმოდგენა, ხელთ ალტერნატიული კრებულიც რომ ჰქონდეთ, რათა თავად დარწმუნებულიყვნენ: 2005 წელს ქართულ ლიტერატურულ პრესაში რანაირი მოთხრობები დაიბეჭდა, გამომცემლობას კი იქიდან რომელი მოთხრობები მიუჩნევია ყველაზე საუკეთესოდ!!!

ჩემი სინანულისა და გულისტკივილის მიზეზიც სწორედ ეს არის: არ გამაჩნია საიმისო სახსარი ამგვარი ალტერნატიული კრებულის გამოსაცემად, სადაც მოხვდებოდნენ 2005 წელს გამოქვეყნებული შესანიშნავი მოთხრობების ავტორები: ოტია იოსელიანი, რევაზ მიშველაძე, გუგული ტოგონიძე, ფრიდონ ხალვაში, აკაკი დაუშვილი, ზურაბ თორია, მანანა ავალიშვილი, ელგუჯა ლებანიძე, გულიკო კობიაშვილი, ჯემალ მონიავა, ნოდარ კეკელიძე, დავით შემოქმედი, ბონდო მაცაბერიძე, გიორგი ზვარელი, თამაზ ანთაძე, მამუკა ლიპარტიელიანი... ბოდიშს მოუხბდი ყველა იმ ნიჭიერ პროზაიკოსს, ვისაც აქ ვერ ვასახელებ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აბსოლუტურად ყველა ლიტერატურულ ორგანოზე არ მიმინვდებოდა ხელი და ზუსტად არ ვიცი, 2005 წელს ვინ სად დაიბეჭდა...

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შერჩეული ლიტერატურული პროდუქცია იმდენად სუსტია, რომ თავს უფლებას ვაძლევ ზემოთ ჩამოთვლილ მწერლებს საკუთარი თავიც მივათვალო, ვინაიდან 2005 წელს გაზეთმა „ლიტერატურულ-

ლი საქართველო“ ორი მოთხრობა – „სტალინგრადის ალყა“ და „ქალბატონ ლმ-ს“ გამომიქვეყნა.

ჭემმარიტების პატივისცემის და მშობლიური ლიტერატურის სიყვარულის ნიშნად ამგვარი ალტერნატიული კრებული იქნებ რომელიმე ქველმოქმედ ბიზნესმენს ან თუგინდ იგივე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობას“ დაესტამბა?! ჰმ!.. თუმცა ეს უკვე ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება!..

დასასრულ, მკითხველის ყურადღებას მაინც საგანგებოდ შევაჩერებ ერთ ავტორზე. ჟურნალის „ოლე“ 2005 წლის მე-4 ნომერში გამოქვეყნდა მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვის უცნობი ავტორის, მაყვალა მიქელაძის მოთხრობა „ნაროელი მეჭირ“.

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ თუ ეს მოთხრობაც არ გასინჯა, დიდი უსამართლობა ჩაუდენია! თუ ნახა, მაგრამ ვერა გაუგო რა, სრული ლიტერატურული უმეცრება გამოუმულავენებია! ხოლო თუ მიხვდა, რაც იყო და შურისაგან გულათახთახებულმა განზრახ მიჩქმალა, მაშინ ისეთ ცოდვაში გახვეულა, რომ ამ ცოდვას ვერ ჩამოირეცხავს, სანამ იარსებებს ქართველი მკითხველი და ქართული ლიტერატურის ისტორია!!!

პატივცემულო მკითხველებო, მაყვალა მიქელაძის ამ მოთხრობამ რეცენზია დამანერინა, მაგრამ რაკი აქამდე ვერსად მოვახერხე მისი გამოქვეყნება, ამიტომ აქვე ვბეჭდავ.

**...გვეტყვიან... გვეუბნებიან!..**

„დღეს კი რა შეუძლია უთხრას მწერალმა საზოგადოებას ისეთი, რაც მან არ იცის?! რასაკვირველია, არაფერი!“

ირაკლი ლომოური

ინტერვიუდან, ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, 2004 წელი, №2.

დიახ, მაგრამ ამის მიუხედავად, მწერალი საზოგადოებას მაინც ყოველთვის ეუბნება და ეუბნება სწორედ იმას, რაც თვითონ საზოგადოებამაც კარგად იცის, ოღონდ ერთი „პატარა“ განსხვავებით – მწერალი სათქმელს ეუბნება მხატვრულად! სწორედ ამაშია ლიტერატურის ძალმოსილება, მშვენიერება და უკვდავება!!! და მაინც, ახალგაზრდა კალმოსნის ამგვარმა მკაცრმა განაჩენმა საგონებელში ჩამაგდო: ქართველი მწერალი თავის მკითხველს ნუთუ მართლა ველარაფერს ეუბნება-მეთქი რამე ღირებულს?!

263

სევდა-მწუხარებას ის უფრო მიღრმავებდა, რომ ი. ლომოური ნაწილობრივ მართალია და მეც კარგად მესმის მისი გულისტკივილი და მინიშნება: ნიჭითცხებული ნაწარმოებები ჩვენში დღეს ძალიან იშვიათადღა იქმნება და იმასაც ხშირად შურისა და მიჩქმალვის ნაცარი ეყრება, ხოლო გრაფომან-ეპიგონთა ურდოების მიერ დახვავებულმა მაკულატურამ ისეთი რა უნდა უთხრას დღიური ჭირ-ვარამით გატანჯულ მკითხველს, რაც ამ უკანასკნელს დააინტერესებდა ან ააღელვებდა?!

მოკლედ, არ ვიცოდი, როდემდე გასტანდა წაწაკითხით გამოწვეული ეს მტანჯველური განცდა, განგებას მალამო რომ არ მოეშველებინა.



ლიტერატურული ჟურნალის „ოლე“ 2005 წლის მე-4 ნომერში შემთხვევით წავიკითხე ჩემთვის აქამდე სრულიად უცნობი ავტორის, მაყვალა მიქელაძის გვერდნახევრიანი მოთხრობა „ნაროელი მეჰირ“, რომელსაც მანამდე ვყავდი ზნეობრივ ტყვეობაში, სანამ ეს უმნიშვნელო რეცენზია არ დამანერინა.

მოქმედება მე-18 საუკუნის მიწურულს მიმდინარეობს, „ნოვათში, თუშების პირველსაცხოვრისში“, სოფელ ნაროში, რომელიც „გაუხედნავი ცხენივით ყალყზე შემდგარ მთას მოჰქცევია... ზურგზე“. მწერლის ძუნწი, მაგრამ საოცრად დამაჯერებელი თხრობა ნირშეუშლელ მასპინძელივით მიუძღვის გარემოთი მოჯადოებულ მკითხველს.

„ძნელი წარმოსადგენია აქ ზედმეტი ნივთი, უნდლილი სურვილი, უღიმღამო ყოფა. ქვეცნობიერი ალღოთი კარგად ჰქონდათ აქაურებს გააზრებული, რომ ბედნიერება ადვილი საპოვნელია, თუ შორს არ ეძებ; აკი ამიტომ ასე სრულად აღიქვამდნენ და აფასებდნენ იმ ადამიანურ ურთიერთობებს, რასაც ყოველდღე სთავაზობდათ ცხოვრება. იწონებოდა: რკინა, სპილენძი, ოქრო, მარილი... იწონებოდა სიტყვაც და საქმეც. სამაგიეროდ უსაზომო იყო სიყვარული და ერთგულება, გმირობა და ვაჟკაცობა, სიღრმე სსოვნისა თუ სიმაღლე მონატრებისა“.

264

წანაკითხით თვალის ახელა მეხდაკვრასავით მოქმედებს: აი, თურმე როგორები ვყოფილვართ, დღესაც როგორად ყოფნა გვმართებდა, ჩვენ კი როგორებად ვქცეულვართ!!! ამიტომ სიკვდილმისჯილივით მოგწყურდებათ, დღესაც ისევე იყოს, როგორც მაშინდელ საქართველოში ყოფილა, მაგრამ ვაგლახ: დღეს ინონება თითოეული ქართველის არა სიტყვა და საქმე, არამედ თითოეული ახალგაზრდის გამაუბედურებელი ნარკოტიკის დოზები, ნაარმალ-ნაავაზაკარი ოქრო-ვერცხლი, განუბაჟებელი ტვირთები... ურცხვად ითვლება ხაზინიდან მოპარულ-გაფლანგული თუ ნაქრთამევი დოლარები, გაყალბებული საარჩევნო ბიულეტენები... დღეს აღარც ვისმე სჯერა, რომ ბედნიერების პოვნა ერთმანეთის გვერდითაც შეიძლება! რას ლაპარაკობთ, ბედნიერებას საქართველოში რაღა უნდა – აქ იგი მოუხვლეთებელი კონტრაბანდა გამხდარა: ბედნიერება უნდა ეძებოთ უცხოეთის საროსკიპოებში, ბანდიტურ დაჯგუფებებში, შეუკავებელი შარდ-განავლით გალესილი, ჩაკუტებული მდიდრების

მოვლა-დასუფთავებაში!.. დღეს ან ვიღას რა ეშმაკად უნდა ის „სიყვარული და ერთგულება, გმირობა და ვაჟკაცობა, სიღრმე ხსოვნისა თუ სიმაღლე მონატრებისა“, როცა არსებობს კაზინო, დისკოთეკა, ვინრო პარტიული ინტერესები, უცხოეთის გრანტები, გაძვალტყავებული სამშობლოს ხარჯზე უცბად გამდიდრების ხერხები და ხვრელები!!!

ერთი სიტყვით, ჩვენსავე სამშობლოში ზნეობრივ ემიგრანტებად გადაქცეულ უბედურ მკითხველებს მწერალმა სულ რამდენიმე შტრიხით ისე რეალისტურად დაგვიხატა არცთუ ისე შორეული წარსულის საქართველო, რომ უმაღლესად გაქცევა და იქ დასახლკარება მოგწყურდებოდათ, მაგრამ მარტო ამის გაფიქრებაც კი მკრეხელობა გამოდის, ვინაიდან ეს პანია ციტატა ამავე დროს ჩვენი ყოფიერების ამრეკლავი სარკეც არის და როგორც კი შიგ ჩავიჭვრეტთ, ვძრწუნდებით: ღმერთო, ნუთუ ეს მართლა ჩვენ თვითონა ვართ?! არა, ჯერ თუ არ განვიმინდებით, ისე იქ შესასვლელი პირი აღარ გვაქვავია, ჩვენ და „ისინი“ ერთმანეთს ველარაფერს გავუგებთ! ამიტომ იმაზეც მადლობელს უნდა ვიყოთ, ამ პანია ციტატა-ჭუჭრუტანით ავტორმა ჩვენს ნამდვილ სამშობლოში ცალი თვალით მაინც რომ შეგვახედა, გონს მოგვიყვანა და გასპეტაკების აუცილებლობა დაგვანახა!

265

მიმზიდველია მწერლის ხერხი და ოსტატობა: ისე ამათრახებს ჩვენს მანკიან საზოგადოებას, რომ უშუალოდ მას თითსაც არ ანებს, არც კი ახსენებს!

მეფე ერეკლე შემოსეულ მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომს იხდის.

„ომს იხდიდნენ წარომი დარჩენილებიც– მტანჯველურ მოლოდინში გადიოდა დღეები. აღარ ეწყობოდა სოფელში გარმონიანი საღამო-გასართობები ახალგაზრდებისა. ხმადაბლა საუბრობდნენ უფროსები შინ და გარეთაც“.

ამის წაკითხვა ნეტარების ცრემლსა გგვრით: ნეტავი მაშინდელ დროში გვეცხოვრა, ანდა ის სულისკვეთება გადმოსულიყო ახლანდელ დროშიო! აქ თავისთავად გახსენებდათ სოხუმის დაცემამდე, დაცემისას და დაცემის შემდეგ ჩვენი საზოგადოების უნაღველ ნაწილს როგორი თავანყვეტილი ზარ-ზეიმი, ტაშ-

ფერხული და ნადიმ-ლრეობები ჰქონდა გაჩაღებული და დღესაც იმასვე აგრძელებენ!.. უბედური ერი!..

მოთხრობის მთავარი გმირია თუშის დედაკაცი მეპირ, რომლის ერთადერთი ვაჟიშვილი მეფე ერეკლეს ლაშქარში იბრძვის.

„სხვა თავმომწონე ახალგაზრდებთან ერთად ომში იყო მისი შვილი – ლაზარ. იცოდა ქალმა, რომ ომის ღმერთი თავნებაა და თუ დაგივიწყა, ვეღარც ვაუკაცობა გიშველის და ვეღარც ღონე.

აღარ ახსოვდა, ან იქნებ განგებ აღარ იგონებდა მეპირ რამდენიმე წლის წინ თრიალეთის საძოვრებზე ცხვრის ფარას გაყოლილ ქმარს. მხოლოდ შვილზე სურდა ეფიქრა, მხოლოდ შვილის მოლოდინით სურდა ეცოცხლა. იქაც, ეკლესიაში, სადაც თითქმის ყოველდღე დადიოდა, სანთლის შუქზე მხოლოდ შვილის ცოცხლად დაბრუნებას თხოულობდა, მეტს ვერ უბედავდა უზენაესს. შვილი!.. ყველასა და ყველაფერს შვილის სახელი ერქვა. სიამაყით იგონებდა, როგორი ვაუკაცური სიმშვიდით გამოეთხოვა ლაზარ. იმასაც კი შეჰპირდა, დავბრუნდები თუ არა, დავქორწილდები, შენ მანამ საცოლე ამირჩიო. რა დროს ეს იყო, მაგრამ იმედიანი უნდა დაეტოვებინა დედა–

266 ომში წასული შვილის დარდს შინ გაუთავებელი საქმით იმსუბუქებდა მეპირ. ხალხში კი ლოდინის დაუსრულებელ ძაფს წინდის ქსოვით იმოკლებდა. ეს საგანგებო ჭრელი წინდაც პირმშოსთვის წამოიწყო. საგანგებოდ შერჩეული მატყლისაგან საგანგებოდ დართულ ძაფს ფერებიც საგანგებო შეურჩია და მოკრძალებული საქორწილო სურვილები ჩაუთქვა“.

ავტორი გასაოცარი სისადავით, მაგრამ ეჭვშეუტანელი დამაჯერებლობით გვიხატავს იმდროინდელი ერთი უბრალო ქართული ოჯახის წევრების სულიერ სამყაროს, მათ ზნეობრივ-მორალურ სურათს, დედა-შვილის მოკრძალებულ, მაგრამ სრულიად ბუნებრივ, ჯანსაღ სურვილებსა და ოცნებებს. თანაც ყოველგვარი გადაჭარბება-გაზვიადების გარეშე – უკიდურესი მხატვრული თავდაჭერილობით! დიახ, მაგრამ სადამდე გაგრძელდება ეს მხატვრული თავდაჭერილობა – მოთხრობა თითქმის მიიწურა! მაშ, როდისღა მოხდება, ანდა როგორი ექნება კვანძის გახსნა, კულმინაცია, ეპილოგი? და უცებ თოფისნამლის ბორცვისკენ ნასროლი თხილისოდენა ნალვერდალივით გაიელვებს ეს პასაჟი.

„მაშინაც, იმ საბედისეწრო საღამოს, მეზობლის სახლის წინ შეკრებილ ქალებში იჯდა და ჩვეული გულმოდგინებით ქსოვდა წინდას, როცა სოფელში უსიამოვნო ჩოჩქოლი შეიქნა. ცუდად ენიშნათ ქალებს ზარიანი მძაურო და შიმჩამდგარი თვალებით თანაგრძნობით შეხედეს ერთმანეთს: ასე იცოდნენ, როცა ვისიმე ოჯახს უბედურება დაატყდებოდა თავს. რამის თქმაც კი ვერ მოასწრეს ერთმანეთში, რომ რამდენიმე შაგებში ჩაცმული ხანდაზმული ქალი ჩვენი ნაცნობი კრებულისკენ გამოეპარათ. იმდენად დიდი იყო შიშის ზარი, რომ არავინ ამდგარა მომავალთათვის მისაგებებლად და ომში მყოფი ქმრისა, ძმისა თუ შეილის ამბის საკითხავად. დრო, რომელიც მათ შორის დარჩენილი მანძილის გავლას სჭირდებოდა, როგორც იქნა, გაილია და ქალები მოუხალღოდნენ ქალებს. ყველაფერი ნათელი გახდა თქმამდე, როცა მოსულთა თვალებმა მონახეს მეპირი.

– გამაგრდი! – თანაგრძნობიანი ხმით დაიწყო პირველმა და თანაგრძნობიანი ხმითვე დააბოლოვეს სხვებმა.

– აღარ გაყეს ლაზარ...

მოსულთა ტირილი და მოთქმა უმაღლეს სხვებსაც გადაედოთ. დამხვდური ქალები ფეხზე წამოცვივდნენ და მოზარეებს შეუერთდნენ“.

267

მოსახდენი მოხდა! უბედურ დედას აუხდა ავი წინათგრძნობა! ფეხზე წამოცვივნილი ქალების ზარი მწვერვალებს სწვდება!

პატივცემულო მკითხველო, ახლა ერთი ნუთით შეწყვიტეთ კითხვა და სული მოიბრუნეთ!.. რაც აქამდე მივბლანდ-მოვბლანდე, ეს მხოლოდ იძულებითი შესავალი იყო. უმთავრესი ნინ გვიდევს! თქვენ ახლა ლიტერატურული სასწაულის – ათასხუთასწლოვან ქართულ მწერლობაში კიდევ ერთი უკვდავი, სულით ხორცამდე ჭეშმარიტად ეროვნული ხასიათის მქონე პერსონაჟის ღვთაებრივი დაბადების მონმე გახდებით!

ამ ელდიანი ამბის შემდეგ მწერალი დედის განცდებსა და საქციელს გვიხატავს. სამად სამ პატარა აბზაცში – რომელთა საერთო მოცულობა ჟურნალის ჩვეულებრივი სვეტის ოცდაქვეს სტრიქონს (!!!) არ აღემატება! – ჩაკუმშულ მხატვრულ ჯადოსა თუ გენიას ფართო საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ უცნობი ჩვენი ავტორი რამდენიმე წამით მოულოდნელად ჰომეროსის, შექსპირის, გოეთეს, შილერის, სტენდალის, ბალზაკის, გოგოლის, ლევ ტოლსტოის, ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, მიხ-

ეილ |ჯავახიშვილის, თომას მანის, მიხეილ შოლოხოვის და სხვა მათი |ჯგუფი შემოქმედის სიმაღლეზე აპყავს!!!

მაშ, მოემზადეთ – მომყავს ციტატა (ორგან ნახმარი მრავალწერტილი ავტორისეულია).

„არ ამდგარა და ჩუმაღ იჯდა მხოლოდ მეჰირ. წუთით თვალთ დაუბნელდა დედას. ის კი არა, მოეჩვენა, რომ გულიც გაუჩრდა. ხმა მინც არ ამოიღო, თავს ძალა დაატანა და, ყველას გასაკვირად, წინდის ჩხირებზე ასხმული ბაწრის თვლები მოგონილი სიმშვიდით ჩაათავა – აღარაფერი იყო საჩქარო, ბრძოლის ველზე დარჩენილ მეომარს აღარასოდეს დასჭირდებოდა დედის მოქსოვილი ჭრელი წინდა.

– სხვის კარზე არ ეგების სხვისი მკვდრის ტირილიო! – ენაგამშრალმა მიუგდო რამდენიმე სიტყვა აწიოკებულ ქალებს და ბაწრით წინდის ჩხირების ბოლოების შეკვრა დაიწყო ისევე დინჯად, როგორც ჩვეულებრივ იციან საქსოვის შენახვისას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აუჩქარებლად შეასრულა ყველა ჩვეული მოქმედება, ნახევრად მოქსოვილი წინდა წინსაფრის კალთას ამოაფარა, წამოდგა და ისევე ჩუმაღ, დინჯად თავისი სახლისკენ გაუძღვა იქ მყოფთ.

საკუთარ სახლთან ოდნავ შეყოვნდა მეჰირ. ამ რკინის დედაკაცსაც თუ გაუჭირდა გამოთხოვება ბედნიერ წარსულთან. მაგრამ ეს იყო მხოლოდ წამით. გარშემონი, ალბათ, ვერც კი შეამჩნევდნენ. სწრაფად გონს მოეგო. მისმა გაფითრებულმა ხელებმა რაღაცნაირი შიშით, სევდითა და მწუხარებით შეაღეს პატრონისთვის ოდესღაც ასე საყვარელი სახლის კარი. მაშინ კი უკვე გზა მისცა თავის უნაპირო მწუხარებას ქალმა: სოფელს მოედო შვილმკვდარი დედის ზარიანი ხმა“.

ახლა კლასიკური ლიტერატურიდან მსგავსი ტრაგედიების ისეთი კულმინაციური სცენები გავიხსენოთ, როგორიცაა, მაგალითად, უბედური პრიამოსის აქილევესთან მისვლა შვილის გვამის გამოსასყიდად, ოტელოს, ჰამლეტისა და ოფელიას ბოლო ნუთები, ვერთერის გამო ლოტეს ნაღველი, გიოც ბერლინ-ჰინგერის უკანასკნელი დღე, მოხუცი მოორის ტანჯვიანი აგონია, მათილდა დე ლამოლის მიერ ყიულიენის დატირება–დამარხვა, მამა გორიოს სიკვდილის აპოთეოზი, სამი ბულებას – ანდრეს, ოსტაპის და ტარასის ტრაგიკული ფინალი, მომაკვდავი შვილის სარეცელთან ოთარაანთ ქვრივის მწუხარება და სოფოლადე, ჰაჯი-მურატისა და არსენა მარაბდელის ტრაგიკული აღ-

სასრული, ხევისბერი გოჩას უბედურება, ტიფიანი პატარა ჰანო ბუდენბროკის სიცოცხლესთან გამოსალმება, პეტრო მეღებოვის დახვრეტა თუ აქსინია ასტახოვას სიკვდილისა და დამარხვის სცენა... არ კმარა?!

ახლა შინაური მღვდლის გაყრუმუნჯება დავაგდოთ და გულზე ხელდადებით განვსაჯოთ: თუში დედაკაცის ეს ტრაგიკული პორტრეტი თავისი მხატვრულ-მონუმენტური ჯადოსნობით და სულის შემძვრელი ემოციურობით რით ჩამოუვარდება აქ ჩამოთვლილ პასაჟებს?!. ხოლო ტექსტის სიმცირით რომელი მათგანი მოვა მასთან?!

მ. მიქელაძემ სულ რაღაც ოცდაექვსი სტრიქონით თითქო უბედური დედაკაცი კი არ დაგვიხატა, არამედ წაროს საფეხვნოში უცებ მიქელანჯელოსებური მარმარილოს უზადო, თანაც სულშთაბერილი ცოცხალი ქანდაკება ჩამოგვიდგა საიდანღაც!

ადამიანის ფსიქიკის რა იგავური ცოდნა და ყველაზე ელდიან ნამებში მისი მხატვრული გადმოცემის რა გამოგნებელი ოსტატობა: ცხადად ხედავთ ქვანაქცევ, მაგრამ ჭირთამთმენ ქართველ დედაკაცს, გასაჩერებლად მოფართხალე მის გულს, ერთ წერტილს მიჩერებულ ხილვადაკარგულ თვალებს, ინერციით მოძრავ გაფითრებულ თითებს, მომაკვდავი მწერის საცეცებს დამსგავსებულ საქსოვ ჩხირებს, წინდის წერილ თვლებს... მწერალი თავისი პერსონაჟის ტკივილის გადმოცემას მჭახე ფერებითა და მყვირალა მხატვრული აქსესუარებით კი არ ლამობს, არამედ ამას ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო საგნებითა და მომენტებითაც ახერხებს. ოღონდ როგორც კი თავისი მადლიანი კალმით შეეხება, ეს უმნიშვნელო საგნები სასწაულებრივ მხატვრულ დამაჯერებლობას სძენენ როგორც თვით პერსონაჟის ხასიათსა და განცდას, ისე მთლიან გარემოს. ციტატის პირველ აბზაცშიც ეს „ბანრით წინდის ჩხირების ბოლოების შეკვრა“ და „ნახევრად მოქსოვილი წინდა წინსაფრის კალთას ამოაფარა“, ისე დამატყვევებლად მოქმედებს, რომ მკითხველს მტკიცედ სჯერა: ეს სწორედ ასე იქნებოდა და სხვა არანაირად!

„- სხვის კარზე არ ეგების სხვისი მკვდრის ტირილიო!“  
- მთელი მოთხრობის მანძილზე ამ ერთადერთი ფრაზის მეტს

სხვას არაფერს ამბობს შვილმკვდარი დედა და მასში ჩაქსოვილ თავის ზნეობრივ კრედოს თითქო ანდერძად უბარებს მომავალი თაობების ქართველ მანდილოსნებს.

აფერუმ, ის ერთი უბრალო დედაკაცი როგორ არ ჰკვანებია ჩვენი დღევანდელი ქალების ერთ ფენას, რომლებმაც ოღონდ კი გამოლმა ჩაბლუჯონ საკბილო, რაიმე უკანონოდ მიიტაცონ, ან უკვე მიტაცებული ძალით დაიკანონონ, რეციდივისტი გაამართლებინონ, ერისკაცი ლაფში გასვარონ, ნარკოტიკებით მოვაჭრე გამოაშვებინონ, უნიჭო ნიჭიერად აღიარებინონ, უდანაშაულო ყმანვილების მკვლელი ანგელოზის ფრთებით მოგვაჩვენონ, მოკლედ, თავიანთი კი გაიყვანონ და სულ არ დაგიდევენ, სად იმყოფებიან: მიცვალებულის კუბოსთან, სასამართლოს დარბაზში, რკინიგზაზე, სამშობიაროში, დასაფლავებებზე, ღვთის სახლთან, სასწავლებელში, უცხოეთის საელჩოსთან თუ ქუჩაში – იწყება ფანატიკურ-თეატრალური ნივილ-კივილი, პირისახის პოტნა და თავცემა, „მტერზე“ თვალების ამოსაჩიჩქნად მიწევა, ტანისამოსის შემოფხრენა, მინაზე გორაობა, ნამდვილი თუ ყალბი გულყრა... სამართალდამცავებთან თუ ცამდე ალალ-მართალ შვილისოდენა ვაჟკაცებთან ჭიდილ-ჯაჯგური, ცემა-ტყემა, წენვა-გლეჯა!.. და ყოველივე ამას უშუალოდ ადგილზე თუ ტელევიზორით უყურებს დიდი და პატარა, შინაური და გარეული, მტერი თუ მოყვარე!!! როდემდე და სადამდე?! ამ უსაფუძვლო, უადგილო და უგვანო ნივილ-კივილში გამეცადინებულ ჩვენს ქალბატონებს იქნებ იმ ზნემაღალი თუშის დედაკაცისაგან გადაეღოთ განსჯისა და თავდაჭერილობის მაგალითი?!

ვინ იქნება ქვეყნად ისეთი, ყმანვილობისას კითხვით გატაცებულს, ამა თუ იმ გმირის ადგილას არ წარმოედგინოს თავი. არც მე ვიყავი გამონაკლისი, მაგრამ არ მაგონდება, რომ შეუმჩნეველად რომელიმე მანდილოსანი პერსონაჟის ადგილას მეგრძნოს თავი! და, აჰა, ესეც გადამხდა! ამ პასაჟის მხატვრულობის ჰიპნოზურმა ძალამ უცაბედად შემაძრწუნა: ვინ წაროელი მეჰირ, რა წაროელი მეჰირ – ვილაც მეჰირი კი არა, ეს მე, თუშის დედაკაცად გადაქცეული უბედური ჯემალ მეხრიშვილი მივაბიჯებდი სიპით ნაგებ სახლებს შორის! მაგრამ ეს საზარელი მოლანდება

მხოლოდ წამიერი აღმოჩნდა, ვინაიდან მაშინვე ვიგრძენ – მე ამოდენა უბედურების მომრევი არ ვიყავი! ამიტომ ოთხიოდე ნაბიჯიც არ მექნებოდა „გადადგმული“, როლები კვლავ ელვისებურად რომ გაიცვალა: მე ისევ იმად ვიქეცი, ვინც წამის წინ ჟურნალჩაბლუჯული ჩემს კუთხეში ვეკუნტე და სულშეგუბებულმა წელანდებურად თბილისიდან დავუნყე თვალყურის დევნება წაროში მიმდინარე მოვლენებს, ხოლო სტრიქონებიდან ხელახლა ამოჩენილმა თუშის დედაკაცმაც ისევ დაიკავა თავისი ადგილი და შინისაკენ დამნუხრებული გაუძღვა მოზარეებს!

ციტატის მესამე, ცხრასტრიქონიანი აბზაცი მთელ ტომს უდრის: რა მომნუსხველი დიდოსტატობითაა დახატული გამოთხოვება ბედნიერ წარსულთან, გაფითრებული ხელებით ოდესღაც საყვარელი სახლის კარის შეღება, სოფელს მოდებული დედის ზარიანი ხმა! მთლიან ციტატაში არსად იგრძნობა სუსტი ნიუანსი – მხოლოდ უნიკალური პროზაიკოსის ნიჭით ნაშობი სითანაბრე და ლაკონურობა! თანაც არავითარი ეროვნულ-პატრიოტული პათეტიკა და ჰეროიკა, არავითარი პლაკატურობა და თავმონონება, არავისი და არაფრის პროპაგანდა – ავტორს საქმე აქვს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთან, მის პირად განცდებთან და სულიერ ტკივილებთან. ჩაათავებთ მოთხრობას და გული რალაცნაირად თავისით გიგრძნობთ: ილიას „ქართველის დედას“, ვაჟა-ფშაველას ფშაველი ჯარისკაცის დედას, დავით კაკაბაძის ტილოს „იმერეთი – დედაჩემი“, ელგუჯა ამაშუქელის „ქართველის დედას“ როგორი მოკრძალებით უახლოვდება მაყვალა მიქელაძის მიერ ასე მადლიანად დახატული დედაც...

ენა? თავანკარა ქართული უმაღლეს გვახვედრებს – მაყვალა მიქელაძე უსაშველოდ „ჩამორჩენია“ დროს – იგი ცხოვრობს წარსულით და წარსულში! ამიტომ ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, რომ დღეს უკვე „სირცხვილია“ ამგვარი შეურყვნელი, სუფთა ქართულით წერა! ეტყობა, მან არც ის იცის, გრაფომან-ეპიგონები „რეფორმას“ რომ ახორციელებენ და „ენაი შემკული და კურთხეული“ ლამის ასიოდე უცხო სიტყვამდე ჩამოგვიქვეითონ: სიტუაცია, პრობლემა, კონტრასტი, აჟიტირებული, ლავირება, კონცენტრირება, აბსურდი, ილუზია, პარადოქსი, ინტუიტური,



სინქრონი, ადაპტაცია, აკურატული, პოზირება, ვიბრირება, აპლოდისმენტები, კომპლიმენტი, რეპუტაცია, ეიფორია, მანიპულირება, პრესტიჟული, უტრირება, არგუმენტირებული, კომუნიკაბელური და ა. შ.

მკითხველო, შემინდეთ ეს ნუთიერი ირონიულ-სარკასტული გადაცდომა, ოღონდ არ შეკრთეთ და ღრმად გწამდეთ: ამგვარი უცხო-უცხო სიტყვებით ხალტურულად შეხანხლული გრაფომანული ტექსტების ბორცვებს მახვილმომარჯვებული ულმობელი დრო ბინდისფერ დავინყებას ღოლოსავით შეაკეპავს, მაყვალა მიქელაძის კამკამა ქართულით დანერილი ეს პატარა შედევერი კი ქართული მოთხრობების ოქროს ფონდში შევა!

\* \* \*

მოკლედ, მაყვალა მიქელაძემ შექმნა ნამდვილი ქართული ხასიათის მატარებელი პერსონაჟი. მხატვრულობის თვალსაზრისით – ლიტერატურაში კი მთავარიც სწორედ ეს არის!!! – იგი იმდენად ცოცხალი, ეროვნული და სრულყოფილია, რომ თავიდან კარგა ხანს ასეც კი მეჩვენებოდა: ეს დედაკაცი იყო არა მწერლის და თანაც მანდილოსნის მიერ დახატული ლიტერატურული პორტრეტი, არამედ სახლის საძირკვლის გაჭრისას შემთხვევით ნაპოვნი წარმართული ხანის ქართველი ქალის პანია, დაუზიანებლად გადარჩენილი ოქროს ქანდაკება, რომელიც გაუნათლებელმა, მაგრამ პატიოსანმა დიასახლისმა წაროდან თელავში ჩაიტანა და რაკი იმდენი არ იცოდა, სად ან ვისთვის უნდა ჩაებარებინა, ალაღბედზე მიადგა „ოლეს“ მთავარ რედაქტორს, აკაკი დაუშვილს და მოწინებით სთხოვა, თავის ჟურნალში მოეთავსებინა! თითქო რედაქტორმაც აღარ გაუტეხა ხათრი: ფერადი ფოტო გადააღებინა და ერთ-ერთი ნომრის ჩანართში გადიდებული სახით შემოგვთავაზა ეს ახალი ქართველის დედა, რომელსაც დროთა ვითარებაში ღირსეულ მანდილოსან პერსონაჟთათვის განკუთვნილ ლიტერატურულ პანთეონში, ალბათ, შუშანიკის, ქეთევან წამებულის, ოთარაანთ ქვრივის, სანათას, თავსაფრიანი დედაკაცის და სხვა მათ სწორთა შორის მიეჩნევა სამუდამო სამყოფელი.

272

## სარჩევი

|                                    |     |
|------------------------------------|-----|
| ცოტა რამ ავტორზე .....             | 3   |
| თავფარავნელი დედაბრის ალქიმია..... | 7   |
| ნიკუშა ანთაძე.....                 | 24  |
| ბესო ხვედელიძე .....               | 33  |
| კოტე ჯანდიერი .....                | 83  |
| თონა დოლენჯაშვილი.....             | 116 |
| მარიანა ნანობაშვილი .....          | 125 |
| დავით ქართველიშვილი.....           | 164 |
| აკა მორჩილაძე.....                 | 173 |
| ეკა ლალანიძე.....                  | 181 |
| ნუგზარ შატაიძე.....                | 197 |
| პაატა ბერიკაშვილი .....            | 199 |
| ზაალ სამადაშვილი.....              | 201 |
| ირმა ტაველიძე.....                 | 208 |
| ირმა მაღაციძე.....                 | 215 |
| გელა ჩქვანავა .....                | 223 |
| ანა კორძაია-სამადაშვილი .....      | 237 |
| ბოლოთქმა .....                     | 261 |
| ...გვეტყვიან... გვეუბნებიან!.....  | 263 |